


K 40
1a



0 ၉၀၁ ၂၁၃၆၁၃၄၄၄

ნაწილების სრული პრეგული

შედარებული პირველ-წყაროებთან
და შევსებული ახალი ტექსტებით

კავლე 06801609321 და აღ. აგაშელის
რედაქციით

0 ၆၈၁ ၅ ၂ ၈ ၀

ძირითადი სერია.

8 ၁ ၈ ၂ ၈ ၂ ၈ ၂ ၈ ၂ ၈ ၂
„ქართული ფილი“

399.362.1+9 (48.922)

o m a n VIII

ԱՅՆՎԵՐԻ ԶԱ ՔԱՅՈՒԹ

۱۸

ଓଡ଼ିଆ - ୧୯୨୮ ଫେବୃରୀ



ს. ს. მ: უ. ს. პოლიგრაფტესტის 1-ლი სტამბა. პლეხან. პრ. № 91.

23/XI—27. მექ. № 212. მთავარ. № 455. ღაიბ. 5000

Ց Ա Բ Ա Խ Ա Ծ Ո

1.	Ա պեղարքեա լա յանոն.	
	Ծյրուու პորցելո	38.
	Ծյրուու մյուրե	3
	Ծյրուու մյսամե	11
	Ծյրուու մյուտե	18
	Ծյրուու մյենտու	35
	Ծյրուու մյենտու	47
	Ծյրուու մյեյես (մոմիցը պահապահուա հայութի).	77
	Ծյրուու մյենդ լա սկանասկելու	99
2.	Ա պուրագուրու Ծյրուու պեղարքեա լա յանոն.	
	Ծյրուու պորցելո	113
	Ծյրուու մյուրե	116
3.	Ե օնցեա սայմե. նարկազո პորցելո	129
4.	Ե օնցեա սայմե. նարկազո մյուրե	151
5.	Կ յերժու լա սատեմո մովատ-մուլութելուն	207
	Տ ա չ ո ց ա ձ ո յ ե ծ ր ո ւ զ ո ւ պ ե ղ ա բ ո ւ ն ա յ լ ո ւ ն ո ւ ն ո մ ո յ ւ ր ո ւ մ ո ւ շ է յ է ն ո ւ	229
	Մ ա շ ա թ ա ժ ա ս ա յ մ ե	
	Ա շ ա թ ա ժ ա ս ա յ մ ե լ ո ւ ն ո ւ ն ո մ ո յ ւ ր ո ւ մ ո ւ շ է յ է ն ո ւ	277
	Ծյրուու մյուրե	281
	Ծյրուու մյսամե	285

8.) უკანონოდ-შობილთა უფლება	295
9. ებრაელთა საკითხებები	307
10. პედაგოგის საფუძვლები	313
11. ქართველი ერი და ოვაწლი წმინდა ნინოსი . .	347
12. შობა მაცხოვრისა	353
13. სააღდგომობრივი სამართლებრივო უფლება	358
14.) საზოგადოება და ზნეობა	361
 ილიას ნაწარმოებთა ტექსტი და ქრონოლოგია (წერილი პ. ი.)	367

ԱՅԹՅԱՆ ՊԱ ՀԱՅԹԵՐ

(1877—1881)

ԾԵՐԱԿԻՒՑԱ ՇԱ ՔԱՅՈՒԹԻ

ՄԵԽՈԼՈ ՖՈՐՑԵԼՈ

Ճշնցիքամ, հաւ լինդա Տօմօնութ մարտուս հռմելու-
մյ մեծարյ, անյ վայսանա, հաւ լինդա մրտյւլո Ֆազա մուշցը
աճամուանս Տաւերայեծլաճ ճա նայութուրո մութա Տանըլո-
յինսատցուս, մանը-ճա-մանը խալթու կյտուլ-դլյոնձաս Տեցա
մերուտաւ Եյլուս Շե՛մոնձա Տօմօնեծիօ. յաւս մացուցեաճ
զերա Շվելուս տպրմյ զերը Տոյետյ Ֆայրուսա, զերը Տօմ-
ևյինյ մութիսա, զերը Շեմլյեծա պովել-ցարուս Վարմուցիսա,
տպրա յաւտա Մորուս կյտուլաճ ճագցենիլո ճա Կիաճաճ
ցանսաթլարուլո ար արուս Մրտյւրտմորուսո. Մովլյեծա ճա
մովալյոնձա. յաւտա յմայութուլյեծիսատցուս, խալթու կյտուլ-
դլյոնձասատցուս, յս Սյանսայենյու Մովլյեծլաճ Տա-
վուրու, զոֆրյ Տեցա համյ Վայսուրոնձաթեզ. մտուլսա
Մուլյանցուսաս ցարս աեցցուս Ցուլճանցրուլո, Հարուծի
Ճշնցիքա. օգո Շուրութ Մորուսա ճա Ըզաթլուտ Վարմեցս Ճշ-
նցիքաս մի տուտա լույսի Ցուրս, Հռմելուսաւ Ե՛վլուս տցուս
Հալածս Տանըլութիսատցուս. օգո Տավցաճաճեծիտ, Տավցա-
մոմյեթիծիտ Շլյ-ճա-ճամ Եծրմցուս Ճշնցիքաս ճա պովելո
յիսրյտ մոնցոյենուլո լույսի Ցուրս Ժլյամուշուլոնձաս մուսու
մենցոնձաս, Ցուրմուս մոյցարյոնձաս. Տոյմբա յերշտ ալա-
թյեծս օգո Շլյուս ճա ատյենցիք Ըմիս, մացրամ օգո Մովլյու-
յինցուրուս ճա յմայութուլո, զոֆրյ Տակարսելո, Հռմլու-
սատցուսաւ Ցուրուս Շեմուշուրցլացս Շայտյւսո Վայսանա յաւտա

საცხოვრებლად და საზრდოებისათვის. ერთი არის თავ-მომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულ-დაგული კაცი, მეორე არის გულჩათუთქეილი, ილაჯ-გაწ-ყვეტილი, ფრთხალი და გათელილი. ერთი—იმედით ალ-საესე სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლევამოსილობაა ხვალისათვის, მეორე—სასოწარ. კვეთილია, შიშით სულ უკან იყურება და გუშინდელს მშვიდობით გატარებულს დღეს ნატრულობს და არა სწამის ხვალე. ერთი—სულით თუ ხორცით ყოველ-დღე წარ-მატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე—სუ-ლითაც და ხორცითაც დალევაშია, თუმცა მის გარე ბუ-ნება უხვია და მდიდარი. რა არის ამისი მიზეზი? ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდე-ბიო და სხვისა აქ იწყებაო“, უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა.

რაც სხვისაა,—ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია,—ეგ ჩემი უფლებაა.

უფლება და შოვალეობა, რომელნიც არიან პირ-ველი და უკანასკნელი საგანი ურთიერთშორის გან-წყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონთმდებლობის ძალითა და ნიჭითა. ამ მხრით, რასაკვირველია, საბუთი აქვთ მათ, ვინც ამბობენ, რომ მომქმედთა კანონთა უვარებისობა, თუ სიკეთე, თითონ ხალხის ბრალიაო, იმიტომ რომ თავი და ბოლო კანონე-ბისა თვით ხალხიაო. რამოდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას არ შევუდგებით; ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ. ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფ-ლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ

ხალხის წარმატება და ქეთილდღეობა, თუ ყოველ-დღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამისი მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბეღნიერებისათვის? ყოველის-ფერი უხვადა გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთ-შორისი განწყობილება. მაგრამ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში, სახელდობრ 1864 წლიდამ, ჩვენში ბევრ-გვარი ცვლილება მოხდა, რომელთ აზრად ჰქონდათ და აქვთ საზოგადო ურთიერთშორისი წყობილება უკეთესს და უფრო უმართლესს ნიადაგზედ დაედგინა.. ამ ცვლილებას ჩვენში ყოველი გონიერი და მიხედვრილი კაცი დიდის სიხარულით და თითქმის აღტაცებით მიეგება. ხოლო გამართლდა ჩვენი სიხარული და აღტაცება თუ არა? ჩვენ ვეცდებით, ამის პასუხი მივცეთ მკითხველსა.

1864 წ. მოხდა ჩვენში ყშების განთავისუფლება. მოისპონ ჩვენში ერთისაგან მეორის აღამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა; ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა. ამ მხრით ორთა-მუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარა ჰქონდა. მაშასა-დამე, აქ საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა. ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულს გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა; რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, ეხლა. თა-

ვისუფალი ხარ, ომშ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა საქე-
თილოდ, ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მი-
ეცა. რადგანაც გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბა-
ტონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუტევეს, მაშა-
სადამე, აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განესაზ-
ღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და ნაბატონა-
რის შორის. იი, ჩვენის ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხ-
და ის, რამაც ჩვენი თავდაპირეველი სიხარული არ გა-
ამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვქონდა. რა-
საკირველია, ვიდრე ევ საქმე გადაწყდებოდა, დიდი ლა-
პარაკი და ყაყანი იყო მასზედ, თუ როგორ უნდა გა-
აშველონ ბატონი ყმასა, ყმა ბატონსა. მცირებ, მაგრამ
უკეთესმა, ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მაშინვე აღი-
არა, რომ თუ საქმე იმაზე მიღვაო, რომ უსათუოდ უნდა
გავშველდეთო, ისა სჯობიაო, ეხლავე ისე გავშველდეთო,
რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარაბის მი-
ზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლეხი მისის ნა-
კერის მიწების მეპატონედ არ იცნეს, რასაკვირველია, ეს
აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ჟელასა-
თვისა. ამ-გვარად გაშველებისათვის ორი გზა იყო: ერთი
ის, რომ მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მა-
მული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემარ-
თა, ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გა-
დაეკვეთათ. რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი.
იყო, თუ არჩევაზედ მივარდნილიყო საქმე. მაგრამ არამც
თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ,
არამედ მაგ გზების დედა-აზრიც სრულად უარჲყო.

ჩვენის საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უმ-
რავლესმა, განდევნა სრულად პირველთა დედა. აზრი და
ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლეხსა და ნაბატო-

ნარს შორის ცოტა კლანჭ-გამოსადები რამ დარჩენილ-იყო. ჩამოვარდა მეოთხედობა — ეს განუსაზღვრელი შიზე-ზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც. მოჰყეა ამას, ვითარცა აუკილებელი შედეგი, სხვადასხვა კანონები სა-დავიდარაბო და ორივე მხრისათვის თავში საცემი. რომ მებატონებთან გლეხი პირნათლად გამოსულიყო, რასა-კვირველია, მებატონის კაცი უნდა დასწრობოდა ნამუ-შევარის შინ შემოტანის დროს, რომ მეოთხედი მიეთვა-ლა, თუ აეწყო. დაიდვა ეს კანონიცა. ყველამ იცის, რომ ნამუშევარი თითქმის ერთსა და იმავე დროს შემოიდის, მთელ საქართველოში თუ არა, ერთ და იმავე სოფელში მაინც. აბა, ეხლა იფიქრეთ, რა უნდა ექმნა ამ შემთხვე-ვაში იმ მებატონებს, რომელსაც ათი და ოცი კომლი ნაყოფი ეყოლებოდა? როგორ უნდა გასწვდენოდა ათსა და ოცს კომლსა? სადა ჰყვანდა ათი და ოცი კაცი მაგ მეოთხედების უკან სადეწენებელად ერთ და იმავე დროს? არ გაგზავნიდა — ეჭვში უნდა ჩავარდნილიყო, გლეხი მომპარავსო, და გაგზავნიდა კიდევ — იმ მეოთხედიდამ კაცების დაჭერის ხარჯს კაი წილი მიკვინდა. იყო ორ ჭირ შუა. ამ შემთხვევაში ან გლეხის კეთილსინიდისია-ნობას უნდა დამყარებოდა, ან არა და ერთი თუ ორი კაცი უნდა ეტარებინა მეოთხედების ასაკრეფადა, რად-განაც მეტს მძიმე ხარჯი მოსდევდა. გლეხი უფრო ცუდს დღეში იყო. თუ მოუცდიდა ნაბატონარის კაცს, ვინ იცის, როდის. მოვიდოდა, და ბატონის კაცის ლოდინში შიშით სული ელეოდა, ავდარმა ნამუშევარი არ წამიხ-დინსო; არ მოუცდიდა კიდევ — შიში ჰქლავდა, მეტს წამომედავებიანო.

ამ ყოფაში ან ერთს რა გამორჩომა ექმნებოდა თა-ვისის მამულიდამ, ან მეორეს თავის ნამუშევარიდამა. ამ

მდგომარეობაში ან ერთის გაკეთება რა საფიქრებელია, ან მეორისა. აქ ბევრსაც რომ ცდილიყვნენ, ვერც მებატონე და ვერც გლეხი ვერ შესძლებდნენ საქმე ისე მოემართათ, რომ ურთიერთის უფლება და მოვალეობა არ დაერცვიათ. ჩვენ ამისი მოწამეც ვყოფილვართ, რომ გლეხს გარეთ დალბობოდეს ნამუშევარი ბატონის კაცის ლოდინშია. ხანდისხან ჯაბრი ამაზედ უარესს საქმესაც მოახდენდა ხოლმე. ამისი მაგალითები ორივეს მხრით ბევრია. ესე იყო თუ არა, მანიც-და-მანიც მაგ განუსაზღვრელს მეოთხედობის გამო ბატონსაც და გლეხსაც საქმე იმაზედ შეუდგათ, რომ ნებით თუ უნდებლიერ ურთიერთის კეთილსინიდისიანობაზედ უნდა დამყარებულიყვნენ. ვინ არ იცის კიდევ, რომ კეთილსინიდისიანობა გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდი ზედ გადააბოტებენ და ისე გადადიან, პატარები კი ქვეშ გაუძვრებიან ხოლმე. რადგანაც ამ-გვარს ვარჯიშობას არც დიდნი თაკილობდნენ და არც პატარები, ამიტომაც ატყდა ბატონსა და გლეხს შორის აუარებელი საჩივარი და დავიდარაბა. პირველ ხანებში ამ საჩივრებს ვერ ასდიოდნენ მოსამართლენი.

ამ მეოთხედობას ამას გარდა სხვა აუცილებელი კანონიც დაერთო, საშფოთო და სადავიდარაბო. რაკი მეოთხედი უნდა ეძლია გლეხს, ისიც უნდა დაეშესათ, თუ რამოდენა უნდა ეხნა გლეხს ყოველ-წლივ. უმისიოდ გლეხს რომ ათის დღის მიწა სჭერებოდა და მარტო ერთისა ეხნა, მებატონეს თავისის საკუთრებიდამ ბევრი არა შემოუვიდოდა რა. ამისათვის გლეხს კანონმა კისრად დასდგა, რომ უსათუოდ რგებულის მიწების ნახევარი ყოველ-წლივ მოხნული უნდა გქონდეს. ამ კანონმაც მრავალი შფოთი ჩამოაგდო ორთა შუა და მრავალი სა-

ჩივარი გამართა. შფოთებმა ამ ორ წოდებათა შორის უსიამოვნობა დათესა და საჩივრებმა კიდევ თავი მოა-ბეჭრა მებატონეს და გლეხსაცა. ახლა ამს ისიც ზედ დაართეთ, რომ მაგ საჩივრების გამო ჩვეულებრივი მიწერ-მოწერა გაიმართებოდა ხოლმე, დაბარება, გამოძიება, და ამის გამო საჩივარის თავი თუმცა იყო, მაგრამ ბოლო კი არა სჩნდა. რადგანაც აქ საქმე თითქმის დღიურს საზრ-დოებაზედ იყო შემდგარი, ამისათვის ვერც მებატონე ითმენდა და ვერც გლეხი იმ დრომდე, ვიდრე სამართა-ლი თავისას იტყოდა. გაიმართებოდა ხოლმე ძალმომრე-ობითი ტაცება, დარბევა და სხვა ამ-გვარი. ამ დანაშა-ულობას შეუდგებოდა ხოლმე ახალი საჩივრები და დავი-დარაბები. ამაგბის გამო ცხოვრების ილაჯი გლეხსაცა. და მებატონესაც გაწყვეტილი ჰქონდა. რასაკვირველია, გლეხს უფრო, ვიდრე მებატონესა, იმიტომ რომ გლეხი დღიური მუშა-კაცია და იმისათვის საჩივრებისა გამო აქა-იქ თრევა და ტანტალი ლუკმა-პურის დაკარგვაა მართალია, ზოგან რომ არაქათი გაუწყდათ ბატონსა და გლეხსაც, აიღეს და ეგ საშფოთო და განუსაზღვრელი მე-ოთხედი გადაკვეთილ და გავაჭრილ გადასახადად გაი-ხადეს, ერთის სიტყვით, შინაურულად მორიგდნენ. მაგ-რამ, საუბელუროდ, ყველგან არა.. ეგ მარტო იქ მოხლა, სადაც გლეხს უფრო კაცმოყვარე და მშვიდობიანი მა-მულის პატრიონი შეხვდა და საცა მაგისთანა მამულის პატრიონს—გულმართალი გლეხი. უფრო ბევრგან კი, ჯამრისა გამო თუ დავიდარაბის სიყვარულისა გამო, ისევ ის განუსაზღვრელი, სახათაბალო, მიზეზიანი მეოთხე-დობა დარჩა. ამის გამო დღესაც, თუ არ წეწვა და გლე-ჯაა, უსიამოვნება მაინც არის და არის.

შთავრობას, რომლის თაოსნობითაც გაუქმდა ჩვენ-ში ბატონ-ყმობა, წინათვე დანახული აქვს ეგ უსიამოვნო შედეგი განუსაზღვრელის კოფა-ცხოვრებისა და ბატონისა და გლეხის საკეთილოდ წამალიც ცნობილი და ნაპოვნი აქვს. თუმცა მეოთხედობა გლეხთა განთავისუფლების წესდებაში შევიღა, მაგრამ მთავრობის შორმხედველობითმა მსჯელობამ ყურადღება მიაქცია იმ უმცირესთა დედა-აზრსაც, რომელიც წინ მოვიხსენიეთ. იმავ წესდება-ში ორი გზა არის ნაჩვენები ბატონ-ყმობის საქმის უკეთ დაბოლოებისათვის. პირველი და უკეთესი ის, რომ გლეხს ლონისძიება აქვს—მთავრობისაგან დანიშნული მამული შეისყიდოს, და მეორე ის—რომ ვიღრე ეს მოხდება, ეგ მეოთხედი ერთს განსაზღვრულ და გადაკვეთით გადაჭრილ გადასახადად უნდა იქცეს.

ამ ორს საგანზედ შემდეგში გვექნება ლაპარაკი.

წერილი მეორე

წინა წერილში ჩვენ თვალი გადავავლეთ მეოთხე-
დობას იმ მხრით, რა მხრითაც იგი შეეხებოდა ადამია-
ნის შინაურს მშეიღობიანად ცხოვრებასა. რომ ცნობიე-
რად და რიგიანად მივმართოთ ეხლა იმ საგანთა, რომ-
ლის ვითარების ახსნაც ჩვენ პირველს წერილში დავპირ-
დით მკითხველს, საჭიროა, ჩვენის ფიქრით, გამოკვლევა
მის, თუ რა ნერგზედ არის აღმოცენებული ეგ მეოთხე-
დობა და რა ეკონომიური ზედმოქმედება აქვს ქვეყნის
ნივთიერს კეთილდღეობაზედ. რაკი ამ მხრითაც ეგ მეო-
თხედობა განიხილება, მაშინ ჩვენ ხელთ გვექნება მისი ავ-
კარგიანობის სასწორი.

რასაც ევროპაში მიწის რენტას ეძახიან, იმას ჩვენ-
ში ლალა ჰქონიან. ლალა არის ის სასყიდელი, ანუ, უკეთ
კსოვეათ, ის მიწის ქირა, რომელსაც მიწის-მომქმედი
იხდის მიწის-პატრიონის სასარგებლობა. ყოველს გვარს
ეკონომიურს მოღვაწეობაში ცილებას * ცოტად თუ
ბევრად ზედმოქმედება აქვს სასყიდლისა, ანუ ფასის
აწევ-დაწევაზედ. მაგრამ არის მეორე ძალაც, რომლის
მეოხებითაც ფასი, თუ სასყიდელი, განისაზღვრება ხოლ-
მე. მაგისთანა ძალა ჩვეულებაა. ლალის ზომიერებაზედ და
რაოდენობაზედ ამ უკიანასკნელს ძალას უფრო დიდი ზედ-

*) Соперничество.

მოქმედება აქვს, ვიღრე ცილებასა. აქ ჩვეულება სწორედ რჯულთ უმტკიცესია.

ჯონ სტუარტ მილი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ცილებას თითქმის ადგილიც არა აქვსო, მარტო ჩვეულება მოქმედობსო. ეს, საზოგადოდ ცნობილი და ალიარებული კეშმარიტება, ჩვენში ბევრს ცხადსა და უცილო მაგალითებს წარმოგვიღებს.

ქვეყნიერობაზედ ორ-გვარი ლალა ყოფილა და არის ჩვეულებაზედ დამყარებული. ერთი ის სასყიდელი (სულადით, თუ ფულით), რომლის რაოდენობაც და ზომაც წინათვე განსაზღვრული და ცნობილია, მაგალითებრ: დღიურზედ კოდი, დღიურზედ მანეთი, ანუ მეტ-ნაკლები; მეორე—ის სასყიდელი. (უსათუოდ კი სულადით და არა ფულით), რომლის რაოდენობასც ნამუშევრის წილი შეადგენს და რომლის ზომაც წინათვე არ არის ცნობილი, მაგალითებრ—მეექვსედი, მეხუთედი, მეოთხედი და სანახევრო. იმ-გვარს ადგილ-მამულის ჭერას, რომლის გამოც მამულის პატრონი მიწის-მომქმედს წილში უდგას, ევროპაში, თუ რუსეთში „მონახევრობას“ ეძახიან*, ჩვენში კი „წილზედ-ჭერას“. იტყვიან. სიტყვა „მონახევრობა“ ევროპაში წარმოსდგა იქიდგან, რომ უფრო ბევრგან პატრონის წილად—ლალა ნამტშევრის ნახევარი იყო. ეხლა კი ეგ სახელი საზოგადოდ „წილზედ-ჭერას“ ჰქვიან, ნახევარი იქნება, მესამედი, თუ მეოთხედი—სულ ერთია. რაღანაც ჩვენი სიტყვა „წილზედ-ჭერა“ უფრო მართლად გამომთქმელია, ამისათვის ჩვენ ყველგან, საცა ამ საგანზედ საუბარი ჩამოგვივარდება, ამ სიტყვას ვიხმარებთ.

*) Половинчество, (métayage).

წილზედცერა ადგილ-მამულისა დიდის ხნის აშბა-
ვია, დიდი ხანია შეოვისებულია ჩვეულებისაგან და მის-
განვე ყოველის მხრივ განვითარებული. ინდოეთის ძველს
კანონებში მოხსენებულია მეექესედი და შეოთხედი ნა-
მუშევრისა მიწის ლალად. ევროპაში „წილზედ-ჭერა“ რო-
მაელთაგან არის შემოლებული და მათვან მომდინარეობს.
ჯერ კიდევ კატონი და პლინი იხსენიებენ გლეხობას, რო-
მელთაც ადგილ-მამულები წილზედ სჭერებიათ. ევროპის
ეხლანდელმა ხალხებმა ეგ ჩვეულება რომაელთაგან მიიღეს
შე-XIII საუკუნეს. ვენეციაში წილზედ-მჭერელნი ადგილ-
მამულისა აძლევდნენ პატრონს მესამედს, მეოთხედს ნა-
მუშევრისას, და ნამდას კი სრულიად. რომის კამპანიაში
დღესაც მეხუთედია, ტოსკანაში—ნახევარი, ლუკაში—
ორი-მესამედია. ერთობ იტალიაში დღესაც წილზედ-ჭერა
ადგილ-მამულისა ძალიან გახშირებულია. 1861 წელსა
იტალიაში წილზედ-მჭერელნი 1.284.286 კაცი ყოფილა:

ადგილ-მამულის მაგ-გვარი ჭერა იტალიაში სამუტა-
მოა. თუმცა ზოგან თითო წლობით შეიკრიან ხოლმე მიწის-
პატრონი და მიწის-მომქმედი ხელშერილითა, მაგრამ ეგ
ხელშერილი ყოველ-წლივ ახლდება მარტო ჩვეულების
თვითრჯულობისა და სიმტკიცისა გამო. ჩვეულებას ამ
შემთხვევაში ისეთი ძალა აქვს იტალიელთ შორის, რომ
ვერც მიწის-პატრონი ჰბედავს მის ლალატსა, ვერც მი-
წის მომქმედი. ერთხელ დადგინებული ნამუშევრის წი-
ლი არც იკლებს, არც მატულობს. აქ, იტალიაში,
ამ ჩვეულების მფარველობითა მიწის-მომქმედი წილ-
ზედ-ალებულს მამულზედ დგას, მასზედ აქვს ბინა მოკი-
დებული. ვიდრე მამულის პატრონს დავისას აძლევს, იმას
ადგილ-მამულიდამ ვერ დაითხოვს მიწის-პატრონი, ბი-
ნას ვერ მოუშლის, მას ადგილ-მამული საშვილიშვილოდ

უჭირავს. ეს უფლება გლეხისა კანონზედ კი არ არის დაფუძნებული, დამყარებულია მხოლოდ ჩეეულებაზედა. გარდა ამისა, იმავე ჩეეულების ძალით, მიწის-პატრონი მოვალეა მიწის-მომქმედს წარმოების ხარჯში მიუდგეს. ზოგან საწარმოებელს თანხას მამულის პატრონი სრულად თითონ აძლევს მიწის-მომქმედს, ზოგან ნახევარს აძლევს, ზოგან აძლევს მარტო საქონელს და იარაღს, ზოგან—თესლას და სხვა ამ-გვარსა. ერთმა რომ საღმე რაიმე ცვლილების შემოღება გაბედოს, მთელი ქვეყანა, დიდი და პატარა, ყაყანს და ალაქოთს შეიქმნა თურმე-საფრანგეთშიაც ასეა. აქაც ძალიან გახშირებულია „წილ-ზედ-ჰერა“ ადგილ-მამულებისა. 1859 წ. 1.356.909 წილზედ-ჰერა მამულისა ყოფილა საფრანგეთში. გან-სხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საფრანგეთში მოკლე ხნობით იღებენ წილზედ ადგილ-მამულებსა. ხშირად ვადა სამს წელიწადზედ მეტი არ არის.

ჩეენშიაც, ორგორც სხვაგან, ორ-გვარი ღალა იყო. წილზედ-ჰერა ჩეენში თუმცა ყოფილა და არის კიდეც, მაგრამ ძალიან იშვიათად მოხდება, რომ მაგ-გვარად სა-ხნავი მიწა გაიცეს ან აიღებოდეს ერთს წელიწადზედ მე-ტის ხნითა. ეგ ჩეეულებაში არცა ყოფილა და არცდღეს არის. ამიტომაც თითქმის ვერსად ვერ ნახავთ, რომ წი-ლზედ იღებულს ადგილ-მამულზედ ჩეენებურს გლეხს ბინა მოეკიდებინოს, ჩეენებური გლეხი დასახლებულიყოს. ეს ერთი შესანიშნავი მხარეა, რომლითაც ჩეენი ჩეეულება იტალიის ჩეეულებას არა ჰგავს. სხვაფრივ კი ეგ ჩეეულე-ბა ბევრით ემსგავსება. ჩეენშიაც, თუ გლეხი წილზედ სა-ხნავ-მიწებს იღებდა, უსათუოდ იმ პირობით, რომ მამულის პატრონს მიწის წარმოების ხარჯში ცოტა თუ ბევრი მო-ნეწილეობა მიეღო. თუ მეტს წილს ჩაიდებდა მამულის

პატრონი, მეტი მონაწილეობაც უნდა მიეღო ხარჯში; თუ მამულის პატრონის წილად ნახვარი, იყო ნამუშევრისა, მაშინ თესლი სრულად მამულის პატრონისა უნდა ყოფილიყო, ხშირად მკის ხარჯისა, ნამუშევრის ზიდვა და ლეწვა კი თაგ-თავისი. წილზედ-ჭერაში ჩვენს ჩვეულებას ამაზედ წინ ფეხი არ წაუდგამს, მაგრამ მაინცა-და-მაინც წილზედ-ჭერა საზოგადოდ ხშირი არ იყო და დღესაც არ არის. ხშირად, და ძალიან ხშირადაც, ჩვენში გადაკვეთილი ლალა წარმოებდა, დღიურზედ ერთი კოდი; ამაზედ მეტი იშვიათად თუ სადმე მოიძევებოდა. ჩვეულების ძალმომრეობა ასეოთ მტკიცე და ძლიერი იყო ამ შემთხვევაში, რომ არა რაიმე სხვა კონომიურმა ძალამ ამ ლალს აწევდაწევაზედ ვერ იმოქმედა. თვით ყოვლად-შემძლე ბატონყმობამ მაგ ლალის ზომას ვერა გადაამატა რა, და ერთხელ გადაკვეთილი ლალა ნამუშევრის წილზედ ვერ შესცვალა. პირიქით, ჩვენ იმისთანა მაგალითებიც ვიცით, რომ ახალ შემოღებული მეოთხედობა მაგ ჩვეულების ძალმა დაიმორჩილა და ისევ დღიურზედ ერთს კოდად შესცვალა.

ერთის სიტყვით, ჩვენში წილზედ-ჭერას ხალხი და ხალხის ჩვეულება ეურჩებოდა, და, თუ სადმე სუფევდა, იმ აუცილებელის ნიშნით სუფევდა, რომ გლეხი, თუ-წილზედ მამულს აიღებდა, არამც თუ სამუდამოდ მასზედ ბინას მოიკიდებდა, არამედ ხანგრძლივობასაც ერიდებოდა: და, ამას გარდა, რამოდენ წილშიაც მამულის პატრონი ჩაუდგებოდა, იმოდენად მეტ-ნაკლები მონაწილეობა უნდა მიეღო ხარჯშიაც. აქედამა სჩანს, რომ იმისთანა სამუდამოდ წილზედ-ჭერა, რომელიც ამ უამად განხორციელებულია მეოთხედობაში; ჩვენის ცხოვრების ნერგზედ არ არის აღმოცენებული, რადგანაც. ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგ, მეოთხედობა წილია და არა გადაკვეთილი ლა-

ლა, და მერე იმისთანა წილია, რომლის მოპოებაშიაც
ხარჯი სრულად ერთის მხრისაა და არა ორივე მონაწი-
ლისა მაინც.

ხოლო ეს კი უნდა აღვიაროთ, რომ საიდამაც უნდა
იყოს ეგ მეოთხედობა წარმომდგარი, მაინც-და-მაინც იგი
ცხოვრების წინ წადგომაა, ნამეტნავად მაშინ, როცა ბა-
ტონ-ყმობას წარმოვიდგენთ. რაც უნდა იყოს, გლეხი სხვის
ნების ანაბარად არ არის დარჩომილი. მძიმეა თუ სუბუ-
ქია ეგ მეოთხედობა, გლეხმა იცის, რომ მას ზინას ვერა-
ვინ შეუმლის, და რაც მეოთხედს გადურჩება, ის უცილოდ
და ხელშეუხებელად მისია. მაგრამ, ეკონომიურის მხრით,
წილზედ-ჭერის საერთოდ და მეოთხედობას საკუთრივ—
მაინც-და-მაინც მავნებელი შედეგი მოსდევს. რადგანაც
აქ ნაშრომის ნაყოფში, ცოტად თუ ბევრად, სხვასაც წი-
ლი უდევს, გლეხს არ ექნება ისეთი ხალისი, ისეთი თავ-
გაბრძეტებითი მხნეობა შრომისათვის, როგორც იმას,
რომელიც თვის საკუთრებაზედ მუშაობს, მაშასადამე, შრო-
მა გლეხისა იმოდენად ნაყოფიერი არ უნდა იყოს, რამო-
დენადაც ეგ შესაძლოა. ეს ერთი. მეორე,— მიწის განიყი-
ერებისათვის, მიწის გაკეთებისათვის გლეხი ხარჯს ვერ
გაიმეტებს, მიტომ რომ ამ ხარჯში მონაწილე არ უდგე-
ბა და წილი კი სრულად მიაქვს. ადამ სმიტი ამბობს:
„მხვნელ-მთესველს (რომელსაც წილზედ უჭირავს მიწა)
არავითარი საჩუა არა აქვს, მამულის კარგა შემუშავე-
ბისათვის ხარჯი რამ გასწიოს, იმიტომ რომ მიწის პატ-
რონი იმ დანახარჯის მოგებაში წილს იდებსო და ხარჯ-
ში კი არაო. მეათედი წილი ხომ ცოტაა, მაგრამ ყველა-
საგან მიღებულია, რომ ეგეც ამ მხრით სოფლის მეურნე-
ობის წარმატებას დიდად აბრკოლებსო“. რომ ეს მართა-
ლია, აი ამის დასამტკიცებლად რა მაგალითებია შენიშ-

ეს წერილი ძალასწერებურად გაგვიგორძელდა და ამის გამო პირველ წერილში, მოხსენებული საგნები ამ-უამად გაურჩევლად დაგვრჩა. ეგ შემდგვისათვის იყოს.



წერილი მესამე

ჩვენ წინა წერილებით ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ წილზედ-ჭერა მამულისა: 1. მიზეზიანი და სა-დავიდარაბო უფლება-მოვალეობაა ორთა წოდებათა შორის; 2. ჩვენის ხალხის ჩვეულებაზედ არ არის აღმოცენილი, იმ სახით მაინც, რა სახითაც იგი გლეხთა განთავისუფლების დებულებამ ჩვენში შემოიტანა; 3. ეკონომიურის მხრით, თუმცა ყმობაზედ ბევრად უკეთესია, მაგრამ მაინც მანქებელია; 4. მიწის-ჭერაში ჩვეულება ყველა სხვა ძალაზედ მტკიცეა, თვით-რჯულია, და 5. ამის გამო პირველი და უპირატესი ყურადღება მიქცეულ უნდა იქმნას ჩვეულებაზედ, როცა მიწის-ჭერის შესახებ რაიმე ცვლილება საჭიროდ დანახულია.

რომ ნავმევის მიწის-ჭერის შესახებ ცვლილება საჭიროდ დანახულია თვით მთავრობისაგანაც, —ამას ცხადად გვიმტკიცებს 172 მუხლი გლეხთა განთავისუფლების დებულებისა *. მაგ მუხლშია გამოცხადებული მტკიცე გან-

*) აი ნამდვილი სიტყვები 172 მუხლისა: „კავკასიის ნამესტნიკა მიენდობა დასდგას კანონი მოყვანისათვის ცნობაში გარდასახადთა რაოდენობისა მიწისა მოსავლითა გლეხთა მინდვრისა მიწათაგან და ძალთაგან; გარდასახადი ესენი დაფასდეს უულად შეთანასწორებით ადგილობრივთა მოთხოვნილებათა ნამდვილისა მოსავალთა ღირებულობისა და დაწესდეს ამ დაფასებით გარდასახადი მახსენებულითა მინდვრისა მიწათა და ბაღთათვისა“.

ზრახვა მთავრობისა მიქცეული მასზედ, რომ წილზედ-ჭე-
რა მამულისა — ეგ სადავიდარაბო, წინათვე განუსაზღვრე-
ლი ლალა, ერთს გარდაკვეთილ გარდასახადად იქცეს. ეს
განზრახვა ამ მხრით და მხოლოდ ამ მხრით ეთანხმება
ჩვენის ხალხის ჩვეულებასა, რადგანაც წინა წერილიდამ
ვიცით, რომ ჩვენში თითქმის ყველგან ლალა გარდაკვე-
თილი სწარმოებდა და არა საწილო. როგორ უნდა მოვი-
დეს ეს ალსრულებაში? დებულებაში მოხსენებულია, რომ
1. ჯერ უნდა წესი დაიდოსო მასზედ, თუ როგორ მოი-
ყვანონ. ცნობაში აწინდელის წილადობილის ლალის რაო-
დენობაო; 2. მერე, ადგილობრივის გარემოების მიხედვით,
ეგ რაოდენობა ლალისა ფულად დაფასდესო და 3. მას
შემდეგ ნაყენების გარდასახადი ლალა ერთობ ფულად
განისაზღვროსო, ესე იგი ჩვეულებრივი მიწის მოსავლით.
გარდასახადი მახტალ გადიქცესო.

ამ კანობმდებლობას რომ თვალი დავაკვირვოთ, ერთს
განსაკუთრებითს ლირსებას ვიპოვით. აქ ცხადად გამოხა-
ტულია მთავრობის გულითადი მეცადინეობა, რომ ეს აუ-
ცილებელი ცვლილება ორივე მხრისათვის სამართლიანად
მოახდინოს. ამაში მთავრობას ყოველივე ჩვენი თანაგრძ-
ნობა ეკუთვნის. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მთავრობი-
საგან აღნიშნულის გზით, განზრახული მისან ცვლილება
აუსრულებელია. ამას ამტკიცებს ის თვალსაჩინო მაგალი-
თი, რომ აი მეცამეტე წელიწადი მიდის და ამ მხრით
საქმის წინ წაწევისათვის არავის არც ხელი გაუნდრევია.
არც ერთი ბიჯიც არ გადუდგამს. ჩვენის ფიქრით, თუ-
ნდა მოეწადინებინა ვისმე, აუარებელი დაბრკოლება წინ
დახვდებოდა და პირველის ბიჯის გადაღგმაზედვე გულს
დააჯერებდა, რომ აღნიშნულს გზაზედ სვლა ყოვლად შეუ-
ძლებელია. ჩვენ ვერ მოგვიფიქრებია, რა წესი უნდა იყოს

იშისთანა, რომ სახნავ მიწისა და ვენახის მეოთხედი, ანუ სათბის მიწის მესამედი ცნობაში მოყვანოს და ეს მოყვანილი ცნობა მართალი და უტყუარი იყოს. აქ, ჩენის ფიქრით, ერთს რასმე შეუძლო შეელა: მას, რომ ცნობილი იყოს, ვის ვისგან რამდენი რეგბია მეოთხედობიდამ ამ ცამეტ წელიწადში და მერე რიცხვთა შუა ანგარიშით კაც გამოეყვანა თვითონეულის მებატონისათვის და თვითონეულის ნაყმევისათვის მაგ წილადობილის ლალის რაოდენობა. განა ეს შესაძლებელია? ან ერთმა მებატონებმ, ან ერთმა ნაყმევმა იცის ეგა? თუნდ იცოდნენ კიდეც,—რა მოდენა ხანი უნდა, რამდენა კაცი, რომ თვითონეულის მებატონისა და თვითონეულის გლეხისაგან ეგ ცნობა მოეკრიფათ და საბუთიც მოეთხოვათ. უამისოდ ხომ არა რაიმე ცნობა დასაჯერი არ არის და არც იქნება. წთუ ეგრეა, განა ამ-გვარად ცნობის შეკრეფას ბოლო მოელებოდა-ლა როდისმე? არა გვგონია.

ესთქვათ, რომ შეუძლებელი შესაძლოა, ვსთქვათ, რომ რაოდენობა ცნობაში ასე თუ ისე მოყვანილ აქმნას, მას შემდეგ ერთი სადაციდარაბო—იმ რაოდენობის დაფასება იქნებოდა. ნუთუ ეს ვისმე ადვილი ჰერნია? ფასის აწევ-დაწევაზედ ათასი შიზეზი მოქმედობს; ეგ მიზეზი დღეს ერთია, ხეალე სხვა. ადგილობრივის გარემოების მიხედვით ეგ უნდა მოხდესო, ამბობს კანონი. რა-რიგად ზედმიწევნით უნდა აღინუსხოს გარემოება, რომელიც მრავალ-გვარია, რა-რიგად ზედმიწევნით უნდა დაიდეს სასწორზედ ყოველი იგი, რომ ამ შემთხვევაში არც მწვადი დაიწვას და არც შამფუტი. სად არის ამის ლონისძიება? მერე დღეს დადგენილი ფასი, დღევანდელს გარემოებაზედ დაფუძნებული, ხვალაც ისე იქნება? ვის შეუძლიან ამისი თქმა? ვის შეუძლიან სთქვას, რომ ამ შემ-

თხვევაში ან მებატონე არ დაჰკარგავს და ან გლეხი? თუ ესეა, მაშ მაგ დაფასებაში. სამართლიანობაზედ იმედს უნდა გამოვეთხოვოთ. თუ სამართლიანობა არ იქნება, მაშ ან გლეხს რა გაუმთელებს ნატკენს გულს, ან მებატონესა? სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო, ამბობს ჩვენი ქართველი კაცი. ყურადღების ლირსია ამისთანა რწმენა ხალხისა. თვით ლალის ფულად ქცევა, ესე იგი მახტის დადგენა მიწის-ჭერაში, დიდად გაუძნელებს გლეხს თავისის მოვალეობის აღსრულებას და ნაბატონარსაც არას შემატებს. პირველი, იმიტომ—რომ ლალის ხდა ფულად ჩვენს ჩვეულებაში თითქმის არა ყოფილა, გარდა ორიოდ მაგალითისა, რომელიც მხედველობაში არ მიიღება, და მეორე, იმიტომ—რომ ფული ძნელად ჩაუვარდება ხელში გლეხსა, რომლის სიმდიდრე დღესაც ფულიანობით კი არ იზომება, არამედ პურისა და ლვინის მეტ-ნაკლებობითა, ესე იგი მიწის მოსავლითა. თუნდ ეგეც არ იყოს, ჩვენ ვერ მიზხვდარვართ—რა საჭიროება მოითხოვს, რომ სულადით გარდასახადი ფულად იქცეს? საქმე მაგ გარდასახადის განსაზღვრაა. რაკი ეგ განისაზღვრება, მაშინ ყოველივე წილადობილის ლალის ბავნებელნი შედეგნი მოისპობიან ცოტად თუ ბევრად, და ამაში სულადით გარდასახადს თუ ფულად გარდასახადს არავითარი ზედმოქმედება არა აქვს. თუ ესეა, რათ უნდა ტყუილ-უბრალოდ შეირყეს ჩვეულება, რომლის მეოხებითაც გლეხი დღესაქამომდე ლალას თუ კულუხს მიწის მოსავლით იხდიდა და ფულით გარდასახადს ერიდებოდა. ჭირი ხომ ჭირია, მაგრამ ჩვენი ხალხი ამაზედაც ამბობს, რომ შეჩერებული სჯობია შეუჩვევერსაო.

ერთის სიტყვით, იმ გზით და სახით, რა გზითაც და სახით ნაჩვენებია დებულებაში, გლეხის აწინდელის

გარდასახადის გადაკვეთა ჯერ შეუძლებელია. და მერე, თუნდაც შესაძლო იყოს, ერთს მხარეს მოვალეობას უმძიმებს და მეორეს ამით არას მატებს. ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ წილზედ-ჭერას შველა არა აქვს, არსაიდამ მოველება. შველა აქვს და ძალიან აღვილიკა, ოლონდ კი მივმართოთ. ჩვეულებას და იგი დაგვანახვებს ხსნს გზასა. თუ არ მხარე და მხარე, მაზრა და მაზრა მაინცა ამ შემთხვევაში დიდს ერთ-ფერობას და ერთ-გვარობას წარმოგვიდგენს. არ არის მხარე, არ არის მაზრა, საკა დღიურზედ გადაწყვეტილის ზომისა და დადგენილის სახის ღალა არ სწარმოებდეს. სად როგორი ჩვეულებაა, სად რა სახის და რა ზომის ღალაა,—ეგ აღვილად საცნობია, იმიტომ რომ ეგ ადგილობრივ ღიღმა და პატარამ შეუცდომელად იცის. გამოიძიონ ეს, ცნობაში მოიყვანონ ჩვეულებით და-დგენილი ღალის რაოდენობა და სახე, და ყოველ ამის კვალად გადაკვეთონ აწინდელი წილადობილი ღალა თავ-თავისის ადგილის მიხედვით. არც გლეხი იწყენს ამასა და არც ნაბატონარი, იმიტომ რომ მათს გარეშემო მწარმოებელს ჩვეულებაზედ იქნება ყოველივე ეს დამყარებული და ამით არც მწვადი დაიწვის და არც შამფური.

ესე ყოველი, რაცა ვსთქვით, მხოლოდ მინდვრის მიწებს შეეხება და, ჩვენის ფიქრით, ვენახების თაობაზედ უფრო აღვილად შეიძლება საქმის გათავება. აქ ჩვეულებამ თავისი ჰქმნა კიდეც და, ამ ჩვეულებას თუ გარედამაც. ხელი შეეწყო, არ გავა ხუთი, ექვსი წელიწადი, რომ ნაყმები ვენახების პატრონად შეიქმნებიან. ჩვენში ჩვეულება იყო, რომ ვინც სხვის მიწაზედ ვენახს გააშენებდა, ნახევარი გამშენებელისა იყო და ნახევარი—მიწის პატრონისა. აქაც ჩვეულებამ დაგვიმტკიცა, რომ მიწის-ჭერაში უძლეველია. თითქმის მთელი კახეთი მოურიგდა გლეხობას ვე-

ნახების თაობაზედ მაგ ჩვეულების წინამძღოლობითა და-
ძალითა. თუმცა აქაც მეოთხედი იყო კულუხად დაწესე-
ბული მთავრობისაგან, მაგრამ არც ნაბატონარმა ინდომა
ეგ და არც ნაყმევმა: აიღეს მათ და უდრტვინველად, უდა-
ვიდარაბოდ, მშვიდობიანად ვენახები შუაზედ დაიყვეს, და
ამ-რიგად გლეხი ვენახის პატრონად შეიქმნა. ამ-გვარი მო-
რიგება წყნარ წყნარად გადადის ტფილისის გუბერნიის
სხვა ადგილებშიაც. ამაში შესანიშნავი ის არის, რომ გლე-
ხი უფრო ეჭანებოდა ამ-გვარად საქმის. გათავებას, ვიდ-
რე ნაბატონარი; დღესაც გლეხს უფრო უნდა მაგ-გვარად
საქმის გათავება, ვიდრე ნაბატონარს. ნაბატონარი ამ შე-
მთხვევაში უკან იწევს იმიტომ კი არა, რომ ეგ საზარა-
ლო ევონის. არა, ნაბატონარმა კარგად იცის, რომ აქ
არა ეკარგება რა, რადგანაც იმ ნახევარს ვენახისას ყვე-
ლა სანახევროდ აიღებს და ნახევრიდამ ნახევარი ისევ იმ
შეოთხედს შეადგენს მთელიდამ. ამაში მოგებასაც ხედავს
მით რომ თავის წილს ვენახს თვით უვლის და საშუოთველი
გლეხთან არა აქვს რა. მაგრამ ერთი რამ აბრკოლებს, სა-
ხელდობრ ისა, რომ წვრილ-წვრილი ნაჭრები შეხვდება,
სხვადასხვა ადგილას გაფანტული. ამით მოვლა და თვალ-
ყურის ჭერა უძნელდება.

შაშასადამე, რომ ამ საქმეს ნაბატონარისაგან დაბრ-
კოლება არ მიეცეს, საჭიროა—ნაბატონარს ღონისძიება
მიეცეს, რგებული ვენახების ნახევრები ერთს ადგილს
შეაგროვოს. ამისათვეს გაცვლა-გამოცვლა ვენახებისა
უნდა გაადვილებულ იქმნას. იშვიათად არის, რომ ნა-
ყმევთა ვენახები სახასო და საეკლესიო გლეხთა ვე-
ნახებში ჩაჩირებულ არ იყენენ და, რადგანაც სახასო და
საეკლესიო გლეხთა ნება არ აქვსთ ვენახების გაცვლისა, ამის-
გამო ერთს ადგილას მოგროვება ვენახებისა თითქმის შე-

უძლებელი ხდება. რომ ამ-გვარს მორიგებას ფეხი ააჩქარებინონ იქ, საცა ფეხი ადგმული აქვს კიდეც, როგორც კახეთში, და ფეხი აადგმევინონ იქ, საცა ჯერ ფეხიც არ აუდგამს, საჭიროა მთავრობაშ წება მიანიჭოს სახასო გლეხს, რომ საცა ხელს მისცემს, დაუბრულებრივ შეუცვალოს ნაბატონარს და ნაყმევს ვრნახები ურთიერთ-შორის მორიგებითა. ამისათვის მთავრობამ ერთი საერთო განკარგულება რომ მოახდინოს, დიდს შემწეობას მისცემს ნაყმევ-საცა და ნაბატონარსაცა.

გამოიცვლება 172 მუხლის ძალითა აწინდელი წილადობილი ღალა და კულტები თუ არა, მაინც-და-მაინც ამას ვიტყვით, რომ ეს არ არის გვირგვინი ბატონ-ყმობის საჭმისა. ეგ შუა გზაა, უკეთესი მასზედ, რაც არის, და უარესი მასზედ, რაც სანატრელია. მაგაზედ გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. დღეს თუ ხვალე საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის-პატრონად შეიქმნას. მთავრობას წინაათვე უგრძენია ეს აუცილებელი საჭიროება და მის აცილებისათვის ლონისძიებად. მამულების შესყიდვა დაუნიშნავს.

მთელი კანონმდებლობა ამ საგანზედ იმავე საფუძვლზედ არის დამყარებული, როგორც საერთოდ რუსეთში. როგორც რუსეთში, ისე ჩევნშიაც, მაგ კანონებს ეტყობა, რომ კანონმდებელთა ორებს რამის ფიქრი ჰქონიათ. ერთი იმის ფიქრი, რომ გლეხობა არ ინდომებს მამულის შესყიდვასაო. ამის გამო გლეხს ვალად დაადგეს, რომ თუ მებატონე მოითხოვსო, უსათუოდ სახნავ-სათიბი მიწები და სასახლის ადგილი უნდა შეისყიდოო. რადგანაც საფიქრებელი იყო, რომ ამ-გვარად ძალად შესყიდვისათვის გლეხს ფულის სახსარი არ ექმნებოდა, ამიტომაც მთავრობამ დააწესა, გლეხს ფულს ვასესხებო 49 წელითა და წელიწადში

თავნისა და სარგებელში ათს თუმცანზედ გამოვართმევო ექვს
მანეთსა, რომლიდამაც ხუთი სარგებელში წავათ და ერ-
თი თავნშით. მეორე იმის ფიქრი ჰქონიათ, რომ გლეხო-
ბა თავ-თავის ვადაზედ ფულს ვერ შემოიტანსო და ამით
სახელმწიფო ხაზინა იზარალებსო; ამისათვის 49 წელიწა-
დი დანიშნეს სესხის ვადად, თუმცა ასზედ ერთი მანეთი
თავნს 37 წელიწადს ასწორებს და იშორებს აქ თორმე-
ტი წელიწადი მეტია დანიშნული, იმიტომ რომ ხაზინას
რაც 37 წელიწადში დააკლდება, ამ თორმეტის წლის შე-
მოსატანის ფულით შეისრულოს.

იქნება ამ ორს ჭყაში მოსასვლელს საგანს რაიმე სა-
ბუთი ჰქონდეს რუსეთში, მაგრამ ჩვენში კი — არა მგონია.
ჩვენი ხალხი თავისის ბრნალრობის დიდი და მკვიდრი შო-
უყვარება. იგი სოფელი, საცა მის მამა-პაპის უცხოვრია, სა-
ცა მამა-პაპის ძვლები უმარხია, საცა მამა-პაპის სალოცა-
ვია, ჩვენის გლეხისათვის მეტად ძვირფასი რამ არის. ღლე-
საც თუ ბედის ბრუნვას ერთის ადგილიდამ მეორეში გად-
მოუსახლებია გინძე, იმის შვილიშვილი და უფრო შო-
რეული შთამომავლობა თითქმის ყოველ-წლივ უწინდელის
ბინის დასახედად მიდის, მამა-პაპის ხატისა და სალოცა-
ვის თაყვანის-საცემლად დაიარება. ამისათვის არც ხარჯს,
არც ღრის და არც გზაზედ სიირულის შრომას არა ზო-
გავს. თუნდ ეგეც არ იყოს, ყველასაგან და ყველგან ცნო-
ბილია, რომ მუშა-კაცი ყოველთვის. იმის ნატერაშია, სა-
დმე ბრნა მოკიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქნიოს,
და მიწის-მომქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება,
როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა. ამ-
გვარებში ნატეტნავად ჩვენი გლეხია ლირს-შესანიშნავი.
თუკი თავის ახლო-მახლო მამულს როგორმე შეიგულებს,
თავს დაიგირავებს, ცოლ-შვილს დაატყვევებს ხოლმე, ვალ-

ში, ვახში ჩიგარდება და მამულის სყიდვის შემთხვევას კი არ დაჰქარგავს. ჩვენებური გლეხი წელს გაიმაგრებს თუ არა, მარტო იმის ნატერაშია, რომ მამული იყიდოს.

რომ ჩვენის გლეხის მიღრეკილება მამულის სყიდვი საღმი ძლიერი და დაუძინებელია,— ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ სამს თვალთსაჩინოს, უცილოს მაგალითსა:

1. ჩვენებური გლეხი რაკი მამულის სასყიდლად გაიწევს, მას არა ფასი არ აშინებს, უკან არ დაახევინებს, და ამის გამო რასაც გლეხი იმეტებს მამულის სასყიდლად, იმოდენას თავის-დღეში სხვა კაცი ვერ გაიმეტებს. ფასის აღმატებაში გლეხს სხვა კაცი წინ ვერ წაუვა და ვერც შეეცილება. ეს ყველასაგან ცნობილია. ჩვენ იმისთანა მაგალითიც ვიცით, რომ ასს საუენს სოჭლის ცარიელს მიწაში გლეხს ოცი თუმანი მიეცეს. ვსოდეთ, რომ ეს მხოლობითი შემთხვევაა, მაგრამ მაინც ყველამ იცის, რომ ჩვენებური გლეხი, რაკი ღონისძიებას ხელთ იგდებს, გიუურის ფასის მძლეველია. ცხადია, რომ ესე გულუხვად ფასის გამომეტება განსაკუთრებით გლეხის მიღრეკილებისაგან არის წარმომდგარი, და აქ სხვა რაიმე ეკონომიური მოსაზრება და ანგარიში არ მოქმედობს.

2. აუარებელი ნასყიდობის ქაღალდები წარმოადგინა ჩვენმა ნაყმევ გლეხობამა საგლეხო სასამართლოში დასამტკიცებლად იმ მამულების თაობაზედ, რომელნიც ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის გადავარდნის უწინ ეყიდნათ; ესე იგი მაშინ, როცა გლეხების საკუთარი და ამ-გვარად შეძნილი მამულიც ბატონის ნებაზედ იყო მინებებული და ბატონის საკუთრებად ითვლებოდა, ჩვეულებით თუ არა, კანონით მაინცა, და როცა კანონი გლეხს საკუთრების სიმტკიცისათვის მფარველობას არც პპირდებოდა და არც უწევდა. რა ძლიერი მიღრე-

კილება უნდა ჰქონოდა, რომ ამ-გვარის წყობილების წინაშე გლეხი მამულის სყიდვაში მაინც უკან არ იხევდა და მაინც მამულს ყიდულობდა.

3. მარტო ქუთაისის გუბერნიაში, საცა გლეხობა ყველას უფრო ღარიბად მიგვაჩნია, ბატონ-ყმობის გადა-ვარდნის შემდეგ რვა ათას სამოც-და-ხუთმეტმა (8.075) ნაყმევთა კომლმა შეისყიდა თვისი ნაჭერი აღგილ-მამუ-ლები ნაბატონართაგან და ერთი მილიონი ას თოხი ათას რვაას სამოც-და-ათი (1.104.870) მანეთი თავისის საკუ-თარის ჯიბილამ მისცა, ასე რომ მთავრობის შეწეობაც არ ითხოვა. გერმანიაში ოც-და-შვიდს წელიწადში ნაყ-მევთაგან მარტო მეოთხედმა ნაწილმა ძლიერ დაიხსნა თავისი აღგილ-მამულები, ისიც მთავრობის შეწევნითა, და იმერეთში კი (გარდა სამეგრელოსი) ერთმა მესამედ-მა 10 წელიწადში გამოიხსნა თავისი მამულები, ისიც მთავრობის დაუხმარებლად, ნუთუ ეს მაგალითები არ ამტკიცებენ მას, რომ ჩვენებურს გლეხში დიდი მიღრე-კილებაა მამულის შეძენისადმი.

აქედამ სჩანს, რომ ის კი არ უნდა ეფიქრათ, გლე-ხი მამულის სყიდვას არ ინდომებსო, ფიქრი მებატონისა უნდა ჰქონოდათ, რომ იგი მამულს არ გაჰყიდდა. ამის წამალი უნდა მოეპოებინათ. ყველგან ყოველის ხალხის კანონებში ის კი თქმულა, ამბობს ერთი-რუსის მწერა-ლი, რომ სახელმწიფო საჭიროებისათვის; საყოველთაო სიკეთისათვის ძალად გააყიდვინონ აღგილ-მამულიო და ძალად აყიდვინონ კი აეგ არსად გაგონილაო.

ჩვენის ფიქრით, მეორე შიშიც—რომ გლეხი პირნათ. ლად ვერ გამოვაო მთავრობისაგან ნასესხის ფულის გადა-ხდაშიაო, ჩვენის გლეხეცაცის ავ-კარგიანობაზედ არ არის დამყარებული. ოღონიშ გაუადვილდეს გლეხს მამულის სყიდ-

უა, ოლონდ კისერზედ ნუ მოქვევა უხეირო, უხმარი მა-
მულები, და ამითი გული ნუ გაუტყვდება, და იგი ნასეს-
ხის ფულის გადახდის თაობაზედ პირშავად არ გამოვა.
სასოფლო ბანკები, თრთო-ორთოლა მაგალითი საადგილ-
მაშულო ბანკისა, ცხადად გვიმტკიცებენ, რომ გლეხნი ვა-
ლის მოშორებაში უტყუარნი არიან. ეგ იციან არამც თუ
მათ, ვისაც გლეხთან გულშემატკივრად საქმე დაუჭერიათ,
არამედ იმათაც, ვისაც მათვის მამასისხლად ფული უსეს-
ხებიათ. ამიტომაც სესხის ჯეროვანს ვადას გარდამეტე-
ბული თორმეტი წელიწადი, რომელიც წინ მოვიხენიეთ,
მეტის-მეტი სიფრთხილეა, მით უფრო, რომ ეგ სიფრთხი-
ლე გლეხს აწვება კისერზედ, მაშინ როდესაც იგი მაგის
მიზეზი არ არის. დიდი შეღავათი იქნებოდა გლეხისათვის,
რომ ერთისა და იგივე გარდასახადით ვალი ოც-და-ჩილ-
მეტი წელიწადს მოეშორებინა და არა ორმოც-და-ცხრასა,
როგორც ამ-უამად არის დაწესებული.

თუ გლეხს მაგისთანა წყურვილი აქვს მამულის სყიდ-
ვისაო, თუ მთავრობისაგანაც მამულისათვის საჭირო ფულს
ეგრე იაფად შოულობსო (თუმანზე საში აბაზი თავნში და
სარგებელში 49 წლის ვალით), მაშ ნაყმეთაგან მამულე-
ბის დახსნა ეგრე ტაატით რათ მიღისო, გვეტყეიან ჩეენ.
ამისი მიზეზი ბევრია, და მათში არც ერთი იმისთანა არ
არის, რომ გლეხის ბრალი იყოს. ჩეენ ამ-უამად მარტო
უმთავრესს მიზეზებს მოვიხენიებთ.

კანონით, ნაყმევსა ორის გზით შეუძლიან მამულის
სყიდვა: ერთი—თავისის ფულით, მთავრობის შეუწევნე-
ლად, და მეორე—მთავრობისაგან ნასესხის ფულითა. გლე-
ხი ერიდება თავისის შამულის დახსნას საკუთარის ფულით,
იმიტომ რომ ბევრს მაგალითებს ხედავს, რომ ამ-რიგა-
დაც მამულის შეძენისათვის კანონიურის სიგელის გამო-

ტანა უძნელდებათ და უგვიანდებათ, რადგანაც ამ-გვარად სყიდვაშიაც მომრიგებელი შუამდგომელი * და ერთობ სა-გლეხო გამგეობა, არ კიცით რისთვის, ერევა ** და უა-მისოდაც რთულს საქმეს სიგელის დამტკიცებისას საზო-გადო კანონისამებრ უფრო აძხელებს. მაგალითებრ, თვით მთავრობას ცნობილი აქტს, რომ ქუთაისის საგლეხო გამ-გეობას თითქმის 1877 წლამდე არც ერთი ამ-გვარი სიგე-ლი არამც თუ დაუმტკიცებია, არც კი განუხილავს. ნუ დაფიციტუებთ, რომ 8.075 კომლის სიგელი მაინც უნდა იყოს ქუთაისის გუბერნიაში ამ-უამად. რასაკვირველია, გლეხკაცობას ამ-გვარი საქმის გაძნელება და დაგვიანება ყოველს ხალისს თუ არ მოუკლავდა, სყიდვის სურვილ მაინც-და-მაინც დიდად შეუყენებდა.

საკვირველია, რომ მთავრობის შემწეობით სყიდვას გლეხი უფრო ერიდება, თუმცა, იდგილობრივის მიხედვი-სა კვალად, მთავრობა ბევრით იაფად აძლევს გლეხს სეს-ხსა. ამისი მიზეზი ის, არის, რომ სესხის გადასახდელად ურთიერთის თავდებობაა კანონად დადგენილი. ევ ჩვენე-ბურის გლეხის ჩვეულების პირდაპირ წინააღმდევია. წინააღ-მდევია მისის მეურნეობის გამართულობისა, მისის ეკონომი-ურის მდგომარეობისა და მოწყობილებისა. რუსეთში მაგას თავისი ადგილი აქვს და თავისი ჯეროვანი საბუთიც. იქ მამულების საერთოდ-სასოფლოდ *** მფლობელობა არის და საერთოდ-სასოფლოდ მფლობელობას საერთო მოვა-ლეობაც მოსდევს. კარგია თუ აერა საერთოდ-სასოფლოდ მფლობელობა მიწისა, ჩვენ ამის გამოძიებაში არ შევალთ.

*) Мировой посредник.

**) ов. Приложение к § 17 (примеч. 2) наказа по выку-
пной операции в Тифлисской и Кутаисской губерниях, № 6, 8, 9.
***) Мирское.

ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ურთიერთის თავდებობა უსაბუთოა იქ, საცა საერთო, თანასწორი მიწის მფლობელობა არ არის. ლაველე ამბობს, რომ ურთიერთის თავდებობას მაშინ აქვს ადგილი და საბუთიო, როცა მიწის საერთოდ-მფლობელობიდამ არის წარმოდგარიო. ჩვენში მფლობელობა ადგილ-მამულისა, მეურნეობის გამრთულობა, ეკონომიური მოწყობილება — კომლეულია, განსაკუთრებით საოჯახოა და არა საერთო-სასოფლო. ამის გამო ჩვენში ურთიერთის თავდებობას მარტო მოვალეობის თვისება აქვს გლეხისათვის, და რაც მაგ მოვალეობას უფლება მოსდევს, იმ უფლებას კი ჩვენებური გლეხი მოკლებულია. რადგანაც ჩვენს დებულებაში ისევ ის ჩვეულებრივი კომლეული მიწის-მფლობელობაა ჩვენის გლეხის მდგრადისადმი დედა-ბოძად მიღებული, ამის გამო არავითარი საბუთი არ იყო, რომ ურთიერთი თავდებობა შემოელოთ და ვალის ხდა კომლეულობით არ მოესაზრაო. ჩვენებურს გლეხს არ ესმის და, სწორედ გითხრაო, ვერც გაიგებს, რისთვის უნდა იხადოს სხვის მაგიერი ვალი, მაშინ როდესაც იმ სხვას თავისი საკუთარი ბინა აქვს, თავესი მიწა და ქონება; იმ მიწასა და ქონებაზედ თვით არავითარი უფლება არ მიუძღვის, არც საზოგადოებრივი, არც კერძობრივი. ერთობ, ეგ ურთიერთის თავდებობა დიდად აშინებს გლეხსა და მთავრობის კეთილ-განზრახულს შემწეობაზედ ხელს აღებინებს. გლეხს, ამას გარდა, კიდევ ის აფრთხობს, რომ ხაზინასათან საქმის დაჭერა ეძნელება. მრავალის მაგალითით გული დაუჯერებია, რომ, მოთანამდეპირთა გულმოდგინებისა გამო, ხაზინის გადასახადი ერთი აბაზი ხშირად მანეთად დასჯლომია.

თუ ეს არ იყოს, რათ უნდა ერიდებოდეს გლეხი მთავრობისაგან ვალის აღებას? რომ ერიდება, ამის მაგა-

ლითად ომას მოვიყენთ, რომ იმერეთში გლეხკაცობამ ერთ მილიონზედ მეტი ფული მისცა თავის მამულების დასახელად ისე, რომ მთავრობას ერთი გროშიც არ ესესხა. თუმცა ტფილისის გუბერნიაში ათას ორას ოცმა (1220) კომლმა გამოისყიდა მამულები და ამისათვის მთავრობისაგან სამას თოთხმეტი ათას ცრაას ოთხმოც-და. ხუთი (314.985) მანეთი ისესხა, მაგრამ ამათაც კი გამოუცხადებიათ სურვილი, რომ ეგ ფული სულ ერთბამაც შეიტანონ ხაზინაში*. გულდაჯერებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ ორს ზემოხსენებულს შემთხვევაში გლეხი ვალის აღებას არ გაღურჩებოდა და იმაზედ იაფად, როგორც მთავრობას განუზრახვს, სად იშორების გლეხი მაგ ვალსა? არსად, და მაინც, როგორც ეტყობა, გლეხკაცობა მამასისხლად ვალის აღებას უფრო რჩეობს, ვიდრე ხაზინისაგან დიდის შეღავათით ხელის გამართვასა.

ყველაზედ უმთავრესი მიზეზი, რომელიც ნაყმევთა მამულების დახსნას ხელს უშლის და დიდად აბრკოლებს, ის არის, რომ ნაყმევი მამულს ვერ იყიდის, თუ მებატონე ამას არ მოიწადინებს. ამ საგანზედ ჩვენ ჩვენი აზრი ზემოთ გამოვსთქვით. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, თუ რა აბრკოლებს, რომ აქამომდე ეგ წადილი იმოდენად ფეხ ადგმული არ არის, ამოდენადაც სასურველია. აი, ჩვენის ფიქრით, რა აბრკოლებს: ზოგი მებატონეა დღესაც, რომ მისი დღეობაა, როცა გლეხი მასთან სახვეჭრად მოვა და მძიმედ თავს დაუკრავს. აწინდელი მიზეზით სავსე კავშირი მათ შორის ამ თავმოყვარეობას, ცოტად თუ ბევრად, ხელს უმართავს და მებატონე აშით ქმაყოფილია. ბატონ-ყმობაში დაბადებულს, ბატონ-ყმობაში გამოზრდილს

*) იხილე Допесение губернского по крестьянским делам присутствия от 15 июня 1876 г., № 471.

მებატონეს, რასაკეირველია, ეძნელება, გული ეთანალრება, რომ მის გარეშემ ბატონობას ავალა აღარა აქვს და ფიქ-რობს, რაკი წყალს მივყევარო, ხავსს მაინც მოვეჭილო. ხაესად კიდევ მიზეზიანი მეოთხედობა გაუხდია და ამას მაგრად ეჭიდება. ჩვენდა სასახელოდ, ამისთანანი ბევრნი არ არიან. ზოგი მებატონეს, რომ, თუმცა დებულების ოქ-მში მეოთხედობა მოუხსენებია, მაგრამ ამ მიზეზიანის მო-ვალეობის შემწეობით გლეხი იქამდე მოუპვანია, რომ იგი ძალაუნებურად მორიგებია მებატონეს შინაურულად, სი-ტყვით, და უწინდებულად გაუბეგრავს რავი, ესე იგი გა-რდა გადაკვეთილის ღალისა და კულუხისა, გლეხს მება-ტონისათვის მუშაობაც უკისრნია: რასაკეირველია, ამ-გვა-რის მებატონისათვის მამულის გასყიდვა, რომელიც გლე-ხის სრულს განთავისუფლებას მოასწავებს, სანატრელი არ იქნება, რადგანაც აშით მოისპობა ის მიზეზი, რა მიზეზი-თაც დღეს გლეხი ძალაუნებურად ბეგარასა უწევს. ზოგი მებატონეა და, ჩვენდა სანუგეშოდ, მომეტებული ნაწილიც, რომ მამულის გასყიდვა უნდა და მარტო იმისთვის არ აცხადებს სურვილს, რომ ეშინიან, დავიწყებ საქმესო, ტყუილ-უბრალოდ გაცემიო, თრევას და ხარჯს ვეღარ გა-უვალო და ბოლო კი არ მოეღებაო. ორს პირველს მიზეზს კბილს მოსჭრის ის, რომ, ზემოხსენებული 172 მუხლის ძა-ლით, აწინდელი წილადობილი გლეხის გარდასახადი ყო-ველგან მალე გადიკვეთოს და განისაზღვროს ადგილობ-როვის ჩვეულების მიხედვითა, — და მესამეს კი ის, რომ ერთობ უსაბუთოდ ჩოული და დაუბოლოებელი წარმოე-ბა მამულის დახსნის თაობაზედ გამარტივდეს და სწრა-ფად ალსრულებაში მოდიოდეს.

ამ უკანასკნელის მიზეზის მოსასპობლად, ამ ახლო ხანებში ჩვენის მოავრობის წინაშე წარდგენილა ახალი-

წინადადება. ამ წინადადების ქვაკუთხედი და დელა-აზრი იგია, რომ მთავრობამ ნაყმევთა მამულების დახსნისათვის იმისთანა რამ ადგილობრივ გამართოს, როგორც სააღ-გილ-მამულო ბანკია, საიდამაც გლეხთა მამულის დახსნი-სათვის ფულის სესხად აღება შეეძლოთ იმავე წესით და პირობით, როგორც ეგე ყოველი სააღგილ-მამულო ბანკ-შია მიღებული. ეს ქვეყნიერებაზედ ახალი ამბავი არ არის. მაგ-გვარი წყობილება ევროპაში, სახელდობრ გერმანია-ში, დიდი ხანია შემოღებული იყო ნაყმევთა მამულების დახსნისათვის და იქ, საცა იყო შემოღებული, ამ-გვარმა წყობილებამ მეტად ააჩქარა ბატონ-ყმობის სა-ქმის დაბოლოვება საყოველთაო საკეთილოდ. დანიაში 1806 წ. დაწესდა მაგ-გვარი ბანკი, ჰესსენ-კასსელში 1832, ჰანოვერში 1841 წ., ნასსაუში 1849 და სხვა.

რატგანაც ჰანოვერის ბანკს მოქმედობას მეტად უქებ-დნენ, ამის გამო მის აგებულებაზედ და განწყობილებაზედ ზოგიერთს უმთავრესს ცნობას მოვიყვანთ. ჯერ კიდევ 1830 წლიდამ, ჰანოვერში გამოთქმულ იქმნა ის აზრი, რომ ნაყ-მევთა სრულიად განთავისუფლებისათვის ბანკი რამ გაიმარ-თოს მთავრობის დახმარებითა. ნემეცთა, ჩვეულებისამებრ, ეგ აზრი ისინჯეს, გაზომ-გამოზომეს, აიღეს-დაიღეს და ბო-ლოს 1841 წ. ოლსრულებაშიაც მოიყვანეს. ბანკი დაწესდა და საგნად მარტო გლეხთა მამულების გარდასახადის დახს-ნა დაუნიშნეს. მაგრამ თითქმის იმავე დროს მთავრობამ გა-მოაცხადა სურვილი და ოლსრულებაშიაც მოიყვანა, რომ ეგ ბანკი მარტო გლეხთა მამულების გამოხსნას არ მიჰყვეს და თვისი მოქმედება განავრცოს, ესე იგი სესხი აძლიოს ყოველს უძრავს ქონებაზედაც — ნაყმევთა იქნება, თუ სხვა. პირისა. პირველს და მეორეს შემთხვევაშიაც გირად მი-იღებოდა უძრავი ქონება. მთავრობამ ნახევარ მილიონი

ტალერი (91^{1/4} კაპერკია) დაუნიშნა, რომ თუ ვინიცობაა გაჭირებამ მოითხოვოს, ბანქმა ხელი გაიმართოს. ამ ფულიდან ბანქს ნება ჰქონდა მოეთხოვნა სახელმწიფო ხაზი-ნისაგან ერთ ხანად 100.000 ტალერი; ხაზინას სარგებლიად უნდა ერთმია ათს თუმანზედ სამი მანეთი წელიწადში. ამას გარდა, ყოველივე პასუხისმგება ბანკის მოვალეთა წინაშე თვით მთავრობამ იყისრა. ჰანოვერის ბანკი შინაგანის საქმეთა მინისტრის გამგებით სწარმოებდა. თიოთონ ბანკსა მართვდა მთავრობისაგან დანიშნული სამი კაცი, რამელნიც ბანკის მართველობას შეადგენდნენ. მსესხებელთ შორის ურთიერთის თავდებობა მიღებულ არ იყო. ამ ბანკში შესანიშნავი ორი რამ არის. ერთი ის, რომ სესხის მოსაშორებლად ერთი ვადა კი არ იყო დაწესებული, არა-მედ რამდენიმე; მსესხებელის ნებაზედ იყო მიგდებული, ან ერთს ვადაზედ დამდგარიუო, ან მეორეზედ. მეორე ისა, რომ, რავი ბანკში მამული გირაოდ შევიდრდა, არა რაიმეს კერძოობითს, მთავრობისა ან სასამართლოს განკარგულებას არავითარი ძალა არ ჰქონდა იმ მამულის თაობაზედ, თუ რომ იმ განკარგულებას ბანკისათვის რაიმე ზარალი და ენება მოსდევდა. 1841 წლიდამ 1850 წლამდე, ესე-იგი ათის წლის განმავლობაში, ამ ბანქმა შეიდ მილიონზედ მეტის ფასის (7.249.779 ტალერი) მამულები დაახსნევინა. ნაყმევებსა.

ჩვენი პრდაპირი საგანი, რომელსაც, ცოტად თუ ბევრად, ამ წერილების სათაური აცხადებს, სულ სხვა არის. ამიტომაც ზემოხსენებულს წინადაფებას აღ-ეამად ჯეროვანად და ვრცლად ვერ გამოვიძებთ.

ბატონ-ყმობის გაუქცებას ჩვენში ზედ მოჰყვა სა-საფლო მძართველობის ახალი წესდებულებაცა. ამაზედ ლაპარაკი შემდეგ გვექნება.

წერილი მეოთხე

1865 წელსა დამტკიცებულ იქმნა და აღსრულება-შიაც მოვიდა სასოფლო მმართველობის წესდებულება. ვიდრე გავარჩევთ მას, თუ რამოდენად მოუხდა იგი ჩვენს ცხოვრებასა, რამოდენად აღვისრულა მასზედ დანდობილი იმედი, არ იქნება მეტი, რაც შეიძლება მოქლედ, გა-მოესთქვათ ზოგიერთი აზრი შინაგანს მმართველო-ბაზედ * საზოგადოდ.

ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს. მაგალითებრ, რუსის იმპერია დაყოფილია გუბერნიებად, გუბერნიები მაზრებად, მაზრები სოფლის საზოგადოებად. ყოველს სა-ხელმწიფოში ორი დიდი ნიდინარებაა: ერთი მთელის სა-ხელმწიფოის საჭიროებისა და მეორე—საზოგადოებისა. ეს ორივე-გვარი საჭიროება ყოველს ნაწილში მომდინარე-ობს იმდენად შეტ-ნაკლებად, რამდენადაც თვით ნაწილი მეტ-ნაკლებია; განსხვავება თითქმის ამ მეტ-ნაკლებობა-შია და სხვა არაფერში. ამიტომაც მთელს სახელმწიფო-ში, თუ თვითოოეულს მის ნაწილში, ამ თრ-გვარის საჭი-როების მზრუნველობა და გამგეობა საჭირო არის. ეგ მზრუნველობა და გამგეობა არის აუცილებელი და უსა-თუო საგანი ყოვლის მმართველობისა.

*) Внутреннее управление.

ქვეყნის რობაზედ მმართველობას ორ-გვარი წყობა-
და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ საღმე რაიმე ცვლი-
ლება არის, მანც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან
ერთისაკენ არ იყოს მიღრუკილი, ან მეორისაკენ. ერთ-
გვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროე-
ბის საქმესაც თვით მთავრობა განავებს და საზოგადოე-
ბისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევა-
ში მთავრობა ყოველ-გვარის საქმის დამწყები და მოთა-
ვეა, ყოველ-გვარის საქმის. შრარმოებელია, — ყოველის
მხრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარ-
მოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამ-გვარად გამგე-
ობისათვის ნაი თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი. ჰყვანან,
რომელთაც თვით იჩჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადა-
აყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არიან პა-
სუხისმგებელნი. ამ გვარს მმართველობას ცენტრალიზა-
ციას ეძახიან.

მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას-
ხელ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროე-
ბის საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსა-
კუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ად-
გილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი.
ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად
განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა
მახელეთა შემწეობით, რომელთაც იჩჩევს თვით ად
გილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც
ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამ-გვარს გამგეობას თვითმმართველობას *უწოდებენ, რად-
განაც ამ შემთხვევაში თვითოული ნაწილი ერთისა და

*) Самоуправление, децентрализация.

იგივე სახელმწიფოსა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამ-გვარის მართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებ-თავან განიგებოდეს.

ამ-გვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობას: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჰკუ-ასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამ-გვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ, საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამგეობისა შეუმსუბუქებია, აუხსნია.

ერთი მწერალი ამბობს: „ისტორია ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა უკერძი წამალია ხალხის ყოველ-გვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს: ინგლისშიაც, საცა დიდკაცობაა * ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქვა-კუთხედადა. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც, საცა იმისთანა პატარა ქვეყანაა, როგორც შვეიცარია (739 ოთხ-კუთ. მილია) და იქაცა, საცა იმისთანა უზარმაზარი უდაბნო მინდვრებია, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილად-განწყობილი და შეთვისებულია, საცა იმისთანა სახელმვანი განათ-

*) აристოკრატია.

ლებაა, როგორც ლონდონში და იქაცა, საცა. იმისთანა
ველური ხალხია, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და
სხვა ინგლისის კოლონიებში“.

თუმცა ესეა, მაგრამ მაგ თვითმმართველობას ქვეყა-
ნაზედ ბევრი მტერი პყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილ-
უბრალოდ ძილსა და მოსვენებასას, ამბობენ, რომ საში-
შარიაო—საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს
მოჰყვება, თავს გაიზეიადებს და მორჩილებიდამ გა-
მოვათ.

როცა პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელჩისი: და
ლოტარინგია და პარლამენტში ჩამოვარდა საუბარი მა-
სზედ, თუ რა-გვარი მმართველობა მივცეთო აშ ახლად
დაჭრილს ქვეყნებს, ბისმარკმა აი რა სთქვა: „ჩვენი საქმე
ელზასა და ლოტარინგიაში თვითმმართველობის გან-
ძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივნი საზოგადოების
კრებანი უნდა დავაწყოთო ადგილობრივის მმართველობი-
სათვისაო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ
ქვეყნების საჭიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა*.
ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩიულნი და დაუყენ-
ბულნი მოხელენი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწა-
ვებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კა-
ცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უქმა-
ყოფილებას ჩამოაგდებს, და ეგ მთავრობის განზრახვასა
და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა მგონია, რომ
მათგან ამორჩიულნი მოხელენი უფრო ცოტას გვაეცნებენ,
ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი.“

თუ იმისთანა კაცი, როგორც ბისმარკი, რომელიც
თავისუფლების დიდი მომხრე მაინცა-და-მაინც არ არის,

*) Чиновник.

ისე იღვწოდა თვითმმართველობისათვის, მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ, თუ ამისთანა რეანის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას, თუ არ თვითმმართველობის მინიჭებითა, სხვას რაღა ეთქმის.

ამ თვითმმართველობის დადგენისათვის ყველაზედ ძნელი იმ ზომის პოვნაა, რომლითაც საერთო სახელმწიფო საჭიროების საქმენი მიეზომება ხოლმე სახელმწიფოს მთავრობასა, და საზოგადოებრივი კი — ადგილობრივ საზოგადოებასა. ამ ორთა შუა ნამდვილის საზღვარის პოვნაც ძნელია, იმიტომ — რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საჭიროების ძაფები ერთი ერთმანეთში ჩართულ და გაზიაბდებულ არიან, თუ ყოველსფერში არა, ბევრში მაინცა. მაგრამ თვითმმართველობის საქებარად ეს კი უნდა ვსოდეთ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს — მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭირია ცხოვრებაში ადგილი. ლირსება და სიკეთე შინაგანის მმართველობისა ჯერ იმაზედ არის დამოკიდებული, რომ განაწილებულია თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოების შორის მათლამი კუთვნილთა საქმეთა გამგეობა, და თუ განაწილებულია — როგორ და რამოდენის სიმართლით არის ეგ მომხდარი. ყოველივე შინაგანის მმართველობის ლირსება და სიკეთე ამ სასწორით უნდა აწონილ იქმნას.

ადგილობრივი თვითმმართველობა* და უმაღლესი მთავრობა** არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მო-

*) Местное самоуправление:

**) Верховное правление.

კამათე და მოცილენი არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში ორნივ მშვიდობიანად თავსდებინ და ურთიერთის სახიროდ მოქმედობენ. ზე-მოთ მოვიხსენეთ, რომ ძნელია ამათ შეა ნამდვილის სა-ზღვარის დადგება, თუ კველა ფერში არა, ზოგიერთში მაინ-ცა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ საზოგადოდ ერთსაც და მე-ორესაც ისეთი თვალსაჩინო თვისების კუთვნილება აქვს, რომ მის მეოხებით კაცს შეუძლიან, თითქმის ყოველს შემ-თხვევაში, გაარჩიოს, ან ერთი რის მოღვაწე და პატრო-ნი უნდა იყოს, ან მეორე. ჩვენ თვისება თვითონეულისა ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ. მაგრამ ვხედავთ, რომ იგი ჩვენის უმთავრესის საგნის უკეთ ცნობისათვისა ცოტაა, ამისათვის გესურს ამ-ჟამად, ეგ თვისება ცოტაოდნად დაწვრილებით აღვნიშნოთ.

ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარ-ტომობით ერთი-სა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობ-რივის სხვადასხვაობისა გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგვიდგნს. ყოველს მხარეს, ყო-ველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირ ვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნუ-ლება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კე-თილდღეობის გზა გაუსწანას. ამისათვის საჭიროა უმაღლე-სმა მთავრობამ უტყურად, პირუთვნელად, ზეფიტევნით იცოდეს ყოველს კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავ-კარგიანობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შემ-წეობა მიაწვდინოს. ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას

თითონ, სხვის დაუხმარებლად, ვერ შეუძლიან ვერც თვა-
ლი მიაწვდინოს დასანაზავად ყველგან, ვერც ყური სასმენ-
ლად და ვერც ხელი საშველადა. ტხადია, რომ მან ჭნდა
იყოლიოს ამისათვის ანუ საკუთარი მოხელენი, ყოველგან
მოვანტულნი და მორიგებულნი, ანუ ეგ მოხელეობა თვით
ადგილობრივ მცხოვრებთა უნდა ჩააბარის, მიანდოს. პირ-
ველმა საშუალებამ თავი ვერსად ვერ გაიმართლა, იმი-
ტომ რომ სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არას-
ფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია,
ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თითონ;
სხვა ჩემს ავ-კარგიანობას ჩემსავით ვერ შეიტყობს, ჩემს
ტკივილს ჩემსავით ვერ მოუგლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით
ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის-დღეში არ
ეცოდინება. ეს ყველგან ესე სცნეს და ამიტომაც ეგ სა-
შუალება თითქმის ყველგან დაწუნებულ იქმნა და უარყო-
ფილი.

სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თვის
მეთვალყურედ, მოხელედ და ადგილობრივთა საქმეთა
განედ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყვანან. მათ
უკეთ იციან თავისი ვითარება, უკეთ იციან თვისი საჭი-
როება, უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა
საქმეთა პატრონობა. ამ შემთხვევეში ერთის მხრით ყო-
ველის კუთხის ჭეშმარიტი საჭიროება, უტყუარი ტკივი-
ლი, გულწრფელი და მართალი წადილი მთავრობამდე
მიღწეულია, მეორეს მხრით—უმაღლესის მთავრობის სა-
ერთო მზრუნველობა ერთნაირის გულის-ტკივილით, ერთ-
ნაირის მაღლით ყოველს კუთხემდე მიწვდენილია, მორი-
გებული და მოფენილი.

აქედამ ცხადია, სად უნდა დაიდგას საზღვარი უმა-
ღლესის მთავრობისა და თვითმართველობის შუა. უმაღ-

ლესი მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაშილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს ერთ-ნაირად და ერთ-გვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია. მაგ-გვარნი საქმენი ეკუთვნიან საყოველთაო კანონმდებლობის წარმომებასა, საყოველთაო ფინანსთა (შემოსავალ-გასავალის). მოძრაობასა და საყოველთაო მხედრობის განწყობილებასა. ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობისა, და თვითმმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ საქმეებში ხმა არა აქვს: იგი ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განვებულია, დაწყობილი და განწესებული. თვითმმართველობა ხელქვევითია ამ შემთხვევაში უმაღლესის მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცირელია და აღმასრულებელი.

რაც სახელმწიფოს საერთოს ვითარებას არ შეადგენს, იგი თვით მმართველობის უცილო კუთვნილებაა. თვითმმართველობა თავის ადგილას ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობის, მისის ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია. ყოველივე ამის მომქმედია იმოდენად, რამოდენადც ყოველივე ეს მის სამმართველოს წრეში მცხოვრებთა განკერძოებით შეეხება და არ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებასა. აქედამ სჩანს, რომ თვითმმართველობა ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა.

დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის
მთავრობის ხელისუფალი * ორლანდა.

ამ სახით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრი-
ვის საზოგადოების ორლანოც არის უმაღლესის მთავრობის
წინაშე, და უმაღლესის მთავრობის ორლანოცა წინაშე აღ-
გილობრივის საზოგადოებისა.

ცხადია, რომ როგორიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრო-
ბა — თვითმპურობელობითი, მონარქიული წარმომადგენე-
ლობითი, თუ რესპუბლიკის სახისა, — ერთშიაც, მეორეში-
აც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მო-
ეწყობა, საზოგადო წყობილებას არამც თუ ხელს შეუშლის,
არამედ ხელს მოუმართავს, რადგანაც თვით ადგი-
ლობრივის საზოგადოების მოჭირნაზულეა და ამასთანავე
უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყო-
ველ კუთხემდე მიწვდენილი.

რუსეთშია მაგ თვითმმართველობას დიდი ფართო
გზა გაეხსნა უმაღლესის მთავრობისაგან და თითქმის მთე-
ლი რუსეთი ამას სიხარულით მიეგება. იქ ჯერ სოფლის,
გლეხთა საზოგადოებას მიენიჭა თვითმმართველობის უფ-
ლება, მერე მაზრასა და გუბერნიასა ერთად ** და ამ სა-
ხით ყოველს განკოფილებაში დაიღინა თვითმმართველო-
ბითი გამგეობა აღვილობრივთა საქმეთა. იგი დიდიხანია
მოქმედებს ინგლისშიაც, საცა მონარქიული წარმომადგე-
ნელობითის სახის მთავრობაა, და ჩრდილო-ამერიკაშიაც,

*) Исполнительный. „ხელისუფლება“ სწორედ ამ აზრით
არის ხმარებული წევნს დასტულამაში. აქედამ არის წარმომზდებარი
სიტყვა „მოხელე“. თითონ დასტულამაში მეუის და მდივანბეგის
განჩინების აღმარტულებელი კაცი საქრთოდ „ხელისუფალად“ წო-
დებულ არიან.

**) Земство.

საცა რესპუბლიკაა. ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, რომ თვითმმართველობა უძალლესის მთავრობის სხვა-დასხვა-გვარობაზედ არ არის დამოკიდებული, რომ იგი ყოველ-გვარს უძალლეს მთავრობას უხდება.

თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნა-ყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავი წყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიტრანსილე არ იხმარა ადამიან მა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი.

უმთავრესნი კუთვნილებანი თვითმმართველობისანი არიან:

1. ადგილობრივთა საქმეთა ადგილობრივის განსა-მართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვ-რებთა პატივის, ღირსების და ქონების ნამდვილი მფარ-ველობა და ხელშეუხებლობა;

2. უძალლესის მთავრობისაგან განშესებულის ხარჯი-სა, ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვ-რებთა შორის განაწილება. ეს უკეთესი ღონისძიებაა, რომ ყოველმა სამართლიანად და უმეტ-ნაკლოდ გადაუხა-დოს სახელმწიფოს თვისი. შესახვედრი მოვალეობა;

3. ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედამ შემოსულის ფულის თავისუ-ფლად გამგეობა;

4. სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინა-აღმდეგებოდეს;

5. ადგილობრივის საზოგადოების პირველ-დაწყებითის სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა;

6. ადგილობრივის საზოგადოებისათვის მზრუნვლობა და ღონისძიების მოხმარება;

7. ადგილობრივის საზოგადოების საზრდოებისათვის თავდარიგის დაჭრა და ღონისძიების მოპოება;

8. ადგილობრივის გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა;

9. უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომელობა ყოველს მასზედ, რაც ადგილობრივის საზოგადოების საკიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს.

უმთავრესნი საფუძველი თვითმმართველობისანი არიან:

1. ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრული-წლოვანია; მაშასადამე ყოველს მოგალეობაშიაც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას;

2. ადგილობრივის სამმართველოს ხელშევევით უნდა იყენენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობს; აქ, როგორც პირველს შემთხვევაში, წოდებათა შორის განცოლება და ხარიხების გადება მავნებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია;

3. ადგილობრივი მოსამართლენი, აგრეთვე მოხელენიცა, უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა;

4. ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მექონიკაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არა თვითთა უფროსთა წინაშე.

ჩვენის სასოფლო მმართველობის წესდებულებას ვინც თვალს გადაავლებს, დაინახავს, რომ იგი, ცოტად თუ

ბევრად, თვითმმართველობის საფუძველზედ არის ამოყვანილი. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს აღა-
მიანს ფუითხოს: თუ თვითმმართველობა ეგ არის, მაში,
ყოველის მხრით და ყოველგან რათ ისმის სამდურავი სო-
ფლის მმართველობაზედ? რატომ მაგ თვითმმართველობამ
არ ააყვავა სოფელი, თვით გლეხობა ეგრე ერთხმად რათ
უჩივისო?

ჩვენ ვეცდებით ამ საბუთიანს სიტყვას შესაფერი
პასუხი მივცეთ შემდეგს წერილში.

წერილი მეხუთე

ჩვენ წინა წერილში ვაჩვენეთ, რამოდენადაც ჩვენ
თითონ შეგძლით და შეგვაძლებინეს,—რომ ჩვენის სოფ-
ლის მმართველობა, ცოტად თუ ბევრად, თვითმმართვე-
ლობის საფუძველზეა ამოყვანილი. ამის გამო, ჩვენი ქება
თვითმმართველობისა მეოთხე წერილში ამით დავაძოლო-
ვეთ: „ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადა-
მიანს, იყითხოს: თუ თვითმმართველობა ეგ არის, მაშ-
ყოველის მხრით რათ ისმის სამდურავი სოფლის მმართვე-
ლობაზედ? რატომ მაგ თვითმმართველობამ არ ააყვავა
სოფელი? თთონ გლეხობა აკრე ერთხმად რათ უჩივის?“

მაშინ დაგვირდით მკითხველს, რომ ამ საბუთიანს
სიტყვას შესაფერს პასუხს მივცემდით შემდეგს წერილში.
ის შემდეგი წერილი,—ზოგი ჩვენის მიხეზით, ზოგი სხვი-
სით,—აქამძღვე დაგვიანდა. ეხლა, როცა ზარბაზნის
ჰიქა-ქუხილის ხმა მისწყდა, როცა მშვიდობიანობა: მ სხვა-
დასხვა ფათერაკის მოლოდინი გააქრო, როცა სხვა სიომ
დაუბრა ჩვენს გარეშემო, როცა.... როცა...., ერთის
კიტყვით,—ეხლა შესაძლოდ გავგიხდა შრომის განგრძობა
იმოდენად, რომ ჩვენი ნაღველი,—თუ სხვა გზით არა,—
უნაღვლოდ მაინც გამოფინოთ. ძნელია ნაღველის უნაღ-
ვლოდ თქმა; მაგრამ ზოგან ცარიელი, უფერული თქმაც
ნეტა არგა.

ვიდრე ჩვენს საგანს შეფუდგებოდეთ, მკითხველს.
ვსთხოვთ გაიხსენოს, რაც მეოთხე წერილში მოგვიხსენე-

ბია. იმ წერილშიჩ აღნიშნული,—შეძლებისაშებრ ფრთხილად და ენის კვნეტით,—ის საწყაო, რომლითაც უნდა ავწყათ ჩვენებურის სოფლის თვითმმართველობის ავ-კარგიანობა.

ვისაც ცნობილი ჰქონდა თვითმმართველობის არსებითნი თვისებანი და კუთვნილებანი, დიდი ნიჭი არ დასჭირდებოდა წინასწარმეტყველობისა, რომ გამოეცნო, რა შედეგიც მოვლოდა იმ წყობილებას, რომელიც დადგინებულია ჩვენში 1865 წ. 11 აპრილის წესდებითა შესახებ ჩვენებურ სოფლების მმართველობისა.

პირველი და უდიდესი ნაკლი ამ წესდებისა ის არის, რომ თვითმმართველობის არსებითნი საფუძველნი არ არიან მისგან აღიარებულნი და, რაკი თვითმმართველობას ეგ. ნაკლი თან შეჰყა, იქ თვითმმართველობას ნურავინ დაემდურება, იმიტომ რომ იქ თვითმმართველობა არ გახლავთ და არაფერს შუაშია. ეს ნაკლი თიტონ შიდა-იმპერიის წესდებასაც თან შეჰყა და, რადგანაც ერთსა და იმავე მიზეზს ერთი და იგივე შედეგი თან მოსდევს, ამიტომაც იქაც, როგორც ჩვენში, სოფლის მმართველობაზედ დიდი ჩიგილი და დრტვინვა ისმის. თუ რომ კეთილი კიდევ სჭირს,—ძალიან ცოტა-კი,—შიდა-იმპერიის წესდებას, ეგ კეთილი იმაში მდგომარეობს, რომ იქაურს სოფლის ვითარებას, ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს წყობას, ცოტად თუ ბევრად, უურადღება მიუქცევია კანონთმდებლისა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ჩვენს წესდებაზედ: იგი მთლად გადმოღებულია რუსეთიდამ. რასაკვირველია, თვითმმართველობას იმისთანა ზოგადი თვისებანიცა აქვს, რომელიც ყველა-სათვის ერთნაირად სახეიროა, მაგრა საღამე ყველგან გამო-

სადევგია, და იშისთანანიც,—რომელნიც ადგილობრივს
მოთხოვნილებას და სხვადასხვაობას უნდა შეეფერებოდეს.

ჩამოაცალეთ სოფლის მმართველობას თვითმმართველობის სიკეთენი, ზედ დაუმატეთ, რომ ის მმართველობა სულ სხვა ნიადაგიდამ არის ამოლებული და გადმორგული, მაშინ ცხადად დაინახავთ, რატომ ჩვენს სოფელს ამ მოუხდა ეგრეთ-წოდებული თვითმმართველობა. ამ სახით, მეორე, უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უგარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის აღმოცენილი და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ, მის ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ. სხვა მიზეზიც არის, მაგრავ ამაზედ ბოლოს ვიტყვით. ეხლა კი შევუდგებით ამ ორის მიზეზის დაწვრილებითს გამოკვლევას.

ჩვენ წინა წერილში ჩამოვთვალეთ ის ოთხნი უძავრესნი დედა-აზრი, ურომელოთდაც თვითმმართველობა თვითმმართველობად არ უნდა იხსენიებოდეს. ერთი იმათგანი ის არის, რომ სხა და არჩევნის უფლება მინიჭებული უნდა პქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრული-წლოვანია. მაშასადამე, ყოველს მცხოვრებს ყოველს მოვალეობაშიაც ხვედრი წილი უნდა პქონდეს. წესდების 7 მუხ. ძალით კი, სხა და არჩევნის უფლება ეკუთვნით მარტო იმ სახლში უფროსთ გლეხთ, რომელნიც კამერალიის აღწერაში ცალკე კომლად არიან ხსენებულნი. ამრიგად, სოფლის მმართველობის წრეში მცხოვრები ყველანი კი არ არიან წევრნი ერთისა და იმავე საზოგადოებისა, არამედ—ზოგნი, თუმცა მთელის საზოგადოების ავკარგიანობა, ავად თუ კარგად გამგეობა, მოღვაწეობა, ყოველთათვის ერთნაირად საწყენია და საამური. თავად-აზნაურნი, ვაჟარნი მოქალაქენი, სამლელელო პირნი, სო-

ფერში ბინადრად მცხოვრები, და თითონ გლეხშიც, კა
მერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გასული, ამ
უფლებას გამოქლებული არიან და ამის გამო არც ერთს
სასოფლო მოვალეობაშიაც არც ერთს მათგანს წილი არ
უდევსთ, რასაკვირველია იმ გლეხთა გარდა, რომელნიც
კამერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გამოსულან. ამათ,
თუმცა არავითარი უფლება არა აქვთ სასოფლო
საქმეთა გამგეობაში, მაგრამ სასოფლო მოვალეობის ტვირ-
თი კი კისრად აწევთ ისე, როგორც სხვას. წარმოიდგი-
ნეთ, რომ ერთის კამერალიის აღწერის დროდამ მეორებზე
ათს წელიწადზედ ნაკლებ დრო არ გადის და მაშინ
ცხადი იქნება, რამოდენა ძალი ხალხი უფლებას მოკლე-
ბულია ხოლმე, მაშინ როდესაც ყოველი ტვირთი კი
სოფლისა ზურგად ჰქიდია.

ჩვენი აზრი ის არის, რომ თვითმმართველობისათვის
ყველა წილების კაცი ერთ გვარად უნდა იყოს მიჩნეული.
თვითმმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელც აბია
წარმატების ულელში და ეწევა სხვებთან ერთად. მაშა-
სადამე, გამოკლება ვისიმე თვითმმართველობიდამ — დაუ-
ძლურებაა ლონისა, წარმატებისათვის მიმართულისა. წარ-
მატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყო-
ველი ძალი ერობისანი ერთად, ერთ-გვარად იყვნენ მიდ-
რეკილნი და მიწვეულნი. თვით წარმატებაც, განვითარე-
ბაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყვე-
ლანი ერთ-გვარად და ერთ-სახით სწვდებიან საერთო სიკე-
თეს, ერთ-გვარად და ერთ-სახით გაჭირვების ულელს ეწე-
ვიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებას და მოვალე-
ობას. საკა ეს არ არის, მაშინ ერთის ამაღლება, ერთის
კეთილდღეობა, — მეორის დამდაბლებაზედ, მეორის გაღარი-
ბებაზედ არის ხოლმე სშირად დამოკიდებული. უსწორ-

მასწორობა ერთმანეთ-შორის, სხვათა შორის, უჯრა-უჯ-
რად დაყოფის შედეგია; ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს
კი არ უნდა წაუმატოს; რაც არის, ისიც უნდა დაშა-
ლოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს.

სოფელი, მის ბინადართა კვალობაზედ, ერთი და-
ურლვეველი აგებულებაა, ნამეტნავად ჩვენში. როგორც
გაუქმება ერთის რომელისამე ასოსი ადამიანის აგებულე-
ბაში ადამიანს აუძლურებს, ასუსტებს, ისეც სოფელს
ასუსტებს და ულონოდ ჰქმნის, როცა მის კეთილდღეობის
მზრუნველობაში ერთი არიან და მეორენი არა. მაშასა-
დამე, თვითმმართველობა სოჭლისა; როგორც ჰქმმარიტი
ორლანო სოფლის გამგეობისა და მზრუნველობისა, ღონე-
მოკლებული უნდა იყოს, საცა სოფლის ერთობაზედ არ
არის დამყარებული. რუსეთში რომ სოფელი უჯრა-უჯრად
დაჰქვეს, ერთს წყობას მიანიჭეს შვება და აჰეთდეს
ტეირთი თვითმმართველობისა და მეორე გამოაქვეს ერთ-
საც და მეორესაც, იქ ამას ხელ-მოსაჭიდებელი მიხეხი
მაინც ჰქონდა*.

სოფელი, სოფლის საზოგადოება რუსეთში სულ
ცხვა ნიადაგზე დანდობილი და სხვა ნიადაგზე ამოსული.
იქ გლეხობა კომლეულობით, მემკვიდრეობით არა ჰყოლობს
ერთსა და იმავე მიწას; იქ მიწა სახასოა, ესე იგი საერ-
თოა და არავის არა აქვს ისე დაჩემებული სამუდამოდ,
როგორც ჩვენში. ამის გამო იქ სოფელი წარმოადგენს
მიწის შესახებ ორნაირს მფლობელობას: ერთის მხრით—
სოფლეულად სახასო, საერთო მფლობელობას. გლეხთა
მიერ, მეორეს მხრით—კერძოობით და განსაკუთრებულს

*) ვთხოვთ, არ დაიგიშყოთ, რომ ჩვენ აქ მარტო სასოფლო
მმართველობაზედ გლოპარაკობთ.

მულობელობას თავად-აზნაურთა მიერ. სოფლის გამგეობა რომელიც თვითმმართველობის შინაგანი არსებაა, ამ ორს, ვითომ ურთიერთის წინააღმდეგს მოპირდაპირე მულობელობას და მათგან მომდინარეს მოთხოვნილებას ვერ მოითავსებდა,—კანონმდებელთა აზრით,—და მათს ინტერესებს ერთს კელში ვერ ჩააყენებდა. ამის გამო, საჭიროდ დაინახეს განცალკევება, განვითეულება გლეხისა და თავად-აზნაურობისა სასოფლო მმართველობაში. ეს დარღვევა სოფლისა, სოფლის ერთობისა, მიზანის ბრალიც იყო. თვალ-წინ პყვანდათ სამაგალითოდ ინგლისი კი არა, რომელიც პირველ-სახეა თვითმმართველობისა და რომელსაც უარყოფილი აქვს სოფლის მცხოვრებთა შორის განვითეულება, როგორც მომაკვდინებელი სენი თვითმმართველობისა, არამედ ერთი სხვა სახელმწიფო, რომელიც ამ-გვარებში ყველა სხვა სახელმწიფოებს უკან ჩამორჩა და რომელიც ამ-გვარებში დღესაც იმ აზრებით სულდგმულობს და მოქმედობს, როგორც ნეტარ-ხსენებულ ბატონ-ყმობის დროს.

ეს სახელმწიფო გახლავთ გერმანია და უფრო განათლებული პრუსია. იქ საზოგადოებრივის წყობის პირველ წერტილიდამვე მცხოვრებნი სამს უჯრად დაყოფილნი არიან: Gutsherren — მიწათ-მფლობელნი, Bürger—მოქალაქენი, Bauern—გლეხნი, და ეს განვითეულება პრუსიის მონარქიას ფეხიდამ თავამდე მთელს აგებულებაში გატარებული აქვსო, ამბობს, ერთი მწერალი. უკანასკნელი საპროვინციალო წესდება პრუსიისა, მის გამო გაცხარებული ბაასი პარლამენტში, ცხადად ამ-ტკიცებს, — იქაური „გუტსეელტმარკ“ — იბა, ესე იგი მიწათ-მფლობელი თავად-აზნაურობა, საღა სცემდა: ყველა ტეირთი გლეხსაო, ყველა შვება ჩვენაო. დაწინაურებული

თაობა-კი ეუბნებოდა, შვებაც მიიღე გლეხთან ერთადო
და ტეირთიცაო.

თუმცა რუსეთში ასეთი განსხვავებული ექინომიური
მდგომარეობაა სოფლად მცხოვრებთა წოდებათა შორის,
მაგრამ იქაც არ მოსწონთ ერთის ჩაბმა სოფლის საქ-
მეთა გამგეობაში და მეორის ამოშვება. იქაც ხმა ის-
მის, რომ ეგ სხვადასხვაობა მიწის-მფლობელობისა ტყუი-
ლი შიშიაო და სოფლის ერთობას არას დაუშლის და
წინ არ აღლდგებაო. ერთი მწერალი ამის თაობაზედ ამ-
ბობს, რომ რუსეთში მეტად აზგიადებენ სასოფლოდ
მფლობელობის მნიშვნელობასაო; სხვადასხვა მოსაზრებისა
გამო შესდგა იმისთანა აზრიო, ვითომ საერთოდ-მფლო-
ბელობა უარპყოფდეს დედა-აზრს კერძოობითის საკუთ-
რებისასაო; ვითომ ამ ორ-გვართა მფლობელობათა შორის
მოურიგებელი უთანნმოება იყვესო, მტრობა და ერთმა-
ნეთის დევნაო, ეს სულ ტყუილიაო. სოფლად მცხოვრები
მამულის მოსაკუთრე ძალიან მშვიდობიანად სცხოვრობსო
სახასოდ მფლობელთა გლეხთა გვერდითაო; თუ რამე
უფრთხობს მშვიდობიანობასაო, ცუდ-უბრალო ყვირილი
უფრთხობსო, რომელიც გაიძახისო, რომ გლეხნი, სახასოდ
მფლობელნი, კერძო საკუთრების მტერნი არიანო. მარ-
თალია, გლეხნი-მეზობელნი ნამუსზედ ხელალებით ჰპარა-
ვენ ტყესაო, უხდენენ მოსაგალსაო, უძოვებენ ყორულებსაო,
მაგრამ ამას განა იმისაგან სჩადიანო, რომ კერძოობითს
საკუთრებას უფრო ნაკლებ პატიგსა სცემდნენ, ვიდრე სა-
სოფლოს, სახასოს, არამედ იმისგანაო, რომ არავთარი
საკუთრების პატიგისცემა არა აქვთო, არც თავისისა და
არც სხვისა, და, სლავიანურ ფართო ბუნების მიღრევი-
ლებისა გამო, არც თავისისა ზოგვენ, არც სხვისასაო.
„ჩვენის აზრითაო,—ამბობს იგივე მწერალი,— გლეხნი სა-

ხასო, სოფლეურად მფლობელნი მიწისა, და სხვა სოფლენი, კერძოდ მფლობელნი, ძალიან ადვილად მოთავსდებიან ერთმანეთთანაო ერთსა და იმავე სოფლის საზოგადოების თვითმმართველობაშიც.“

თუ სოფლის საზოგადოების დაურღვეველობაზედ ამას ამბობენ რუსეთში, საცა, — რაც უნდა იყოს, — სოფლი, ანუ უკეთ ვსტქვათ, სოფლობა, ორ-გვარ ეკონომიურს წყობას წარმოადგენს, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელთა შორის ევ ორ-გვარობა არ სულევს!

ჩვენში გლეხთა მიერ მიწის-მფლობელობას ისეთივე კერძოობითის საკუთრების მნიშვნელობა აქვს, როგორც თავად-აზნაურისას, მღვდლისას, თუ სხვისას. ჩვენში მფლობელობა კომლეულია, მემკვიდრეობითი და სამუდამო ყველა წოდებათა შორის. მაშასადამე, ამ მხრით განაწილება სოფლად მცხოვრებთა და დარღვევა სოფლის ერთობისა, უსაბუთოა, უმიზეზოა. განსხვავება არის მამულის მეტ-ნაკლებობაში, როგორც თითონ თავად-აზნაურთა შორის, ისეც გლეხთა შორის. მამულის მეტ-ნაკლებობა საკუთრივ და ქონების მეტ-ნაკლებობა საერთოდ სოფლის მმართველობის საგანს არ შეადგენს და არც მისგან წარიმართვება. ამიტომაც ევ მეტ-ნაკლებობა სოფლის მმართველობის შესაბამის შემთხვევაში შულლის მიზეზად ვერ შეიქნება. სოფლის მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება, სარჩო-საბადებელის, ქონების, საკუთრების საერთოდ გაფრთხილება მტაცებლობისა, ქურდობისა და ავაზაკობისაგან, მინდვრების, ვენახების რიგიანი დაცვა წანახელისაგან, კარგის გზების, ხიდების, რუების ქონვა და გამგეობა, კარგი რიგიანი და იაფი სამართლი იქავ თვალწინ მრავალ-გვარ წვრილმან საქმეებისათვის, საერთო მზრუნველობა სკოლისათვის, საპყართა და უძლურთა პატრონო-

ბისათვის, საერთო შეელა და ხელის გამართვა შიმშილო-
 ბის დროს და სხვა უბედურობის დღეს, თანასწორი განა-
 შილება სახელმწიფო სამსახურისა, ხარჯისა, ბეგარისა,
 საერთო საჭიროებისათვის შუამდგომელობა უმაღლეს
 მთავრობასთან, ერთის სიტყვით—ყოველ შინაურ სოფ-
 ლის საქმისა კეთილად დაწყობა წ სამართლის გამგეობა,—
 ეს იმისთანა საგნები არიან თვითმმართველობისა, რომელ-
 ნიც ერთნაირად შეეხებიან სოფელში მცხოვრებთ თავად-
 აზნაურთა და გლეხთა, ერთნაირად სანატრელია და სა-
 ზრუნველი ყველასათვის, ვინც კი სოფლის საზოგადოე-
 ბაში სცხოვრებს. ყოველს ამაში საშულო, სამტრო რა
 არის? აბა, რა არის აქ იმისთანა, რომ ერთმა წოდებამ
 სულ თავისკენ მიიზიდოს და მეორე ცარიელზედ დააგ-
 დოს? იტყვიან, ხარჯის გაწერაში, ბეგარის განაწილება-
 ში—სოფლობაში *. აირევ-დაირევიანო. განა ეგ მიზეზი
 თითონ გლეხთა შორის დღეს არ მოქმედებს? განა მეტ-
 ნაკლებობა ხარჯის, ბეგარის გაწერაში დღესაც არ არის
 მიზეზად ცხარის ბაასისა მდიდართ და ღარიბთ გლეხთა
 შორის? აბა, ერთი მიჩვენეთ მაგალითი, რომ მაგ ჩიზეზს
 განხეთქილება რამ ჩამოეგდოს სადმე ისეთი, რომ მთავ-
 რობის მიშველება დასჭირებოდეს?

ამ-სახით, არც ჩეგნის სოფლის ეკონომიკურს მდგო-
 მარებობაში და არც თვითმმართველობის საგანთა შორის
 არ არის მიზეზი კაცმა ითვიქროს, რომ თავად-აზნაურობა
 და გლეხობა ერთმანეთში ვერ მოთავსდებიან განუყოფ-
 ლად. ახლა ვნახოთ, იქნება ეგ მიზეზი იმაში იყოს, რუ-
 სები რომ ეძახიან „составные предразсудки“.

*) Сход.

ჯერ დავიწყოთ იქიდამ, რომ ჩვენს ენაში სიტყვაც
 არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული
 სიტყვა „составие“ ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა
 „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა; ეხლა შემოგვყავს ვაინაჩ-
 რობით და ისიც ვინ იცის — ვარგა სახმარად თუ არა.
 არამც თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ან მაგის მსგავსი რამ
 აზრითა და მნიშვნელობითა, ძველს კანონებშიაც და წე-
 რილებშიაც არსად არ შევხვედრივართ. ეს იქნება იმის
 მიზეზითაც იყოს, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებაში და-
 დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა. არ არსებობდა
 იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენელობა
 ჰქონდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და
 მეორეს — არა, და ერთს ამით ეჩაგრა მეორე. ჩვენში ყვე-
 ლანი ერთნაირად უხმონი და უფლებას მოკლებულნი
 იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა. თუ რაიმე მაგა-
 ლითებია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენს ხელმწიფოებს
 კრება-მოუხდენიათ და მოუწვევიათ სამღვდელონი და
 დიდებაცნი რჩევისათვის, ეგ ამ წოდებათა განსაკუთრე-
 ბით უფლებას კი არ მოასწავებდა, არამედ უფლებას
 თვით ხელმწიფისას, რომელიც, თვისის სურვილისამებრ,
 თუნდა მოიწვევდა და თუნდა არა. ამის გამო, იმ
 ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების
 დასაპყრობად, გასავრცობად, რომელიც უვროპაში იყო
 და ეხლაც არ გათავებულა, და რომელიც უპირველესი
 მიზეზი იყო ერთს წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ად-
 გილი არა ჰქონია.

ჩვენ ამით იმის თქმა-კი არ გვინდა, რომ ჩვენ
 ცხოვრებაში საკულოად არ ყოფილა ელემენტები, რო-
 მელთ მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე
 და შეხეთქებამდე მიიყვანდა, თუ დასკალდებოდა. ჩვენ

იმას ვამბობთ, რომ რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკე-
შად დაყოფაც ერისა არ იქნებოდა, არ იყო წყობ-წყო-
ბად განცალკევების მიზეზიც ჩვენს ერობაში, რომელიც,
თუ თვის ცხოვრებაში უნუგეშობას რასმეს ჰგრძნობდა,
საერთოდ ჰგრძნობდა, რადგანაც ყველანი, როგორც ზე-
ვითა ვსოდეთ, ერთნაირად იყვნენ უფლებას მოკლებული,
ერთნაირად უხმონი და უტყვინი ქვეყნის საქმეთა გამგეო-
ბაში. თუ ევროპას მივხედავთ, იქ სულ სხვა ამბავი იყო.

შუა საუკუნოებში ერთი განსაკუთრებითი ხელა-
მოქმედება* იყო ევროპაში. ის ხელთ-მოქმედება მიწის
შემუშავება იყო და მის გამო მიწა შეიქმნა ცილების
საგნად, რადგანაც იგი იყო პირველი ჯა მხოლოდითი
წყარო ქონებისა. ამიტომაც იქ ერობის ორი უპირველე-
სი წოდება—თავად-აზნაურობა და სამღვდელოება—იმის
ბრძოლაში დასრულდა, რომ მიწა მარტოდ ხელში ჩაეგ-
დო და, როცა ჩაიგდო, საზოგადოებრივი და სახელმწი-
ფოებრივი უფლებაც განმარტოებით დაიპყრა. პირველი
გამოისახა ფეოდალობაში და მეორე მასში, რომ მარტო
მიწათ მფლობელობა შეიქმნა წარმომადგენელად სახელ-
მწიფო საქმეთა გამგეობასა და წარმართვაში. მეჩე, რო-
ცა ერთ წარმატებაში შევიდა, როცა ვაჭრობა გახში-
რდა, გაშირდა საფაბრიკო და საქარხნო ხელთ-მოქმე-
დება, მაშინ ქონებითმა ძალამ სხვა სახე მიიღო. მაშინ
მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი.
დაიჭირა ეჩის ცხოვრებაში. მაშინ მოძრავთა სიმდიდრის
პატრონი შეეცილნენ საზოგადოებრივს და სახელმწიფო-
ებრივს უფლებას მიწის მფლობელთა თავად-აზნაურობას
და სამღვდელოებას. ეს შეცილება გათავდა საფრანგე-
ოს დიდ რევოლიუციით. ამ რევოლიუციამ წმოაყენა

*) Промышленность, производство.

მესამე წოდება „ბურუუაზია“, რომელმაც მიწათ-მფლობელობას ჩამოაკალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგიერად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა.

ამ ბურუუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ გრიგორია და ის კი, რამაც საკუთრივ შეჰქმნა იგი მოძრავი სიმღიდოებე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი — შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშა-კაცია. დღეს ეს მუშა-კაცი იბრძვის ევროპაში, რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივს წყობაში არა პქნდეს განსაკუთრებული და ამისათვის ყოველ-გვარის წყობის ქაკუთხედად სდებს შრომასა, რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია, რაზეანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს. ამ სახით, დღეს ევროპაში წარმომდგარია მეოთხე წოდებაცა, სახელდობრ მუშაკთა, რომელიც სიმრავლით ყოველს წოდებაზედ უდიდესია. დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედა-აზრისათვის და იმედიცა აქვს. გამარჯვებისა. ჩვენ ეს მცირედი შენიშვნა იმის საჩვენებლად მოვიყვანეთ, რომ ევროპაში მიზეზია — და დიდ საბუთიანიც, — წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთის ცილობისა.

ჩვენში რა არის, აბა, მაგის მსგავსი? ჩვენში თავალ-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა პქნდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იქსენიებოდა და გლეხი კი არა. „მამულის-შვილს (гражданин), — ამ-ბობს ერთი მწერალი, — საქმე არა აქვს მასთან, რომ თავალ-აზნაურობა პნის თავის ოთახში და შეჰქმნარის თავის მამა-პაპებს და თავის მამულ-დედულსაო. ხოლო როცა

თავადი ან აზნაური მოიწადინებსო, რომ ჩემს მატულ-დე-დულს და ჩემს მამა-პაპას უპირატესი, განსაკუთრებით მნიშვნელობა მიეციო საზოგადოებაში, მაშინ მამულის-შვილი უნდა გულზედ მოვიდეს და უთხრას იმ თავად-აზნაურსა: შენ ფეოდალი ხარო“.

ეკონომიური ძალი კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწის-მფლობელობიდამ წარმოდგება, და ყოველი-ვე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესშე იქნება, ჩვენში ვერც ერთია წოდებამ, ღვთის მაღლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამა-პაპით დაჩემებული აქვს. თითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნი-ლებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ამის მაგალითი ხშირია იმერეთში.

რაკი ესენი იყო, რაკი უფლება ქვეყნის გამგეობისა მარტო ხელმწიფესა ჰქონდა და არავის სხვას,—ერთსა რა უნდა შეჰშურებოდა მეორეში, ერთი იმისთანას რას დაეხარბებოდა მეორეს, რომ ამით ერთი წყობა მეორეს გამჭედ გასდგომოდა და ჩაენერგა ის განთვითეულების, განცალკევების გრძნობა წოდებათა შორის, რომელიც ეხლანდელის ეგრძობის მწვავს, ტკიფილს შეაღგენს. აქ, რა-საკვირველია, ბევრი ჰოცი ითქმის და ბევრი არაც, მაგრამ ჩვენ იმაზედა გართ დამყარებული, რომ წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება—რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც

გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჭმორებია გლეხობას, არ შეუკუტნია თავი, თავისი საქუთარი ინტერესები არ შემოუხაზვს ისე, როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით, არ გან. საკუთრებულა ერთს წყობად, ერთს დასად. განა ჩვენში თავადი, აზნაური, ისე მიუკარებელია გლეხისათვის, როგორც სხვაგან? ბევრი მაგალითებია გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის ნათელ მირონობისა და დამოყვრებისაც; ათასი მაგალითია ერთმანეთთან ნადიმობისა, შექცევისა, ლხინისა, ტირილისა და ყოველ-გვარ ერთობისა; ბევრი მაგალითია, რომ სოფლის მმართველობის წესდების წინათაც და მას მერმეთაც თავადი, აზნაური, სიამოვნებით დაპირისილებოდეს გლეხთა სასოფლო გამგეობას და სოფელს კიდევ თავის ნებით შინაურულად ჩაებარებინოს სასოფლო საქმეების გამგეობა თავადისთვის, აზნაურისათვის. თითონ ამის დამწერი მოწამეა, რომ სოფლის შეყრის დღეს თითონ გლეხთ უთხოვნიათ თავად-აზნაურებისათვის, მღვდლებისათვის, თქვენც მონაწილეობა მიიღეთო ჩვენს სასოფლო საქმეებში, თქვენც და ესწარით ჩვენს სოფლობაშიო* და კისრად იდეთ, რასაც განვაჩინებთო, და ამაზედ თავად-აზნაურობას უარი არ ეთქვას. თითონ ამის დამწერი მოწამეა იმისიც, რომ ორმა საზოგადოებამ სახელმწიფო გლეხთაგან მოინდომა აზნაურშვილი მამასახლისად ამოერჩივა, მაგრამ კანონმა ნება არ მისუა; ბევრი მაგალითია, რომ გლეხი თავს ანებებენ თავის სასამართლოს და განსამართებლად ან თავადთან, ან აზნაურთან და ან მღვდლელთან გარბიან. ეს მაგალითები გვაუწყებენ, რომ ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს; რომ

*.) Сход.

ერთმანეთს არამც თუ ეუცხოებიან, არამედ ერთმანეთი-
სკენ მიიზიდებიან. ერთის სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში
არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამო-
ვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გა-
იშალოს. ამას უნდა დავტრიფიდეთ და შევხაროდეთ და
არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. ამას ხელის შეწყო-
ბა პმართებს და არა ხელის შემართვა. ამით იმის თქმა
კი არ გვინდა, რომ ჩვენში გლეხი, თავადი, აზნაური, თუ
მღვდელი ყველგან ეგრე ძმურად სცხოვრებენ. არა, — ძალა-
ან ბევრაგან სუფეეს განხეთქილება, ხოლო დიდი შეკდომა
იქნება, ამისი მიზეზი თითონ წოდებათა წყობას, მის ში-
ნაგანს არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქ-
დამ წარმომდგარ მიღრეკილებას მივაწეროთ. ამისი მი-
ზეზი იგივეა, რაც თვითონეულ კაცთა შორის: ავი გული,
ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა.

„ისტორიაო, — ამბობს ერთი მწერალი, — ბრძოლაა
ბუნებასთან, სილარიბესთან, გონების სიბნელესთან, ლო-
ნე-მიხდილობასთან, მაშასადამე ყოველ-გვარ შეეიწროე-
ბასთან, რომელსაც ადამიანი პირისპირ შეემთხვევა ხოლ-
მე, როცა ისტორიის ასპარეზზედ გამოდისო. ერთს ბიჯ-
საც წინ ვერ წავდგამო ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალ-
კე გავიწიეთ, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთო“. თუ ესეა,
ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩა-
ყენება სანაცრელი არ უნდა იყოს ყველასათვის. ნუთუ
ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმო-
იფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზე-
ზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდე-
ბულს დენას შეერთებულის ძალისას. ამიტომაც დიდად
სცოდვენ ქვეყანას და ხალხსაც; ნამეტნავად ჩვენში, —
ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა, განხეთქი-

լոյթ շնծա ուզցըս ֆուգեթատա ՚մորոկ, հաջանապ յշրո-
քա՛շի յց ցանեթյօլցի սովորը ցան յշրութ ուղբա-
դրութ և ռունեսա ՚յարհազե, ուղբա սուսելսա ՚լցրոկ,
հոմ յց ցանեթյօլցի մուսեմու?

մա՛շ, սապա յց ար արոկ, հաճ ցցոնծա հոմ ուզու? յց
ոմա յցանեցի, հոմ յապմա նացազո ՚յութանու սաելմի մար-
թո մօմսատցու, հոմ մերո սածուտի ՚յոնցը ստյան:
սաելս դացա շնծառ. հաճ ցցոնծա հիցեն այ ծամո, ան հա-
սասարցեծլուա? մացրամ հա? ՚յոնտեշլոնի, հոմելու, սա-
յցտառ ՚յոն մոյլցեծլու, սեզուսու սկեցրեծ և մարթո
ծամուտ սուլցոմյլոնի, ամ ՚յեմտեցեցա՛շի, ՚յոնառցո զուուտ,
Կլելո օյնցի դա, համցենու ցոնծառ պյուպո ՚յեայ-
րուտ, ար դակյերս.

յցրուո յոցյլ-մերուտ սսագուցլու և սմոկչէն
ցամոյլցի ՚ոցուրո ֆուգեթու սահոցագո սայմեյցութամ
սահոցագո ՚յուրուտ սմժօմցի ցլցիս մուտ, հոմ մարթո
ցլցի-լա ուժու սահոցագուցուն սամսաելու, յ՛շեց ծեցա-
հաս, այցուց ցիցի, ՚յարուցլոնի, ուրաց սահոցագո
մշցութունոնի, ուրաց յցըլու սայցուրեցիս մերապրելո-
ծուս ու ՚յանաեցուսացան և ամ սոյցուց սալայնցեծլուա-
դ ՚յոլեցոմոլնո արուն յցըլանո, զոնց յո սուցլու ՚յրեշի
սկեցրոնի, եռլու եարջի, ուլլու ՚յեցա՛շի յո-արա.
ամու ցամո ցլցի յցըլուց ուցու մմարուցըլոնիս ույ յո
արա, հոցուրու յցըլուցի, արմեց հոցուրու ՚յուրուտ, ցար-
ցասանց համեյս և յոցլու ըռնուսնոյցիուտ ցուոլոնի,
՚մորու ուզու սուցլոնիահեցապ և մմարուցըլոնիահեցապ,
հոմելու սոյցուց յցըլու յցըլու յնա՛շուցի և ՚յուրուտ-յո
յուրուտ ՚յուրցի յուրցի. հիցեն դարի՛մոնցեծլու զարո,
հոմ ամ-ցարու յցըլու դլցւց համուարուց ցլցի, ցլց-
ի ՚յարմսապ ար ՚յեօթրու; և տոտոն տացագ-ահնայրոնի-

ცა და სხვა წოდების კაცნიც უნდა ჰგრძნობდნენ, ჩვენის ფიქრით, დიღს დანაკლისს, რომ სოფლის გამგეობა, როგორც სოფელში მცხოვრებთ, იმათაც, ნებით თუ უნდლაეთ, შეეხება და ამ გამგეობაში არც ხმა აქვთ და არც არჩევანის უფლება:

რაკი წესდებამ გამოაკლო სოფლის თვითმმართველობიდამ ზოგიერთი წოდებანი, სოფლადვე მცხოვრებნი, რაკი არ მიანიჭა მათ არარაიმე ხმა და უფლება სოფლის გამგეობასა და წარმომადგენელობაში,—ამას, რასა-კვირველია, ისიც ზედ უნდა დაჲყოლოდა, რომ ისინი სოფლის მმართველობის ქვემდებარეობიდანაც განეთავის სუფლებინა. ასეც მოახდინა. 23, 36, 39 მუხლთა ძალითა უველანი, ვინც-კი გლეხკაცობას არ ეკუთვნის—თა-ვადნი, ახნაურნი, მლვდელნი, დიაკვნები, მოქალაქენი, სოფლად მოვაჭრენი, მეტატონების შინა-მოსამსახურენიც კი, —თავისუფალნი არიან სოფლის სამმართველოს გამგეობისაგან; ვერც სოფლის უფროსი მოხელე-მამასახლისი, ვერც სოფლის სასამართლო მათ ვერ შეეხებიან. ამით წესდებამ ხელ-ფეხი შეუკრა სოფლის მმართველობასა; ამით უარ-ჰყა მეორე ძირეული კანონი თვითმმართველობისა, სახელმრობრ იგი, რომ ადგილის სამმართველოს ხელქვევით უნდა იყვნენ ყველანი, ვინც კი სამართველოს წრეში სცხოვრებენ; ამით უარ-ჰყო პირიადი თანას-წორობა კანონის წინაშე, თანასწორობა, რომელიც სულია და გული ყოველის წყობისა და ნამეტნავად თვით-მმართველობისა. უამისოდ თვითმმართველობა უქმი სი-ტყვაა, უნაყოფო ხეა; უამისოდ სოფლის სამმართველო თავის-დღეში ვერ მოიპოვებს მცხოვრებთა თვალში იმ პატივს; რომელიც სანატრელია და ურომლისოდაც მისი წარმატება და სიკეთე შეუძლებელია.

24 მუხლი წესდე ისა—მამასახლისს, ესე იგი უფროსს სოფლის მოხელეს, ვალად სდებს წესიერება და შევიღობიანობა არავის არ დაარღვევინოს, ადამიანი და იმისი ქონება ავ-კაცობისაგან დაცულ ჰყოს. თუ ამ-გვარებში დამნაშავეა გლეხეაცი, მამასახლისს გზა აქვს გახსნილი შევიღობიანობის და წესის აღდგენისათვის. მაგრამ დანაშაულობა განა გლეხეაცის აუცილებელი თვისებაა? სხვა, არა-გლეხი, სოფლის წრეში მცხოვრები, არ არის მითამ საშიშარი წესისა და რიგისათვის, ადამიანის მშვიდობიანობისათვის, მის ქონების ხელუხლებლობისათვის?! რა უნდა ჰქმნას მაშინ მამასახლისმა, როცა ამ-გვარებში დამნაშავედ გამოდის არა-გლეხი? წესდების 23 მუხლის ძალით, გულტედ ხელი უნდა დაიკრიფოს და სეირს უყუროს. ამისთანა ულონო მოხელეობას რა პატივი უნდა ჰქონდეს ხალხის თვალში და რა ზედმოქმედება გლეხეაცზედ, თუ სხვაზედ?

სოფლის სასამართლოც ამ დღეშია. მას, წესდების ძალით, ხელი მიუწვდება მარტო-გლეხეაცზედ. თუ გლეხეაცმა დააშავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ აუსრულა, ყველას, სოფელში მცხოვრებს: თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს ნება აქვთ იქავ თეალ-წინ, უხარჯოდ, მოუცდენელად, სოფლის სასამართლოს შემწეობით, გადაახდევინოს გლეხს სასჯელი, თუ საზღაური; და თუ არა-გლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუზრდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი იძულებულია ათს, ოცს, ოც-და-ათს ვერსტზედ გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიპაროთს, რამდენიმე დღე წასკლა-მოსკლაში. დაჰკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს, მერე კიდევ დაიბარონ, კიდევ მოსცდეს რამდენიმე დღე წასკლა-მოსკლაში, ჭამა-სჭაში ტყუ-

ილ-უბრალო ხარჯი გასწიოს. ეს ყველა იმისთანა მძიმე რამ არის გლეხისათვის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისი დაჩაგვრა არა-გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ისე მიუწვდომელია—როცა დიდი სხაგრავს, გული აიყაროს თავის სამმართველოზედაც, რომელიც ულონოა დიდის წინაშე. რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელსაც ხელი მიუძღვის მარტო გლეხეაცზედ, იმ დაბალ-ლობეზედ, და არა-გლეხის წინაშე კი გულზედ ხელს იკრეფს?! რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ—ცეცხლად?! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჰირვებულს არ ესარჩება, არას შეელის, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან გაუჭირდება რაში! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს ულონობით, როცა გლეხს უპატიურად ხდის არა-გლეხი, და როცა კი არა-გლეხს უპატიურება მიაღება გლეხისაგან—მაშინ კი ძალასა და ლონეს იჩენს? ან თითონ სამმართველომ როგორ აღასრულოს 24 მუხლის მოთხოვნილება, როცა სოფელში იმისთანანიც არიან, რომელნიც სოფლის მმართველობას არ ეხელქვეითებიან?

წინათაც მოვციხესნებია და ეხლაც ვიმეორებთ, რომ შეუშლელს თვითმმართველობას საზოგადოდ და სოფლისას კერძოდ ორი მხარე აქვს: ერთი—მთავრობითი, მეორე—საზოგადოებითი. პირველით სოფლის თვითმმართველობა მთავრობის პირველ-წყობის ორღანოა, მეორით—საზოგადოებისა, სოფლისა; პირველით ემსახურება

სახელმწიფოს, მეორით — საზოგადოებას; პირველით წარმომადგენელია სოფელში მთავრობისა, მეორით — მთავრობაში სოფლისა. წინათ გასინჯული გვაქვს სოფლის თვითმმართველობა რამოდენად წარმომადგენელია ჩვენში სოფლისა, საზოგადოებისა. ჩვენ იქ ის აზრი გამოვთქვით, რომ ჩვენის სოფლის თვითმმართველობითი წყობა წარმომადგენელია მარტო ერთის წოდებისა და არა მთელის სოფლის საზოგადოებისა. მთავრობითი მხარეც რომ გავუსინჯოთ ჩვენს სოფლის მმართველობას, აქაც ბევრს სანუგეშოს ვერას ვიპოვით.

მთავრობითი მხარე თვითმმართველობისა იმით არის ძვირფასი საზოგადოდ ყველასთვის და გლეხისთვის საკუთრივ, რომ ამ მხრით სოფლის თვითმმართველობა მახლობელი მფარველია მისი, მისი ადამიანობისა, მისი ლირსებისა, მისი პატივისა და ქონებისა. რაკი ზემოხსენებულთა მუხლთა (23, 36 და 39) ასე შემოაჭრეს ფრთები ამ მფარველობას, სახარბიელო რაღა დარჩა გლეხს თვითმმართველობაში? რაც მისთვის სანუკვარი იყო, ის ჩამოცლილი აქვს მთავრობითსა მხარეს თვითმმართველობისას; სხვა ამ მხრის რაღა დარჩა თვითმმართველობაში გლეხებიც სანატრელი და ხელმოსაჭიდი? არაფერი. თვითმმართველობა შეიქმნა მხოლოდ ორბანოდ, რომელმაც ასრულებაში უნდა მოიყანოს ყოველი ბრძანება უმაღლესის მთავრობისა, აბეგროს ხალხი, ხარჯი ახდევინოს და სხვა ამ გვარი, ესეი იგი, რაც გლეხებიც სამძიმოდ მიაჩნია, იმაში ძალა უნდა დაატანოს. და მართლადაც ამის მეტს არც არას აკეთებს სოფლის სამმართველო, და არც არავინ ნაღვლობს, რომ შეტი რამ გააკეთებინონ. ამის გამო ამ მხრით სოფლის სამძართველო გლეხებიც მარტო მაზრის უფროსის ჯოხად მიაჩნია, რომელიც დღე მუდამ მის სახლის დირე-

ჰედ მიუკარგებულია, და არა მთავრობითის ძალის წარმომადგენელად, რომელმაც მთავრობის ნებაც უნდა აასრულოს და ჩაგრულთაც მფარგელობა გაუწიოს ყველგან და ყოველის წინაშე. ამ-სახით, ჩვენს სოფლის თვითმმართველობას უკეთესი მხარე ჩამოეცალა და მარტო იმ კვალში ჩადგა და გაისისწვრივა, რომლითაც იგი უფრო ნაკლებ სანდომია გლეხკაცისათვის. რაც უნდა იყოს, კაცს ყოველთვის ენდომება, რომ თავში საცემი ჯოხი პატარა შორს იყოს და არა ცხირ-ჭინ, რაკი უმისობა შეუძლებელია.

ამიტომაც გლეხკაცი ვერაფრად აფასებს თავის სამხართველოს, რომელიც მისთვის ყველგან არ არის გამოსადევი არც ფარად, არც ხმლად; ამიტომაც თავის სამმართველოს მოხელე კაცი, და თითონ კანონიც, მისთვის ჰეგონია მოგონილი, რომ მარტო მე მაღინოს ცხვირში ძმარიო, როცა დავაშავებო, ან როცა სახელმწიფო-სამსახურზედ უკან დაგიწევო, რადგანაც არც მოხელე და არც კანონი მოსარჩევედ და მფარველად არ გამოსჩენია; ამიტომაც იმედი აქვს იყრილი კანონზედაც, მის ძლიერებაზედაც, მის მიუდგომელობაზედაც; ამიტომაც იგი ისე გულგრილად ეკიდება მოხელეთა არჩევანის საქმეს: მისთვის სულ ერთია, პეპია იქნება თუ დათუნა. მე ზომ ჩემი ხარჯი და ბეგარა არ ამცდებაო და გაჭირებაში კიდევ არც ერთს შეუძლიან შველა, და არც მეორესაო, ამბობს გლეხი.

ამ-სახით, ჩვენს თვითმმართველობას სოფლისას ჩამოთლილი აქვს ის მხარეც, რომლითაც იგი წარმომადგენელი უნდა იყოს საზოგადოებისა, ესე იგი მთელის სოფლისა, და ის მხარეც მთავრობითის წარმომადგენელობისა, რომლითაც იგი უფრო სანატრელია გლეხკაციობი-

სათვის. ჩვენმა წესდებაშ თუმცა კარგა ფართო მოედანი შემოუხაზა სოფლის თვითმმართველობას სავარჯიშოდ და სამოქმედოდ, მაგრამ თითონ ფალავანს-კი ხელფეხი შეუკრა; ამიტომაც ჩვენის სოფლის თვითმმართველობა ასე უნაყოფოა, ასე უმოქმედოა იმ სიკეთისათვის, რომელსაც ყოველი კაცი სამართლიანად გამოელოდა თვითმმართველობისაგან.

სიკეთისათვის ხომ ასე ფრთამოქვეცილია ჩვენის სოფლის თვითმმართველობა, ბოროტისათვის-კი ფართო გზა აქვს, თუ, ვინიცობაა, სოფლის მოხელეთა; მაგალითებრ — მამასახლისმა, ნაცვალმა და მოსამართლებმა ვნება რამ მიაყენეს სოფლის მცხოვრებსა, აშკარად უკანონობა გაუწიეს სოფელს საზოგადოდ, ანუ თვითონეულს მცხოვრებს ცალკედ, ვნებულს ნება არა აქვს, ჩვენის წესდებით, საზოგადო სამართლის წინაშე იძიოს თვისი დანაკლისი, ნება არა აქვს საზოგადო სამართლით სდევნობა დამნაშავეს და ბოროტმომქმედს მოხელესა. 72 და 73 მუხლი წესდებისა ამბობენ, რომ ყოველი საჩივარი ამ-გვა-რებში უნდა მიიმართოს მაზრის უფროსისადმი და, თუ იგი დაინახავს, რომ მოხელე კაცი ღირსია სამართალში მიცემისა, მხოლოდ მაშინ უნდა მიეცეს მოხელე სამართალს; სოფლის მოსამართლებრ-კი სამართალში აძლევს მარტო გუბერნატორი, ისიც მაზრის უფროსის წარდგენითა. ჩვენს წესდებას დავიწყებული აქვს, რომ მაზრის უფროსიც და სოფლის მოხელეც ორივ ერთ-გვარი საფეხურები არიან ერთისა და იმავე კიბისა; ორიგესათვის ერთნაირად სასურველია, რომ უფლების წინაშე ყოველივე მტკუანი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ის კი ცოტაა, რომ ხშირად სოფლის მოხელე და მაზრის უფროსი ერთ-მანეთს ხელსა ჰგანენ, ერთმანეთს გადაებმიან ხოლმე უსურ-

ვაზივითა?! ამიტომაც სოფელი არ არის; რომ არ უჩიოდეს მოხელეთა ავ-კაცობას, მაგრამ, აბა, ბევრი მა- ჯალის ის, რომ მოხელე სამართალში იყოს მიცემული? ამიტომაც პასუხმგებლობა სოფლის მოხელეთა თითქმის სრულიად გაუქმებულია. ამ სახით, დარღვეულია მესამე ძირეული კანონიც თვითმმართველობისა, სახელდობრ ისა, რომ ყოველივე თანამდებობის მექონი კაცი პასუხმგებე- ლი უნდა იყოს საზოგადო სამართლისა და სამსჯავროს წინაშე, და არა წინაშე თვისითა უფროსთა. ყველას უნ- და ჰქონდეს ნება, მოხელეთა უფროსის დაუკითხავად, სდევნოს; ბოროტმომქმედს მოხელეს საზოგადო სამართ- ლით და იძიოს მისგან ყოველივე უკანონოდ დანაკლიის.

ამ სახით, ჩვენის სოფლის თვითმმართველობას ოთ- ხიდამ სამი უმთავრესი საფუძველი თვითმმართველობისა აკლია: 1. ხმა და არჩევნის უფლება უნდა მინიჭებული ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებს, — და არა აქვს; 2. ადგილობრივ სამმართველოს ყოველს ფერში ყველანი უნდა ექვემდებარებოლნენ, ვინც კი მის წრეშია, და არ ექვემდებარებიან; 3. ყოველივე მოხელე პასუხმგე- ბელი უნდა იყოს ყოველის წინაშე, ვისაც რასმე დაუ- შავებს, და უნდა იდევნებოდეს საზოგადო სამართლით, და არ იდევნება. მეოთხე საფუძველიც, თუ დარღვეული არ არის მთლად, შერყყული კი ძალიან არის, სახელდობრ მით — რომ ადგილობრივ მოხელეთა და მოსამართლეთა ყველა, სოფელში მცხოვრები ბინადარი, არ ირჩევს და ირ- ჩევს მხოლოდ გლეხი, ცალკე კომლად კამერალის აღწე- რაში ხსენებული.

ყოველ ამის გამო ჩვენის სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა-მსახურებს და და- რაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგა-

დოების ინტერესუებს. ამას ისიც დაუშატეთ, რომ პირველ
 ხანებში — და ბევრგან ეხლაც — ჩვენის სოფლის მმართვე-
 ლობას იმისთანა მაზრის მოხელეები შეხვდნენ, რომელ-
 თაც გაუნათლებლობისა და სიბრიყვის გამო, არ ესმო-
 დათ სიკეთე თვითმმართველობისა, და ვისაც ესმოდა,
 თვალში ეწოთირებოდა, როგორც მის უფლების მოცილე
 რამ. და რაღაც მახლობელნი მწროვნელნი სოფლის ახა-
 ლის მოხელეობისა ისინი იყვნენ, რასაკეირველია, სოფლის
 სამმართველოს იმ მხარეს უფრო გაუპრტყელებდნენ, რომ-
 ლითაც ეგი მათთვის უფრო გამოსადეგი, უფრო სახეირო
 იქნებოდა და უფრო სანუქარი მათის პატივმოყვარეობი-
 სათვის და თავმოწონებისათვის. ეკრეცა ჰქმნეს. მათ
 სოფლის სამმართველოს ჩამოაცალეს ის მცირედი სიკე-
 თეც საზოგადოებრივი, რომელიც ნაპერწკალსავით ბეჭ-
 ტავს წესდების ზოგიერთს მუხლში, და შეჰქმნეს იგი მარ-
 ტო დაბალ საპოლიკიო ორლანდ. ამ სახისაა ეხლა ჩვე-
 ნის სოფლის სამმართველო. დღესაც იქამდინ გაუპატიუ-
 რებულია სოფლის სამმართველო, რომ გლეხვაცი, მინამ
 სოფლის სასამართლოში შევა, ჯერ საჭიროდ ხედავ
 მაზრის უფროსთან გამოიქცეს და ბრძანება სიხოვოს,
 სოფლის სასამართლოშ საქმე გამირჩიოს. მაზრის
 უფროსებიც აძლევენ ამისთანა ბრძანებას, თითქო, თუ
 არ მისის, ბრძანებით, სასამართლოს ნება არა აქვს
 საქმის განხილვაში შევიდეს. ამისი მაგალითი ერთი და
 ორი კი არ არის, ეს თითქმის ყველგან ჩვეულებად მია-
 ლებინეს გლეხვაც.

აი სადამდი გაიწვდინა ფეხი და ხელი მაზრის
 შმართველობამ, რომ თითონ თავი აიძალლოს, ხალხის
 თვალში ძირს დასცეს სოფლის მმართველობა და
 თავის ყურმოჭრილ ყმად გაიხადოს. ჩვენ იმას აღარ გამ-

ბობთ, რა უპატიურად ექცევიან თითონ სოფლის მოხელეებსა. მამასახლისი, სოფლის მოსამართლე, რომელთაც თითონ ბისმარკიც კი საჭიროდ დაინახავდა ხელი გაეწოდა, როცა შეხვდებოდა, ბევრჯერ მინახავს, რომ მაზრის უფროსის ჩაფარს მათრახით წინ გაეგდოს. თითონ მაზრის უფროსი როგორ ექცევა ან ერთს, ან მეორეს,— მაგალი ნულარ გვეკითხავთ. ერთის სიტყვით, სოფლის მმართველი, სოფლის ამორჩეულნი კაცნი, სოფლის წარმომადგენელი,— დღეს მაზრის უფროსის და პრისტავების ბიჭებად არიან და არა მოხელედ.

აი ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ გლეხგაცობა არა ჰერძნობს და არც გამოელის თავის სამშართველოსაგან არა-რამე სიკეთეს და ყველა იგი არც თავისად მიაჩნია; აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის სამშართველო ყოველმხრივ ღონებიხდილია სიკეთისათვის; აი აქ არის სათვე იმ სამდურავისა, რომელიც ყოველ მხრიდამ ისმის სოფლის სამშართველოზედ და მის მოხელეებზედ; აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის მმართველობას კაი კაცი ერიდება და მოხელეობას არა კისრულობს; აი ეს არის მიზეზი, რომ გლეხები თავს არ იცხელებს, კაი კაცი ამოვირჩიოვო, და თითონ არჩევანიც თამაშისთვის მოგონილი ჰგონია.

ჩვენ აქვთის განვიხილეთ საფუძველნი თვითმმართველობისანი და, შეძლებისამებრ, ვაჩვენეთ, რომ იგინი უარყოფილნი არიან ჩვენის წესდების მიერ; ეხლა იმის გარჩევას შევუდგებით,— მაგ სახის წესდება ცნობიერად მაინც შეუფერეს თუ არა ჩვენს ცხოვრებასა და თითონ საქმის მოთხოვნილებასა.

ჯერ პირველად ვიტყვით მასზედ, თუ რა არის მიღებული საფუძვლად სოფლის საზოგადოების შედგენისა-

თვის, სახელდობრ – რის ძალით უნდა შემოევლოს წრე
იმ ადგილს, რომელიც ერთს სოფლის საზოგადოებას შე-
აღენს. 2 მუხლი წესდებისა ამბობს, რომ სოფლის სა-
ზოგადოება უნდა შესდგეს ყოველ გლეხთაგან, რომელნიც
ერთს სოფელში სცხოვრებენ. აქ საფუძველი ცხადია და
საბჭოიანიც. ხოლო საქმე იმაშია, წვრილმა სოფლებმა
რა ემნან? 3 მუხლი წესდებისა ამბობს მხოლოდ, რომ
წვრილი სოფლები ან მიეწერებიანო მახლობელს საზოგა-
დოებას, ან ცალკე საზოგადოებას შეადგენენო. ვინ უნდა
ჰქონას ეგა? თითონ ხალხმა? არა. ამ ორივე შემთხვევაში
განკარგულება მიენდობაო გუბერნატორსაო, რომლის
წარდგენაც აშ. საგანზედ დამტკიცებულ უნდა იქმნას
მთავარმმართებლის მიერ. ხოლო რაზედ უნდა დამყარდეს
გუბერნატორი, წესდება სრულიად არას ამბობს, თითქო
ეს ისეთი უმნიშვნელო საგანი იყოს, რომელიც შეიძლება
თითონ მცხოვრებთ არ ეკითხოს და უცხო კაცის ნება-
ცოფლობაზედ მიეგდოს, მაშინ როდესაც ამაზეა დამყა-
რებული შინაგანი ძალი და სიმტკიცე საზოგადოებისა.

ჩვენში ხშირია წვრილ-წვრილი სოფლები. ზოგჯერ აშ
წვრილ სოფლებს ისეთი მტრობა და დავა აქვთ მამულებ-
ზედ, ან ერთმანეთს შორის, ან დიდ სოფლებთან, რომ
მათი შეერთება ცეცხლისა და წყალის შეერთება იქნება
ერთმანეთის დასაშრეტად. ასეც მოხდა ბევრგან, იმიტომ
რომ, მარტო სიახლოვის ძალით მოახდინეს სოფლების
შეერთება და ყური არ ათხოვეს სხვა აღილობრივს ვი-
თარებას, რომლის მცოდნენი – როგორც მოგეხსენებათ –
ჩვენში ძალიან იშვიათნი არიან მთავრობის მოხელეთა
შორის. დღესაც ბევრი ასე დარღვეული სოფლის საზო-
გადოებაა ჩვენში და აქამომდე არავინ არ გამოჩენილა,
რომ ამას ყური ათხოვოს და წამალი დასდოს. თუნდ ესეც

არ იყოს, რამდენი პატარა სოფელია დიდ სოფელზედ
მიწერილი და მისგან ჩაგრული, რაღანაც პატარა სოფლის
ხმა სოფლობაში ხმაა მღალადებელი უდაბნოში და სხვა
არაფერი. რას გააწყობს ბევრთან ცოტა? ესეც კია წვრილ
სოფლებისათვის გასაჭირო, რომ ძალიანაც უნდოდეთ ცალ-
კე ყოფნა, ვერ შეეძლებათ, რაღანაც წესდება ვალად
სდებს იყოლიონ მოხელენი არა ნაკლებ ოთხის კაცის.
ამოდენა მოხელეებს სად გაუქმდვება პატარა სოფელი?

სოფლის სამართველოს შეადგენს: სოფლობა*, მა-
მასახლისი და სასამართლო. ჩვენა წესდება, ვერც თი-
თონ საქმის მიხდვით, ვერც ჩვენის ცხოვრების შესაფე
რად, ვერ უხაზავს თვითონეულს მათგანს მათდა შესაბამს
მოვალეობასა. სოფლობის მოვალეობა სრულად გაღმოვა-
ბულია რუსეთიდამ და, რაც ჩვენში სასამართლოს უნდა
ეკუთხნდეს, ის ზურგზედ აჰკიდეს სოფლობასა. მაგალი-
თებრ, 11 მუხლმა ვალად დასდო სოფლობას, რომ გაყრა
გლეხთა შორის მან მოახდინოს. ამას თავისი საბუთი აქვს
რუსეთში, თუმცა არც ძალიან ბევრი, — რაღანაც იქ სო-
ფლის მმართველობის დედა-ბოძად ყოველსფერში მიღე
ბულია სახასოდ მფლობელობა მიწისა და, მეშასადამე, ყო-
ველი ცვლილება მიწის-მფლობელობის შესახებ, ყოველი
ცვლილება პირადი თუ ოჯახობრივი, ცოტად თუ ბევრად,
იქ მთელს საზოგადოებას შეეხება. ჩვენში ეგ არ არის.
ჩვენში კომისაზე კერძოობითი მფლობელობაა. აქ გაყ-
რა კერძოობითს ინტერესს შეადგენს; ამიტომაც იგი მიუ-
ცილებელი მოვალეობაა სოფლის სასამართლოსი და არა
მრავალხმოვანის სოფლობისა, რომელსაც გლეხთა გაყრა-
ში არც მწევადი ეწვის და არც შამფური. ვისაც ცნობი-
ლი აქვს ჩვენის გლეხების ოჯახობრივი ვითარება, ვინც

*.) ხიდ.

როდესმე დასწრებია სოფლობას საზოგადოდ და ჩვენსას საქუთრივ, ის აღვილად მიხვდება, რომ სოფლობას არას-გზით არ ძალუდს გაჰყაროს ოუნდ ერთი ოჯახი, მთელს ერთ წელიწადისაც რომ თავი იცხელოს. აյი არცა გვგონია, რომ საღმე ამისი მაგალითი მომხდარიყოს. მაგ-გვარი გაყრა ვერც კი წარმოუდგენია ჩვენს გლეხკაცობას და თავში ვერ მოუთავსებია, რაღანაც მართლა-და მოუთავ-სებელია. ამის გამო ერთი დიდი ინტერესი ოჯახობრივი დაუქმაყოფილებელი რჩება ჩვენს გლეხკაცობას. და, თუ თითონ გასაყრელი ერთმანეთში ნება-ყოფლობით არ მო- რიგდნენ, კანონიერი გაყრის გზა სრულად მოსპობილი აქვთ. რამდენი შულლი, შფორთი და უბედურება მოსდევს ხოლმე ამას, — ეგ ჩვენმა სისხლის სამართალმა კარგად უნდა იცოდეს, იმიტომ რომ მაგალითები თვალ-წინ ბევრი აქვს.

რაც შეეხება მამასახლისის და სოფლის სასამართ- ლოს მოვალეობასა, აქაც ერთი რამ დიდად შესანიშნავია და საკვირველი. სოფლის სასამართლოს და მამასახლისს მიზომილი აქვთ უფლება — ბრალეულ გლეხებს სასჯელი დასდონ; ხოლო წესდებას დავიწყებია განესაზღვრა, რა დანაშაულობა ეხელექვეითება მამასახლისს და რა — სასა- მართლოს, ორივესათვის ერთს სიტყვას ხმარობს — „წვრილ- მანი დანაშაულობა“ *. 27 მუხლი ამბობს, რომ მამასახლისს ექვემდებარება იმისთანა წვრილმანი დანაშაულით, რო- მელსაც სასჯელად მოსდევს ორის დღით სასოფლო სამუ- შაოდ დანიშვნაო, ანუ ერთი მანეთი ჯარიმათ, ან ორის დღით დამწყედევათ; სხვა, უდიდეს სასჯელთა დანიშვნა-კი სოფლის სასამართლოს საქმეათ. ამის მეტი სხვა არა-რაიმე სახლვარი არ დაუდგია წესდებას სასამართლოსა და მამა- სახლისს შორის. არსად ჩამოთვლილი არ არის, რომელს

*) Маловажные проступки.

დანაშაულობას მოსდევს ორის დღის მუშაობა, ერთი მანეთი ჯარიმა და ორის დღით დამწყვდევა და რომელს — ამაზედ უმძიმესი. ასე რომ, მამასახლის მა თუ მოინდომა, არც ერთს სადანაშაულო საქმეს არ მიაღწევინებს სოფლის სასამართლომდე, ყოველს საქმეს თავის ქვემდებარედ გახდის; იტყვის, ამაზედ მეტი სასჯელი არ მოსდევს ამ დანაშაულობასათ, რადგანაც სხვა ზომა დანაშაულობისა, თითონ დანაშაულობის თვისებაზედ დამყარებული, წესდებას დავიწყებია მოეხსენებინა. ცხადია აქედამ, რამოდენა ბორტომოქმედება შეუძლიან მოახდინოს მამასახლისის ნება-ყოფლობამა, თუ პატარა მოხერხებულიც არის. საჭიროა სახელდობრ ჩამოითვალოს თვითოვეული დანაშაულობა, მამასახლისის საკუთრი ცალკე და სასამართლოსი ცალკე; და უფრო უკეთესი იქნება, რომ მამასახლისს ჩამოაცალონ უფლება სასჯელისა, რადგანაც ეს სასამართლოს საქმეა და არა ხელთუფლობისა.

სამოქალაქო საქმის გარჩევაში მამასახლისს არაფერი უფლება არა აქვს, და საბუთიანადაც. ხოლო აქაც, ჩვენის ფიქრით, წესდებას დავიწყებული აქვს ჩვენის გლეხეცის ვითარება. სოფლის სასამართლოს მინდობილი აქვს განარჩიოს ყოველივე საქმე ქვემდებარე გლეხთა შორის, როცა სადაც საგანი ათის თუმნის ლირებულებას არ აღემატება. ამ საზღვრამდე იგი ყოველს საქმეს საბოლოოდ სწყვეტს, ასე რომ უკმაყოფილო გლეხს ნება არა აქვს საღმე საჩივარი შეიტანოს სოფლის სასამართლოს გადაწყვეტილებაზედ. ეს მეტად მძიმე რამ არის გლეხეცისათვის. ხშირად გლეხეცაც სულ ერთიანად მოუშლის ხოლმე ბინას, არამც თუ ათის თუმნის ზღვევინება, არამედ ნაკლებისაც, და რატომ არ უნდა ჰქონდეს ნება, რომ გადაწყვეტილება, რომელიც უმართლოდ მიაჩნია და რო-

მელსაც ამოდენი ვნება შეუძლიან მიაყენოს, ხელ-ახლად გაასინჯოს უმაღლესს მოსამართლეს? ამას არა წოდების კაცი მოკლებული არ არის, გლეხის მეტი, გლეხისა, რომელიც უველაზედ უფრო მეტად საჭიროებს გულმოდგინეს, განათლებულს და კეთილსინიდისიანს მოსამართლესა და ყველაზედ მეტს განსაცდელშია, რომ საქმეს რიგიანად ვერ გაურჩევენ, რადგანაც ვერც თითონ არის რიგიანად საქმის ამხსნელი, და მოსამართლედაც თავისაგბრ ბნელი და უვიცი მოხელენი ჰყავს. ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ ვეინდა, რომ სოფლის სასამართლო გაუქმდეს, ჩვენ გვესურს მხოლოდ, რომ რომელი საქმეც ერთს თუმანზედ მეტს იძიებდეს, გლეხს ნება პქნნდეს იმ საქმის თაობაზედ გადაწყვეტილება სოფლის სასამართლოსი უმაღლესს. სასამართლოს ხელმეორედ გაასინჯოს. ამ-გვარ სასამართლოდ უნდა იქნას მომრიგებელი მოსამართლე, სულ სხვა წესზედ და სხვა რიგით არჩეული და დადგენილი და არა ისე, როგორც ეხლა ჩვენშია.

ჩვენ მარტო უმთავრესნი ნაკლულოვანებანი ვაჩვენეთ ჩვენის ეგრეთ-წოდებულ თვითმმართველობისა და სოფლის სამართველოის წესდებისა. ჩვენ გვვონია, რაცა ვსთქვით, ეგეც სამყოფი საბუთი იყოს, რომ ხელ-ახლად გადისინჯოს ყოველივე კანონმდებლობა ამ საგაძზედ, თუ სოფლის კეთილ-განწყობა ვისთვისმე სასურველია, და ვისთვის უნდა იყოს სასურველი! ეს კია, რომ მარტო სოფელი, როგორც ნაბოლოვარი რგოლი რთულის ჯაჭვისა, ვერ ასაზრდოებს თვითმმართველობას, თუ მარტო სოფელში დაიწყება და სოფელშივე ჩაწყდება. სოფელს მაზრა უნდა მოჰყვეს, მაზრას—გუბერნია, როგორც ეხლა რუსეთშია, ხოლო სხვა წესით და სხვა რიგად უნდა მოეწყოს ჩვენში ეს საქმე.

წერილი მეტევსე

მომრიგებელი მოსამართლობა ჩვენში.

ბატონ-ყმობის გაუქმებას და სოფლის სამმართველოს დადგენას ზედ მოჰყვა ცვლილება ღვინისა და არაყის ბაჟის თაობაზედ. თუმცა ამ საგანს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ეკონომიკურის ვითარებისათვის და თუმცა ამან დიდი ზედმოქმედებაც იქონია ჩვენის ხალხის ქონებითს მეტ-ნაკლებობაზედ, მაგრამ მაინც მაგის გამოკვლევას ამ-ჯამად ვერ შევუდგებით. თავის დროზედ მაგ ლირს-შესანიშნავს საქმეს ისევ დაუყბრუნდებით. ეხლა კი ჩვენ უფრო გვეხერხება სოფლის სამმართველოს გამოკვლევიდამ პირდაპირ გადასვლა განსამართლების წესზედ. თუმცა ამით ქორონიკული ჯაჭვი ირლევეა, მაგრამ რჩება შინაგანი კავშირი, რომელიც არის ბობის მმართველობის და განსამართლების წესთა შორის საზოგადოდ. ჩვენ აქ სახეში გვექმნება მხოლოდ ერთი ნაწილი განსამართლების წესისა, რომელსაც ჩვენის ხალხის ცხოვრების დირექტორი უდის ფეხი, სახელდობრი ის ნაწილი, რომელიც შეეხება მომრიგებელ მოსამართლობის დაწყობასა და აგებულებას.

რომ ჩვენა და ჩვენი მქითხველნი ერთნაირის საწყაოთი შევუდგეთ ჩვენში დადგენილ მომრიგებელ მოსამართლობის ავ-კარგიანობის აწყვასა, საჭიროა ვიცოდეთ.

ის აზრი და საფუძველი, რომელზედაც არის დამყარებული მომრიგებელ მოსამართლობის წესი, ის აზრი და საწადელი—რომელიც დაუნიშნავს კანონმდებელს მისაღწევად. ეს მით უფრო სარგო იქნება ჩვენთვის, რომ იგი აზრი, საფუძველი და საწადელი, რომელიც ამ შემთხვევაში წინ წასძლომია კანონმდებელს, არის კეშმარიტი ნაყოფი მეცნიერებისა და ეკროპის ცივილიზაციის გამოცდილებისა. არც ერთს კანონმდებლობას რუსეთში ისეთი გარევეული და კეშმარიტი აზრი არ ჩატრთვია, როგორც განსამართლების წესსა საზოგადოდ და მომრიგებელ მოსამართლობისას ცალკედ; არც ერთს კანონმდებლობას არ შეჰქვედრია იმისთანა კაცნი, რომელთ ცოდნა და გონიბითი ძალი ესე შესაფერად შესწედომოდეს ამისთანა მაღლალს, უაღრესს და რთულს საქმეს, როგორც განსამართლების წესის დადგენაა. კანონმდებლობა რუსეთში სხვას არც ერთს საქმეს ასე ცნობიერად, გულმოდგინედ და კეშმარიტების სიყვარულით არ შესჭიდებია. ამიტომაც განსამართლების წესი რუსეთისა საზოგადოდ უფრო მოსაწონია, ვიღრე დასაწუნი, და ამაზედ უფრო მოსაწონია მომრიგებელ მოსამართლობის დაწყობილება, გარდა ზოგიერთის ნაკლისა, რომელიც შეპყოლია წესს სხვადასხვა გარემოებისა გამო. ეს სიკეთე რუსეთის განსამართლების წესისა და კანონმდებელთა ღვაწლისა აღიარებულია რუსეთის უკეთესთა კაცობრი და ეკროპიელ მეცნიერთა განაც.

მას შემდეგ, რაკი გამოკვლეულ იქმნა და აღიარებულ უწინდელის წესის უგრიგისობა და ბოროტი, ახალის წესის შემოლების წინააღმდეგ სამი საბუთი წარუდგინეს კანონმდებლებს. ერთი ისა, რომ ხალხი, თუ საზოგადოება, ჯერ მომზადებული არ არის, რომ შეიშვნიოს

ეგ ახალი წესიო და ამიტომაც ვერ მოიხდენსო; მეორე ისა, რომ ხაზინას იმოდენა თავისუფალი ფული არა აქვსო, რომ მაგ ახალის წესის ხარჯს გასწვდესო; მესამე—ვერც იმოდენა კეთილსინიდისიანს და მცოდნე კაცებს ვიშოვნითო, რომ ეგ ახალი წესი რიგიანად ამოქმედონო.

ამ საბუთებმა არ დააფრთხეს ივინი, ვისაც მინდობილი ჰქონდათ ახალის წესის დაწყობა და აგება და ასე მიუგეს მოპირდაპირებს:

თუ კანონი ჭეშმარიტს და სწორეს აზრზეა დამყარებული და ნამდვილის მიხეზისაგან წარმომდგარი, იმას დროს და ადგილს შერჩევა არ უნდაო, იგი უოველთვის და უველგან საკეთილოა და გამოსაღევიო. ძნელი საფიქრებელია, რომ საღმე ანუ როდისმე ადამიანი ცუდისათვის მომზადებული იყოს და კარგისათვის კი მოუმზადებელიო. გონიერი კანონი თავის-დღეში ცუდს არ მოახდენს. იქნება, რომლისამე მიზეზით, ან იმით, რომ კანონი ახალია, კანონმა რამდენსამე ხანს ლირსებისამებრ არ იმოქმედოს, მაგრამ უფრო ადვილად დასაჯერია; რომ იგი დაუყოვნებლივ ლრმად გაიღგამს ფესვებს და შეიქმნება ქვეყნის შშვიდობიანობის და კეთილდღეობის დედა-ბოძადა.

ფულის ნაკლებობა ხაზინაში წარმოსდგება ეკონომიურ ვითარებისაგან საზოგადოდ და, გარდა ამისა, საკუთრივ იმისაგანაცაო; როცა არსებითი ირლანდია მართლ-მსაჯულებისა რიგიანად აგებულნი და მომართულნი არ არიან. ეგ ურიგობა ამხობს კრედიტსაც და სულსა ჰეუ-თავს ყოველს ხელთმოქმედებას და წარმოებასაო. საცაკრედიტი ფრთას არა ჰშლის, იქ ფული არ შეაღვენს თანხას, მომქმედს და მწარმოებელს, იქ ფული სიმდიდრეს არა ჰქმნის, იქ ფული უქმიაო. ამიტომაც, თუ მართლა ხაზინა ფულის ნაკლებობას ჰგრძნობს, განკარგება განსა-

მართლების წყობილებისა — არამც თუ სასარგებლოა, აუცილებელი საჭიროებაა.

რომ ამბობენ, იმდენს კეთილსინიდისიანს და კანონების მცოდნე კაცს ვერ ვიშოვითო, რამდენიც საჭირო იქნება ახალის წესის გამოო, არც ეს არის საბუთიანი სიტყვაო. კანონი კაცს არა ჰქმნისო, ხოლო ეს კია: თუ კანონი ისეთია, რომ კაცი პოულობს მასში ღონისძიებას ცუდი საქმე ჩაიდინოსო, მაშინ კანონი ჰრივნის აღამიანსაო; თუ კანონი ისე ბნელია, რომ კაცს არც ესმის და ვერც გაიგებს; მაშინ აღამიანს არც ეცოდინება კანონი; თუ კანონი იმისთანაა, რომ თვით კეთილსინიდისიანს კაცები არ ძალუდს მისი აღსრულება უნაკლულოდ, მაშინ კანონს აღამიანი არც ასრულებსო. და თუ მართლა იმისთანა კაცები ცოტანი არიან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საქმაო კეთილსინიდისიანობა, საქმაო ცოდნა და გულმოდგინება ახალის წესის რიგიანად აღსრულებისათვის, — უწინდელის წესის უგარგისობის ბრალიაო, და ამიტომაც განკარგება კანონებისა ამ მხრითაც — არამც თუ სასარგებლოა, აუცილებელი საჭიროებაა.

ამ-სახით, ახალის წესის შემაღენელთა სახელი არ წაიხდინეს და სრულიად უარ-ჰყვეს ის მიზეზი, რომლის მიხედვითაც შესაძლო იყო უწინდელი უანგი ჩაჰოლოდა ამ ახალ წესსაც და მით მოეწამლათ ქვეყნის ჯანმრთელობისათვის მოსაზრებული საქმე. უარ-ჰყვეს და ამიტომაც რუსეთისათვის მიღებულ წესს განსამართლებისას ან სულ არ ეტყობა, ან თუ ეტყობა — ძალიან ცოტად, იმ სამთა მიზეზთა ზედმოქმედება.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით იმ განსამართლების წესზედ, რომელიც ჩვენში გადასხვაფერეს.

*) Сообщ. Госуд. Канц.

კითომ შეუსწორეს აქაურს გარემოებას და ისე დაადგინეს. ჩვენს წესდებაში იმ სამსავე უარყოფილ მიზეზს უპირატესი ადგილი დაუჭირა; ამ სამს მიზეზს შესწირეს უკეთე სი თვისებაზი და ღირსებანი ახალის წესისა. ამ სამს მიზეზს ანაცვალეს ის აზრიც, ის საფუძველიც, ის საწადელიც, რომელიც სულია და ხორცი ამ ახალის წესისა. თუმცა ეს არსად არ არის გამოთქმული თითონ წესდებაში ცხადად, მაგრამ რად მინდა კაცმა სოქვას მე ასეთი ვარო, როცა მისი მოქმედებაც მაჩვენებს, რაც არის. ნაყოფისაგან იცნობება ხე იჯიო, ნათქვამია.

რასაკვირველია, ნამდვილად ცნობილს და გამოკვლეულს აღვილობრივს გარემოებას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს ყოველს მთავრობითს განკარგულებაში საზოგადოდ და კანონმდებლობაში საკუთრივ; მაგრამ როცა უმთავრესი და არსებითნი საფუძველი ცვლილებისა არის ნაყოფი კაცობრიობის საერთო ცივილიზაციისა და მეცნიერებისა, მაშინ იგი საფუძველი ყველგან და ყველასათვის მოსახდენია და, თუ აქ ცვლილებამ უნდა დაუთმოს. რამე აღვილობრივს გარემოებას, თვით უმთავრესი და არსებითი საფუძველი კი არ უნდა გამოაცალოს საქმეს, არამედ საქმის მარტო წვრილმანი კუთვნილებანი უნდა შეუტჩიოს და შეუფეროს გარემოებასა. რასაკვირველია, ჩვენში არც აქაური გარემოება იყო ნამდვილად ვისგანმე ცნობილი და გამოკვლეული, არც უმთავრესი და არსებითი საფუძველი ცვლილებისა იყო პატივცემული. მას სრულიად ჩამოათალეს, რაც მის უცილო თვისებას და ღირსებას შეადგენდა.

ეგ უმთავრესი და არსებითი საფუძველი განსამართლების ცვლილებისა საქმაოდ კარგად და ვრცლად არის ცნობილი და აღიარებული მათგან, ვისაც რუსეთში მინ-

დობილი ჰქონდა ახალის წესის შეღვენა. რადგანაც ჩვენ
საგნადა გვაქვს გარჩევა მარტო მომრიგებელ მოსამართ-
ლობის წესდებისა, ამიტომაც მარტო ამ საგანზედ მო-
ვიყვანთ კანონმდებელთა აზრსა. მას შემდეგ ჩვენ ცხადად
დავინახავთ, რამოდენად შეშალა ის აზრი იმ სამმა მი-
ზეზბა, რომელიც ზემოთ წარმოგსტევით, და რომელიც
წინ წაიმძღვარეს ჩვენში „ადგილობრივის გარემოების“
სახელით.

რაც უნდა მარტივი წესი იყოს განსამართლებისა,
კანონმდებელთა აზრით, თუ თითონ სასამართლო შორს
არის მოდავეზედ, ან იმ ადგილზედ, საცა მფლობელობა
დარღვეულ იქმნა, ანუ ზიანი და წანახედი შოხდა და სხვა
ამ-გვარი, მაშინ წესი თვის საგანს ვერ მისწვდება, რადგა-
ნაც მოდავისათვის არც ანგარიშია, და ხშირად არც
ლონისძიებაა, შორს წავიდეს მცირე საფასური საქმისა-
თვის. სამართალი თვის მნიშვნელობას აუქმებს, როცა სა-
მისა თუ ათის მანეთის მაძიებელი იძულებულია ასს ვერ-
სტზედ წავიდეს, ანუ როცა საქმე იმისთანაა, რომ დაუ-
ყოვნებლივ მოხელვა უნდოდეს, და მინამ მაძიებელი შე-
ატყობინებდეს სამართალს და მინამ სამართალი ადგი-
ლობრივ ვამოძიებისათვის. მოვიდოდეს, ყოველივე კვალი
საქმისა წაშლილი იყოს. საბუთები მფლობელობის დარ-
ღვევისა, ანუ უძრავის ქონების წანახედისა, მარტო ადგი-
ლობრივ შეიკრიბება და მხოლოდ მაშინ, როცა სიმარ-
თლის დარღვევის უმალვე, დაუყოვნებლივ შეუდგებიან
საქმეს; უამისოდ სამართლიანი გადაწყვეტა საცილობე-
ლის საქმისა ძნელდება ხოლმე და ხშირად შეუძლებელიც
ხდება.

ამიტომაც საჭიროა, საზოგადო სასამართლოების-
გარდა, ცალკე ადგილობრივი სასამართლოც დაწესდეს,

იმისთანა სასამართლო, რომელიც მოდავისათვის მახლობლად იყოს და ისეთი მარტივი საქმის საწარმოო წესები ჰქონდეს, რომ შეეფერებოდეს უმრავლესის ხალხის საჭიროებასათ.

საჭიროება და მიუკილებლობა ამისთანა მარტივის დრო აღვილობრივის სასამართლოსი აღიარებულია ყოველს კეთილად განწყობილს სახელმწიფოშიო. მორიგება/ მოდავეთა და მორიგებით საქმის გათავება უპირატესი დანიშნულებაა ამისთანა სასამართლოსიო; ამიტომაც მას ჰქვიან მომრიგებელი სამართლიო.

მომრიგებელ მოსამართლეს მინდობილი აქვს გარჩევა იმ წვრილმან საქმეებისა, რომელიც ყოველ-დღე თითქმის წარმოდგებიან ხოლმე ხალხის ცხოვრებაში. უფრო მომეტებულმა ნაშილმა ხალხისამ კანონები არ იცის, მომეტებული ნაშილი ვერ იტანს ფორმალობას, პატივს სცემს მარტო ნამდვილს სიმართლესა და უფრთხილდება დროს; ამისათვისაც ხალხისათვის უფრო ის არის სანატრელი, რომ საქმე სწრაფად გაუთავდეს ხოლმე და საქმის განაჩენები დაშარებული იყოს მასზედ, რაც თითონ ხალხის მოსაზრებით სიმართლედ არის ცნობილი. უფრო ბევრს წილს ამ საქმეებისას მომრიგებელი მოსამართლე სწყვეტს საბოლოოდ და ამასთანავე საქმეს არჩევს და სწყვეტს მარტო თითონ ერთად-ერთი. უმთავრესი დანიშნულება ამისთანა მოსამართლისა და უმაღლესი ლიტერა მისის მართლმსაჯულებისა ის არის, რომ მშეიღობის მყოფელ შუა-კაცად ექმნეს მოდავეთა და მათ შორის მორიგება ჩამოაგდოს. რომ ეს დიდი დანიშნულება მართლა მიღწეულ იქმნეს, ამისათვის საჭიროა, რომ აღგილობრივი მცხოვრებნი ენდობოდნენ მომრიგებელ მოსამართლეს. ამ ნდობის მოსაპოებლად ისე კანონების

ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნობისა, ხალხის ზნისა, ჩვეულებისა, ერთის სიტყვით.— ყოველ იმისა, რითაც გარემოცულია აღგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ,— და ამასთანავე საჭიროა საკუთრივ კაცსა ჰქონდეს გამჭრიახი გონიერება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრება. მომრიგებელ მოსამართლის მრავალ-გვარი მოვალეობა ისეთია, რომ ყოველს შტოს სახელმწიფო მმართველობისას და ყოველ მხარეს ხალხის ცხოვრებისას შეეხება. ამ მიზეზითაც იგი უნდა სანდო და სარწმუნო კაცი იყოს მცხოვრებთა ოვალში; ამ მიზეზითაც აღგილობრივ გითარების ავიცა და კარგიც უფრო საჭიროა იკოდეს მოსამართლემ, უფრო საჭიროა ჰქონდეს შინა-კაცის საქმიანი სიბრძნე, ვიდრე კანონიერობის ცოდნა და მოსამართლობის გამოცდილება. რაღგანაც მოვალეობა და თანამდებობა შომრიგებელ მოსამართლისა სხვადასხვა-გვარია და რადგანაც თითონ მისი მოღვაწეობაც მრავალ-საგნიანია, ამიტომაც ის მხარე, ანუ ნაწილი, რომელიც მას უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სამართლის საწარმოებლად, რაც შეიძლება პატარა უნდა იყოს სიერცით, იმპტომ—რომ იგი, როგორც აღგილობრივი მოსამართლე, ყველასათვის ყოველს უამს საჭირო კაცია. ამის გამო მომრიგებელ მოსამართლეს უპირატესი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს საყოველთაო წესიერების და მშვიდობიანობის დაცვისათვის და დამყარებისათვის. ამ მიზეზითაც საჭიროა, რომ იგი აღგილობრივ მცხოვრებთაგანი იყოს, ესე იგი იმათგანი, რომელთაც არამც თუ მარტო თავიანთი მხარე იციან, არამედ საკუთარი ინტერესიცა აქვსთ, რომ საერთო წესიერება და მშვიდობიანობა არ იქმნას შერყეულ.

ამ მრავალ-გვარს მოვალეობას და საჭიროებას რომ
მივხედოთ, ცხადი იქნებათ, ამბობენ კანონმდებელნი, რომ
მომრიგებელი მოსამართლე უნდა დანიშნულ იქმნას
ადგილობრივთა მცხოვრებთა არჩევანითათვ. ამის წინააღ-
მდეგ ეს წარულგინეს კანონმდებლებს, რომ სამართლი
საზოგადოდ იმისთანა თვისების საგანიაო, რომ არჩევანით
დანიშნულ კაცით ვერ წარიმართებათ, იმიტომ რომათ
უფლების და მოვალეობის ახსნა და გარჩევა შეუძლებე-
ლიათ, თუ მოსამართლეს რჯულიერება ზედმიწევნით შე-
სწავლული არა აქვსო და განსამართლების საქმეში ზედ-
მიწევნით გამოცდილი არ არიო. ამის გამო მოსამართ-
ლების ვერ ამოირჩევს თვის შორის ვერც სოფლისა და
ვერც ქალაქების მცხოვრებით და თითონ თავად-აზნაუ-
რობაც ბევრს აგრე მომზადებულ კაცს ვერ იპოვნის ადგი-
ლობრივ მცხოვრებთა შორისო. ეს საბუთიო, დაასკვნეს
კანონმდებელთა, სრულიადაც არ შეეხება მომრიგებელ
მოსამართლესათვ, რომლისათვის ზედმიწევნით რჯულიერე-
ბის ცოდნა კი არ არის საჭირო, არამედ დამსახურებუ-
ლი ნდობა და ადგილობრივის ვითარების ცოდნათ. მო-
მრიგებელი მოსამართლე ყველაზედ უწინარეს უნდა
იყოსო ადგილობრივ მოსამართლედ და მშვიდობიანობის
დამცველადათ; საზოგადო ნდობა ადგილობრივ მცხოვ-
რებთა მიერ მიუცილებელს საჭიროებას. შეადგენს მათის
დანიშნულებისასაო.

ამიტომაც რუსეთის წესდებაში შეტანილია, რომ
მომრიგებელი მოსამართლე უსათუოდ იმ ადგილის შეი-
ლი უნდა იყვნეს, საცა მოსამართლობა უნდა და, გარდა
ამისა, იქაურ მცხოვრებთაგანვე აღმორჩეული.

ამ-სახით, ეხლა ჩვენ ვიცით, რა აზრი ჰქონია უმაღ-
ლესს მთავრობას, რომ მომრიგებელი მოსამართლობა

დაუწესებია, და რა ლონისძიება მიუღია, რომ ის პატი უნაკლოდ აღსრულებაში მოსულიყო. მოქლედ განვიმეოროთ ზემოთქმული, რომ უფრო გარჩვევით გზა გავიგნოთ და უფრო ცხადი აზრი. წავიმძღვაროთ წინ ჩვენს გამოკვლევაში.

უმაღლესმა მთავრობამ უარ-ჰყო უწინდელი განსამართლების წესი და მის მაგიერ საჭიროდ დაინახა, რომ უფრო მომეტებულ ხალხს სახელმწიფოისას იმისთანა სამართალი უჭირს,— 1. რომელიც მახლობლად უნდა იყოს ხალხზედ, ასე რომ ყველამ ყოველს უამს, რაც უნდა პატარა გაჭირვება ჰქონდეს, მიმართოს ხოლმე და დაუყოვნებლივ შრაფად განსამართლდეს; 2. რომელსაც ისეთი მარტივი წესი წარმოებისა ჰქონდეს, რომ უცოდინარმა კაცმაც თავისი საქმე აწარმოოს; 3. რომელსაც, რამოდენადაც შესაძლოა, ფორმალობა არ უშლიდეს, რომ ნამდვილი სიმართლე აღმოაჩინოს; 4. რომელსაც წინ უნდა მიუძლოდეს აღგილობრივის ვითარების ცოდნა, ცოდნა ხალხის ზნისა, ხალხის ჩვეულებისა და ერთმანეთზედ დამოკიდებულებისა; 5. სამართალი უნდა იყოს იმისთანა კაცის ხელში, რომელსაც ხალხი იცნობს, ხალხი ენდობა და ხალხი პატიგსა სცემს, და რომელსაც, როგორც აღგილობრივს მოსახლეს და მცხოვრებს, თითონაც გული უნდა შესტკიოდეს, რომ უწესობა, ურიგობა არ იყოს მის სახელმში; მშეიღობიანობა, უშიშროება არ იქმნას დარღვეულ; ყველა დარწმუნებული იყოს, რომ დანაშაულობა, ბრალი, დაუსჯელად არ ჩაივლის; წანახედი, ზიანი უზღვევსად არ დარჩება; ხოლო უკეთესი შხარე, უმაღლესი მნიშვნელობა ამ-გვარის მოსამართლობისა მორიგებით გათავებაა საქმისა. აქაც დანახულია. და ცნობილი, რომ თუ მოსამართლე ხალხის თვა-

ლში სანდო, სარწმუნო კაცი არ არის, მოსამართლე ამ მომრიგებელ შუა-კაცობას ვერ აღასრულებს. როგორც ამის გამო, ისე იმ მიზეზებით, რომელნიც ზემოთ მოგვიხსენებია, მტკიცე და მიუცილებელ საჭიროებად აღიარებულია და დადგენილი, რომ მომრიგებელი მოსამართლე თითონ მცხოვრებლებმა აღმოიჩინონ ხოლმე თვის შორის.

ჩვენდა სამწუხაროდ, ვიტყვით კიდევ, თითქმის ყოველივე ესე ცნობიერად ქვეყნის სიკეთისათვის წამლად გამოკვლეული, ეს არსებითი სახსარი სამართლის კუშმარიტს გზაზედ დაყენებისათვის – ჩვენში სრულად შეიცვალა. შეიცვალა მეთქი!.. შეიცვალა კი არა, ქერქი დარჩა და გული კი გამოეცალა სულ იმ ოთხ კედელ-შუა ნასიზმრევის გამო, რომელსაც „ადგილობრივს“ ვითარებას“ ეძახიან და რომელიც სწორედ ხმა-ამოუღებელი სახედარია: ვისაც რა უნდა, იმას აპკიდებენ და გადაპკიდებენ ხოლმე. ეს უბედური, ყველასაგან დაბრიყებული, უტყვი „ადგილობრივი ვითარება“ სასაცილო ყოფაშია ჩვენში. არავის, არამც თუ შეუსწავლია, რა ფერისა და ზნისაა, არც კი ცდილა, რომ შეესწავლა. იციან კი, რომ რაღაც „ადგილობრივი ვითარება“ უნდა იყოს, რომელიც სულ მზად არის სამსახურისათვის, როგორც შეკაზმული სახელარი: უნდათ ზედ მოაჯდებან და დადიან, არ უნდათ – ჰიტლაც ჰკვერენ და ეტყვიან, წალი და ნარი ჰგლიჯეო.

მეტად ღირს-საცნობია, რა გამომსჭვირვალებს ჩვენს გადასხვაფერებულს წესდებაში „ადგილობრივის ვითარების“ სახელითა? ჩვენის აზრით, სხვა ახალი არაფერი, გარდა იმ სამის მიზეზისა, რომელიც სახეში ჰქონდათ თვით კანონმდებელთ რუსეთში, და რომელიც იჭ სრულად უარ-ჰყვეს კიდეც და ჩვენში კი უპირატესი ადგი-

ლი მიანიჭეს. ნამდვილი ჩვენი ვითარება კი დავიწყებულ
და განვდებულ იქმნა:

ჩვენი წესდებით არ არის საჭიროდ ცნობილი, რომ
მომრიგებელი მოსამართლე უსათუოდ ადგილობრივი
მცხოვრებთაგანი იყოს; ამის გამო ხშირია ჩვენში, რომ
იაროსლაველი კაცი სვანებს, მაგალითად, ანუ ფშავ-ხვა-
სურებს; მოსამართლედ ენიშნება იმავე „მომრიგებელი
მოსამართლის“ სახელითა, რომლის შესახებ უმაღლესმა
მთავრობამ საქვეყნოდ საბუთიანად აღიარა, რომ თუ
ადგილობრივი მცხოვრები არ არისო, მოსამართლობას
ვერ იზამსო. რა მიზეზით უნდა აიხსნას ეს მართლა-და.
გაუგებარი განკარგულება, რომელმაც მომრიგებელ მო-
სამართლობას გული გამოაცალა და მარტო ქერქი შეა-
რჩინა? სხვა არაფრით, ჩვენის აზრით, გარდა იმისა, რომ
აქაურთ კანონმდებელთ ჰერონებიათ, რომ ადგილობრივ
მცხოვრებთა შორის ლირსეულ კაცებს ვერ ვიშოვნით
მაგ თანამდებობის ალასრულებლადაო. ნუთუ ეს მართლა
და ადგილობრივი მიზეზია? რა უნდა შეადგენდეს მიუ-
ცილებელს ლირსებას მომრიგებელ მოსამართლისას? ამის
პასუხი თითონ უმაღლესმა მთავრობამ საქვეყნოდ აღიარა
ამ რიგად: მომრიგებელი მოსამართლე უფრო იმისთანა
კაცი უნდა იყოსო, რომელმაც ზედმიწევნით უნდა იცო-
დესო ადგილობრივის ხალხის ავი და კარგიო, ზედმიწევ-
ნით უნდა იცოდეს ხალხის ზნე, ჩვეულება, ერთმანეთზედ
დამოკიდებულებაო, შინაური კაცის სიბრძნე უფრო უნ-
და ჰქონდესო, ვიდრე რჯულიერობის ცოდნით და განსა-
მართლების გამოცდილებით განვითარებული იყოსო. ნუ-
თუ ამისთანა კაცის შოვნა და პოვნა იაროსლავში უფრო
ადვილია საქართველოსათვის, ვიდრე თვით საქართვე-
ლოში? იქნება მიპასუხონ, რომ მარტო მაგ ლირსებით

იოლად ვერ წავაო მოსამართლე; გარდა მაგისა, მოსა-
მართლეს გამჭრიახი გონიერება უნდა ჰქონდესო, პატიო-
სანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრებათ. ნუთუ „აღვი-
ლობრივი ვითარება“ ისეთია, რომ პატიოსანი, უჩირქო
ყოფა-ცეცვის პატიონი, გამჭრიახ გონებიანი კაცი არ მო-
იპოვება საქართველოში, და იაროსლავში კი პანტასავითა
ცვივა? ამას ვერ იტყვიან, ამას საბუთად ვერ გაგვიძელ-
ვენ წარმოგვიდგინონ ჩვენ.

თუ მართლა ჩვენ შორის ძნელი საშოვნი იყო იმი-
სთანა კაცი, რომელიც გასწვდენოდა მთელს მოედანს
მომრიგებელ მოსამართლობისას, მაშინ ლოლიკა ამას.
ითხოვდა, რომ იგი მოედანი შეემცირებინათ, ისე კი, რომ
ძირული თვისება ამ-გვარის მოსამართლობისა არ შე-
ერყიათ. ამის მაგიერ რა ჰქმნეს? აქაო და პატარა მოე-
დანისათვისაც კაცი არ არისო, მოედანი უფრო გააფარ-
თოეს. რუსეთში მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდება-
რება, სამოქალაქო საქმე არა უმეტეს ორმოც-და-ათის
თუმნის საფასურისა; ჩვენში — ორასის თუმნისა; რუსეთში
მომრიგებელი მოსამართლე ვერ შეეხება უძრავის ქო-
ნების საკუთრებად ძიებასა, რა ფასისაც უნდა იყვეს,
ჩვენში-კი ყოველ უძრავის ქონების საქმე ორასის თუმნის
საფასურისა მომრიგებელ მოსამართლემ უნდა გაასამარ-
თლოს; რუსეთში მას ექვემდებარება მარტო წვრილმანის
დანაშაულობის და ბრალეულობის საქმე, ჩვენში-კი ყოვე-
ლი დაბაზაულობა, რომელსაც რაიმე უფლების ჩამორთ-
მევა, პატივისა და ღირსების აყრა არ მოსდევს. ამ-სახით,
რუსეთში, ეს იგი იქ, საცა ყური არ ათხოვეს, რომ კა-
ცები არა გვყავსო, მოსამართლეებს საქმე შეუმსუბუქეს,
აქ კი, საცა უკაცურობა შესწამეს, საქმე უფრო დაუმძი-
მეს. ეგ, ჩვენის ფიქრით, იმასა ნიშნავს, რომ ამ უადგი-

ლოდ მიღებულს „ადგილობრივს ვითარებას“ კიდევ ხან-გრძლივ ხედნა მოელის ამ შემთხვევაში.

ამ ადგილად სახელნელმა „ადგილობრივმა ვითარებამ“ ამ ბოლოს დროს უფრო გაიდგა ფეხი, ვიდრე უწინ. წესდების შემოლების პირველ ხანებში ცდილობდნენ, რომ ასე გაურჩევლად მიღებულმა, სწორედ მოგონილმა და არა ნამდვილმა „ადგილობრივმა ვითარებამ“—თვისი ეკლები არ გამოაჩინოს, და ნიშნავდნენ მომრიგებელ მოსამართლებად უფრო აქაურებს, რომელნიც, თუმცა იქაურები არ იყვნენ—საცა ინიშნებოდნენ, მაგრამ ხალხის ენა მაინც იცოდნენ. ეხლა მთლად ამის წინააღმდეგსა ეხედავთ; და თუ ეგრე იარა ამ საქმემ, დრო მოვა, რომ მომრიგებელი მოსამართლე ისევ იმ უწინდელ დიამბეგად გახდება, რომელსაც ხალხი ერიდებოდა, როგორც ჭირს. ეხლაც კი ცხადი ნიშნებია, რომ ჩვენებურს ხალხს, როგორც სიკეთლი—ისე ეჯავრება მომრიგებელ მოსამართლესთან სიარული და, თუ ძალიან არ გაუჭირდა, ჟულში თოკი არ მოეტირა, ძნელად თუ ჰელავს მომრიგებელ მოსამართლის ხელში ჩავარდნასა.

ჩვენის წესდებით უარყოფილია ის მეორე არსებითი კუთვნილებაც მომრიგებელ მოსამართლობისა, რომელიც მიღებულია რუსეთში, სახელდობრ ისა, რომ ადგილობრივ მცხოვრებელთა უნდა თითონ ამოირჩიონ თავიანთი მომრიგებელი მოსამართლე. მაისი მიზეზი სხვა ვერა მოგვისაჩრებია რა, გარდა იმისა, რომ ხალხს ვერ ნდობიან, ჰელავდნებიათ—რომ ხალხი ვერ ამოირჩეს რიგიანს და ღია რსეულს კაცსაო, ერთის სიტყვით—ხალხი მოუმზადებელიათ და ამიტომ ამ უფლებას ისე ვერ მოიხმარებს, როგორც სანატრელიაო. თუმცა არც ეს არის საბუთიანი სიტყვა, მაგრამ სხვა მხრით არჩევანის უფლების უარყოფა

შეუძლებელია, იმიტომ რომ, მეცნიერების თვალით
დააკვირდებით ამ საგანს თუ გამოცდილების თვალითა,
არც ერთი იგი არამც თუ ეწინააღმდეგება მომრიგე-
ბელ მოსამართლის არჩევანით განწესებასა, არამედ
უფრო ემხრობა, უფრო ხელს უწყობს. თუ ამაზედ რაიმე
ცილობა არსებობს მეცნიერებაში, მარტო იმაზეა ცილობა,
რომ უმაღლესი მოსამართლენიც, როგორც მაგალითებრ —
წევრნი ოლქის სასამართლოსი, პალატისა, თუ სენატისა,
არჩევანით უფრო კარგია რომ განწესლნენო, თუ მთავ-
რობის განკარგულებითათ.

რუსეთში, როგორც ვნახეთ ზემოთ, განათლებულნი
შემაღებელნი განსამართლების წესისა იმ აზრზედ დადგ-
ნენ, რომ მომრიგებელ მოსამართლობას თვისი სიკეთე
მთლად ჩამოერთმევა, თუ არჩევანით განწესება უარყოფი-
ლი იქნება. ხალხის მოუმზადებლობას იქ უური არ ათ-
ხოვეს. მართლა-და დასაჯერი არ არის, რომ ხალხი საღმე
და როდასმე ცუდისათვის მომზადებული იყოს და კარგი-
სათვის კი მოუმზადებელი. ხოლო არჩევანით განწესება
მომრიგებელ მოსამართლისა რომ კარგი რამ არის, —
ამაზედ ეხლა ეჭვი აქვთ მარტო ბრძებსა და რეგვნებსა.
ყოველს მოსამართლეს საერთოდ და მომრიგებელს საკუთ-
რივ, უნდა ზალხის მიერ ნდობა ჰქონდესო, უნდა ხალხი-
საგანც ცნობილი იყოს, როგორც ლირსეული და სარწმუნო
კაციო. ნუთუ საღმე ხალხი საზოგადოდ და ჩეენი საკუთ-
რივ იმისთანა ტყის ნადირი იყოს, არ ესმოდეს, — ვისზედ
მიენდობა უფრო გული, ვინ უფრო ლირსეული და სარ-
წმუნო კაცია მის ახლო-მახლო, რომ მას წაავლის ხელი
და იგი დაიყენოს მოსამართლედ? აქ მომზადებულობა და
მოუმზადებლობა რა შუაშია? საზოგადოდ ცნობილია,
რომ აღამიანი თვით ისტორიის პირველ ხანებში, ესე იგი

ჯერ მაშინ, როცა სწავლისა და მეცნიერების სიოც არ მიჰყარებოდა და ფეხიც არ დაედგა ცივილიზაციის გზაზედ და ყოველ-მხრივ მოუმზადებელი იყო, ჯერ მაშინ მეტქი — მოსამართლეს, თუ არ არჩევანით, სხვაფრივ არ განიწესებდა. სჩანს, აქ ხალხის მოუმზადებლობას, თუ განათლებას, ადგილი არა აქვს; სჩანს, ხალხის მოუმზადებლობა საბუთი კი არ არის წინააღმდეგ მომრიგებელ მოსამართლის არჩევანისა, არამედ უქმი სიტყვაა უქმის კაცისა.

ამას თავი დავანებოთ, ვთქვათ რომ მომრიგებელ მოსამართლის არჩევანისათვის ხალხი ცოტად თუ ბევრად მომზადებული უნდა იყოსო. მითამ ამით რაო? თუ რუსეთის ხალხი იცნებ მომზადებულად, რომ არჩევანით განიაწესოს თვისი მახლობელი მომრიგებელი მოსამართლე, ჩვენს ხალხს რაღა ლმერთი გაუწყრა! ნუთუ რუსეთის ხალხის უმრავლესობა — მუჟიკობა, ჩვენის ხალხის უმრავლესობაზედ — გლეხობაზედ მაღლა დგას მიხვედრილობით, გონების თვალით, გონების ყურით, რომ იქ მუჟიკობა მომზადებულად სცნეს და მიანიჭეს სხვებთან ერთად უფლება, მოსამართლის არჩევანისა, და აქ კი გლეხობა — მოუმზადებელად და ამიტომაც ეგ უფლება ჩამოართვეს? თუ ამ შემთხვევაში განსხვავება რამ არის ამ ორთა ხალხთა უმრავლესობათა, შორის, ის განსხვავებაა, რომ სასწორი სიკეთისა ჩვენის ხალხისაკენ უფრო დაიწევს. ჩვენი გლეხი გაცილებით წინ არის რუსის მუჟიკზედა ზნეობითაც, გონების თვალითაც და მიხვედრილობითაც.

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა ხმელსა შეიქმნა ნედლადო“; „სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო“, — ამბობს ხოლმე ჩვენი ხალხი. ნუთუ ის ხალხი, რომელიც სამართალს ამისთანა სასწაულთ-მოქმედების ძალას

აძლევს, რომ ხმელს ხესაც გაანედლებსო, ხელს მოსჭრის
და არ ატკენსო,— ნუთუ ხალხი, რომელსაც ამისთანა ძალა
სამართლისა სწავს, რჯულად აქვს მიღებული და ეგრე
ცხადად ალიარებული, — ნუთუ ის ხალხი მეთქი მოუმზადე-
ბელი უნდა იყოს წესიერად აგებულის სამართლის კეთი-
ლად წარმართებისათვის, და ის ხალხი კი — რომელიც
იმით ნუგეშობს, რომ ცილი სილი ლომით, — მომზადებუ-
ლია!

ეხლა ესტქვათ, რომ ჩეენი ხალხი ვითომ მართლა
მოუმზადებელია. მაშ, ვინც მოუმზადებელია, თავის-დღეში
ალარ უნდა მომზადეს? ხალხს რა ამზადებს? სწავლა,
გარჯიშობა, გამოყილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვი-
საც მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს უკრავთ, და ვე-
უბნებით-კი, ჭიდილი ისწავლეო; ხალხს მოსამართლის
აღმორჩევის ნებას არ ვაძლევთ, და ვეუბნებით-კი, ისწავლე
კაი მოსამართლეების ამორჩევაო. ეს იმასა ჰგავს: კურვა
ისწავლეო და წყალში კი ნუ შეხვალო; გზა გიარეო და
შინიდამ ფეხს კი ნუ გასდგამო. ამ სასწაულთ-მოქმედე-
ბას ხალხი ვერ იხამს, თუნდაც იმისთანა კეტითა სცემით
თავში, რომელსაც, ჩეენდა საუბედუროდ, „აღგილობრივს,
ვითარებას“ ეგრე წინდაუხედავად ეძახიან.

ხალხისათვის მიუკილებლად საჭიროა, რომ მის საყოველ-დღეო წერილმან საქმეებისათვის მომრიგებელი მოსამართლე არც შეიძლება მახლობლად ჰყვანდეს, სთქვეს რუსეთის კანონმდებელთა. არც ამ მიუკილებელმა საჭიროებამ გასჭრა ჩევნში.

არა გვეონია, ჩვენს კანონმდებლებს არ სცოდნოდათ, რომ იმისთვის სამართლი, როგორიც მომზრიგებელ მოსამართლეს მიენდობა, ძალიან მახლობლად უნდა იყოს ხალხზედ. უმაგისილ მომზრიგებელს შოსამართლობას უკე-

თესი ღონისძიება ერთმევა, რომ გაჭირვებულს თავის დროზედ მიეშველოს, ვნებულს თავის დროზედ მიხედოს, დარღვეული უფლება სწრაფად ალადგინოს და ნამდეკლი სიმართლე აღმოაჩინოს. სხვა დანიშნულება არა აქვს მომრიგებელ მოსამართლეს, როგორც ადგილობრივს მოხელეს და სამართლის ადგილობრივს წინამძღვანს. ხალხთა უმრავლესობა ყოველ ცისამარა დღეს იმდენს წვრილმანს, უფასურს საქმეს აღმოაჩენს ხოლმე თავის ყოფა-ცხოვრებაში, რომ თუ ამ საქმეებისათვის მახლობელი გამრჩევი არა ჰყავს, მითამ მოსამართლე სულაც არა ჰყოლია. შეუძლებელია, ამ წვრილმანს, თითქმის უფასურს საქმეებს, ყური არ ათხოვოს კაცმა, იმიტომ რომ ცხოვრებაში უფრო ამისთანა საქმეებია, რომელნიც შეადგენენ საკუთრივ ხალხის ზნეობითსა და ქონებითს სიმდიდრეს. ერთსაც და მეორესაც, როგორც არსებითსა კუთვნილებას და საჭიროებას ხალხისას, მუდამი, მახლობელი მფარველი უნდა ჰყავნდეს. უამისოდ ხალხს ზნეობაც შეერყევა ხოლმე და ქონებითი სიმდიდრეც დღე-მუდამ განსაცდელ-შია. სიიფე სამართლისა განას მარტო იმისაგან წარმოს-დგება, რომ სამართალი განთავისუფლებულ იყოს ყოველ სახელმწიფო ბაჟისა და ხარჯისაგან, არამედ იმისაგანაც, რომ გაჭირვებულს შორი სატარებელი არა ჰქონდეს თავის გულის დარღის ასაყრელად, თავის ზიანის შესაგესებ-ლად, თავისის და თავის ოჯახის პატივისა, აღამიანობის დასაცელად. შორი სატარებელი ბევრს ხარჯს, ბევრს დროს ითხოვს ხალხისაგან, ხალხს ეს ძალიან ძვირად უჯ-დება, ასე რომ ხშირად იძულებულია ხოლმე თავი დაანე-ბოს საჩივარს, ოღონდ კი არ მოსცდეს თავის წინაურს საქმესა და ხარჯი არ გასწიოს წასვლა-მოსვლაში. საცა-მთავრობა რომელისამე მიზეზით ამ ყოფაში, ჩააგდებს

ხოლმე ხალხს, იქ ხალხის თვალში – სამართალიც, რომელ-
 საც სიშორით ვერ მიკარებია, მოსამართლეც – რომელ-
 საც შორიდამ ეერ მისწვდენია, ის არის სწორედ, რაც
 მაღლა დაკიდებული ძეხვი კატისათვის. მეტი რა გზა
 აქვს, რომ კატისავით არა სთქვას: დღეს არ მეტევა, პა-
 რასკევიაო. ამ ყოფაში ხალხს სამართალი თვის მთარვე-
 ლად აღარ მიაჩნია და ამის გამო ამბობს გულში: რაც
 ჩემთვის არ არის, თუნდა იყოს, თუნდა არაო. ყველამ
 ვიცით, რომ ჩვენში ჯერ პირველად თითო მომრიგებე-
 ლი მოსამართლე დანიშნეს თითო მაზრაში. წარმოიდგი-
 ნეთ იმისთანა მაზრა, როგორც თელავია, რომელიც იწ-
 ყება თითქმის ანანურიდამ—ლაგოდეხამდე, ცოტა რომ
 ვსთქვათ — ას ორმოც-და-ათი ვერსტი, თუ არ მეტი, მაინც
 იქნება სიგრძით; ანუ დუშეთის მაზრა მცხეთიდამ ლარ-
 სამდე, ანუ გორისა — მცხეთიდამ ბევანთ-უბნამდე, ანუ
 ტფილისის თვალგაუწვდენელი მაზრა და სხვნი. მერე
 სკრეს, რომ შეუძლებელია ამოდენა ქარგლით მიზომვა
 სასამართლო ნაწილისა და ეხლა თითო მაზრაში ორ-ორი
 სამოსამართლო ნაწილია. ჩვენ ვამბობთ, რომ მაინც იმო-
 დენა დიდი ნაწილებია, რომ ხალხისათვის სამართალი
 მეტად შორს არის; ხალხს უჭირდება სამართალთან
 მისევლა.

რამ აიძულა აქაური კანონმდებლობა, რომ ხალხს
 მომრიგებელი მოსამართლე არ დაუახლოვა? სხვა არა-
 ფერმა, ჩვენის ფიქრით, ფარდა ფულის ანგარიშისა. სამა-
 რთალი და განათლების საქმე ასეთი უაღრესნი და არსე-
 ბითნი საჭიროებანი არიან სახელმწიფო კეთილდღეობი-
 სათვის, რომ აქ ფულის გაფრთხილება, ფულის დაზოგვა,
 ხარჯის შიში, მეტად მავნებელი რამ არის, როგორც სა-
 ზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. სამართლის

ურიგოდ მოწყობილება სვავია — რომელიც სწორებს ხალ-
ხის სიმდიდრესა, მაცეილია — რომელიც ჰქვეთს ფრთხებსა
ხალხის ხელომოქმედებას და ეკონომიურს წარმოებას.
ფული ორმოში იმაღება იქ, საცა იმედი გაწყვეტი-
ლია, რომ ჩემი ნაწარმოები ჩემი იქნება, თუ ვინმე
გაძედა და შემეცილებათ. და თუ ფული არ მუშაობს, თუ
ხალხში თანხა უშიშარად არა ტრიალებს, თუ ხალხში
მკვიდრი იმედი არ არის დამყარებული, რომ ყოველს
ცილებას ადვილად გადამარჩენს სამართალიო, ყოველს
დანაკარგს ადვილად და სწრაფად დამიბრუნებსო, — მაშინ
სიმდიდრე ხალხისა, და აქედამ სიმდიდრეც სახელმწიფოსი,
ამათ ნატერაა. მაშინ ურთიერთშორისი ყისტი, ეხტიბარი
(კრედიტი), ნდობა გატეხილია და, საცა ეს არ არის
ფრთხაგაშლილი და ფეხადგმული, იქ ნიშადურიც რომ
ამოსცხოთ ხალხის სიმდიდრეს და ხაზინისას, რომლის
მხოლოდბითი წყარო ხალხის სიმდიდრეა, — ერთს ნაბიჯ-
საც წინ ვერ წაადგმევინებთ. კანონის სიმტკიცე, სიმკვი-
დრე, მიუდგომელობა, დადგრომილება, არამც თუ დიდი
რამ არის, — ჩენის ფიქრით, მიუცილებელია საზოგადოე-
ბის, თუ სახელმწიფო სიმდიდრისათვის, და ეგე ყოველი-
ფერი მაშინ არის, როცა სამართალი რიგიანად არის
აგებული და რიგიანად წარმართებული. ყველამ უნდა იცო-
დეს მეთქი გულდადებით, რომ მე ჩემი მალე დამიბრუნ-
დება, მე ჩემი არ დამეკარგება, ერთის სიტყვით — სამართა-
ლი და კანონი უნდა ყველას სწამდეს თავის მფარველად,
თავის სახსნელად. თუ სამართალი და კანონი ისეთია,
რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ, ვიმე-
ორებთ, ყოველიფერი ამაოა, მაშასადამე, ამისთანა საჭმე-
ში, როგორც სამართლის აღგება და დაყენებაა, ფულის.

ლაზოგვა, ხარჯის შიში—დიდი შეცლომა და შეუფსებელს
ნაკლია.

ან განა მართლა აქაური ხაზინა ისეთს მდგომარეო-
ბაშია, რომ სამყოფს ფულს ვერა შოობს სამართლის რი-
გიან მოწყობისათვის? თითო მაზრაში რომ ოთხი მომ-
რიგებელი მოსამართლე მაინც ყოფილიყო, მომრიგებელ
მოსამართლისათვის რომ იმოდენა ტვირთი არ აეკიდ-
ნათ—როგორც ჩვენში, და ის ეკმარებინათ —რაც რუსეთ-
შია მიღებული, მომრიგებელი მოსამართლე რომ აქაურ
მცხოვრებთაგანი დაენიშნათ, შაშინ სრულიად საჭირო
არ იქნებოდენ იმოდენა კანცელარიები, მთარგმნელები,
რამოდენანიც ეხლა არიან და ჯამავირებსა სჭამენ. მაშინ
უსარგებლოდ იმოდენა ხარჯი არ წავიდოდა, რამოდენაც
ეხლა კანცელარიებზედ და მთარგმნელებზედ მიდის, და
იქნება გასწვდენოდა კიდეც იმ ხარჯს, რაც ოთხ-ოთხს
მომრიგებელ მოსამართლეს თითო მაზრაში მოუნდებოდა.
თუნდ ესეც არ იყოს, განა სხვა რაიმე სახელმწიფო გა-
სავლის მოკლება არ შეიძლებოდა, რომ ამ უაღრესის
საჭირისათვის ფართოდ ხელის გაშლა არ [დაბრკოლებუ-
ლიყო. რატომ არ უნდა მოისპოს ეხლა ჩვენში, მაგალი-
თად, თუნდა ის „დობავოჩნი“, რომელიც სრულიად უმი-
ზეზოდ და უსაბუთოდ ეძლევათ ჩვენში სხვიდან მოსულს
მოხელეს ყოველ ხუთს წელიწადში? ამას-წინათ რუსულ
გაზეთებში ნაჩვენები და დასახლებული იყო ის გასავა-
ლი, რომელიც ტყუილ-უბრალოდ ტვირთად აწევს აქაურს
ხაზინასა. იმ უსამართლო გასავლის მოსპობა არა სჯობდა.
სამართლის ფესვების დაჭრასა?

ამ-სახით, არც ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელიც
„ადგილობრივ ვითარების“ სახელით სარჩულად დაუდვეს
ჩვენს მომრიგებელს მოსამართლობის წესსა, ჭკუაში მისალე-

ბი არ არის. ამ-სახით, სრულიად ტყუილ-უბრალოდ ჩვენი
ხალხი ჯამოაკლეს იმ სიკეთეს, რაც განსამართლების
წესმა რუსეთს, ცოტად თუ ბევრად, მიანიჭა. ამ გამოკლე-
ბას ის შედეგი მოჰკვაა, რომ ჩვენში მომრიგებელი მოსა-
მართლობა ცარიელ ღეროდ დარჩა, იმისთანა ღეროდ,
რომელსაც ფესვებიც დაჭრილი აქვს და ფოთლებიც და-
ბლერტილი.

შემდეგ წერილში შეძლებისამებრ ვეცდებით ეს და-
გამტკიცოთ.

წერილი მეშვიდე და უკანასკნელი

წინა-წერილში დაგპირდით მკითხველებს, ვეცდებით-
მეთქი დავამტკიცოთ, რომ მომრიგებელ მოსამართლო-
ბას ჩეგნში ხელ-ფეხი შეუკრეს და წარმტების გზა გა-
დულობეს ეგრეთ წოდებულ „აღგილობრივ ვითარების“
წყალობითა. ამის ცხადად გამოხატვისათვის საჭიროა ვი-
ცოდეთ, რა აზრი ჰქონდათ კანონმდებლობა, რომ მომ-
რიგებელი მოსამართლობა შემოილეს, და რამოდენად ფა-
რთო გზა მისცეს იმ აზრს ჩეგნში.

„უპირველესი და უმთავრესი დანიშნულება მომრი-
გებელ მოსამართლისა და უმაღლესი ღირსება მისის
მართლმსაჯულობისა მოდავების მორიგება არისო“, —
სთქვეს რუსეთის წესდების შემადგენელთა. ეს დანიშნუ-
ლება გამოცხადებულია, როგორც სასისხლო სამართლის
წესდებაში, ისე სამოქალაქოში. 70 მუხლი სამოქალაქო
განსამართლების წესდებისა ვალად სდებს მომრიგებელ
მოსამართლეს, რომ მოდავეთა საბუთების მოსმენის შემ-
დეგ, უჟღველად უჩინოს მორიგებით საქმის გათავება და
თითონვე უჩვენოს, რა გზითაც შეიძლება, მისის აზრით,
ეკ მორიგება. თითქმის ამ-სახითვეა ეს ვალდებულება მო-
მრიგებელ მოსამართლისა ნაჩვენები სასისხლო განსამარ-
თლების წესდებაშიაც. აქაური კანონმდებლობა, რასაკვი-
რველია, პირდაპირ არ შეეხო ამ მუხლსა და ისე შეუც-
ვლელად შემოიტანა ჩეგნში. ძალიან კარგი, მაგრამ რა

გზით უნდა აღსრულდეს ეს უპირველესი და უმთავრესი მოვალეობა მომრიგებელ მოსამართლისა ჩეენში?

ჩეენში ხშირად, ნამეტნავად ამ ბოლოს დროს, იმისთანა მომრიგებელი მოსამართლენი ინიშნებიან, რომელნიც ხალხის ენის უკოდინარნი არიან... უენო კაცმა რა გაარიგოს? რა შუა-კაცობა უნდა გაუწიოს იმათ, ვისაც მაგისი არა ეყურება-რა და ვისიც თითონ არა ესმის-რა? გვეტყვიან, განა მთარგმნელის შემწეობით ვერ მოხერხდება მორიგებაო. ჩეენ პირდაპირ ვიტყვით, რომ მთარგმნელის შემწეობით უფრო ადვილად შეიძლება მორიგებული საქმე დაიშალოს, ვიდრე მოსარიგებელი გარიგდეს. ჯერ ერთი ეს, რომ სხვის პირით ლაპარაკს ისეთი ზედმოქმედება არ ექნება, როგორც თავისით თქმასა. მერე წარმოიდგინეთ ჩეენნი უმეცარნი მთარგმნელნი, რომელთ წყალობითაც სიტყვა ხშირად, არამც თუ სიცხოველეს და ძალასა ჰქარგავს, არამედ თითონ მნიშვნელობასაც, და თქვენ გინდათ—რომ ამის შემწეობით დახვლანებული საქმე გარიგდეს! გარდა ამისა, მთარგმნელის შემწეობით მოლაპარაკებას ერთი-ორად მეტი დრო უნდება და მომრიგებელი მოსამართლე, ძალიანაც მოწადინებული რომ იყოს, მაგლენს დროს ვერ მოახმარებს ერთს. საქმეს, რადგანაც სხვა საქმეებიც ბეჭრი აქვს. ამიტომაც ტყუილი იქნება, თუ მორიგებით საქმის გათავებას ან უენო მოსამართლე დაიქადებს, ან მისი უმეცარი მთარგმნელი. გულდაჯერებით ვიტყვით, რომ თუ სადმეტრამოდენიმე საქმე მორიგებით თავდება,— ეგ მოხდება ხოლმე თითონ მოდავეთა წყალობით, მოსამართლის დაუხმარებლად. ათში რვა მატნც თავდება ამ გზით და ითხოვ-ებში კი, რასაკვირველია, ნაჩენებია, რომ მოსამართლემ მოარიგაო. ეგ უენობაა უპირველესი მიზეზი, რომ „უმთავრესი დანი-

“შნულება” მომრიგებელ მოსამართლისა ჩვენში უფრო ბევრგან უქმდა ჰრჩება და მარტო იმით იმოსება, რომ მოსამართლე ფორმის გულისათვის ეკითხება მოდავეებს, მორიგების სურვილი ხომ არ მოგსვლიათო.

თუნდ ეგ არ იყოს, თითონ კანონმდებელთა აღიარეს, რომ მოსამართლე ვერ აღსარულებს ამ უპირველესს დანიშნულებასაო, თუ რომ ზედმიწევნით არ იცის არამც თუ მარტო გარევანი ვითარება საქმისა, არამედ შინაგანი გარემოებაცა, თუ არ იცის ადგილობრივი ავტორგიანობა, ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება, ერთმანეთზედ დამოკიდებულება, ხალხის ჩვეულება და ხშირად თითონ მოდავეთა ხასიათიცა. იმავე კანონმდებელთა სამართლიანის აზრით, ესე ყოველი არავის ეცოდინება, თუ არ იმისთანა მოსამართლეს, რომელიც იმავ ადგილის შვილია, იქაურივე მცხოვრებელია, საცა მოქმედებს.

ყოველ უამისოდ ტყუილია მორიგებაზედ სიტყვის ჩამოგდება, იმიტომ რომ შეუძლებელია. სხვაგნით მოყვანილი კაცი, რაც უნდა კარგი იყოს, ვერ იზამს იმისთანა მოსამართლობას, რომლის აზრიც კანონმდებელთა ჰქონდათ. პირველი, რომ იმის სიტყვას, როგორც უცნობის და ხამის კაცისას, ისეთი ზედმოქმედება არ ექმნება, როგორიც შინაურის კაცის რჩევას; შეორე, რომ ადგილობრივ ყოფა ცხოვრების და ჩვეულების უცოდინარი იმისთანა მორიგების გზას ვერ უჩვენებს მოდავეებს, რომ შეეფერებოდეს საქმის ჭეშმარიტს და არა ფორმალურს გარემოებასა. რუსეთშიაც უჩივიან, რომ მომრიგებელნი მოსამართლენი ვერ ასრულებენ ამ უმთავრესს დანიშნულებასა ისე, როგორც სანატორელია და, სხვათა შორის, მიზეზად ის მოჰყავთ, რომ კანონი ნებას აძლევსო იმისთანა კაცი ამოირჩიონ მოსამართლედ, რომელსაც მარტო მამული აქვს იქ,

საკა ირჩევენო და ცხოვრებით კი იქ არა სცხოვრებსო; ამის გამო ადგილობრივის გარემოების უცოდინარია და თავის დანიშნულებას წარმატებით ვერ ასრულებსო*. თუ რუსეთში ერთს მაზრაში მცხოვრებელი ვერა ვარგობს მეორე მაზრაში, რომელთანაც ქონებითი და ოემობითი კავშირი მაინცა აქვს, აბა როგორ უნდა იგარგოს ჩვენში კაცმა, სრულიად ხამად მოსულმა უცხო ხალხში, ჩვენთან არავითარის კავშირის მქონებელმა, ჩვენის ენისა, ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების მთლად უცოდინარმა? თუ რუსს რუსეთში უმნელდება საქმის მორიგება, სხვათა შორის იმითაც, რომ ადგილის მკვიდრი მცხოვრებელი არ არის და ადგილობრივის ვითარების უცოდინარია, ჩვენში ხომ უფრო უარესად უნდა გაუძნელდეს? აკი უმნელდებათ კიდევ.

პირველ ხანებში, ესე იგი—1869, 1870, 1871 წ., ცდილობდნენ, რომ აქაურები მაინც დაენიშნათ მოსამართლებად და ამით, ცოტად თუ ბევრად, შეევსოთ ის ნაკლი, რომელიც უეჭველად თან უნდა მოჰყოლოდა მომრიგებელ მოსამართლების უარჩევანოდ დანიშვნასა. და მინამ ეს ასე იყო, რიცხვი მორიგებით გათავებულ საქმეებისა, თუმცა საზოგადოდ ბევრი არ იყო, მაგრამ მაინც მომეტებული იყო, ვიდრე მას მერმედ, როცა სხვაგნიდამ უთავბოლოდ მოწევულების რიცხვი გამრავლდა. მეთორმეტე წელიწადია, რაც ჩვენში ახალი წესი განსამართლებისა შემოვიდა. ჩვენ მხოლოდ ოთხის წლის ითხე-ები ჩავიგდეთ ხელში და იქიდამ ამოკრეფილი ციფირებიც საკმაოდ გვაჩვენებს,—პირველ სამ წელიწადს შემდეგ რამოდენად იკლო მორიგებით გათავებულ საქმეების რიცხვმა. პირველ სამს წელიწადში მთელს ამიერ-კავკასიაში მორი-

*) Наша Мировая Юстиция. От. Зап. 1879 г. № 6.

გებით გათავებული საქმეები ყველა საქმეების საერთო რიცხვზედ მოდიოდა ასზედ $24\frac{1}{4}$, ხოლო 1875 წ. მარტო $19\frac{3}{4}$. პირველს სამს წელიწადს გათავებულ საქმეთა შორის ასზედ $34\frac{5}{6}$ მორიგებით გათავებული მოდიოდა და 1875 წ. კი მარტო $20\frac{1}{5}$ მოვიდა; ერთბამად თითქმის ნახევარზედ ჩამოხტა, თუმცა კი მერედ და მერედ მორიგებით გათავებული საქმეების რიცხვი უფრო უნდა მომატებულიყო, იმიტომ რომ 1870 წ. შემდეგ მომრიგებელი მოსამართლები ერთი-ორად მოემატენენ რიცხვით, რადგანაც ყოველი მაზრა თითქმის ორ-ორ სამოსამართლო ნაწილად დაიყო. მაშასადამე, თვითაოეულს მოსამართლეს უფრო მეტი დრო და მოცალეობა ექმნებოდა მორიგებით საქმის გათავებისათვის. ეს ციფრირები მარტო სამოქალაქო საქმეებს შეეხება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დანარჩენი წლების ითვეთ-ებიც არ გაგვამტყუნებენ იმაში, რომ ჩვენში მომრიგებელი მოსამართლობა თანდათან უფრო ნაკლებად ასრულებს თავის „უპირველესს და უმთავრეს დანიშნულებას“ და, თუ ჩვენგან წინა-წერილში ნაჩვენები წამალი არ დაედო, იქამდინ მივა, რომ სრულებითაც დაკარგავს მაგ დანიშნულებას, თუ ჯერ იქმდის დაკარგული არა აქვს. ზემოთ-მოყვანილ ციფრირებიდამ ცხადია, რომ მომრიგებელ მოსამართლობას ჩვენში თავის „უმთავრესის დანიშნულების“ წარმატებისათვის გზა გადაღობილი აქვს, და ის ღელა-ბოძი მუხლი უმაღლესად მონიშებულის წესდებისა, რომელიც შეიცავს მთელ სიკეთეს მომრიგებელ მოსამართლობისას, თითქმის სრულიად გაუქმებული არის ჩვენთვის.

კანონმდებელთა აზრით, მომრიგებელი მოსამართლე ხალხის შინაური და მახლობელი მსაჯულია, და თი-

თონ ხალხსაც ეხამუშებათ ფორმალური სიმართლე და პატივ-ჰსცემს იმისთანა სიმართლეს, რომელიც, მისის აზრით, ნამდვილი და ჭეშმარიტია და რომელსაც მეცნიერნი ბუნებრივს სიმართლეს * უწოდებენ. ამისათვის კანონმდებელთა აღიარეს, რომ მეორე დანიშნულება მომრიგებელ მოსამართლისა ის არისო, რომ საქმის გადაწყვეტის დროს წინ წაიმძღვაროს ნამდვილი და არა ფორმალური საბუთი საქმისა, მისი შინაგანი გარემოება, ადგილობრივნი. მიხეხნი, მცხოვრებელთა ხასიათი, მათი მოსახრება, ეკონომიური ყოფა-ცხოვრება, ცხოვრების მოხსოვნილება და ხალხის საზოგადოდ ცნობილი ჩვეულება. ამიტომაც საჭიროდ დაინახეს, რომ მომრიგებელ მოსამართლეს ნება ჰქონდეს საქმე გადასწყვიტოს ჩვეულების ძალითაცა, ეს იგი იმ სიმართლით, რაც ხალხის სინიდისს შეეფერება, რაც ხალხს მამა-პაპით სიმართლედ უცვნია და დღესაც სიმართლედა სწამს. „მნიშვნელობა და ძალი ჩვეულებისა ისეთიაო, — სთქვეს რუსეთის წესდების შემადგენელია, — რომ მასაც ადგილი უნდა ჰქონდეს მომრიგებელ მოსამართლის საქმის წარმოებაშიო. უამისოდ ტყუილ-უბრალოდ შევიწროვდება ცხოვრება და თითონ მომრიგებელ მოსამართლის განაჩენიც ცხადად უსამართლო იქნება ხალხის თვალშიაო“. რაღა თქმა უნდა, რომ აქ იგულისხმება მარტო გონიერი, კეთილ-ზნეობითი, საერთოდ აღიარებული ჩვეულება, რომელიც, ხალხის სიტყვით, რჯულთ უმტკიცესია, რომლის უარყოფა ხალხს უსამართლობად მიაჩნია და რომელიც მეცნიერებაში რჯულთ დებულების სათავედ ცნობილია.

*.) Естественная справедливость.

თუ რუსეთისათვის საჭიროდ დაინახეს ჩვეულების
ძალითაც საქმის გაღაწყვეტა, თუ მართლმასაჯულობის წარ-
მატებისათვის ჩვეულებასაც ადგილი მისცეს იქ, საცა
მოქმედობს მათივე კანონი, მათსავე კანონის მისამართისან, ზნეს-
თან, ხასიათთან, ჩვეულებასთან, ეკონომიურს მდგომარე-
ობასთან, ცოტად თუ ბევრად, შეფერებული და ღაბლო-
ვებული, ერთის სიტყვით — იმისთანა კანონი, რომელიც
მათის ისტორიის და ცხოვრების ღვიძლი შეილია, ჩვენ-
ში ხომ ჩვეულებისათვის უფრო ფართო გზა უნდა დაე-
ნიშნათ. უამისოდ ჩვენ ძალაუნებურად უნდა დავჯერებო-
დით მარტო კანონსა, რომელიც ბევრში ვერ შეეფერება
ვერც ჩვენს განსხვავებულს ყოფა-ცხოვრებას, ვერც ჩვენს
განსხვავებულს ეკონომიურს მდგომარეობას; ვერც ჩვენს
შეხედულებას ურთიერთ-შორის დამოკიდებულებაზე, ვერც
ჩვენს ზნესა და ვერც ჩვენს ხასიათსა. კანონის შესახებ-
ლად, ჭეშმარიტის სიმართლის საწარმოებლად, მართლ-
მსაჯულობის წარსამატებლად აქ, ჩვენში, უფრო საჭირო
იყო მოეწვით ჩვეულება და მისთვის ფართო ადგილი
მიეკათ განსამართლების წესდებაში. ამიტომ — რომ აქ,
ჩვენში, განსხვავებულ ყოფა-ცხოვრების განო, უფრო ხში-
რია იმისთანა შემთხვევა, რომელიც არ არის მოხსენებუ-
ლი: მომქმედი კანონებში, ან თუ არის, ხშირად წინააღ-
მდეგია ხალხისაგან ცნობილ სიმართლისა. მაგალითებრ,
აუარებელი დავები შესახებ მიწისა, ტყისა, საძოვრების
მფლობელობისა, გზებისა, ვენახებისა, სახლიკაცობისა, მო-
ჯამაგირობისა, ზედ-სიძობისა, ძმად-შესულობისა, ქალთა
მონაწილეობისა მემკვიდრეობაში, ქალთა საკუთრებისა
ოჯახში (სათავენ ქალისა), სამკვდროსი, სამკვიდროსი, სა-
მარხისა, საქვრივოსი, ნაცვალ-გარდობით მუშაობისა, გა-
ყრილობისა და ბევრი ამისთანაები. ყოველს ამ შემთხვე-

ვაში ჩვენი ჩვეულება, ესე იგი—ხალხისაგან მამა-ჰაპით ალიარებული სიმართლე, ერთს ამბობს და რუსული კანონები კი ან სულ არას ამბობენ, ან თუ ამბობენ, სულ სხვასა.

„ადგილობრივს ვითარებას“ აი აქ უნდა გაეშალა ფრთა, მაგრამ, არამც თუ ფრთა გააშლევინეს, ფრთა შეაკეცეს და ეგ მეორე უმაღლესი ლირსება მომრიგებელ მოსამართლეობისა სრულად ჩამოერთვა ჩვენს ქვეყანასა, რომელიც რუსეთზედ უფრო გაცილებით მეტად საჭიროებდა, რომ მომრიგებელ მოსამართლეობას ეგ სიკეთე უფრო ვრცლად და უფრო ბევრს შემთხვევაში შეჰქმირებოდა.

ჯერ თითონ საზოგადო წესდებაშივე ჩვეულების გამოყენების ნება საჭმის წარმოებაში ისეთის პირობებით, არის გარემოცული, რომ ძნელად თუ მიეცემა მომრიგებელ მოსამართლეს შემთხვევა ჩვეულების ძალით საჭმეგადასწყვიტოს, და ჩვენ კი ესეც არ გვაქმარეს. 130 მუხლი სამოქალაქო განსამართლების წესდებისა ჩვეულების შესახებ ამბობს, რომ თუ ან ერთი მოდავე ცალკე, ან ყველანი ერთად, ჩვეულებაზედ დაეფუძნებიანო, მომრიგებელ მოსამართლეს ნება აქვს საყოველთაოდ ცნობილი ჩვეულება საბუთად მიიღოს საჭმის გადაწყვეტაშიო, მხოლოდ იმისთანა საგნის შესახებ კი, რომელზედაც თითონ კანონი ნებას იძლევა, ან რომელზედაც თითონ კანონი პირდაპირ არას ამბობსო. ეს მუხლი, რუსეთის მწერლობის სიტყვით, თავის-თავს თითონვე აუქმებს; იმავე წესდების 9 მუხლი, რომელიც მომრიგებელ მოსამართლისათვისაც კანონია, ვალად სდებს მოსამართლეს, რომ თუ მომქმედი კანონი არ არის სრული, არ არის ცხადი და ნაკლულია, ან თუ ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, მაშინ

სამართალი დააფუძნოს მთელის კანონმდებლობის საერთო აზრსა და მნიშვნელობაზედ. განა იმისთანა საქმე შესაძლოა კაცმა წარმოიდგინოს, რომელიც, თუ არ ზედგამოჭრილის კანონით, კანონმდებლობის საერთო აზრით მაინც არ გადასწყდეს, ამბობს იგივე მწერლობა*. მაშასადამე, მოძრიგებელ მოსამართლეს არასოდეს არ მიეცემა იმისთანა შემთხვევა, რომ ჩვეულება რაშიმე გამოიყენოს, იმიტომ რომ, რაც უნდა საქმე იყოს, იმის გადასაწყვეტად ან ზედგამოჭრილი კანონი მოიპოვება, ან არა და საერთო აზრს მთელის რჯულთლებისას ხომ ვერა შემთხვევაში ვერ წაუვა.

ამ მხრით, კანონმდებელთა სამართლიანი აზრი ჩვეულების შესახებ, თუ სრულად გაუქმებული არა, ძალინ შევიწროვებული მაინც არის წესდებაში. ჩვენ ამას ვამბობთ რუსეთზედ. ჩვენში კი ამ ჭირს სხვა ჭირიც ზედდაუმატეს. წელანაცა გსთქვით, „ადგილობრივი ვითარება“ აქ უნდა მოეხმარათ საბუთად აქაურს კანონმდებლებსა, თუ სურდათ, რომ მართლმსაჯულებას ჩვენში სანატრელი ნაყოფი გამოელონ და ხალხისგანაც პატივისცემა მოეპოვნა. ჩვენში „ადგილობრივის ვითარების“ სახელით 130 მუხლისათვის უნდა ჩამოეცალათ ის პირობები, რომელიც სულსა პხუთავს ჩვეულებასა თითონ რუსეთშიაც, და მის სამოქმედოდ უფრო ფართო მოედანი შემოეხაზნათ. სწორედ ამას თხოულობს ჭეშმარიტად ცნობილი, მართალის გულით მიჩნეული „ადგილობრივი ვითარება“. ამის სანაცვლოდ ის მოგვიხდა, რომ დღეს 130 მუხლი წესდებისა ჩვენთვის სრულებით არ არსებობს ოვით იმ სახითაც, რა სახითაც დღეს რუსეთშია, თუმცა კი ამ მუხლს აქაურები

*) Журнал граждан. и уголов. права, 1875 г. кн. 5.

პირდაპირ არ შეჰქებიან. რატომ მოგვიხდა ეგა? იმიტომ — რომ ჩვენში დღესაც უარყოფილია ის აზრი, რომ აქაურს ხალხს ან აქაური კაციებები უნდა მოსამართლედ, ან იმის ფანა, რომელმაც იცის მისი ენა და ყოფა-ცხოვრება ზედ-მიწევნით. ადგილის კურდლელს ადგილისავე მწევარი და-იჭერსო, ნათქვამია. ეს ანდაზა ისე არაფერს არ უხდება, როგორც მომრიგებელ მოსამართლობას. რუსეთის კანონ მდებელთა ეგ აზრი მტკიცედ წარმოსთქვეს და შკვიდრა-დაც გაუდვეს ხიდად მომრიგებელ მოსამართლობას რუ-სეთში იმით, რომ რუსეთში თითონ მცხოვრებელთ შია-ნიჭეს უფლება თავის მოსამართლე თითონვე თავიანთა-გან ამოირჩიონ. ჩვენში-კი ეგ აზრი პირველ დღიდგანვე უარყოფილია და დღეს მომრიგებელ მოსამართლეთა შო-რის უფროს-ერთი ჩვენთვის სრულიად უცხო კაცია, ხშირად არამც-თუ ჩვენის ყოფა-ცხოვრების მცოდნე, არა-მედ ხალხის ენის უცოდინარიც არის, და მოღით, იმისთა ნა კაცს დაავალეთ, რომ ხალხის ჩვეულება ზედმიწევ-ნით იცოდეს და საქმეში გამოიყენოს. ტყუილი დავალება იქნება.

ჩვეულება — ეგ უკეთესი მხარე მომრიგებელ მოსა-მართლობისა, ეგ არსებითი კუთვნილება მისი, ეგ დედა-ბოძი ბუნებრივის სიმართლისა, იმოდენად უარყოფილია ჩვენში, რომ ჩვენებურს განსამართლების გამგეებს საჭი-როდაც არ დაუნახავთ ითხე-გბში ადგილი მიეცათ იმის საჩვენებლად, თუ რავდენი საქმე გათავებულა ჩვეულების ძალითა. ოთხის წლის ითხეთ ები გვქონდა ხელში და არც ერთში ჩვეულების ხსენებაც არ არის. ცხადია, რომ აქ ჩვეულება არაფრად მიაჩინათ მომრიგებელ მოსამართ-ლობისათვის და, მაშასადამე, თითონ წაგ მოსამართლო-ბის არსებითი თვეებაც ცნობილი არა პქონიათ.

თუ მომრიგებელი მოსამართლობა ვისთვისმე და სადმე სანატრელი ყოფილა, მარტო იმით ყოფილა, რომ პირველი მისი ლირსება მოდავთა შორის შუა-კაცობაა, და მეორე — ბუნებრივის სიმართლით საქმის გადაწყვეტა უფრო; ვიდრე ფორმალურის სიმართლითა. ესეა იგი ცნობილი თითონ მეცნიერებაში და რუსეთის კანონმდებელთაგანაც ესეა აღიარებული. ეს ორი თვისებაა გული და სული მომრიგებელ მოსამართლობისა. ჩვენში კი ისე მოაწყეს მომრიგებელი მოსამართლობა, რომ თითქმის ყოვლად შეუძლებელი გახადეს ან ერთი ეგ არსებითი თვისება განხორციელებულიყო, ან მეორე. ჩვენში მომრიგებელი მოსამართლე იმ გზით ინიშნება, რომ ვერც შუა-კაცობა შეუძლიან, ვერც ბუნებრივის სიმართლით საქმის წარმოება. აქედამ ცხადია, რომ ჩვენებურს კანონმდებლებს ან ვერ მიუგნიათ მომრიგებელ მოსამართლობის სიცოცხლის ძალებისათვის, ან მიუგნიათ და საჭიროდ არ დაუნახათ, რომ მოსამართლობის აგებულებაში იმ ძარღვს ეტრიიალებინა სიცოცხლის მიმნიჭებელი სისხლი.

ამიტომაც ჩვენში მომრიგებელს მოსამართლობას ჩამოჟურალა ის უკეთესი მხარე, რომლითაც იგი სანატრელია ყველასათვის, და ეგე თვისის დანიშნულებით სახალხო სამართალი — შეიქმნა ფორმალურ სამართალად. ამ-სახით, გზა-გადალობილი მომრიგებელი მოსამართლობა გადუდგა ჩვენში ჩვენებურს ცხოვრებასა და ჩვენებური ცხოვრება — მომრიგებელ მოსამართლობასა. ამის გამო აქ არც ცხოვრება შველის კანონის წარმატებით სვლასა და არც კანონი ცხოვრების კეთილდღეობასა. ვერც კანონს დაუმორჩილებია ცხოვრება, რომ კეთილად წარმართოს, ვერც ცხოვრებას შეუფერებია კანონი, რომ სიკეთის დედა-ბოძად გამოიყენოს. „ერთის აღმა ხნულს მეორე დაღმა ფარ-

ცხავს“. ესეთი დღე დაადგა ეგრეთ წოდებულს „მომრი-
გებელ მოსამართლობას“ მარტი იმის გამო, რომ აქაუ-
რებს დღევანდლამდე არა სწამთ ყველასაგან, წამებული
კეშმარიტება,—ადგილის საქმეს აღგილის კაცი უნდა და
არა უცხო და ხამიო.

[1877—1881 წ.]

პოლემიკური წერილები

„ცხოვრისა და კანონის“ გამო

(1887)

კოლეგიაშრი ფერილები

„ცხოვრება და კანონის“ გამო.

წერილი პირველი

ტფილისი, 3 იანვარი, 1887 წ.

ამ შვიდის წლის წინათ „ივერიამ“ *, ჯერ როცა უურნალი იყო, გამოსთქვა, რომ სოფელი ერთს წოდებათა გაურჩეველს საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს; რომ სოფლის მმართველობასა და გამგეობაში წოდებათა გარჩევა არ უნდა იყოს; რომ უფლება და მოვალეობა ერთნაირის თანასწორობით განაწილებულ უნდა იქმნეს სოფლის ყველა მკვიდრხე, იმისდა მიუხედავად, თუ მკვიდრი რომლის წოდებისაა. „ივერიამ“ წინათვე აღიარა თვისი შიში მასზედ, რომ ამ ჩვენს აზრს თვითმსჯელობას მოკლებული კაცი მოესევა და უვიცობის ლალობით პენტვას დაუწყებსო. წინათვერძნობამ არ უმტკუკვნა „ივერიას“ და იმავ „ივერიის“ ფურცლებზედ ერთმა ლიბერალმა, ლიბერალობის სახელით, გმოილაშერა ამ აზრზედ და მის ავტორს რეტროგრადობა შესწამა. ამით გათავდა მაშინ ეს საქმე. ავტორმა პასუხი არ გას-

*) იმილე უურნალი „ივერია“ 1879 წ. („ცხოვრება და კანონი“).

(კა) თავმომწონე ლიბერალსა, მაგრამ ამ ლიბერალს ცუდი საქმე დაემართა. უცუბობის ნახტომი აქ ისეთი დიდი მოუვიდა, რომ თავმოწონებული ლიბერალი, მისდა დაუკითხავად, რეტროგრადთა წრეში მოექცა. იქნება მერყებერიც იოცა, ეს რა მომივიდაო, მაგრამ რალს უშველიდა.

არ გასულა ერთი წელიწადი, და პროფესორმა გრაც კი მ გამოსთქვა იგივე აზრი, რაც „ივერიამ“. რა თქმა უნდა, ეს გარემოება კიდევ საკმარისი არ იქნებოდა, რომ ტყუილის ლიბერალობის ცეცხლით აპილპილებული და გახურებული კაცი განელებულიყო. ამ სამისათუ თხხის წლის წინათ, როცა აჭ განსვენებულმა აკსაკოვმა ნიშნის მიგებით წააყვედრა რუსეთის ლიბერალებს, თქვენც არ იცით რა გსურთო, და თუ იცით, აბა ერთი გვაჩვენეთ, თქვენს დროშაზედ რა აწერიაო, მაშინ უურნალმა „Вестник Европы“ ლიბერალების სახელით სხვათა შორის დაასახელა იგივე აზრი, რაც უურნალმა „ივერიამ“ გამოსთქვა, და რაც ასე გაბედვით ითაკილა ჩვენმა შინაურმა ლიბერალმა, როგორც რეტროგრადების აზრი. ხოლო საოცარი ამბავი კი მოხდა. მას აქეთ ამ აზრს ეურჩებიან და ებრძვიან რუსეთში რეტროგრადები, და ლიბერალები-კი მფარველობენ და ესარჩელებიან. ვისაც ყური უდევნებია რუსულ უურნალ-გაზეთებისათვის და ერთობ ლიტერატურისათვის, ამის საბუთს არ მოგვთხოვენ. „ივერიისაგან“ გამოთქმული აზრი და ჩვენის ლიბერალისაგან დაწუნებული, დღეს რუსეთში დიდს გარჩევაშია და დიდი საბასო საგანია, რადგანაც თვით უმაღლესი მთავრობა პზრუნავს, რომ სოფლის საიუმო მმართველობა უკეთესად მოაწყოს, იმიტომ რომ შენიშნულია მისი ეხლანდელი ნაკლულოვანება.

13-с დეკემბერს წარსულის წლისას ერთს სამეცნიერო საზოგადოებაში * პეტერბურგში ბ-ნ ა რსენი ევის რეფერატის გამო ამავე საგანზედ ჩამოვარდნილა ლაპარაკი და ბ-ნ არსენიევს თვის მოპირდაპირეთათვის უთქვამს: ყოველთა წოდებათა საერთო სასოფლო თემობა (всесословная волость) ერთად-ერთი ღონეა და სახსარი, ერთად-ერთი შესაძლებელი აგებულებაა ადგილობრივის მმართველობისა და მთლად შეეფერება ეხლანდელის ცხოვრების მოთხოვნილებასათ. ბ-ნს სპასოვიჩს გამოუკხადებია, რომ სრულად თანამოზიარე ვარ ბ-ნ არსენიევის აზრისათ და მეც ერთად-ერთ ღონედ ყოველთა წოდებათა საერთო სასოფლო თემობა მიმაჩნიათ. არა გვგონია, ჩვენმა შინაურმა ლიბერალმა თავის გასამართლებლად იყადნიეროს და ბ-ნი არსენიევი და სპასოვიჩი რეტროგრადთა რიცხვში მოაქციოს. ძნელი საქმეა, როცა კაცი ლიბერალობს და არ იცის-კი ცნობა აზრისა, თუ ქვეშ არ უწერია, ეს აზრი ამა-და-ამ ფერისათ. ამასა ჰქვიან, რუსები რომ იტყვიან: „своя своих не познаша“.

ჩვენ თუ ეს დავიწყებული ამბავი გავიხსენეთ, მარტო იმისთვის, რომ დღეს აქაური მთავრობაც და უმაღლესიც იმის ზრუნვაშია, რომ განაკარგოს სასოფლო თვითმმართველობა. მეტი არ იქნება, რომ აქაურთა ახალის წესის შემადგენელთა სახეში იქონიონ სათანაგრძნებელი აზრი ბ-ნთ არსენიევისა და სპასოვიჩისა.

*) Административное Отделение Юридического Общества.

წერილი მეორე

**

ტფილისი, 14 მარტი, 1887 წ.

ბ-ნმა ხუდალოვმა ჩვენის ერთის მეთაურის გამო
მოგვიძლენა წერილი. იგი წერილი უკვე დაბეჭდილია
„ოვერიის“ № 51-ში. ბ-ნმა ხუდალოვმა დაგვიწუნა, რომ
ლიბერალთა დასის კაცნი და იმავ დასის უზრნალი
„Вестник Европы“ ვიმოწმეთ ერთს შემთხვევაში. სახელ-
ლობრ, იმ შემთხვევაში, რომ სხვადასხვა წოდებათა გამო-
უქლებლად და განურჩევლად აგება სოფლის საზოგადოე-
ბისა თუ თემისა—ლიბერალთა დასის მოძღვრება სხვათა
შორის. რასაკვირველია, ეს აზრი თავის-თავადაც ანიშ-
ნებს კაცს, რა ბანაკისაც არის. დღეს ბალლმაც კი იცის,
რომ უსწორ ბასწორობა, უჯრა-უჯრობა, გუნდ-გუნდობა
კაცთა საზოგადოების აგებულებაში,— პატარაა იგი საზო-
გადოება თუ დიდი, — კველა წარჩინებულ კაცთაგან ცნო-
ბილია წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზად. რუსთ-
შიაც სცნეს ესა, და ამ ბოლოს დროს ჰუდილობენ ერთი
განურჩეველი სათემო შეჰქმნან, ეხლანდელ მარტო საგლე-
ხო სათემოს მაგიერ. კველა განათლებულ ქვეყნებში ეგ
პატარა აღმინისტრატიული წრეც სხვასთან ერთად ამ
დედა-აზრზეა აგებული. ამის ცოდნას დიდი ლარი და
ხაზი არ უნდა და,— თუ გნებავთ,— მეტიც იყო ჩვენის
მხრით, რომ სხვები ვიმოწმეთ. მაგრამ სიტყვაში მოგრანა

და ჩვენც იგი მოწმები დავასახელეთ, იშისათვის კი არა, რომ ჩვენის აზრის საბუთანობა იმათს მოწმობაზედ დაგვემყარებინა, არამედ იშისათვის, რომ ამ აზრს ერთის დროს რეტროგრადობა უკიუინეს, და ამ კიუინის უკუსაქცევად უკეთესი რა იქნებოდა, თუ არ მოწმობა თითონ ლიბერალებისა, რომ ეგ ჩვენი აზრი და მოძლვრება არისო. ზოგისათვის ამისთანა ბეჭედდაკრული მოწმობაა საჭირო, რადგანაც თვით ბუნება აზრისა მათთვის მიუწვდომელია. ბ-ნს ხუდადოვს კი ჰგონია, რომ ჩვენ თითონ საბუთიანობა აზრისა ამ მოწმობით გვინდოდა დაგვემტკიცებინა. გონიაობა, თუ სადაც მიუწვით, უფრო შორსაც წავახოლმებ..

ეგ არაფერი. ჩვენ არც ერთგან არც ერთი სიტყვა არ წაგვცდენია, რომ კაცმა დაგვწამოს, ვითომ „რიხიანის მუქარით“ გვეთქვას, „როგორ გაბედეთ“ და ჩვენის მოწმების წინააღმდეგ სთქვით რამეო. მართალია, კაცია და გუნებაო, მაგრამ კაცსაც და გუნებასაც თავისი საზღვარი აქვს. გავეკარი ერდებით. და მოვახსენებთ ბ-ნს ხუდადოვს, რომ იგი ამ საზღვარს გადაცილებულა, რადგანაც უნებებია და სწორედ ამასა გვწამებს, რომ ჩვენს მეთაურს წერილში ვითომ—„სულ რიხიანი. მუქარაა, თუ როგორ გაბედეთ და წინააღმდეგ გრადოვსკისა, არსენიებისა და სპასკოვიჩისა ხმა ამოიღეთ.“

ბ-ნ ხუდადოვის ადგილის ჩვენ ამისთანა სულელობას არავის შევწამებით: აქ „კაცია და გუნება“—გერაფერი მეშვეოლია. იმას, არც ბ-ნმდე ხუდადოვმა წევეცამა, არც ვიტყვით თავის-დღეში და არც გვითქვებს, და ვინც ესა სთქვა, იმასცე შეეკამათოს ამისი დამწამებელი, თუ საკალი მოცალეობა აქვს. ბ-ნის ხუდადოვის წერილი სხვა მხრით არის, შესანიშნავი. იქ ერთი აზრია გამოთქმული,

რომელსაც ერთს დროს დიდი ფხა და ავალა ჰქონდა რუსეთში და რომელმაც მარტო მით, რომ ცნობიერად გაგებული არ იყო, არა ერთსა და ორს ყმაწვილ-კაცს გზა-კვალი დაუბნივა იქაც და ჩვენშიაც. ამ აზრს, ბ-ნ ხუდა-დოვისაგან ბუნდად, ყრუდ და გაკვრით გამოთქმულს, განმარტება უნდა, და თუ დღეს ბ-ნ ხუდადოვის წერილის გამო ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ჩვენი თავდაპირველი სურ-ვილი მავ აზრის განმარტებაა.

ავტორისტეტების მოწვევის გამო, ბ-ნ ხუდა-დოვი ერთს, ცოტა არ იყოს, უამთა-გითარებით გახუნებულს ზოგადს აზრს გვიქადაგებს ამ-სახით:

„ეჭ. დარბაისელო, დიდიხანია კერპთმსახურება გადა- ვარდა და სხვადასხვა ბობოლების თაყვანისცემა უგუნუ- რობად მიგვაჩნია“.

ჩვენ რომ ბ-ნ ხუდადოვსავით, კაცია და გუნებაა— ამ ანდაზის დავადგეთ, ვიტყოდით, რომ ეს მეტის-მეტი მოსვლია ამის მთქმელს და ამაოდ თავმოწონებას უფრო მოასწავებს, ვიდრე დამჯდარ გონების გამონაკვლევს. მაგ- რამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბ-ნი ხუდადოვი გონება- გახსნილი კაცია, ნასწავლია, მცოდნეა და ამიტომ ვამ- ბობთ, რომ ამ სიტყვებში ის არ უნდა ვიგულისხმოთ, რასაც სიტყვები პირდაპირ გვეუბნებიან. თუ არა ვცდე- ბით,— ბ-ნს ხუდადოვს ამით იმისი თქმა უნდა, რომ ავტო- რიტეტები, ქსე იგი, ყველასგან ცნობილნი, სახელ-მოპოე- ბულნი მეცნიერნი ყოველთვის არიან და იქნებიან, და ამათი თაყვანისცემა არ დაილევა ქვეყნიერობაზედ, ვიდრე აღამიანის ჭეშმარიტს ლვაწლს, ზედმიწევნილ ცოლნას, მეცნიერებას, სიბრძნეს და ამათით მოპოებულს სახელს კაცის თვალში პატივი, ფასი და დიდება ექნება. ხოლო ბრძად დაჯერება ყოველ იმისი, რასაც ავტორიტეტი ამ-

ბობს, რის შემოწმებასაც ყურის-მგდებელის ჭკუა, გონება
 მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარჲყოფს,— მართლა
 დიდიხანია უგუნურობად არის მიჩნეული. თვით იყვლიე,
 თუ შეძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩერიკე, შეამოწ-
 მე, და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე
 მხოლოდ მაშინ, და ამ-სახით შენს საკუთარ რწმენად გარ-
 დაჭმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვლევი. ხოლო საცა
 გონება და ჭკუა, რომელისამე მიზეზით, ვერ მიგიწვდეს
 და არჩევანში ხარ, შენს არ-გამორკეულს აზრს, არ-ცოდ-
 ნას, სხვისი, სახელგანთქმულის მეცნიერის, გარკეეული.
 აზრი და ცოდნა მოაშველეო,— აა, ეს არის ეხლანდელი
 მოძღვრება ავტორიტეტების გამო, და ბრმად დანდობა
 კი და აყოლა სხვისა იქ, საცა შენი საკუთარი გონება
 საბუთიანად სხვა-რიგად გიჭრის,— ეგ უწინდებური ცოდ-
 ვაა, უგუნურობად მიჩნეული და სამართლიანად განდევ-
 ნილი, უარყოფილი. აქაო და არისტოტელმა სთქვაო, და
 რაც უნდა აშეარად დასარღვევი საბუთი გქონდათ,
 არისტოტელს სიტყვას ვერ შეუბრუნებდით, ცოდვად
 ჩაგითვლილენ, დიდიხანია, ესე ბრმად აყოლა, ესე დაბ-
 ბუნება ჭკუისა და გონებისა, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩაი-
 ლულის წყალს გაჭყვა.

მაგრამ აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ
 ავტორიტეტობა ეხლა შემუსრვილია და თაყვანისცემა მი-
 სი უგუნურობად ცნობილი. აი სწორედ ეგრეთ უმეცრად
 გაგებულმა გამოლაშეჩრებამ ავტორიტეტებზედ დოინჯი
 შემოაყრევინა მტკნარს უვიცობას და აძახებინა: შექსპი-
 რი, სპენსერი, ჰექსლი, ჰეპტელი ვინა გლიაო; ავტორი-
 ტეტები რას მიქვიან, და სხვანი და სხვანი. ასეთმა თავ-
 გასულობამ უვიცობისამ ბევრს აურია გზა და კვალი, იმი-
 ტომ რომ ამისთანად თავგასული კაცი ხომ თითონ არა

პრის-ჩა, სხვასაც არავის კაცად არ აგდებს. ნუთუ ეს გონიერებაა და ჰექსლის და ჰეკელის დიდ მეცნიერად, დიდ ავტორიტეტად ცნობა და თაყვანისცემა კი უგუნდრობაა.

ჩვენ არა გვგონია, რომ ამის თქმა სდომებოდეს ბ-ნს ხუდადოვს, და თუ მართლა იმის თქმა ჰესურვებია, რასაც მისი ზემოთ მოყვანილი სიტყვები პირდაპირ გვეუბნებიან, მაშინ სხვაა და ამაზედ შემდეგს ნომერში მოვილაპარაკებთ.

* *

ტფილისი 16 მარტი, 1887 წ.

კაცმა რომ სთქვას,—ავტორიტეტობა, ავტორიტეტი, დიდხანია გადავარდა და თაყვანისცემა ერთისა და მეორისაც უგუნდრობა არისო, —ან არ უნდა ესმოდეს, რას ჰნიშნავს ავტორიტეტობა და ავტორიტეტი, ან ამისი თქმა არ ჰესურვებია. ეს ცხადად გამოჩნდება, თუ ამ სიტყვების ჰეჭმარიტს ჰნიშვნელობას გონების თვალ-წინ წარმოვიღენთ.

მართლა-და რა არის ავტორიტეტობა, ავტორიტეტი, ესე იგი ის, რასაც ბ-ნი ხუდადოვი „ბობოლაობის“ და „ბობლას“ სახელით წინდაუხედავად სასაცილოდ იგდება? ავტორიტეტობა იმ შემთხვევაში, რა შემთხვევაშიაც ბ-ნ ხუდადოვს უნებებია მისი დევნა და განდევნა, იმ გავლენიან სახელოვანებასა ჰქვიან, რომელსაც ატამიანი მოიპოვებს ხოლმე დიდის სიბრძნით, დიდის გამოცდილებით, დიდის მეცნიერობით*. ავტორიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია,

*) არის კიდევ ერთ-გვარი ავტორიტეტობა, ავტორიტეტობა უფლებისა, რომლის მნიშვნელობა უფლების მნიშვნელობაზეა დამო-

რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუ-
თქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმოდენად შეურ-
ყევლად და უცილობელად, რომ ერთიც და მეორეც სა-
კმაო თავმდებია მისის აზრის შეუცდომელობისა. ამისთანა
კაცები, კაცთა საბედნიეროდ და ბ-ნ ხუდადოვის გულის-
საწყრომად და სასაცილოდ, კოტანი არ არიან ქვეყნიერო-
ბაზედ, და მათ შორის ჩვენც თუნდა იმათ დაგასახელებთ,
ვინც თითონ ბ-ნს ხუდადოვს ჩამოუთვლია თავის წერილ-
ში,. სახელობრ: სპენსერი, ჰექსლი და ჰეკკელი. ეხლა ვი-
კითხოთ: როდის გადავარდა თუნდ ამათი ავტორიტე-
ტობა? ნეტა როდის შემუსრა ამათი სახელი და ნდობა
ან ბ-ნმა ხუდადოვმა და ან სხვამა? და თუ შემუსრო, აქე-
დამ სხვა არა გამოვიდოდა-რა, რომ შემუსრევილის მაგიერ
შემმუსრველი ჩადგებოდა; მაშასადამე, ავტორიტეტობა
მაინც ავტორიტეტობად დარჩებოდა, თუმცა ეხლა სხვა
კაცის სახელს დაირქმევდა.

რა არის ბ-ნ ხუდადოვის შიერ ამ შემთხვევაში ხსე-
ნებული „თაყვანისცემა“, თუ არ ისა;. რომ კაცი გავლე-
ნიან სახელოვანობას სპენსერისას, ჰექსლისას, ჰეკკელისას
და მათთა მიმართ ნდობას აღიარებს მით, რომ იგინი
უფრო შეუცდომელი ჰგონია, ვიღრე, მაგალითად, რედაქ-
ტორი „ივერიისა“, ან თუნდა თითონ ბ-ნი ხუდადოვი? ნუთუ
ამას უგუნურობად ჩასთვლის ვინმე! იქნება ეგეც მოხდეს,
მაგრამ ეს სასაცილო ჩათვლა მოსალოდნელია ამ შემ-
თხვევაში მარტო ორის კაცისაგან: „ივერიის“ რედაქტო-
რისა და ბ-ნ ხუდადოვისგან, ისიც უსათუოდ მაშინ, თუ
ერთსაც და მეორესაც აბრუ გასიებული ექნებათ იმ ერთ-

კიდებული. ამ-გვარს ავტორიტეტობას აქ არ ვისენიებთ, რადგანაც
ჩენენ საბაასო საგანთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ნაირ ავადმყოფობისაგან, რომელსაც ამაო თავმოყვარეობას, ტყუილს აბრუს ეძახიან და რომელსაც წამალი არა აქვს. მაშ რათ მიაჩნია თაყვანისცემა სპენსერისა, ჰექსლისა და ჰეკელისა უგუნურობად ბ-ნ ხუდაღოვსა? ამისი თქმა და იმისი, რომ სპენსერს, ჰექსლს და ჰეკელს ნურას დაუჯერებთო—ხომ ერთი და იგივეა. ნეტა რომელი კაცი იტყვის ქვეყანაზედ, რომ ნურას დაუჯერებთო ამ ჭკუით, ცოდნით, სიბრძნით, მეცნიერებით გამოჩენილს და მთელის ქვეყნისაგან ამ-სახით ცნობილს კაცებს, და თუ დაუჯერებთ, უგუნურობა იქნებაო. მაშ ყველაფერი დავიჯეროთ ამათიო?—იყითხავთ თქვენ. დიახ, სწორედ ყველაფერი, ვიდრე წინააღმდეგის უეჭველი საბუთი ხელთ არა გაქვთ.

დღეს რომ კრიტიკას თავისუფალი გზა და მსვლელობა აქვს და რა ავტორიტეტიც გინდა იყოს, კაცი არ ერიდება კრიტიკის ქარ-ცეცხლში გამოატაროს,—ნუთუ ბ-ნი ხუდაღოვი ამაში ჰქედავს ავტორიტეტების მიმართ თაყვანისცემის უგუნურობას! კრიტიკით და მთელი დღე ვა ნდელი ის მეცნიერების ძალით რომ იერიში მიიტანონ, ვსოდებათ, ჰექსლსა და ჰეკელზედ, ნუთუ ჰგონიათ, რომ ამით მათი ავტორიტეტობა დაღნება, შეიმუსრება და არა უფრო შემოწმდება, გამართლდება და მით უფრო თაყვანისცემა არ მოემატება ერთსაცა და მეორესაც; განა სასაცილო არ იქნება, რომ კაცს თაყვანისცემა სწორედ მაშინ მოაკლო, მისი სახელი მაშინ შევმუსრო, როცა უტყუარად და კარგად შემოწმებულის საბუთით დამტკიცდება, რომ მისი ნათქვამი გამართლდა. აქ, პირიქით, ავტორიტეტობამ უფრო უნდა იმატოს, თაყვანისცემა და პატივი უფრო უნდა გაძლიერდეს. სწორედ ესეც არის ამ წუთის-სოფელში, და არ ვიცით,—ეს ამბავი რათ უნდა მიაჩნდეს ვისმე უგუნურობად,—და თუ მიაჩნია, ეგ ახალი კი არ არის,

ძალიან ძველის-ძველი ამბავია, და სახელადაც ღონ-კიშორითბა ჰქვიან. ვიდრე კრიტიკას არ გაუმტყუნებია ავტორიტეტად ცნობილი კაცი, მის ავტორიტეტობას ვერავინ შეჰმუსრავს მარტო იმით, რომ დილიდამ სალამომდი და სალამოდამ დილამდე იძახოს ბ-ნ ხუდადოვისავით: მე უგუნურობად მიმაჩნია, ავტორიტეტს თაყვანი-ვცეო.

სწორედ კრიტიკით შემოწმებულთა და გამართლებულთა მეცნიერთა მოიპოვეს იგი სახელი და თაყვანისცემა, რომელიც ბ-ნ ხუდადოვს უგუნურობა ჰქონია. კაცობრიობა არ შეუშინდა ბ-ნ ხუდადოვის მკაცრს განაჩენსა და მისგან უგუნურობის დარქმევა იყისრა, და ის კი ვერ უარყო, რომ ქვეყანაზედ სანდო მეცნიერნი არიან და მერე ლირსნიც თაყვანისცემისა.

დავანებოთ ამას ყველაფერს თავი და ერთო ეს ვიკითოთ: ვითომ უგუნურობად უნდა მივიჩნიოთ, რომ თითონ დიდნი ბრძენი, უდიდესი მეცნიერნი და ავტორიტეტები, ხშირად სხვა ავტორიტეტებს იმოწმებენ ხოლმე? რომელიც გნებავთ წიგნი აიღოთ დიდის მეცნიერისა, ძნელად შეხვდებით იმისთანას, რომ ერთი მეორეს არ იმოწმებდეს.— ნუთუ ამისი მომქმედნი ყველანი უგუნურები არიან, რომ ასე თაყვანს-სცემნ ავტორიტეტსა! ით თუნდა ჯონ სტუარტ მილლი, სახელოვანი მეცნიერი, რომლის წიგნიც ამ-ჟამად ხელში შეგვხვდა,— ერთს ადგილს რას ამბობს თავის აზრის დასამტკიცებლად: მომყავსო „მოწმობა სისმონდისა, რომელსაც სხვა მწერლებზედ მეტი უპირატესობა იმითი ეკუთვნის, რომ ყველაზედ ზედმიწევნით და დაახლოებით იცის საქმეო“.

ბ-ნ ხუდადოვის სიტყვით, ჯონ სტუარტ მილლი დიდი უგუნური კაცი ყოფილა, რომ ამისთანა თაყვანი უცია ავტორიტეტად ცნობილისათვის. რა მილლი? განა

სხეა სახელვათქმულნი მეცნიერნი კი ცოტანი არიან, რომ სხეის საავტორიტეტო სიტყვით აძლიერებენ, ამტკი-ცებენ თავიანთ აზრსა, და ზოგჯერ უმისობას ვერსად ვერ წასელიან! მაშ ეს სულ უგუნურობად უნდა მივიჩნიოთ! მაშ ჩენზედ უფრო მეტს მცოდნეს, ჩენზედ უფრო მე-ტის ზედმიწევნით მეცნიერობისაგან უკეთეს მცოდნედ და უკეთეს მეცნიერობისაგან და გათქმული,—ფასი ალარ ადევს, და ვინც ფასას სდებს, იგი უგუნურია! ამისი მოქმე-ლი და იმისა, რომ ჩემზედ ჭკვიანი, ჩემზედ უფრო მცო-დნე ქვეყანაზედ არავინ არისო, — განა ერთმანეთზედ ძა-ლიან შორს იქნებიან!

თუმცა ბრმად მინდობა და აყოლა სხვისა ძალიან ცუდია, მაგრამ არც კი ბრმად დაუინებაა კარგი იმისი; რომ დიდ-სახელოვანის, სახელვათქმულის მეცნიერის პა-ტივი და თაყვანისცემა უგუნურობა იყოს. არა, ბატონო, სწორედ ამისთანა კაცს უნდა პატივი და, თაყვანისცემა; თუნდა იმით, რომ იმისი სიტყვა, თუნდ შეუმოწმებლა-დაც კი, სხვისაზედ წინ დააყენო, თუ გამტკუნებული არ არის უეჭველის საბუთითა. სხვამ რაც უნდა გიკიუინოთ, და თუ ერთსა და იმავე საგნზედ ჰეკსლი ერთს ამბობს და, თუნდ, მაგალითად, ბ-ნი ხუდაღოვი სხეას, იცოდეთ, რომ უგუნურობაში არავინ არ ჩამოგართმევთ, თუ ჰეკსლს უფრო დაუჯერებთ, ვიდრე ბ-ნს ხუდაღოვს. თუ თქვენის აზრის გასამართლებლად ჰეკკელს იმოწმებთ ბ-ნ ხუდაღოვის წინააღმდეგ, ან თითონ ბ-ნი ხუდაღოვისაგან დაწუნებულ სპასოვიჩსა—სასისხლო რჯულიერობის მეცნიერებაში,— არც ეს იქნება ახირებული სულელობა. შესაძლოა გვი-თხრან: განა ბ ხუდაღოვსა რ ძალუშს ჰეკსლს, ჰეკკელს აჯო-ბოსო. შესაძლოა, რაღვანაც მჯობი მჯობი. არ დაელევა, მა-

გრაშ მინამ ბ-ნი ხუდადოვი ამას იქმოდეს, იმ დრომდე — ნუ-
რას უკაცრაოდ, რომ ჰექსლი, ჰეკელი ავტორიტეტიდ ვიც-
ნოთ და თაყვანი ვცე მარტო იმით, რომ მათი სიტყვა
უფრო ვიჯეროთ, თუ აშკარა საბუთი არ გვექნება და-
სარღვევად.

ეს ამისთანა ლაპტის ქნევა ავტორიტეტების შესა-
მუსრავად, ცხონებულ პისარევის შემდეგ შემოვიდა რუსეთ-
ში; ცოტა ხანს ითარფაშა და მერე აპრიალებულ ჩალა-
სავით ჩატერა, და დღეს ამის გამო მარტო ჩვენ და ბ-ნი
ხუდადოვი-და ვლაპარაკობთ მთელს ქვეყნიერობაზედ. სხვი-
სათვის კი აქ საკამათო აღარა არის-რა. დღეს ბალლამაც
კი იცის, რომ თქვენი აზრი, დიდის რომელისამე მეცნიე-
რის სიტყვით შემოწმებული, უფრო სანდოა, უფრო და-
საჯერი, და ამ მოწმობას ქვეყანაზედ არავინა ჰავილობს.
იმის შიშით, რომ ბ-ნი ხუდადოვი უგუნურობას დამწა-
მებსო.

ხოლო პისარევის სახელის ამ მხრით შეუბლალვე-
ლობისათვის ისიც უნდა ვსთქვათ, რომ იგი სრულად იმას
არა ჰქანავობდა, რასაც დღეს ბ-ნი ხუდადოვი გვეუბნება
ავტორიტეტის შესახებ. მარტო უვიცობამ წართვა სა-
დავე კაცსა და პისარევის მოძლვება ამ სავნის თაობა-
ზედ ჰერკულესის სვეტებამდე მიიყვანა. აქ პისარევს არა-
ვითარი ბრალი არა აქვს.

ავტორიტეტობა ყოველთვის იქნება მეცნიერებაშიაც
და ცხოვრებაშიაც. სნეული რომ მკურნალს მიშვართავს
ხოლმე, — როგორ ჰგონია ბ-ნს ხუდადოვს, — რა მოქმედობს
აქ, თუ არ რწმენა, რომ მკურნალი მკურნალობის უკეთე-
სი მცოდნეა, და ეს რწმენა რა არის, თუ არ იგივ ავტო-
რიტეტობა კაცისა, რომელსაც მკურნალობაში იმდენა
უკეთესობის სახელი და ნდობა მოუპოვებია, რომ ეს სა-

ხელი და ნდობა ყველასათვის საკმაო თავმდებია მისის ამ საქმეში უპირატესობისა? მოდით და ამას იქით სულელი დაუძახეთ მას, ვინც ამ შემთხვევაში მკურნალს ენდობა და უჯერებს. თუ გვკითხავთ, იგი „კერპთმსახურება“ და იგი „თაყვანისცემა“, რომელიც ბ-ნ ხუდადოვს უგუნურობად მიაჩნია, აქ უფრო საგულისხმოა, რადგანაც ამ შემთხვევაში ბრმად დანდობას, ბრმად დაჯერებას უფრო მეტი აღგილი უჭირავს, ვიდრე სხვა რაშიმე და თითქმისა უცილებელიც არის. მაშასადამე, იგი ნდობა და დაჯერება, რომელიც კაცს მკურნალისაკენ იზიდავს, ბ-ნ ხუდადოვის სიტყვით, „კერპთმსახურებაა“, რომელიც დიდიწანია გადავარდნილა, და „ბობოლაების თაყვანისცემა“, რომელიც ბ-ნს ხუდადოვს უგუნურობად მიაჩნია. სხვა მეცნიერთ ვიღა სჩივის, ვაი მკურნალთა, თუ ეს მართლა ასეა, ქვეყნის საუბედუროდ.

ԵՌԵՑԵՑՈՒՄ ՍԱԺԹՈ

Բարկացոց პորշըլո

(1880)

შესაბალის მაზიარ.

ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო.

ტფილისი, 17 მარტი, 1880 წ.

ამ ერთის კვირის წინათ ბ-ნ გუბერნატორის თაოსნობით მოწვეულ ყოფილა ტფილისში კომისია, შემდგარი მარ-შლებთაგან, ზოგიერთ გამოჩენილთ მებატონეთაგან, საგლეხო სასამართლოს წევრთაგან და „მირაცოი პოსტერნიებთაგან“. ჩეენ შევიტყეთ, რომ ამ კომისიას ხიზნების საქმეზე ჰქონია სჯა და ლაპარაკი, და არ ვიცით კი, რაზედ დამდგარან და რა დასკვნა დაუდეიათ. მგონია, ჯერ-ხანად მარტო ლაპარაკით გათავებულა საქმე. შემდეგ წავიკითხეთ გაზეთებში, რომ გორის მარშალი იწვევს გორის თავად-აზნაურობას და აუწყებს, რომ სხვათა შორის ხიზნების საქმის თაობაზედ უნდა მოვილაპარაკოთო. ყმების განთავისუფლების შემდეგ კანონმდებლობის ჯერი სწორედ ხიზნების საქმეზედ უნდა მიმდგარიყო. ხიზნობაც ერთ-გვარი მფლობელობას მიწისა, რომელსაც მოსდევს დამოკიდებულება თავისუფალის გლეხისა მიწის მებატრონესთან. რასაკვირველია, ქვეყნის სიკეთისათვის საჭიროა, რომ ეგ დამოკიდებულება შეეფერებოდეს ეხლანდელს მოთხოვნილებას და მაინცა-და-მაინც განსაზღვრული იყოს და კანონის მფარველობის ქვეშ დამდგარი.

სჩანს, მთავრობა შესდგომია ხიზნების საქმეს ამ-გან-ზრახვით, მოუნებებია მისი დაყენება. მტკიცე საფუძველ-ზედ. თუ ეს ასრეა, ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ. მავ-რამ ერთი რამ კი ძალიან გვაწუხებს. ჩვენ გავიგონეთ მათგან, რომელნიც ამ საქმის გადაწყვეტისათვის მო-წვეულ არიან, რომ ამ საგანზედ არც თურმე ჯეროვანი და სარწმუნო სტატისტიკური ცნობებია მოკრეფილი, და არც თითონ ხიზნობის არსებითი ვითარებაა გამოკვლე-ული და ცნობაში მოყვანილი. აქამდინ არ იციან თურმე, რა არის ხიზნობა, რა საკანონო და საეკონომიკო თვისე-ბა აქვს.

ჩვენ არ გვესმის, საიდამ რას უნდა გახდნენ, ფე-ხი რაზედ უნდა მოიყიდონ, ვისაც ამ საქმეში ერთის ბიჯის მაინც წინ გადადგმა უნდა. ხიზნობა, როგორც ერთ-გვარი მფლობელობა მიწისა, დღევანდელი საქმე არ არის. ამას თავისი ისტორია აქვს, თავისი წარ-სული დრო, რომლის განმავლობაში უსაქმია, უმოქმე-დნია მთელის ერის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას, ავ-კარგიანობას, სამართლიანობას, ჩვეულებას და ეგრეთ-წოდებულს ჩვეულების რჯულსა. ყოველს ამას ერთად უწარმოვნია დიდის ხნის მიმავლობაში და ერის გონება-ში გამოუკვანძავს მრთელი აზრი იმ ეკონომიურის. წყო-ბისა, რომელსაც დღეს ჩვენ ხიზნობას ვეძახით და რო-მელსაც სარჩულად იგი აზრი უდევს. ნუთუ საქმის გადა-საწყვეტიად მაგ აზრის ცნობაში მოყვანა საჭირო არ არის! უმაგისოდ, ჩვენის ფიქრით, ყოველივე ბიჯი ბრმა კაცის ფეხების ფაცურს ეგვანება.

ან კიდევ, ნუთუ საჭირო არ არის, მინამ საქმეს წინ-დაუხედავად ხელს მოვკიდებდეთ, შეგვეტყო — რამდენი ხი-ზანია, რამდენი მებატონეა ხიზნისა, ორთა-შუა რიცხვით რამდენი მიწა უჭირია თითო. მოსახლე ხიზანსა, სად რა

გარდასახადს იხდის ხიზანი, სად რამოდენა მიწაა სამყოფი, რომ ერთმა მეკომურმა თავის სახლობით თავი იჩინოს, და სხვა ამ-გვარი.

შორს რომ არ წავიდეთ, ჯერ მარტო იმას შივხედოთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში ხიზანის რიცხვის შეტ-ნაკლებობას. ამ მეტ-ნაკლებობაზედ არის დამოკიდებული, — რა თვალით უნდა უყუროს კანონმდებელმა ხიზ-ნების საქმეს: საზოგადო, საქვეყნო საჭიროების თვალით, თუ კერძო პირთა საჭიროებისა. პირველ შემთხვევაში, თუნდ რომ მსხვერპლი იყოს საჭირო, არა უშავს რა. მსხვერპლი, ქვეყნის სახელით მოთხოვნილი, შესაწყნარებელია და სამარ-თლიანი. მეორე შემთხვევაში-კი ყოველივე მსხვერპლი უმართლოა და შეუწყნარებელი.

თუ ხიზნები აქა-იქ კანტი-კუნტად არიან, მაშინ სულ სხვა ფიქრი უნდა, სულ სხვა ლონე და სხვა გზა საქ-მის მსვლელობისათვის. და თუ ხიზნები იმოდენი არიან, რამ ერთს კარგა მოზრდილს წყობას შეადგენენ, მაშინ მა-თი საქმე საზოგადო, საქვეყნო საქმეა და მარტო საქვეყნო ინტერესის მიხედვით უნდა გადასწყდეს. და თუ აქ აუცილებ-ლად საჭირო იქნება, რომ უმცირესმა უმრავლესს დაუთმოს რამ, მაშინ მაგ დათმობას რჯულიცრი და ღირსეული სა-ბუთი იქნება.

ყოველ უამათოდ, რაც ზევით მოვიხსენიეთ, ხიზა-ნის საქმეს შეუძლებელია ჯეროვანი გზა შეურჩიონ, რი-გიანი წამალი დასდონ, და თუ მაინც-და-მაინც მოუმზა-დებელად ხელი ჩაჰკიდეს ამ არა-სახუმარს საქმეს, იქნება იმისთანა ამბავიც მოხდეს, რომ შეღავათის ნაცვლად, ხი-ზანს უურო გავუჭიროთ ისეც გაჭირვებული ცხოვრება. სჯობს ცოტა გვიან იყოს და კაზგად, ვიდრე ჩქარა და ცუ:

დად. „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქე-
ბულსაო“, ნათქვავია.

შემდეგ ამ საგანხედ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.
ჯერ-ხანად ის გვინდოდა, რომ საქმე სათავეშივე არ გა-
ფუჭებულიყო და ამიტომაც ვუჩვენეთ, საქმე საიდამ უნ-
და დაწყებულიყო და როგორ უნდა მომზადებულიყო.

ხიზნების საშმის თაობაზე.

ნარკვევი პირველი.

I

ყოველივე ცვლილება, საზოგადოებრივი თუ ეკონომიური, მაშინ არის მარგებელი და მქოდრი, როცა ცვლილების საგანი ყოველმხრივ გასინჯულია. და შუქმოფენილი. ამისთვის, რასაკვირველის, ყველაზედ უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს აღგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველს საგანს ამ შემთხვევაში თავის აღგილზედვე აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსელელობისა და განვითარებისა. მაგრამ ძალიან შესცდება ის, ვინც მარტო ამას დასჯერდება და მარტო აქედამ გამოიყენს თავის დასკვნას.

ბევრი, ძალიან ბევრიც, იმისთანა ნაშთია საზოგადოებრივის თუ ეკონომიურის წყობისა, რომელიც თუმცა არსებობს, მაგრამ მსვლელობის კვალი კი წაშლილი აქვს უამთა მდინარეობისაგან და ამის გამო მისი ვერც თავი გაიკება, ვერც ბოლო, თუ მარტო აღგილობრივს ვითარებას შეაქრდა კაცი. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა იგივე საგანი გამოიძიოს სხვა ქვეყნებშიაც, სხვა ქვეყნების ისტორიაც მოიშველიას. იტყვიან, სხვა ქვეყნები რაში გამოგვადგებიან, ჩვენ სხვანი ვართ, ისინი სხვანიონ. იტყვიან, მაგრამ მთქმელნი ამაში ძალიან შესცდებიან.

„რაც უნდა ერთმანეთზედ დაშორებულნი ქვეყნები აიღოთ და სულ სხვადასხვა თვისებისანი,—ამბობს გამოჩენილი მეცნიერი ემილ დე-ლაველე:—ნახავთ, რომ ეკონომიური მსვლელობა და განვითარება ყველგან ერთ-გვარი და ერთნაირი ყოფილა“. ამასვე ემოწმება საფრანგეთის მეცნიერი ტრკვილი. ფილოლოგიამ და მითოლოგიამ აშ ბოლოს დროს ბევრი საკვირველი ჭეშმარიტება აღმოაჩინა მით, რომ სხვადასხვა ხალხთა ისტორიები შეადარა და ამ შედარებით გამოიკვლია ბევრი საგანი, რომელთაც უამთა სიბნელეში არც თავი უჩანდათ, არც ბოლო. ინგლისის გამოჩენილი მეცნიერი პენრი მენი ამბობს, რომ მაგავე მეთოდით მიემართოთ მართლიერების (право) ას-სნასაო,—სულ ახალს ნათელს მოვფენდით პირველ-უამურ ბიჯს ციგილიზაციის მსვლელობისასაო. მაშინ ცხადად აღმოჩნდებოდა, რომ კანონები დადგენილ არიან ქვეყნიერობაზედ იმიტომ კი არა, რომ ესე ნებავდა ადამიანსა, არამედ იმიტომ, რომ მაგას ითხოვდა უკონომიური საჭიროება ერთის მხრით და მეორეს მხრით სიმართლე, წარმომდგარი ზნეობითის და სარწმუნოების გრძნობათაგანა. ეგ საჭიროება, ეგ გრძნობა და იღები ყველგან ერთგვარნი და მსგავსნი იყენენ, ერთ-გვარად მოქმედებდნენ კაცთა განვითარებაზედ და ერთ-გვარი წყობილებაც შემოიტანეს ყველგანაცაო. ხოლო განსხვავება იმაში იყო, რომ ზოგი ხალხი სწრაფად ვიდოდა განვითარების გზაზედ, ზოგი მძიმე ნაბიჯითა; ზოგნი დაწინაურიდნენ, ზოგნი უკან ჩამორჩნენ.

თუ ესეა, მაშ უეჭველია, რომ თუ რომელსამე წყობას ერთს ადგილს უამთა ვითარების გამო კვალი წაჰშლია, შეიძლება იგი კვალი აღვადგინოთ საქმაო სისრულით სხვის ისტორიის შედარებით და შესწავლითა.

თუ შევძლით, სწორედ ამ გზით ვაპირებთ. ახსნას იმ წყობისას, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ეძახიან და რომელიც ერთ გვარი მიწის მფლობელობაა და სხვა არა-რა.

მეცნიერთა გამოკვლევით, საკუთრებას ორი ელემენტი აქვს: ერთი საზოგადოებრივი, ანუ თემობრივი, და მეორე კერძოობრივი *. ყველგან პარველ-უამურ თემთა შორის — აზიაში, აფრიკაში, თუ ევროპაში — თემობრივს თვისებას საკუთრებისას სჭერია უპირველესი ადგილი. ინდოელებს, სლავიანებს, გერმანელებს, — მიწა სათემო საკუთრებად ჰქონიათ ისე, როგორც დღეს რუსეთშია და იავას. კუნძულზედა. თვითოვეულს თემის კაცის სახლობას წილად-ხდომილი მიწა სჭერია დროებით. დროგამოშვებით, ეგრეგაწილადებულს მიწებს. ისევ თემი დაიბრუნებდა ხოლმე და ხელახლად დაუყოფდა წილის-ყრიუ თემის კაცებს, რომ თვითოვეულს ავი და კარგი თავის რიგზედ შეხვედროდა. თანასწორობა მიწის მფლობელობაში ამ საზით დამკეიდრებული იყო, მეტ-ნაკლებობის ჩამოვარდნას გზა შელობილი ჰქონდა; მიწის მშრომელი და მიწის-მფლობელი ერთი და იგივე კაცი იყო. უმამულობა ამ-გვარს წყობაში, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა.

დროთა მიმავლობაში ეს წყობა შეიცვალა და კერძოობრივმა საკუთრების ძირი გაიკეთა. ამის მიზეზი უფრო ბევრგან უცხო ხალხთა შემოსევა იყო. შემოსეულები ჩამოართმევდნენ ხოლმე მკვიდრებს მიწებსა და ერთმანეთში დაჩემებით მოარიგებდნენ. ამ უკანასკნელის მიზეზით ალორინდა კერძოობრივი საკუთრება ინგლისში, საფრან-გეთში, იტალიის ნახევარ-კუნძულზედ და ინდოეთში. აქ

*) ემმანუელ ფიხტე და ისპანიელი მეცნიერი ფრანჩესო დე-კარდანასი,

უსწორობა, მეტ-ნაკლებობა და არისტოკრატია დაპყრობის მაზეზით გაჩნდა იქ, სადაც-კი მაგ მიხეჭს არ უმოქმედნია, კერძოობრივ საკუთრების საბაბად შეიქმნა შრომა. მაგალითებრ, ვინც ახოს გამოიღებდა სათემო მამულში, შეეძლო დაეჩემა ახოდ გამოლებული მიწა კარგა ხნობით. მაგ კარგა-ხნობამ თანდათან იქამდინ იარა, რომ ახო რჩებოდა კიცს, მინამ ცუკხალი იყო და ბოლოს სა-შვილიშვილოდაც გახდა. ვინც კარიელს უხმარს მიწას. სათემოში, ანუ ტყეს, შემოლობდა შესამუშავებლად, იმას საშვილიშვილოდ შეეძლო დაეჭირა შემოლობილი. ამ-გვარი მიწები თემის ხელვევითობიდამ გამოდიოდა, ასე რომ თემს მათხედ აღარაფერი უფლება არა ჰქონდა. თვით სა-თემო გარდასახადისაგანაც თავისუფალი იყო.

ეს მიწები სათემო მიწებიდამ გამორჩეული იყო, ცალკე მიეზომებოდა ხოლმე საბლიო * და ცალკე დაიმი-ჯნებოდა.

რა თქმა უნდა რომ, რაკი კერძოობრივმა საკუთრებამ სათემოში ცოტაც მაინც ფეხი მოიკიდა, ფეხსაც გან-ზედ გასდგამდა. ამ-სახით, უფრო შემძლებელი და ღო-ნიერი უკრო ბევრს მიწებს ჩაიგდებდა ხელში. ეგრეც მ.ი-ხდა. ჯერ თითონ ტაციტის დროს გერმანიაში ზოგს სხვა-ზედ ბევრად მომეტებული მიწები სკერიათ თემშივე. ამ-სახით ჩამოვარდა კერძოობრივი საკუთრება. იქ, სადაც უცხო ხალხთაგან დაპყრობა არ მოხდენილა, მაგალითებრ,

*) დღესაც ჩვენში გლეხისაგან დაჩემებულს და განსაკუთრებულს მამულს „საბლის მამულს“ ეძახიან, გასარჩევდ სათემო მამულებისაგან. საბლის მამულს ჩვენში სწორედ იმისთანავე სათავე უნდა ჰქონდეს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ. გერმანიაში და ნამეტნავად დანააში ეგ საბლიო მიზომვა დაჩემებულის მამულებისა ჩვეულებად იყო.

გერმანიაში. ამ-სახითვე ეპარქება სათემო მიწებს ია-
ვას კუნძულზედ კერძოობრივი საკუთრება დღესაც.

ეგრეთ აღვირ-მიშვებულმა კერძოობრივმა საკუთრე-
ბამ დასძლია თემობრივი და ბოლოს იქამდინ მიიყვანა,
რომ თემი, რომელსაც წევრთა რიცხვი ემატებოდა და
მიწები-კი ხელიდამ ეცლებოდა, ველარ უძლვებოდა გამ-
რავლებულთ თემის კაცებს და უმატებოდ დარჩენილს
კაცს თემის გარეთ უნდა მოენახა სახსარი თავის რჩენისა
და გამოკვებისა. თითონ მიწის პატრონებიც, რომელთა
ხელში დიდალი მამულები, მოგროვდა, იძულებულ იყვნენ
მოეწვიათ მამულის მკეთებელი მუშა, რა რომ სამერმისო-
დაც ჰყოლოდათ, უნდა მამულზედ დაეყენებინათ, და ისე
მოეხერხებინათ, რომ სამუდამოდაც დაებათ. ერთის მხრით
უმამულობა მიწის-მომქმედისა და მეორის მხრით უხელო-
ბა მიწის მეპატრონებისა იყო დასაბამი თითონ ბატონ-
ყმობისა და იმ-გვარ მიწის-მფლობელობის, რომელსაც
ფერმერობას, ხიზნობას და სხვას ამ-გვარს მიწის ქირით
დაჭრას ეძახიან. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყნებში
საოცარი ერთ გვარობა და მსგავსება არის.

ამ მსგავსებაზედ შემდეგში მოვილაპარაკე? თ.

II

ჩვენ გვინდოდა წინა-წერილში, ჩვენის შეძლებისა-
მებრ, გვეჩვენებინა, რომ მიწათ-მფლობელობის განვი-
თარებას ყველგან ერთი და იგივე სათავე ჰქონდა და
ერთი და იგივე მომდინარეობა. პირველ-უამური მფლობე-
ლობა, ანუ ხმარება მამულებისა,— სათემო მფლობელობა და

ხმარება იყო. ამისი ცხადი სატურები და ნიშნები დღესაც მრავალია ცველგან და ნამეტნავად ჩვენში. ამისი აშეარა მაგალითი ტყისა და საძოვრების სათემოდ ხმარებაა, რო-
მელსაც ჩვენს თვალ-წინ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სულთ-
ებრძის რუსთა კანონების ზედ-მოქმედების გამო, და
რომლის რწმენაც ჩვენის ხალხის გონებიდამ დღევანდლამ-
დე ვერ გამოდევნა თითქმის ოთხმოცის წლის მოქმედე-
ბამ მაგ კანონებისამ. თითქმის ყოველს სოფელში დღესაც
ჰქანავთ ერთს წყობას მიწებისას, რომელსაც სათემო მი-
წებს ეძახიან და სათემოს ხმარებაშია. ჩვენ რომ ამის და-
მტკიცებას შევუდგეთ უფრო ვრცლად, შორს მოგვივა სა-
ქმე და დავშორდებით იმ საგანს, რომელიც აგვილია გა-
მოსაძიებლად.

რაკი კერძო საკუთრება შეეპარა სათემო მულიბე-
ლობას, მას შერჩეთ — დაპყრობამ, ძლიერთა ძალმომრეობამ,
ტაციობამ, სათემო მფლობელობას ბოლო მოუღო, სული
ამოხადა და ძლიერთა გაიჩინეს სათემოში საკუთრება,
კერძომობითი. ეს კერძოდ დაჩიტება მამულებისა დროთა-
მიმავალობაში თანდათან ძლიერდებოდა და ამ გაძლიე-
რებამ იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ ერს ცველგან ერთი
და იგივე დღე დააყენა: უმრავლესს ჩამოართვა თითქმის
მიწები და უმცირესს დაულოცა. იმის დასანახავად, თუ
სადამდი მიაღწია კერძო საკუთრების გაძლიერებამ, სამ-
ყოფია მოვიყვანოთ მაგალითად ოთხი უმთავრესი სახელმ-
წიფო ევროპისა. მით უფრო, რომ ეგ ოთხი სახელმწიფოა
მესვეური კაცობრიობის ცივილიზაციისა.

საფრანგეთში დიდ რევოლუციამდე — ერთი მეხუ-
თედი მთვლი სამეურნეო მიწებისა დაიჩემა ხაზინამ, ერ-
თი მეხუთედი ეკლესიამ, ერთი მეხუთედი დიდკაცობამ,
დანარჩენი ორი მეხუთედი შუა-წოდების (ბურუუაზის) და

გლეხობის წილად დარჩა. როვოლიუკიამ შესცვალა ეს
 რაოდენობა წილებისა, მაგრმ ამ შეცვლაში მარტო ბურ-
 უჟაზიამ მოიგო, გლეხობა კი, მეცნიერის ლეონს-ლავერ-
 ნეს სიტყვით, ერთის მეხუთედიდამ მეექვსედზედ და მეშვი-
 დედზედ ჩამოხტა. 1815 წელს, ესე იგი თითქმის პირველ-
 ვე ხანებში დად რევოლუციის შემდეგ, დიდ-მამულიანები
 იყვნენ სულ 21,456 სახლობა, და ეჭირათ ყველას ერთად
 19,000,000 ჰეკტარი * მიწა. თვითონეულს სახლობაზედ
 ორთა-შუა ანგარიშით მოსდიოდათ 880 ჰეკტარი. შუა-
 თანა მეშვალენი იყვნენ 168,043 სახლობა და ეჭირათ
 10,500,000 ჰეკტარი. თვითონეულს მოსდიოდათ 62 ჰეკ-
 ტარი, და წვრილნი მემამულენი 3,583,901 და ეჭირათ
 15,250,000 ჰეკტარი. ამათ შორის ერთს მილიონზედ მე-
 ტი იმისთანანი ყოფილან, რომელთაც თითო სახლობა-
 ზედ დღიურზედ ნაკლები მიწა მოსდიოდათ, და 851,230
 იმისთანა, რომელთაც სამ-სამი დღიური მიწა ძლივ მო-
 სდიოდათ. აქ ისე გამოდის, რომ თითქმის ორ მილიონს
 სახლობას ორი მილიონი ჰეკტარი სჭრიათ მაშინ, როდე-
 საც 21,456 სახლობას ცხრამეტი მილიონი. ბოლოს, თუმცა
 მიწათ-მფლობელთა რიცხვმა იმატა, მაგრმ სიერცით-კი
 თვითონეულის მფლობელობამ თითქმის იმოდენადვე იკლ.
 პრუსიაში, 2,141,364 მიწათ-მფლობელთა შორის
 18,320 სახლობა იმისთანანი არიან, რომელთაც დაუჩე-
 მებიათ 41,117,312 მორგენი ** მიწა; 15,079 იმისთანა-

*) ჰეკტარი ჩვენებულს ორს დღიურზედ ცოტა ნაკლებია.

**) მორგენ დილაა ნემეცურად. როგორც ჩვენში, რაც ერთს
 დღეს მოიხვნის, ერთს დღიურს ეძახიან, ისე ნემეცურიც ერთის დი-
 ლის ნახნას მორგენს ეძახიან და უდრის ჩვენს ნახევარს დღიურს,
 რადგანაც დილის ხენა შუადღემდი იგულისმება. ჩვენს მთიულებში,
 ნახევარს დღიურს ერთს საშაპათოს ეძახიან, რადგანაც შაბათობით
 მარტო შუადღემდინ ჭხვნენ, და დანარჩენი დრო-კი კვირაძალია.

ნი, რომელთაც უჭირიათ 6,048,228 მორგენი; 391,561 იმისთანანი, რომელთაც აქვთ 35,918,047 მორგენი; 617,420 იმისთანანი, რომელთაც აქვთ 8,428,751 მორგენი და 1,099,333 სახლობას-კი სულ უჭირავს 2,227,812 მორგენი. აქ ასე ჯამოდის. რომ 18,320 სახლობას თითქმის ერთი ოცაფ მეტი მამულები უჭირავთ, ვიდრე ერთს მილიონზედ მეტს სახლობასა.

ინგლისში მთელის ინგლისის სამეურნეო მიწები დაჩემებული აქვთ სულ 30,700 სახლობასა, დანარჩენი სოფლის ხალხი-კი სულ უმამულო თითქმის.

ამ სახით, თუ ცოტა მეტ-ნაკლებობით, ყვილგან დიდკაცობაშ ლონითა და მძლავრობით დაიჩემა მიწები და ულონო გლეხნი ცარიელზედ გაიყვანა. ცნობალია, რომ ერთს კომლს კაცს სულ ცოტა-ცოტა ათი დღის მიწა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ თავის მამულის ანაბარას დარჩეს და თავი ირჩინოს ცოლ-შვილითა. ეს რომ სახე-ში ვიქონიოთ და ზემოთქმული სქემა მიწების მორიგე-ბისა, აშკარად დავინახავთ,— რა დიდძალი მიწათ-მომქმე-დი კაცი იძულებული იქნებოდა თავის მამულს გარეთ ეძია სახსარი ცხოვრებისა და რა დიდძალი მუშტარი ცყოლებოდა მიწის მეპატრონენსა. მუშტრის სიმრავლეს ყველგან ერთი და იგივე შედევი მოსდევს: შოვნის პარო-ბას ამძიმებს და თითონ საშოვარსაც ფასს უმატებს. ესეც მოუხდა უმამულოდ დარჩენილს გლეხობასა, და ვინ იცის სიძვირე და სიმძიმე მმულის შოვნისა სადამდე მიაღწევ-და, თუ რომ ამ უნუგეშობას არ დაჰყოლოდა ერთი ნუ-გეში, რომლის მეოხებითაც სიმძიმე მამულის შოვნისა ცოტად თუ ბევრად შეუმსუბუქდათ. ეგ ნუგეში იმაში მდგომარეობდა, რომ თითონ მამულის პატრონებს, რო-მელთ ხელშიაც მოგროვდა დიდძალი უკაცო მამულები,

უჭირდათ გლეხის თავი, ჯერ როგორც მუშა-კაცისა და
მერმე როგორც მამულით საზღვრების დამცველისა.

წინათაც გსთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ერ-
თის მხრით ამ გაჭირვებამ მამულის მეპატრონებისამ და
მეორის მხრით გლეხის უმამულობამ,—მემამულე გლეხთან
მიიყვანა და გლეხი მემამულესთან. მოსარიგებლად მარ-
ტო ერთ-გვარი პირობა შესაძლო იყო ამ მდგომარეობაში:
მიწის პატრონი უთმობდა გლეხს მიწის გამოსავალს და
გლეხი ამაგისას. ამ სახით ჩამოვარდა ერთ-გვარი ხმარება
მიწისა, რომელსაც მიწის ქირავნობას ეძახიან. ამ გარე-
მოების გამო, ქირით კერამ მამულებისამ ფეხი აიღგა და
დღესაც მომდინარეობს.

რადგანაც დიდ რევოლუციამდე საფრანგეთში, და
ზოგიერთგან დღესაც, მთელი გამგეობა და კანონმდებლო-
ბა თითქმის მემამულეთა ხელში იყო, და რადგანაც კანო-
ნის ჩარევა მიწის-მფლობელობის საქმეში არ იყო სახეო-
რო მემამულეთათვის, ამიტომაც კანონს ხელი არ ჩააკი-
დებინეს მიწათ-მფლობელობის საქმეში და ყველგან აღია-
რეს ის მოძღვრება, რომლის წყალობითაც ყოველივე სა-
კუთრება მაწისა უცილობელი და ხელშეუხებელია, ესე-
იგი, ვერაფერი და ვერა-გვარი საზოგადო გაჭირვება
ხელს ვერ გაიწვდენს კერძო საკუთრებაზეო. აბ-სახით,
უძრავს ქონებას ჩამოართვეს ის ელემენტი, რომლითაც
იგი, ფიხტეს სიტყვით, კერძო კუთვნილებასთან ერთად
საზოგადო კუთვნილებასაც შეაღებს. კანონშა რომ ზურ-
გი შეაქცია მიწათ-მფლობელობის საქმეს, წარმოსდგა ერთი
იმისთანა მეოხი, რომელიც ზოგჯერ რჯულთ უმტკიცესიც
არის, ნამეტნავად მიწის ხმარების საქმეში. ეგ მეოხი—
ჩვენებაა. მაგან მიიღო თვის მფარველობის ქვეშ კანო-

ნისაგან თავ მინებებული საქმე ზა დროთა მიმავლობაში დაადგინა კიდეც წესი მიწათ-ქირავნობისა.

მიწათ-ქირავნობის მსვლელობაში ორი განსაკუთ-რებული მიმართულება აღმოჩნდა: ერთმა თავი იჩინა იმა-ში, რომ მამულის ქირა, ანუ ლალა, დროთა მიხედვით იცვლებოდეს და თითონ მამულის ჭერაც წინათვე გან-საზღვრულ ვალით იყოს; მეორემ იმაში, რომ ერთხელ დაღვენილი ლალა უცვალებელი იყოს და თითონ მამუ-ლის ჭერასაც ვადა არ ჰქონდეს წინათვე დანიშნული. პირველი მიმართულება საცხედ გამოისახა ეგრეთ-წო-დებულ ფერმერობაში, და მეორე მასში, რასაც მეცნიერ-ნი ეძახიან მემკვიდრეობითს ქირავნობას და რასაც ჩვენ-ში, ჩვენის ფიქრით, ხიზნობა ჰქვიან. ის ორი სრული სა-ხეა მიწათ-ქირავნობისა ქვეყანაზედ და თუმცა ამ ორ სახეს შუა არის იმისთანა ქირავნობაც, რომელშიაც ვერ ჰქოვებთ სრულს ნიშნებს ვერც ერთისას, ვერც მეორისას, მაგრამ არსებოთის თვისებით-ყი უსათუოდ ან ერთს ეკუ-თვინის, ან მეორეს.

პირველს მიმართულებაში გამარჯვებულია ის ელე-მენტი საკუთრებისა, რომლითაც იგი მარტო კერძო კუთვ-ნებად ცნობილია, მეორეში-კი ფეხადგმულია ის ელემენ-ტი, რომლითაც საკუთრება საზოგადო გაჭირვებას ემსა-ხურება. პირველის დროშა ხელთ უპყრიათ მემამულეთა, მეორისა მიწათ-მომქმედსა მუშა-კაცას. პირველის ფარ-ხმალი კანონია, მეორისა—ჩვეულება.

III

ხნით, პირველი სახე მიწის-ქირავნობისა მოსავლის წილზედ ჭერა იყო და მოკლეს ვალით. ეგრეც უნდა ყო-

რადგანაც სათემო შფლობელობის შერყევის
პირველ ხანებში -- გლეხობას, ანუ უკეთ ვთქვათ მიწათ-მომ-
ქმედსა, ჯერ ბინა სათემოში მოშლილი არ ექნებოდა და,
მაშასადაბე, თუ გაიწევდა სხვის მამულისაკენ, მარტო იმი-
სათვის, რომ მამული ეხმარა მოკლეს ვადით, და არა იმისა-
თვის, რომ მამულში ბინაც ნოეკიდნა. ეგ წილზედ-ჭერა
მამულებისა და მოკლეს ვადით -- უქველესს დროებშივეა
შემოლებული, ყველგან ყოფილა და დღესაც არის ძვე-
ლათგანვე დარჩენილი. ეკროპაში ეგ შემოვიდა რომაელ-
თაგან. ჯერ კიდევ კატონი და პლინი იხსენიებენ მაგ-
გვარს მცწის ჭერას. რომაელთაგან დამკვიდრდა იტალია-
ში და აქედამ გადვიდა სხვა ქვეყნებშიაც. აქ, იტალიაში,
მიწებს აძლევლნენ მოსავლის წილზედ ჯერ თითო წლო-
ბით. ერთს წელიწადს მეორეც ზედ მოჰყა, მეორეს — მე-
სამე იმავე პირობითა, და ბოლოს ეს განახლება ვად-სა
ერთისა და იმავე პირობით ისე გახშირდა და შეეთვისა
ხალხს, რომ ჩვეულებრივ საქმედ შეიქმნა. ამით წახალი-
სებულნი გლეხნი და დაიმედებულნი, ბინასაც იკეთებდნენ
ნაქირავებ მამულშია და მოკიდეს კიდეც. გამრავ-
ლებული სახლობა გლეხისა, რასაკვირველია, ამას ხელს
უწყობდა. მეტი კაცი გლეხის სახლობიდამ იძულებული
იყო მოჰყიდებოდა ბინას სხვის მამულში, რადგანაც პირ-
ვანდელი საკომლო სამყოფი ილარ იქნებოდა ყველა-
სათვის.

ეს ერთისავე და იმავე პირობის შეუშლელად გან-
მეორება წლიდამ წლობით დიდიხნის განმავლობაში ხალ-
ხის სულსა და ხორცში ფეხს იკიდებდა და ბოლოს იქამ-
დინ მივიდა, რომ მართლა ჩვეულებად შეიქმნა და ერთ-
ხელ დაჭერილი მიწა საშვილიშვილოდ გადადიოდა მე-
კომურის მემკვიდრეობზედ ერთისა და იმავე ლალითა.

ამას იტალიაში livello-ს ეძახიან და კლომბარდიასა და
 ტოსკანაში ამ-გვარი მიწათ-მფლობელობა მეტად გახში-
 რებულია. თუმცა გლეხსაც ნება აქვს, როცა უნდა აიყა-
 როს და მემამულესაც — როცა უნდა აპყაროს, მაგრამ ჩვე-
 ულებამ ისეთის სიმტკიცით მიიღო თავის მფარველობის
 ქვეშ ეს წესი მიწათ-მფლობელობისა, რომ ვერც გლეხი
 ჰქედავს უმიზეზოდ აყრასა — შიშით, რომ სახელი წამიტდე-
 ბა და სხვა ალარავინ მიმიღებსო, და ვერც მემამულე — იმის
 შიშით, რომ ალარავინ მომეკარებაო და მიწას ველარას
 გამოვრჩებიო. თუ ან გლეხმა არ შეასრულა რიგიანად
 თავისი მოვალეობა და მით აიძულა მემამულე აპყაროს,
 ან მემამულემ ღალა მოუმატა და მით იძულებულ ჰყო
 გლეხი აიყაროს, მთელი ხალხი, დიდი თუ პატარა, ქვეყ-
 ნის სამარტვინოდ გახდის გლეხსაცა და მემამულესაცა.
 ასე ძლიერად მოქმედობს აქ ჩვეულება. თუმცა ამ-გვარი
 წესი მიწათ-მფლობელობისა იტალიის კანონებში გარ-
 კვევით არ არის ალიარებული და მარტო ჩვეულების
 ფარ-ქვეშა სდგას, მაგრამ მაინც მქვიდრად სუფევს, და
 ამის მიზეს ჯერ იმაში ხედვენ, რომ იტალიის მემამუ-
 ლენი თითონ არ მოქმედობენ თავიანთ მამულუბში და
 მუშაობას არ ეწყობიან, და მერმე იმაში, რომ ღალა დი-
 დია: ზოგან ორი-მესამედია მოსავლისა, ზოგან ნახევარი
 და ზოგან მესამედი.

საფრანგეთში, საცა გლეხობა უმამულობით ისე შე-
 ვიწროვებული არ არის, როგორც სხვაგან, საცა სოფ-
 ლის გლეხობას უფროს ერთგან თავის საკუთარს მამულ-
 ში აქვს ბინა, რასაკვირველია, არავითარი მიზეზი არ
 იქნებოდა, რომ გლეხი სამუდამოდ მოსჭიდებოდა მამულის
 ქირავნობასა და არც მამულის პატრონი ინდომებდა უვა-
 დოდ დატაფრა თავისი მამული სხვის ხელში, რადგანაც

საფრანგეთში უფროს-ერთგან მემამულენი თითონ ტრია-
ლებენ თავის მამულში და მიწებს თითონ ამოქმედებენ.
ამის გამო აქ მემკვიდრეობითმა ქირავნობამ ფეხი ისე
ვერ გაიღდა, როგორც იტალიაში და უფროს-ერთგან
გაჩერდა მარტო ვალით მამულის გაკემაზედ თითო წლო-
ბით და სამ-სამ წლობითა. მაგრამ მაინც კიდევ მემკვიდ-
რეობითი ქირავნობა მამულებისა, როგორც იტალიური
livello, ბრეტანში, ელზასში *, სახოგალო ჩვეულებად არის
მიღებული, იმ პირობით-კი, რომ მემამულეს სრული ნება
აქვს აპყაროს მამულის მოქირავნე, როცა-კი სურს, მხ-
ლოდ უნდა უზღოს დანაკლისი გარეშე კაცთა გადაწყვე-
ტილებისამებრ.

პრუსიას, საქსონიასა და ჰესენში ამ-გვარი მემკვი-
დრეობითი ქირავნობა ძალიან გახშირებულია. აქაც ამ-
გვარს მფლობელობას erbracht-ს ეძახიან, როგორც ელ-
ზასში.

პორტუგალიაშიც ხშირია ამ-გვარი მიწათ-ქირავნო-
ბა და ჰერიან aforamento. აქ მიწებს უვადოდ აქირავე-
ბენ, იმ პირობით კი, რომ ერთხელ დადგენილი ლალა,
რომელსაც ვერც მემამულე მოუმატებს და ვერც მოქირავ-
ნე დაუკლებს, უდავიდარაბოდ ეძლეოდეს მამულის პატ-
რონსა. აქ aforamento განუყოფელია, ესე იგი, მემკვიდ-
რეთა შორის ვერ გაინაწილება, და თუ aforamento-ს მჭე-
რელი ამოწყდება, მამული მხოლოდ მაშინ უბრუნდება
პატრონსა.

სრულსა და საესე სახეს მემკვიდრეობითის ქირავ-
ნობისას წარმოადგენს ჰოლანდიის პროვინცია გრენი-

*) ბრეტანში ამ-გვარს მფლობელობას ეძახიან quevaise,
ზოგან—domaine conjéable, ელზასში—erbracht.

გენი, საცა მაგ-გვარს მფლობელობას beklem-regt-ს ეძახიან, Beklem-regt ი იმ-გვარი მემკვიდრეობითი მფლობელობაა მიწისა, საცა ყოველ-წლივ მოქირავნემ უნდა იხადოს ერთხელ ჩვეულებით დადგენილი ღალა, რომელსაც ვერასდროს ვერ შესცვლის მემამულე.

Beklem-regt-ის მფლობელსა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ამ-გვარს მიწის მოქირავნესა არამც-თუ მემკვიდრეობით უჭირავს მამული, არამედ ნება აქვს მემამულის დაუკითხავად ვისაც უნდა უანდერძოს, მიჰყიდოს, მიაქირავოს, დაუგირაოს, იმ პირობით-კი, რომ თუ beklem-regt-ს გადასცემს ან გაყიდვით, ან მემკვიდრეობით, ყოველს ამის-თანა შემთხვევაში მემამულეს ერთისა თუ ორის წლის ღალის ფასი უნდა მიეცეს გარდა ყოველწლიურის ღალისა. ყოველივე შენობა და ნაკეთობა ამ-გვარს მამულში მოქირავნეს საკუთრებად არის აღიარებული და თუ რომელიმე მიზეზით beklem-regt-ობა შესწყდა, მაშინ მემამულემ შენობისა და ნაკეთობის ფასი უნდა მოქირავნეს უზღოს.

აქ მოყვანილ მაგალითებიდანა სჩანს, რომ ყველგან მიწის-მფლობელობა მიიზიდება, თუუც-კი ფეხ-მძიმედ, იქით, რომ მაგ მფლობელობას მუშა-კაცის ხელში მუდ-მივობა დაუმკვიდროს ერთისა და იმავე უცეალებელის ღალითა; ყველგან ისე მიიმართება, რომ მიწის საკუთრებაში ფეხი მაგრად მოაჭიდინოს საზოგადო ინტერესების შესაფერს ელემენტსა.

მეცნიერთა აზრით, მემკვიდრეობითი ქირავნობა მიწისა შუა-საუკუნოების დასაწყისში ჩამოვარდა და პირველად მონასტრებმა შემოილეს თავის მამულებში. დიდხალი მამულები, რომლებიც მონასტრების ხელში მოგროვდა, უქმად დარჩებოდა, რომ უშამულო კაცი არ მოეწვიათ მა-

მულების საკეთებლად. მოწვეულებისათვის ბინაც უნდა
 მოეკიდებინათ მამულში, რომ მიწების კეთება და მამუ-
 ლებიდამ გამორჩიმა საღლე-ხვალიო საქმედ არ შექ-
 მნილიყო და სამუდამოდ ყოფილიყო. ამიტომაც მონას-
 ტრებს გაღმოსახლებულებისათვის ცოტა თუ ბეჭრი შე-
 ლავათი უნდა მიეცათ და მით გადმოებირებინათ ხალხი.
 ეკ შელავათი მარტო მხოლოდ ორის საგნის შესახებ თუ იქ-
 ნებოდა: ღალისა და მამულის ჭერის ვადისა. მიწათ-მომ-
 ქმედს ხელს არ მისცემდა ბინა მოგვიდნა, სხვის მამულში,
 თუ დაიმედებული არ იქნებოდა, რომ დიდხანს იქნებო-
 და მამულში და ერთხელ მორიგებული ღალა აღარ იძა-
 რებდა. პირველ ხანებში ვადა მამულის ჭერისა ათ
 წლამდე აღიოდა. ამის შემდეგ მონასტრებს ნება პქონ-
 დათ დაეთხოენათ მოქირავნე მამულიდამ, მაგრამ რაკი
 შენობისა და ნაკეთობის ფასი უნდა გადაეხადნათ მოქი-
 რავნის სასარგებლოდ, ამიტომაც შაგ უფლებას ფრთა
 მოკვეცილი ჰქონდა. მონასტრების მიხედვით სხვა დიდ-
 მამულიანებმაც ნახეს ხეირი მაგ-გვარად მამულის გაქირა-
 ვებაში და შემოიღეს მემკვიდრეობითი ქირავნობა, რომ-
 ლის მაგალითები ზევით მოვიყანეთ და რომელიც ზო-
 გან ჯერ შემთავრებული არ არის, და ზოგან-კი, რო-
 გორც პორტუგალიასა და პოლანდიაში, სრული სახე
 აქვს.

ინგლისი ერთი იმისთანა ქვეყანა არის, საცა მე-
 ორე გვარძა მიწის მფლობელობისამ, სახელდობრ ფერ-
 მერობამ, თავი იჩინა სრულის თავის თვისებითა და თით-
 ქმის უნაკლულოდ. მაგრამ აქაც მემკვიდრეობითი ქირავ-
 ნობა მიწისა თითქმის დღეს, ჩეენ. თვალ-წინ, იდგამს
 ფეხსა. ამიტომაც კვალში რომ ჩაუდგეს კაცი მიწათ-
 მფლობელობის მსვლელობას ინგლისში, მეტად საინტე-

რესო იქნება. ჩვენ ვეუდებით, რამოდენადაც ლონე შეგვ-
წევს, გამოვიკვლიოთ მიწათ-მფლობელობის საქმე ინგ-
ლისში უფრო ურცლად და სავსედ. მერე, რაკი ყოველივე
საჭირო ცნობა ხელთ გვექნება, ჩვენს ხიზნობასაც გამო-
ვიძიებთ *.

1880 წ.

*) ეს პირველი ნარკვევი „ხიზნების საქმის ოთხა-
ზედ“, რომელიც იძექდებოდა გაზ. „დროებაში“ 1880 წელს, ავ-
ტორს დაუმთავრებელი დარჩა

შემდეგ, 1886 წელს, ავტორი ამ საკითხს ისევ დაუბრუნდა და
დაბეჭდა გაზ. „ივერიაში“ მეორე ნარკვევი „ხიზნების საქმეზე, სადაც
იგი იმეორებს ამ პირველი დაუმთავრებელი ნარკვევის დებულებებს“
(იბ. ქვემოთ, „ხიზნების საქმე“, ნარკვევი მეორე).

რედ.

ԵՐԵՎԱՆԻ ՏԱՅԹ

Նարկազն Թյուրի

(1886)

შესავალის შეგიძე.

„კავკაზი“-ს წერილების გამო.

* *

ტფილისი, 23 მაისი, 1886 წ.

გაზეთმა „კავკაზშა“ ამ უკანასკნელ დროს ორი მეთაური წერილი შესწირა ხიზნების საქმეს. პირველ წერილში პატივცემული გაზეთი ამბობს, რომ, როცა ლაპარაკი ჰქონდათ ბატონ-ყმობის გაუქმების თაობაზედ, მაშინ თავად-აზნაურთა უმრავლესობა ურჩევდა მთავრობასაო, განთავისუფლებულთა გლეხთა მიწების ხმარების საქმე იმ საფუძველზედ მოაწყოსო, რა საფუძველზედაც ხიზნები არიანო. „ეს ამბავი დიდად შესანიშნავიაო, — ამბობს მერე გაზეთი: — რადგანაც თავად-აზნაურთა უმრავლესობა ამით გვაჩვენებს, რომ ხიზნობა მისთვის მეტად სასარგებლოა.“ შესაძლოა, ამ ამბიდამ სხვა დასკვნაც გამოიყენან კაცა, მაგრამ გაზეთს „კავკაზს“ მარტო ერთი ზემოაღნიშნული დასკვნა უნდებია, და იყოს ნება მისი. ჩვენ ჯერ ამას არ გამოვეკიდებით, ჩვენ მარტო ამისი თქმა გვინდა, რომ საქმე, რომლიდამაც სხვადასხვა დასკვნა შესაძლოა კაცმა გამოიყენოს, არ უნდა იყოს ხმარებული საბუთად მარტო ერთის დასკვნისათვის. ეს მართლმსჯელობის უკილობელი კანონია.

ამ პირველ დასკვნიდამ გაზეთს „კავკაზს“ გამოჰყავს მეორე დასკვნა: თუ ხიზნობა ესე სასარგებლო

თავად-აზნაურთათვის, მაშ თითონ ხიზნებისათვის საზა-
რალებელი უნდა იყოსო. ასე ჰუკიქრობს პატივცემული
გაზეთი და ამის დასამტკიცებლად ბ.ნ ვერმიშოვის ბრო-
შიურიდამ „ხიზანი და ხიზნობა“ მოჰყავს რამდენიმე ცნო-
ბა, რომელთაგანაცა სჩანს, რომ ორთა-შუა რიცხვით ხიზ-
ნებს ყოველ დესეტინა სახნავ-სათესს მამულზედ ცხრამეტ
მანეთიდამ ოც-და-ხუთს მანეთამდე ღალა ერთმევათ წელი-
წადში მემამულის სასარგებლოდაო. თუ მხედველობაში
მივიღებთ, რომ ჩვენში, თითქმის საყოველთავოდ მიღე-
ბულ ხენა თესვის წესისამებრ, ორიდამ ერთი დესეტინა
ყოველთვის ისვენებს და მეორეა მარტო შოქმედებაში,
გამოვა, რომ ხიზანს თითონ ნამუშავარი დესეტინა უჯდე-
ბა 38—50 მანეთამდე წელიწადში, თუ მართლა, ბ.ნ ვერ-
მიშოვის და „კავკაზის“ სიტყვისამებრ, 19—25 მანეთამ-
დე ღალას იხდის წელიწადში ყოველს დესეტინაზედ სა-
ერთოდ, ესე იგი იმაზედაც, რასაც ასვენებს.

ბევრი უცნაური რამ გავიგონია ჩვენის ქვეყნის
ახირებულ და ძალად-მაცხონე მცოდნეთაგან და ეს ამბავი
კი, რომ ნამუშავარმა სახნავ-სათესმა დესეტინამ მაგო-
დენა ღალა იხადოს,— ჯერ არა გვსმენი. ბ.ნს ვერმი-
შოვს მით მაინც შეეწყნარება ეს მართლა უცნაური ამ-
ბავი, რადგანაც თითონვე ამბობს, რომ ამნაირი ცნობები
მარტო ერთს დიდს მამულში მოვკრიბეო. იქნება იყოს
საღმე ჩვენში ერთად-ერთი ამისთანა მამული, რომელიც
ამოდენა ღალას იძლევა, მხოლოდ საკვირველი ეს არის,—
ამ ერთად-ერთს მაგალითზედ როგორ ამყარებს თავისს
მსჯელობას გაზეთი „კავკაზი“. რამდენი აღგილია, საცა-
ღალა არ აღმატება ორსა და. სამს მანეთს დესეტინა!
ზედ!.. შორს რომ არ წავიდეთ, საქმაოა კაცმა თვალი
დააკვირვეოს იმ ცნობას, რომელიც ამ საგანზედ თითონ

მთავრობასა აქვს გამოძიებული და აღნიშნული. მთავრობისაგან დაბეჭდილი წერილი „Хизанское Положение“ ამტკიცებს, რომ ხიზნები თითო დესეტინა სახნაჟ და სა-თიბ მამულზედ იხდიან ორ მანეთ და ხუთ-შაურიდამ, სამ მანეთ და ცხრა შაურამდე (გვერდი 35). საკვირველია, ამისთანა სარწმუნო ცნობას, მთავრობის მიერ გამოძიებულს, როგორ მოარიდა თვალი გაზეთში „კავკაზმა“ და ერთად-ერთს მაგალითზედ, ბ 6 ვერმიშოვის მიერ გამოკვლეულზედ, შესდგა.

ჩვენ ჩვენი აზრი ხიზნობაზედ ვეცდებით შეძლები-სამებრ გამოვსთქვათ ოდექმე დაწვრილებით და საქმაო სივრცით, აქ მხოლოდ ის უნდა აღვევნიშნა, რომ „ის ადვოკატური ხერხები და განგებ ბინდ-ბუნდის გარდაფენა საქმის არსებაზედ“, რომელთაც პატივცემული გაზეთი „კავკაზი“ ასე სამართლიანად ჰქიცხავს, გასაკიცხველია ყოველს შემთხვევაში, დაიჭირთ მემამულეების მხარეს, თუ ხიზნებისას. ყოველს საზოგადოებრივს საქმეში, რაც უნდა მწვავი იყოს, კაცმა ჯერ უნდა მართალი ეძებოს, მხო-ლოდ მართალი და სხვა არა-რა. ჯერ, ყველაზედ უწინა-რეს, უმრავლესობათა და უმცირესთა შორის სიმართლე უნდა იყოს გამკითხველი; ამან, სიმართლემ, უნდა მოა-ველოს ერთმანეთში ეგ ორი მხარე. ჩვენის ფიქრით, საზოგადოებრივ საქმეში არც უმცირესი უნდა შესწიროს კაცმა უმრავლესობას და არც უმრავლესობა უმცირესო-ბას, ორივე უნდა დაუმორჩილოს მარტო სიმართლეს, რო-ცა კი შესაძლებელია. ადამიანთა საზოგადო ცხოვრება ისეთი რთულია, რომ ბევრში და ბევრგან ეგ სიმართლე ძნელად აღმოსაჩენია, და მარტო ამ განსაკუთრებულს შემთხვევაში ულონო მართლმსაჯულება აღამიანისა სიმარ-თლედ მას აღიარებს, რაც უმრავლესობისათვის სახეიროა.

ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში მეტი გზა არ არის, სხვა განსამართლების საბუთი ადამიანს დღეს-აქამომდე ვერ აღმოუჩენია, გარდა „უმრავლესობის კანონისა“. ხოლო ეს იმას კი არა პირზეა, რომ იქაც, საცა მართალი აშკარად უმცირესისაკენ არის, უსათუოდ უმრავლესობამ უმცირესობა სძლიოს და ითაყვანოს. ეგ ძალმომრეობა იქნება და არა იგი სამართალი, რომლითაც ადამიანი ადამიანობს ვით ზნეობრივი არსება, და რომლის გამოც ჩვენი ანდაზა ამბობს: სამართლით ამოთხრილი თვალი არ მეტკინება.

ჩვენ ამას ამ-უამად იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ხიზნების საქმეში ან ერთს მხარეს მივკერძოთ, ან მეორეს. ჩვენ მარტო იმასა ვწუხვართ, რომ პატივცემული გაზეთი „კავკაზი“ ამ შემთხვევაში მარტო ეგრეთ-წოდებულს „უმრავლესობის კანონს“ აპყოლია და სრულებით ყურადღება არ მიუქცევია იმ მართლისათვის, რომელსაც, ყოვლთ უშინარეს, ხელთ უნდა ეჭიროს სასწორი საზოგადოებრივის საქმის განაჩენისათვის. ჩვენ აქ ჯერ არას ვიტვით იმაზედ თუ, — რომელს მხარესაკენ დასძლევს სასწორს ეს მართალი, ჩვენ მხოლოდ გვსურდა გვეჩვენებინა იგი განკითხვის გზა, რომელზედაც ჯერ პირველად უნდა გაიაროს ხიზნების საქმემ, ჩვენის ფიქრით. ჩვენ ვეცდებით შემდეგში გაესინჯოთ ხიზნების საქმე ამ გზითაც და უმრავლესობის კანონის მიხედვითაც.

ტფილისი, 2 აგვისტო, 1886 წ.

პატივცემულმა გაზეთმა „კავკაზი“-მა, რომელმაც ამ ბოლოს ხანებში ასე დაგვიძირია ლაპარაკი აქაურს, ჩვენებურს საქმეებზედ, წელს მიაქცია ყურადღება ხიზნების

საქმეს. ამ ფრიად სამძიმო საქმეს მოახმარა შარტო საში მეთაური წერილი, თუმცა საქმე იმოდენად რთულია, მრავალკეტი და ღრმად დასაკვირვებელი, რომ ლირსია მომეტებულის გამოძიებისა, გამოკვლევისა და ლაპარაკისა. ერთის მხრით პატივცემული გაზეთი არც გასამტკუნარია. რასაც „კავკაზ“-მა მოანდომა სამი წერილი, იმისთვის ერთი სტრიქონიც მეტია; სამის წერილის მაგიერ ერთი სტრიქონის თავსაყრელად ყყოფილა: აიღეთ და მიწები დაუსაკუთრეთ ხიზნებსაო. არც გაჭრა და არც გახევა, ეს არის დღეს „კავკაზ“-ის თავი და ბოლო ხიზნების საქმის თაობაზედ. თურმე ნუ იტყვით, ესე ადვილი ყოფილა იმ კვანძის გახსნა, რომელსაც ხიზნების საქმე წარმოადგენდა: მთავრობა-კი, ეს ოცი წელიწადია, შესდგომია ამ საქმის ვითარების ახსნას, გაგებას, რომ, თუ შესაძლოა, იმ ვითარებისამებრ ეს საქმე ისე დააბოლოვოს, — არც მწვადი დასწევის და არც შემფური. „კავკაზ“-ს რომ დავუჯეროთ, მთავრობა ტყუილად მომცდარა ეს ოცი წელიწადი, ამ საქმეს არც აღება სღომებია, არც დაღება.

ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ გულხალვათობას „კავკაზ“-ისას ვერ შევიწყნარებთ. თუმცა ხიზნების საქმის ფარგალში უფრო ცოტა ხალხია მოყოლილი, ვიდრე ბატონ-ყმობისაში, მაგრამ თვით საქმე კი არსებითად და ბუქებითად უფრო ძნელი გადასაწყვეტია, ვიდრე ბატონ-ყმობის საქმე. ბატონ-ყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმე იყო. საცა ცხადი და აშკარა უსამართლობაა, იქ სამართლიანობის პოვნა ყველასათვის აღვიწლია. იქ ბევრი თავის ტეხა არ უნდა, რომ კაცმა მართალი იპოვოს, და იმ მართლის კვალობაზედ ყველას თავისი მიუწყის. სულ სხვა ამბავია, როცა, საუბედუროდ, ერთს ხელში მიწად და მეორეში შრომა, განცალკევებული, განთვითეულებული, და როცა ამ სამწუხარო ყოფის ერთი მეო-

რისაკენ მიუზიდნია და ამ სახით შეუქმნია დამოკიდებულება. აქ, თუ გნებავთ, უსამართლობა თვით სათავეშივეა.

ხოლო ამაზედ ჩვენ სხვადასხვა მიზეზების გამო არა გვეთქმის-რა, ბევრიც რომ გვინდოდეს.

რაკი საკუთრება მიწისა ხელშეუხებელ კუთვნილებად, და მუშაკის მარჯვენა თავისიუფლად არის ალიარებული კანონის მიქრ, აქ დამოკიდებულება მუშისა მიწაზედ და მიწისა მუშაზედ სხვა თვალით უნდა გაისინჯოს და გამოძიებულ იქმნას. ერთს წართვი და მეორეს მიეცი, ეგ, ჩვენის ფიქრით, წყლულს ვერ გაამრთელებს. ხიჭნების საქმე,—იმ გარემოებიდამ წარმომდგარი, რომ ერთს მიწა ჰქონია უხელოდ და მეორეს ხელი უმიწოდ,—ბატონყმობის საქმე ხომ არ არის, რომ ერთხელ გადაწყვეტილი და მორჩომილი მეორედ აღარ წარმოსდგეს და აღარ მობრუნდეს. ვიდრე კანონი იმ თვალით უყურებს მიწას, როგორც დღეს, და ვიდრე ქვეყანაზედ კაცი სცხოვრებს, ბევრი იქნება ერთის მხრით უმამულო კაცი, რომელსაც შრომა უნდა და საშრომი შიწა არ ექნება, და მეორეს მხრით უხელო კაცი, რომელსაც მამული აქვს და მშრომელი კი არ ეყოლება. დროთა განმავლობაში, თუ გარემოება ხელს უწყობს, ხალხი მატულობს, და ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ, დღეს არა ხეალე, ისევ იშყოფაშივე ჩავცვივით უმამულო კაცის გამო, რომლიდამაც დღეს გამოსვლა გვინდა. ესთქვათ, მაშინაც დავუჯვრეთ „კაცებაზ“—ს, და თუ ვისმე მამულში უმამულო კაცს მოვასწარით, მამული მემამულეს წაგართვით და უმამულოს მივეცით. მას მეტეთაც ხომ ისევ იმ გაჭირვებას შეგვახლის დროთა მდინარეობა! მაშინ აღა ვქნათ? კიდევ წავართოთ? ეგრე რომ ვიაროო, დღევანდელ მემამულეს

ხომ სულ ჩამოეცლება მამული, და ახლა ის გაგვიძღვება თავში საცემი და ხიზანსავით დასაბინავებელი. წუთუ ეგრე ციბრუტივით ტრიალი სასურველია შორს-მჭვრეტელის კანონმდებელისათვის! არა გვგონია.

რაკი, სამწუხაროდ ჩვენდა, მიწა და ხელი განცალკუვებულია, და რაკი უსეც ვიცით, რომ ამასთან ერთად მუდამ იქნება მიწის აღლები მუშა და მიწის გამცემი პატრონი, ჩვენ იზას ვამბობთ, რომ იმისთანა წესი ჩამოვარდეს მუშისა და მიწის პატრონის შუა, რომელიც ამ მიწისა და ხელის განცალკევების ბოროტს უფრო ნაკლებ აგრძნობინებდეს. ჩვენის ფიქრით, ამისთანა წესი ხიზნების წესია. ერთს ადგილას ჩვენ ამიტომ ვსთქვით, რომ კაცობრიობამ ამაზედ უკეთესი წესი ვერ მოიგონა, როცა მიწისა და ხელის განცალკევებამ საქმე გაამწვავა და ტკივილი თვისი კანონს წინ დაუყენა მოსარჩენად.

ამაზედ პატივცემულმა „კავკაზ“-შა თითქმის სასა-ცალლოდ ავეგდო. ჩვენა ვსთქვით, რომ რაკი საქმე ისეა მოწყობილი, რომ სხვისა მიწის ხმარებაზეა მივარღნილი, ხიზნობაზედ ლეკოტესი წესი სხვისა მიწის ხმარებისა სხვა არა არის-რაო. „კავკაზ“-ს ეს ჩვენი აზრი, მარტო სხვისა მიწის ხმარებაზედ გამოთქმული, გონიერის თვალიდამ მოსხლეტია და იძახის: იმას რა სჯობია, რომ მუშა თითონ იყოს პატრონი თავის მიწისაო. ჩვენც ვიცით, რომ არა-სჯობია-რა, მხოლოდ ეს რა სიტყვის შემობრუნებაა მაშინ, როდესაც ჩვენ ამ მთისას ვლაპარაკობთ და ის-კი იმ მთისას გვეუბნება? ვსთქვათ, დავუჯერეთ კიდეც „კავკაზ“-ს ღა დღევანდელი ხიზნები მის სურვილისამებრ დავაბინავეთ. ამით მოისპობა განა მიწის მახოვნელი უმამულო კაცი, რომელიც ხვალვე კარზედ მოგვალგება! განა ამით დაიშრიტება და მოსწყდება

იგი წყარო, რომელიც აჩენს უმამულო კაცს! ხალხი დღე-
და-დღე მატულობს, მიწა კი, რაც არის ლვოისაგან გაჩე-
ნილი, იმაზედ მეტს არც იმატებს და არც იკლებს. ეს
გარემოება ვანა ყოველ-დღე არ მოქმედობს და ყოველ-
დღე არა ჰპადავს უმამულო კაცსა, რომელსაც თავის
ადგილას აღარ ედგომილება სივიწროვისაგან და სხვაგან
უნდა მონახოს საცხოვრებელი მიწა, თუკი იშოვება. ეს
ხომ სადღე-ხვალიო საქმეა და მაშინ რაღას უპირობს
„კავკაზ“-ი უმამულო კაცებს? ეს აუცილებელი გარემოება
რომ არ ასცილებოდა „კავკაზ“-ს და არ გამოჰპარო-
და, სიცილს ცოტაოდნად მოერიცებოდა, და მაშინ მიხ-
ვდებოდა, რომ ამისთანა შემთხვევაში ხიზნობა უკეთესი
საფაროველია სხვა ყოველ-გვარ სხვისა მიწის ხმარე-
ბის წესზედა. თუ ეს მართალი არ არის, ვსოხვთ
პატივცემულს გაზეთს, გვიჩვენოს: ეგულება საღმე ძვეყ-
ნიერობაზედ სხვისა მიწის ხმარების წესი უკე-
თესი მასზედ, რასაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, რასაც ჩვენ-
ში არ დასცალდა თვისთა მიღრეკილებისა და ბუნები-
სამებრ დამთავრებულიყო, და რაც შესაძლოა ჯეროვა-
ნად დღეს დამთავრდეს. ამ საქმის ისე გადაწყვეტა, რო-
გორც ბატონ-ყმობის საქმე გადაწყდა, ჩვენის ფიქრით,
ჯერ უმამულო კაცის დალუკვაა და მერმე ეკონომიკურის
ცხოვრების უკეთესის კვალიდამ უარესში ჩაყენებაა.

ჩვენ ვეცდებით ყოველივე ეს, ჩვენის შეძლებისა-
მებრ, დავუმტკიცოთ პატივცემულს „კავკაზ“-ს და ამას-
თან ერთად იმაშიაც დაეარწმუნოთ, რომ მისი სიცილი
წინასწარია და ადრეულია.

ჯერ, მინამ „კავკაზ“-ის გადაწყვეტილს განაჩენს
გავარჩევდეთ, ჩვენ საჭიროდ ვხადით ავსნათ და გამოვი-
ძიოთ, ჩვენის შეძლებისამებრ, თვით არსება და ბუნება
ხიზნობისა.

სიზნების სამზე.

ნარკვევი მეორე.

1

ჩვენ ერთხელაც გვითქვამს და ეზლაც ვიმეორებთ, რომ ხიზნობის საქმე მძიმე საქმეა თავისის მნიშვნელობით და მწვავია თავისის ინტერესით, იმიტომ რომ ასე თუ ისე იგი შეეხება იმ ნაწილებს რჯულიერებისას, რომელ-თაგანაც შემდგარია რჯულიერება საკუთრებისა. ამიტო-ჲაც საჭიროა, ჯერ განსაზღვრულ და დადგენილ იქმნან იგი სახელმძღვანელო დედა-აზრი, რომელთაც უნდა უსათუოდ ექვემდებარებოდეს თვით განაჩენი ხიზნობის საქმისა, მე-რე წინათ-დანაზული იყოს ყველა მრავალ-გვარი წვლილი-ცა, რომელიც აუცილებლად თან სდევს ამისთანა რთულს საქმეს. უამისოდ, აზრების ერთმანეთში არევ-დარევა, მოუთავსებლობა, დაწეწვა და უთანხმოება აუცილებელია. ამ აუცილებელის გარემოების შედეგი კიდევ ის არის, რომ თითონ განაჩენი, ანუ უკეთ კსოვებათ, კანონი სრული არ არის ხოლმე, ბნელია, ერთი ცალკე მუხლი მისი მეორეს არ უდგება, არ უხდება, არ ეთანხმება. აქედამ იბადება გაუგებრობა კანონისა, დავიდარაბა, ერთნაირად შემაწუ-ხებელი და მავნებელი როგორც სახელმწიფო მმართვე-ლობისათვის, ისეც ცალკე კაცის საკუთარ ინტერესები-სათვის.

ამ სახელმძღვანელო დედა-აზრთა განსაზღვრისა და დადგენისათვის საჭიროა ყველაზედ უწინარეს ახსნილიყოს საგანი თვით საკუთრების რჯულიერებისა*.

საკუთრებას ორი ნაწილი შეადგენს: ერთი – პირადი, მეორე – ზოგადი, რადგანაც იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისათვის, რომ ნაამაგარი მისის შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისათვისაც, რომ შესაძლოდ და დღეგრძელად ჰქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა. ერთიცა და მეორე ნაწილიც ცოტად თუ ბევრად თვის საბუთსა ჰპოულობს იმაში, რომ თვით ადამიანიც ბუნებითად ორს მხარეს წარმოადგენს. ერთის მხრით იგი ცალკე სულიერია, რომელსაც თვისი პირადი, საკუთარი საგანი აქვს ცხოვრებისა და სხვაზედ ფამოუკიდებელად მიეზიდება ამ საგნისაკენ, და მეორეს მხრით ზოგადი სულიერია, რომელიც მრავალ-გვარად გადამშლია, და ჟოკიდებულია სხვა თვის მსგავს სულიერებზედ იმ აუცილებელ საჭიროების გამო, რომ მარტოდ ცხოვრება ბუნებითად არ უწერია და უნდა უსათუოდ სცხოვრებდეს თვისთა მსგავსთა შორის.

რომელი ერიც გინდა აილოთ მთელს ქვეყნიერობა-ზედ, პნახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება

*) ბოდიშს ვიხდით ჩვენ მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მძიმეა და ადვილად გასაგები არ არის: იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოგვიხდა ამ-ეამად ლაპარაკი, ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა ჯერ არ არის, ჩვენდა სააწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებული. სიმძიმე სიტყვისა იქნება ჩვენ მიერ ენის უცოდინარობის მიზეზითაც იყოს; არც ამაზედ ავუჩირდებით, უისმე, მხოლოდ ჩვენ გვსურს დავარწმუნოთ მკითხველნი, რომ ჩვენ ჩვენის მხრით ყოველი ღონე ვიწარეთ, ჩვენი აზრი ადვილად გადაგვეცა სხვისთვის და, სწორედ მოგახსენოთ, ზოგან თვით აზრს მისი მინიშვნელობა მოვაკელით, რომ სიტყვა ადვილად გასაგები ყოფილიყო.

იმის ბრძოლაში დალუულა და ილევა დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ, და ან მეორე. მთელი არსება მიწათმულობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ერისას და ყველა სახელმწიფოებისას, იმაში მდგომარეობს თუ,— რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ექონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი. ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერობაზედ და ევრეთ-წოდებული საადგილ-მამულო, სამიწა-წყლო საქმე— (аграрный вопрос) მარტო ეგ ორთა. შეა ბრძოლა და სხვა არა-რა.

II

საჭირო არ არის კაცი საისტორიო გამოძიებათა ბარდებში გაეხას იმ უცილობელის და ყველასაგან ცნობილ ამბის დასამტკიცებლად, რომ პირველყოფილ დროს, როცა თავდაპირველ დაწყვენენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას, თუ არ განსაკუთრებით, გადაჭარბებით მაინც. მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში. სხვადასხვა საექონომიო და საპოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო, მაგ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა, და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონ-ყმობა, ესე იგი იმისთანა წყობა, რომელიც მარტო უფლებაა უმოვალერობო, უსაზღვრო, პირობა-დაუდებელი, და რომელსაც სხვა

საგანი არა ჰქონდა-რა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა.

საზღვარ დაუდებელმა უფლებამ საკუთრების პირადის ელემენტისამ მოუყარა თავი მამულებს კერძო კაცთა ხელში ცალ-ცალკე, განაშორა მუშა-ხელი სამოქმედო საგანს—შიწასა, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი. მაგ განშორებაზ და განცალკევებამ დიდად შეარყია და შეშალა ბუნებრივი მდინარეობა ეკონომიკურის ცხოვრებისა, იმიტომ რომ ერთ მხრივ დარჩა მუშა-ხელი უმიწოდ და მეორე მხრივ—მიწა უმუშა-ხელოდ.

აი სწორედ ამ გარემოებამ, ამ მდგომარეობამ შეახვედრა ერთმანეთს მამულის პატრონი და მუშაკი, მიწათ-მფლობელი და მიწათ-მომქმედი. აი სწორედ ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო მიწათ-პატრონი და მუშა-კაცი ერთმანეთს შეჰყოლნენ, და მოპრიგებოდნენ, ერთს ის მიეცა შეორისათვის, რაც თითონ არა ჰქონდა, თორემ მიწაც უქმად დარჩებოდა და ხელიცა. თქმა არ უნდა, თითონ მოპრიგება შესაძლო იყო რა მი პირობით, რომ საკუთრების კერძო, პირადს ელემენტს დაეთმო რამ ზოგად ელემენტისათვის.

სწორედ ამაში აქვს დასაწყისი ყოველ-გვარს სახეს სხვისა მიწის ხმარებისას მთელს ჩვეუნიერობაზედ. ამაშივეა სათავეც და დასაწყისი ხიზნობისა ჩვენში. ხიზნობაში, რომელიც სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ ერთ-გვარი სახეა სხვისა მიწის ხმარებისა, გაძლიერება საკუთრების. ზოგადის ელემენტისა მეტად ცხადად და თვალსაჩინოდ გამოითქვა. ამ-სახით, თუ გადამეტებული გაუფლება საკუთრების პირადის ელემენტისა გამოისახა ბატონ-ყმობაში, ზოგადმა ელემენტმა თვისი ადგილი და ბინა მოიპოვა ხიზნობაში, როგორც ამას მერე გნახავთ.

რომ ხიზნობის დასაწყისი და სათავე ეს არის და არა რაღაც ჭირი და შიმშილი, როგორც ზოგიერთს ჰგონია, ამას გვემოწმება ისტორია მთელს კაცობრიობისა. ესე ყოფილა ყველგან და ესე იყო ჩვენშიაც. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ იგი ერთ-გვარი წესი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, მარტო ჩვენში არ არის: იგი ყველგან არის, ყველგან დღესაც არსებობს, განსხვავება მხოლოდ სახელებშია და ზოგიერთ წვრილანებში; ხოლო ბუნება და არსება კი ყველგან ერთი და იგივეა, როგორც ამას შემდეგში ვნახავთ.

III

ჩვენ წინა-წერილში სხვა ქვეყნების ისტორია ვიმოწმეთ, რომ ყოველ-გვარი წესი სხვისა მიწის ხმარებისა საზოგადოდ და საკუთრივ წესი ხიზნობისა—წარმომდგარია მიწისა და მუშა-ხელის განცალკევებისაგან. ჩვენ ესეცა ვსთქვით, რომ ხიზნობა ისე, როგორც ჩვენშია, სხვაგანაც ყოფილა და დღესაც არის მცირეოდენის განსხვავებით, და ამიტომაც სხვისა ქვეყნის ისტორია ამ საქმისა უტყუარი მოწმე უნდა იყოს ჩვენის ხიზნობისაცა. ჩვენში ხშირად იციან, რომ როცა ჩვენის ცხოვრების რომელსამე ვითარებას სხვისის ისტორიით ვხსნით, არა პხედვენ იმისთანა მოვლენას, რომელსაც საერთო კაცობრიობის თვისება და ხასიათი აქვს და თავის გასამართლებლად იძახიან ხოლმე, ან ჩვენს ცხოვრებას, ან ჩვენს ისტორიას საერთო რა აქვს დანარჩენ ქვეყნიე-

რობის ცხოვრებასა და ისტორიასთან, რომ ამა და ამ ვითარებასა ჰქონდესო. რომ ასე უმართლოდ და სუბუ-ქად არ მოიწიონ ზემოთქმულის აზრების დასაჩლვევად, ჩვენ მოვიყვანთ მოწმად ლაველეს, ამისთანებში მთელს ევროპაში განთქმულს მეცნიერს, რომელიც იმის საბუ-თად, რომ მიწის-მფლობელობის საქმე ყველგან ერთნა-ირად წამართულია, ამბობს:

„ჩვენ ხშირად გაუკვირვებივართ ერთს ამბავს. რომელიმე ჩვეულებანი, რომელიმე წესნი, მუდამ წარ-მოდგენილნი გვქონდა, ვითომც ერთის რომელისა-მე ერის კუთვნილებანი არიან, მაშინ როდესაც იგი-ვე ჩვეულებანი, იგივე წესნი ჰქონიათ ბევრს სხვა ერ-საცა, და ეკუთვნიან იმ ჩვეულებათა რიცხვს, რო-მელნიც ყოველს ადგილას ყოფილან და რომელთ ზედმოქმედების ქვეშაც მთელს კაცობრიობას გა-მოუვლია თავისის წარმატების და ცივილიზაციის მძიმე გზა“.

პირველ-ხარისხოვანი მეცნიერი ევროპისა ჰენრიხ მენი, გვირჩევს რა, რჯულიერების სათავის ასახსნელად ვიხმართ მეთოდი შედარებითის ისტორიულის გამოკვ-ლევისა, ამბობს:

„მაშინ ცხადი იქნებოდა, რომ რჯული, კანონი, ადამიანის თვითნებობისაგან კი არ არის წარმომ-დგარი, არამედ რომელთამე ეკონომიურ მოთხოვნი-ლებათაგან ერთის მხრით, და მეორე მხრით იმ კიმარ-თლის მცნებისაგან, რომელიც წარმომდინარეობს ზნეობრივისა და რელიგიურის გრძნობისაგან. ევ მოთხოვნილებანი, ეგ იდეები, ეგ გრძნობანი — ყველ-გან ერთი და იგივენი იყვნენ და ერთნაირად მოქ-მედობდნენ ყველა საზოგადოებაზედ მის განვითა-

რების რომელსამე ხანაში. ხოლო არა ყველა ერი მიღიოდა ერთისა და იმავე ბიჯით განვითარების გზაზე „.

ამ-სახით, არავინ არ უნდა გაიკირეოს, რომ ერთი
და იგივე წესი მიწათ-მფლობელობისა, თუ ხმარებისა, მო-
იპოვებოდეს ერთმანეთზედ ძლიერ დაშორებულ ქვეყნებ-
შიცაც ერთისა და იმავე სახით, ერთისა და იმავე ბუნე-
ბითა. რომ ჩვენი ხიზნობაც არ არის იმისთვის განსაკუ-
თრებული მოვლენა, რომელიც მარტო საქართველოს ერს
ეკუთვნის და სხვაგან არ მოიძევება, მტკიცდება იმითი,
რომ იგი ყველგან არის, თუმცა სხვადასხვა სახელითა, მა-
გრამ ბუნებითად, არსებითად კი ისეთის მსგავსებითა,
რომ კაცს აკვირებს. იგი გვარი სხვისა მიწის ხმარები-
სა, რომელსაც ჩვენს ხიზნობას ვეძახით, არის გერმანიაში
და ჰერციგ ერბრახტი, ჰოლლანდიაში ჰერციგ ბეკერებტი,
საფრანგეთში სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელი
ჰერციგ, მაგალითებრ: ბრეტანში—ჰერცებს, სხვაგან—ღომენ-
კუნჟეაბლ, იტალიაში—ლიველლო, პორტუგალიაში—აფ-
რამენტო, ინგლისში—ოლსტერის ჩვეულება, რუსეთში —
ჩინში.

სრული, დამთავრებული სახე ხიზნობისა პორტუგალიის აფრიკამენტოა და უფრო ჰოლლანდიის ბეკლემრებტი. სხვები კი, და მათ შორის ჩვენებური ხიზნობაც, იმავ მიზეზით წარმომდგარი, იმავ ბუნებით აგებული, იმავ გზაზედ მიმდინარი, ერთმანეთში იმით სხვადასხვაობენ, რომ თავის განვითარების გზაზედ ზოგს ნელის ბიჯით უვლია და ბოლომდე ჯერ ვერ მიუღწევია, ზოგი თითქო შუა გზაზედ შემდგარა, ზოგს სხვადასხვა ისტორიული გარემოება გადაჭლობებია. ერთის სიტყვით, ამ სხვადასხვა-სახელებიან ხიზნობათა შორის იგივე განსხვავებაა, რაც

მოზარდსა და დავაუკაცებულ აღამიანთა შორის: მოზარდი აგებულებით, ტანით, ხელით, ფეხით, იგივე აღამიანია, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ ერთი დამთავრებულია და სრული, მეორე ჯერ კიდევ გაზრდის გზაზეა. სწორედ ამ გაზრდის გზაზე მოასწრო დღევანდელმა დღემ ჩვენ ხიზნობასა, თუ პოლლანდიის ბეკლემრეხტთან შევადარებთ, მერე ვნახავთ, ეს გზა საით არის მიმართული.

IV

შეცნიერთაგან გამოძიებულია, რა ხნიდამ ჩამოვარდა იგი წესი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა სახელი ჰქვიან და ჩვენში-კი—ხიზნობა. დასაბამი საშუალ-საუკუნოებია, როცა მონასტრებმა და სხვილმა მებატონეებმა დიდძალი მიწა-წყალი ასე თუ ისე ხელში მოიგდეს, რადგანაც მაშინ მიწას დიდი ფასი არა ჰქონდა, ბერები ადგილად უთმობდნენ მონასტრის მიწებს მიწათ-მომქმედებსა სახმარად, აძლევლნენ დასაბინავებელს ადგილს, სახნავ-სათესს, ტყეს და საძოვარს იმ პირობით-კი, რომ მონასტრებისათვის მორიგებული სამსახური გაეწიათ და ღალა ეძლიათ. ამნაირად მონასტრებს ყოველ-წლივ ცოტა თუ ბევრი შემოსავალი ჰქონდათ იმ მიწა-წყლისაგან, რომელნიც უამისოდ არას იძლეოდნენ და, უხელოდ დარჩენილნი, მუქთად ეყარნენ. სხვილთა მემამულეთაც ამავე სახით დასახლეს თავისი უკაცო მამულები და მონასტრის პირობანივე დაუდვეს

მიწათ-მომქმედთა. „სხანსო,—ამბობს ერთი მეცნიერი*,— რომ ამ შემთხვევაში მამულის პატრონებმა შეიჩინეს ნება ადგილიდამ დათხოვნისა, მიწა-წყლის ჩამორთმევისა ათს წელიწადში ერთხელ. გარნა ამ ნებას ვერ ამოქმედებდნენ, რადგანაც ჯერ შენობის ფასი უნდა ეზლოთ დათხოვნილისათვის, და მერე ძნელი საშოვარი იყო სხვა კაცი, რომ მიწები აეღო სახმარადაო“.

ამ სახით, ესე გაცემა მიწებისა ჩვეულებად გადიქცა და მონასტრები და სხვილი მემამულენი ამ ჩვეულების ძალით რჩებოდნენ რასმე თავეს უქმად და უკაცოდ დარჩენილს მამულებსა. რადგანაც მამულის ამღები კაცი ძნელად საშოვარი იყო და მემამულისათვის არ იყო სახეირო უქმად გდება მიწებისა, თქმა არ უნდა, ეს გარემოება ცილობას შეჰქნიდა. ცილობა რაში უნდა გამოთქმულიყო? იმაში, რომ ერთს მეორეზედ უფრო მეტი შელავათი უნდა მიეცა მიწათ-მომქმედისათვის, უკეთესი პირობა აღუთქვა, რომ მიწათ-მომქმედი თავისაკენ მოეზიდნა. ამის გამო ვხედავთ, რომ სხვისა მიწის ხმარება, ჯერ დროებითად დადგენილი, თანდათან უფრო გახანიერდა და XVI საუკუნის არეულ-დარეულს დროს სამკვიდროდ და საშეილიშვილოდ გადიქცა. ამ გზაზედ ერთხელ შემდგარმა იარა, იარა ჩვეულების საფარეველ ქვეშ, შელავათი და უფრო დაუფრო მიწათ მომქმედისათვის სახეირო პირობანი უმატა, და ბოლოს ხომ თავისი სრული, დამთავრებული სახე მიიღო და პოლლანდიის ბეკლემრებტად გადიქცა. აი. დასაწყისი და ბოლო ხიზნობისა.

ახლა ვიკიორხოთ, რა არის ბეკლემრებტი, რომელსაც ჩვენ დავარქვით დამთავრებული სახე ხიზნობისა?

* იხილე წიგნი: „პირველყოფილი საკუთრება“, გვერდი 247.

იგია მფლობელობა სხვისა მიწისა იმ პირობით, რომ
მფლობელმა მიწის პატრონს აძლიოს ყოველ-წლიური ღა-
ლა, ანუ იჯარა, რომლის მომატებაც მიწის პატრონს არ
შეუძლიან. ევ მფლობელობა გადადის ერთიდამ მეორეზედ
მემკვიდრეობით. ამისთანა მფლობელობის პატრონს, ბექ-
ლემ-მეიერს, შეუძლიან თავისი მფლობელობა გადასცეს
ვისმე ანდერძითა, თუნდა გაჰყიდოს, გააქირავოს, დააგი-
რავოს კიდეც მიწის პატრონის დაუკითხავად. ერთი ეს
მა, რომ როცა მაგ-გვარი მფლობელობა ან მემკვიდრეო-
ბით, ეს გასყიდვით ერთიდამ ზეორეზე გადადის, მიწის
პატრონს უნდა მიეცეს მთელის ერთისა თუ ორის წლის
ღალა, იჯარა. შენობანი, რაც კია სახიზნო მამულში, სულ
ხიზნისა, ანუ, როგორც იქ ეძახიან, ბექლემ-მეირისა არის;
თუ რაიმე მიზეზით ხიზნობა მისი მოისპო და გაუქმდა,
მიწის პატრონმა უნდა იმ შენობის ფასი მისცეს.

ეს ასებით მფლობელობა სხვისა მიწისა, ჩვეულების
წყალობით დადგენილი, ჩვეულების საფარველ-ქვეშ გაზრ-
დილი და შენახული, ამ ბოლოს ხანებში ძლივ-ძლივს შე-
იწყნარა კანონმა და დღეს რჯულად არის დადებული
ჰოლლანდიაში.

V

იტალიაში, რომერის სიტყვით, ხიზნობის შსგავსის
წესით ხმარება, ანუ მფლობელობა სხვის მიწისა, რომის
რჯულიერებილამ გაზმოვიდა. გაცემა მამულებისა ამ სა-
ხით იხსენება სიგელებში მე-VI საუკუნედამ დაწყებული
მე-XIII საუკუნემდე. მიწები, რომელნიც ჯერ გაუტეხელი

და უქმად იყვნენ უაცობით და უხელობით, პატრონებს
მეტი სხვა რა გზა ჰქონდათ, არ გაეცათ, რომ რაი-
მე გამორჩოდა ჰქონდათ. რადგანაც თითონ მამულებს.
ვერ აუვიდოდნენ და კაციც ძნელი საშოვარი იყო, რა
თქმა უნდა, მიწის ამღებისათვის კაი პირობა უნდა და-
ლვათ, რომ მოებირათ და თითონაც მამულიდამ შემოსა-
ვალი შემოსვლოდათ. აქედამ წარმომდგარი წესი მიწის
გამცემისათვისაც და ამღებისათვისაც სასარგებლო იყო,
ამბობს როშერი, და ამიტომაც საკუირეელი არ რიც-
რომ საშუალ-საუკუნოებში სხვილი მემამულეები, აუმედ-
თაც არც ფული ჰქონდათ მამულის საკეთებლად და კა-
ციც ძნელად ეშოვებოდათ, ამ გზით შეუდგნენ მამულის
გამოყენებას, რომ რაიმე ხეირი ენახათ. იტალიაში თავ-
დაპირველიდამვე მიწის გაცემა და აღება წილზედ იყო,
და, გარდა ამისა, ზოგიერთი სხვა სამსახურიც ელვა ამ
ჩვეულების ძალით სხვისა მიწის მფლობელსა. რადგანაც
მამულიდამ აყრას ერთხელ დასახლებულის ხიზნისას ძნე-
ლად ჰბედავდნენ შიშით, რომ წავა და სხვას ვეღარ ვი-
შოვიო, და რაც შემოდიოდა, იმასაც დაეკარგავო, ამიტო-
მაც ამ-გვარი ალებ-მიცემა მიწისა უურო-და-უურო გახა-
ნიერდა და ვადა-დაუდებელ მიწის-მფლობელობად გადიქ-
ცა და ერთხელ გარიგებული ღალა და სამსახური ერთს
ჭდეზედ დადგა. ეს პირობანი მამიდამ შვილზედ უცვლე-
ლად და ხელუხლებლად გადადიოდა, ასე რომ მამულის
პატრონს ნება არა ჰქონდა შეეცვალა რამ, რადგანაც
ჩვეულებად გარდაქმნილი წესი ჩვეულებამვე მიიღო თავის
მფარველობის ქვეშ და გულმოდგინებით პატრონობდა.

ამ სახით, იტალიაში ეს წესი, რომელიც—ვიმეო-
რებთ—მარტო ჩვეულების ძალით არსებობდა, ყველგან
იყო გავრცელებული საშუალო საუკუნოებში. ეხლა კი

მარტო პიემონტსა, ტოსკანასა და ლომბარდიაში-ლა არის
 და სხვაგან კი თანდათან ისპობა. ჯერ კიდევ 1861 წელს
 იტალიაში, საცა 1.264.753 გლეხი-მოსაკუთრე ითვლებოდა,
 გლეხი ხიზანი თითქმის მაგოდენივე იყო, სახელდობრ,
 1.248.286. ხსენებული წესი ეხლა თანდათან ისპობა იტა-
 ლიაში, იშიტომ კი არა, რომ ზენებითად გამოსადეგარი
 და უგვანი რამ წესი იყო, არამედ იმიტომ, რომ იტალია-
 ში, როგორც ბევრგან სხვაგან, რჯულმა, კანონმა მხარი
 არ მისცა, მფარველობა არ გაუწია-წესსა, რომელიც თვით
 ცხოვრებამ გააჩინა, ჩვეულებად აქცია და ჩვეულებამ გა-
 ავრცელა და პატრონობა გაუწია რამდენიმე საუკუნე იმ
 წყლულის ცოტად თუ ბევრად გასამრთელებლად, რაიც
 მიწისა და ხელის განცალკევებამ დიდ მუწუკად აუჩინა
 კაცთა საზოგადოებრივს ტანსა. არ მისცა მხარი და მფარ-
 ველობა არ გაუწია ჯერ იმიტომ, რომ რჯულსა, კანონს,
 პირად საკუთრების ხელშეუხებლობაზედ აგებულს, რო-
 გორლაც თვალში არ მოსდის და ეხამუშება ვადა-დაუდე-
 ბელი ხმარება სხვის მიწისა, ერთისა და იმავე ღალითა;
 და მეორე იმიტომ, რომ ხელშეუხებლობა პირადის საკუ-
 თრებისა—მართლა, თუ ტყუილად—მერმისის ქვაკუთხე-
 თად ალიარებულია, და ყოველს, რაც ჰელულავს და ჰელუ-
 ლავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვნება,
 ძნელად იშვნარება. ამიტომაც ვსთქვით ჩვენ წინა-ჭერილ-
 ში, რომ თუ რამ ცუდია დღევანდელ საადგილ-მამულო
 მფლობელობის აგებულებაში, ეგ ცუდი სათავეშივე უნდა
 მოიჩხოვოს.

ამ-გვარი წესი ჩრდილო-იტალიიდამ საფრანგეთშიაც
 გადავიდა. აქაც, იტალიისამებრ, პიწის აღებ-მიცემა წილ-
 ზედ არის და არა მახტაზედ. ეგ წილი ზოგან ნახევარია,
 ზოგან მესამედი და ზოგან სხვა. ზოგან ჭერა მიწისა ვადით.

არის, უფრო ხშირად სამის ჭლითა, ზოგან კი საშვილი-შვილოდ არის, და ამას გარდა ზედვე აღებულს მამულზედ დასახლებულნ არინ, სახელდობრ, ბრეტანში, საცა ამ-გვარ მფლობელობას მიწისას ქვევეს ეძახიან და ზოგან— დომენ კონკეაბლს. ეს ქვევესი, თუ დომენ კონკეაბლი, იმა-ში მდგომარეობს, რომ მიწის მხმარებელს ბინა აქვს გა-კეთებული შიგ აღებულ მამულში, მამულის პატრონს ღა-ლასა და ხარჯს აძლევს, და ესე დგას და ხმარობს სხვის მამულს ვადა-დაუდებლად, მხოლოდ მემამულეს ნება აქვს, როცა უნდა მამულიდამ აჰყაროს, იმ პირობით კი, რომ საზღაური გადუხადოს ჩიზანს, თუ რამ საკუთარი შენობა აქვს, ან რაიმე განკარგება მოუხდენია, და გადუხადოს იმ ზომით, რასაც მედიატორები იტყვიან. ესეთი ჩვეულებაა ბრეტანში და განსაკუთრებით მიღებულია შემდეგს თე-მებში: როგანსა, ლეონსა, კორნუაილსა; ბრუერეკსა და ორეგიში.

ჩვენ აღარ გამოვუდგებით სხვა ქვეყნების ამბავს, გვეშინიან—მეტად არ გაგვიგრძელდეს სიტყვა. არც საჭი-როა: რუსეთის ჩინში, გერმანიის ერბრახტი, ინგლისის-ოლსტერის ჩვეულება, პორტუგალიის აფორამენტო, და ყველა ამ-გვარნი მფლობელობანი სხვისა მიწისა, ერთს ნერგზედ ამოსულნი და ერთისა და იმავე ბუნებისანი არიან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზოგი პირველ-ყოფილ სახეს ამ-გვარ მფლობელობისას შორს არ წასვ-ლია, ზოგი მიდის, ჯერ კიდევ იხსნება და იშლება, რო-გორც კვირტიდამ ყვავილი, ზოგი სრულიად გადიხსნა და გადიშალა კიდევც. ამ-სახით, ზოგი დასაწყისზეა ახლო, ზოგი მიახლოვებულია სრულს სახესა.

რაცა ესტეკით იტალიასა, საფრანგეთსა და ჰოლლან-დიაზედ, იქიდამ, გვგონია, საკმაოდ ცხადადა სჩანს დასა-

წყისი, შუატანი და დამთავრებული სახე იმ-გვარ მიწათ-
მფლობელობისა, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ვეძახით. ეს
სამი ჰასაკი — თუ ესე ითქმის — ამ-გვარ მიწათ-მფლობელო-
ბისა საქმაოა, ჩვენის ფიქრით, რომ უტყუარად შევატყოთ,
რის მომასწავებელია ეგ-გვარი მფლობელობა მიწისა, რა
გზას ადგია, საით მიეზიდება, რა-რიგად იყრის ტანსა და
რა-რიგად აიყარა ტანი, როცა დამთავრებულად წარმო-
გვიდგა ჰოლლანდიაში ბეკლემრებტის სახითა. ეხლა ადვი-
ლად შეგვიძლიან მოვუჩხრიკოთ ბუნება, მივუხვდეთ მიმარ-
თულებას მისის მსვლელობისას და წინ გამოვისახოთ მისი
სრული სახე.

VI

წინა-წერილებიდამ სჩანს, რომ იმ-გვარი მფლობე-
ლობა და ხმარება მიწისა, რომელსაც ჩვენში ხიზნობა
ჰქვიან, წარმოსდგა ერთის. მხრით იქიდამ, რომ მიწას ხე-
ლი არა ჰყენდა საკეთებლად, და მეორეს მხრით — ხელს
მიწა არა ჰქონდა. მაშასადამე, ყოვლთ უწინარეს ხიზნო-
ბა იმისთანა აგებულებაა, რომელმაც შეაზავა და ერთაღ
შეჰყარა მიწა და ხელი, დროთა ვითარებისა გამო გან-
ცალკევებული და ერთმანეთს მოშორებული. რა გზით მო-
ხდა ეს? თქმა არ უნდა, რომ კეთილნებობის მორიგები-
თა, რომელიც ორისავე მხარესათვის უსათუოდ სახეირო
უნდა ყოფილიყო. იმიტომ, რომ ერთის მხრით მემამულეს
თავისუფალ კაცთან ჰქონდა საქმე, და თავისუფალს კაცს
ძალად გერ მოათრევდა და ვერ დასახლებდა მამულზედ;
მეორეს მხრით, თავისუფალს კაცს — ხელშეუხებელ საკუ-

თრებასთან, რომელსაც ძალად ვერ შეუვარდებოდა და ვერ დაიჭერდა. ამ გარემოებაში, უკუკელია, ერთი მეორესაკენ მიიზიდებოდა უსათუოდ ეკონომიურის ანგარის შითა: სახეიროა —გაძლევ მამულს, სახეიროა —ვიღებ მამულსა. ამის გარეთ მორიგება შეუძლებელია ამისთანა შემთხვევაში.

რომ იძახიან, ჭირმა და შიმშილმა ჩამოაგდო საქართველოში ხიზნობაო, ეგ მტკნარი ტყუილია. გარდა ისტორიულ მოწმობისა, რომელიც ჩევნ წინათ მოვიხსენიეთ, ერთი თვალსაჩინო და უცილობელი საბუთიც სხვა გვაქვს ჩევნის აზრის დასამტკიცებლად. მთავრობისაგან ჩევნში შეკრებილ ცნობებიდამ სჩანს *, რომ დღეს ჩევნში ხიზნად ითვლება სულ 6153 კომლი; ამათ შორის ირიცხება 1468 კომლი იმისთანა ხიზანი, რომელიც 1861 წლიდამ არის დღევანდელ აღვილას ხიზნად დაბინავებული. სად იყო 1861 წლიდამ დღევანდლამდე ან ჭირი, ან ზიმშილი? თუ არ იყო, მაშ რამ გააჩინა 1468 კომლი ხიზანი, ესე იგი, თითქმის მთელი მეოთხედი რიცხვი მთელის ხიზნობისა? აშეარაა, ჭირი და შიმშილი კი არ არის ხიზნობის სათავე, არამედ ის მუდმივი მიზეზია, რომელიც ჩევნ მოვიყენეთ. ამის გარეთ ხიზნობის გაჩენას სხვა მიზეზი არ მოეპოვება, იმიტომ რომ არა აქვს.

ამ სახრო, იმ-გვარი მფლობელობა მიწისა, რომელსაც ჩევნ ხიზნობას ვეძახით, არის უხელო მიწის და უმიწოდელის ერთმანეთთან მორიგება კეთილნებური, ეკონომიურს ანგარიშზედ აშენებული.

ეს ერთი მხარე ხიზნობის ბუნებისა.

აშეარაა, რომ ეს მორიგება მარტო ერთის პირობით იქნებოდა სახარბიელო და ამიტომაც შესაძლებელი:

*) Записки Совета: „О хизанском положении“, გვერდი 34.

შამულის პატრონი უნდა გამოლოდნებოდა, რომ ერთხელ
 გადაწყვეტილს და მორიგებულს სამსახურს, თუ ღალას,
 ხელის-პატრონი არ დამაქლებსო, და ხელის-პატრონი—ერ-
 თხელ მორიგებულს სამსახურს და ღალას მემამულე არ
 მომიმატებსო. უამისოდ არც მამულის პატრონი გაიმეტებ-
 და მამულს, რომ მასზედ ხელის-პატრონი დაბინავებუ-
 ლიყო, დაშენებულიყო და ამ-სახით მკვიდრად ჩაედგა ფე-
 ხი მამულში, არც ხელის-პატრონი გამოიმეტებდა თავსა,
 რომ ხარჯი გაეწია, ბინა დაედვა სხვის მამულში და ამ გზით
 ასე თუ ისე დაბმულიყო. ამასთან მიწის გაცემა, თუ აღება,
 ვალა-დაუდებელი უნდა ყოფილიყო, რაღვანაც უამისოდ
 ვერც მამულის პატრონი იქნებოდა დაიმედებული, რომ
 მუდამი შემოსავალი ექნება, და თავდაპირველი წყურ-
 ვილი-კი ამაშია უხელო მემამულისა, და ვერც ხელის-პა-
 ტრონი—რომ სამუდამო ბინა მექნებაო, რაღვანაც ბინას
 სხვის მამულში იყიდებდა. აქედამ ცხადია, საითკენ არის
 მიღრეკილი ხიზნობა, რა გზაზედ სდგას და საით მიიზი-
 დება თვისის ბუნებისამებრ. ამ-სახით, ხიზნობის მიმართუ-
 ლება იმაში გამოითქვა, რომ ღალა და სამსახური უცვა-
 ლებელი იყოს, ერთს ჭდეზედ იდგეს და თვით ალებ-მიცე-
 მა მიწისა ვალა-დაუდებელი იქნიას.

ეს მეორე მხარე ხიზნობის ბუნებისა.

VII

ღალისა* და სამსახურის უცყალებლობა მიწის-მფლო-
 ბელობაში შეხუთვაა და შეზღუდვა პირადის ხელშეუხებე-

*) „ღალას“ ჩვენს წერილებში იმ აზრით ვხმარობთ, როგორც
 „რენტა“:

ლის საკუთრებისა და, ცოტად თუ ჰევრად, ფეხის წინ წადგმაა, გაძლიერებაა საკუთრების ზოგადის ელემენტისა. ამიტომაც ვსიტქვით წინათ, რომ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ ბინადაიდეთ იმ-გვარ მიწათ-მფლობელობაში, რომელსაც ჩვენში ხიზნობა ჰქონიან, და ამ-გვარ მფლობელობას მიწისას შეეკედლა. რადგანაც პოლიტიკური წყობილება ყოველის ერისა უწინ, ნამეტნავად საშუალო საუკუნოებში, საფრანგეთის დიდ რევოლიუციამდე და თითქმის 1848 წლამდეცა, —რჯულმდებელობაში მონაწილეობას და ხმას მარტო მამულის პატრონებს აძლევდა, ამიტომაც — რაღა თქმა უნდა — მამულის პატრონებისათვის პირადად სახეობო არ იყო რჯულითა და კანონით ხელი მოეწყო ამასთანა გაძლიერებას საკუთრების ზოგადის ელემენტისა. აი მიზეზი, რის გამოც არც ერთს რჯულდებულებაში — რომელი ერი და ქვეყანაც უნდა აიღოთ — ვერ იძოვნით კანონს, რომ ეს ღალისა და სამსახურის უცვალებლობა და ერთობ ხიზნობა თავის მფარველობის ქვეშ მიეროს და რჯულად დაედვას. პირიქით, საცა შემთხვევა მიზეზს აძლევდა, რჯული, კანონი სდევნიდა ხსენებულს მიწათ-მფლობელობას და ყოველთვის სამართლის სასწორს პირადის საკუთრებისაკენ დაპხრიდა ხოლმე. ამ-გვარი მფლობელობაში კი, ცხოვრების ვითარებისა და საჭიროების გამო, მაინც არსებობდა და ეს არსებობს დღესაც. მერე რამოდენა ხანია, რაც არსებობს? დასაწყისი მისი, როგორც წინათაცა უსთვევით, მეცნიერთა აღმოაჩინეს თითქმის ისტორიის საშუალო ხანის პირველ საუკუნოებში. ასეთი განხანგრძლივობა არსებობისა ცხადად გვიმტკიცებს, რომ რჯულსა და კანონს გარეთ დაშთენილს მფლობელობას. სხვის მიწისას რაზედმე უნდა ჰქონოდა ფეხი გამაგრებული, რასმე უნდა შეენახა, ეპატრონა, რაიმე უნდა ფარად

შეჰქმნოდა. ეს „რაიმე“ ჩვეულებაა, რომელიც ჩვენს სა-
ქართველოს ერსა რჯულთ უმტკიცესად მიაჩნია. სამართ-
ლოინად.

ა.ი მესამე მხარე წიზნობისა; იგი მფარვე-
ლობდა თავდაპირველს მორიგებას ხელისას და მიწისას,
როგორც ჩვენში, ისეც ყველგან სხვაგან; იგი იყო ის
დაუწერელი სიგელი, რომლის ძალითაც ერთი მეორეს პი-
რობას უსრულებდა. ამის გამო იგივეა ნიშანი, რომლის
მიხედვითაც უნდა განირჩეოდეს ხიზნობა ყოველ სხვა-
გარ მიწის მფლობელობისაგან. საცა სხვისა მიწის ხან-
გრძლივი ხმარება ჩვეულებაზედ არ არის დამყარებული,
და სხვა რაზედმეა, მაგალითებრ ქალალზედ დაწერილს
ხელშეკრულობაზედ, იქ ხიზნობა არ არის.

ჩვეულება ერისათვის იგივ რჯულია, იგივ კანონია,
მხოლოდ დაუწერელი კი. ჩვეულებას იგი უპირატესობა
აქვს დაწერილს კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხო-
ვრების ჭეშმარიტის საჭიროების დანაბადია და ყოველ-
თვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა, თუ ყო-
ველს დროს არა, პირველ ხანებში მააწყა. ეს ხომ ასეა,
მაგრამ ერთი არსებითი ღირსება დაწერილის კანონისა კი
აკლია. დაწერილი კანონი, მარტო იმით, რომ დაწერი-
ლია, მინამ არის—ისეა, რომ არას მიიწებებს, არას აიქ-
რავს ზედ, რასაც აჩენს და პბადავს ხოლმე წშირად ხარ-
ბი ინტერესი წუთისა. ჩვეულება ამისაგან თავისუფალი
არ არის; კანონი კი თავისუფალია. აი დიდი ღირსება კა-
ნონისა, რომელიც ჩვეულებას აკლია.

აი ამ უპირატესობაშ ჩვეულებისამა, ერთის მხრით,
და იმ ნაკლმა, რომ მას დეწერილის კანონის ღირსება
არა აქვს, მეორეს მხრით, და მესამეს მხრით იმ გარემოე-
ბამ, რომ ზოგადი ცხოვრება წარემატა, დამოკიდულება

ერთმანეთზედ უფრო მრავალ-გვარი და რთული შეიქმნა, უფრო ერთი-ერთმანეთს გადაებ-გადმოება და დაიხლართა, — ყოველ ამანა ამ ბოლოს ხანებში იძულებულ ჰქმნა ზოგიერთი სახელმწიფო ეკრანისა, სახე დაწერილის კანონისა მიეცა იმ ჩეულებისათვის, რომელიც ხსენებულს მიწათ-მფლობელობას შეეხებოდა. ეს იძულება და მიმართულება რჯულმდებლობისა, რომ ჩეულება დაწერილ კანონად იკურთხოს, გამოითქვა მით, რომ პოლლანდიაში რჯულად დაიდვა ბეკლებრეხტი, პორტუგალიაში აფორა-მენტო, ინგლისში ოლტერის ჩეულება, რომელიც, თითქმის მთლად ჩენებურის ხიზნობის ავ-კარგიანობით, სახელოვანმა გლადსტონმა საჩიულად დაუდვა ეგრეთ-წოდებულს ირლანდიის საადგილ-მამულო ბილს 1872 წელსა. რუსეთში კი მთავრობამ „ჩინში“ უარ-ჰყო *.

თუმცა სხვა ქვეყნებმა ესევე არა ჰქმნეს ჯერ, მაგრამ ცხოვრების მოთხოვნილება და მოძრაობა, ამ მხრივ მიღერე-კილი და მიმართული, ყველგან თავს იჩენს. ამიტომაც დღეს ეგ მოთხოვნილება და მოძრაობაა საგანი სახელმწიფო მშართველობის მზრუნველობისა ყველგან საზოგადოდ და ჩენებში განსაკუთრებით ჩენში, ვამბობთ იმიტომ, რომ აქ, გარდა საზოგადო მოძრაობისა, საკუ-თარნი კერძო მიხეზნიც არიან, მით არა ნაკლებ მუვანი, და ეს მიზეზნი უფრო მეტად სასურველადა ჰქონიან დაუწერელის კანონის დაწერილ კანონად გარდა ქმნასა. ჩენში.

VIII

ხიზნობის ბუნებას შინაგანი აზრი რომ გავუსინჯოთ, მის ალსახსნელად რომ მოვიშველიოთ მოწმედ შაგ-გვა-

*) „ჩინშების“, საქმე წელს ამ სულ ახლო ხანებში დააბოლოვა მთავრობამ და თუ სპიროდ აღმოჩნდა, იქნება ჩენს მკითხველებს ვაცნობოთ, რა-რიგად გათავდა ეს საქმე.

რივე მოქლენანი, რომელთაც სხვა ქვეყნებში ვპოულობთ საოცარის მსგაესებითა, და თვალ-წინ წარმოვიდგინოთ იგი ნიშნები ამ-გვარის მიწათ-მფლობელობისა, რომელ-ნიც ჯერ კიდევ ჩვენს ერს ახსოვს და, მაშასადაბე, შესაძლოა კაცმა გამოიძიოს დღესაც, – მაშინ ერთს განსაკუთრებულს მხარეს კიდევ შევნიშნავთ.

ხიზნობაში სამი ფრიად საყურადღებო და საგულისხმო საგანია. ერთის მხრით იგი შეეხება კაცს, რომელიც ეძიებს საქმე აუჩინოს თავის უმამულო ხელს სხვის მიწაზედ. იგი კაცი ამასთანავე თავისუფალია, ესე იგი იმისთანაა, რომელიც ყველაზედ უწინარეს იმას ეცდებოდა, რომ ფეხებში ბორჯილი არ შეიყაროს, თვისდა უნებურად არ დაებას სხვის მამულზედ სამუდამოდ, და შეიჩინოს დამოუკიდებელი ნება თავისუფლად გადასვლის-გადმოსვლისა. მეორეს მხრით ხიზნობა შეეხება პირადს ინტერესს მამულის პატრონისას. ეგ ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ მამულის პატრონს ნება ჰქონდეს ყოველს უამს თვისი მამული ისე მოიხვაროს, როგორადაც ჰსურს. მესამეს მხრით ხიზნობა შეეხება იმისთანა განსაკუთრებულს და განსხვავებულს მრეწველობას, რომელიც, რაკი საქმე აქვს მიწასა და მიწათ-მოქმედებასთან, ითხოვს თვის წარმატებისათვის ხანგრძლივს შეუწყვეტელს მუშაობას, გარჯას, ხარჯას და მეცადინეობას.

ეს სამი, თითქმის ერთმანეთის მიუდგომელი საგანი, ერთმანეთის მოპირდაპირენი და წინააღმდეგნი, ხიზნობაშე ერთმანეთთან მოათავსა და მოარიგა. უმამულო ხელს შეარჩინა ნება თავისუფლად გადასვლის-გადმოსვლისა, გამულის პატრონს შეარჩინა ნება თავისის მამულის მომარებისა თავის სურვილისამებრ, და განსაკუთრებულს თვისებას მიწათ-მოქმედების მრეწველობისაც ა გზა

და სავალი მისცა. რით? მით, რომ ხანგრძლივობა ხელისა და მამულის ერთმანეთთან შეყრისა და მოთავსებისა ააგო მარტო ეკონომიურს ანგარიშზედ, რომელიც დამოკიდებულია იმაზედ თუ,—რამოდენა ხეირია ხელისათვის სხვის მამულის ხმარება, ერთის მხრით, და რამოდენა ხეირია მამულის პატრიონისათვის სხვისის ხელის მოქმედება, მეორეს მხრით. რომ ეს-ხანგრძლივობა არ მოიკვეთოს, არ გაწყდეს სხვადასხვა არა-საეკონომიო მიზეზთა გამო, ხიზნობამ შეარჩინა ხიზანს ნება მამულის თავდანებებისა მარტო იმ მძიმე პირობითა, რომ მამულის პატრიონს სამაგიერო სასუიდელი უზღლოს, და მამულის პატრიონს კიდევ შეარჩინა ნება მამულიდამ ხიზნის აყრისა იმ არა-ნაკლებ მძიმე პირობითა, რომ სასყიდელივე უზღლოს ასაყრელს ხიზანს.

აი მეოთხე განსაკუთრებული მხარე ხიზნობისა, რომელსაც გამოუკლებლად ვპოულობთ ყველგან, საკუთრივი კი ეს-გვარი მიწათ-მფლობელობა არის. ამ შემთხვევაში თუ რამ განსხვავება და ცვლილებაა, ეგ განსხვავება და ცვლილება შეეხება მხოლოდ სახესა და რაოდენობას საზღლურისას. ზოგან ორის წლის ლალა და სამსახურია ერთად შეკეცილი საზღლურად მამულის პატრიონის სასარგებლოდ, და სასარგებლოდ ხიზნისა—სრული ფასი შენობისა და იმ ნაკეთობისა, რომელიც ხიზანს მამულში მოუხდენია. ჩვენში კი ხიზანს, თუ ვინიცობაა თავის ნებით აიყრებოდა, უნდა მიეცა მამულის პატრიონისათვის ნახევარი მოძრავის ქონებისა, რაიც ხიზანს მამულში შეეძინა, და თუ მამულის პატრიონი თავისის ნებით აჲყრიდა, უნდა ეზღო სრული ფასი შენობისა და დანერგულისა, სახელდობრ ვენა-ხისა, თუ ხილის ბალისა. სხვა ნაკეთობა-კი ზოგან ანგარიშში არ ჩავარდებოდა ხოლმე.

ამ-სახით ხიზნობა არის:

1. ერთ-გვარი სახე სხვისა მიწის ხმარებისა თავი-სუფალ კაცისაგან;

2. დაფუძნებული და დამყარებული ჩვეულებაზედ;

3. იმ ბუნებისა და მიმართულებისა, რომ ღალა და სამსახური უცვალებელ იყოს და ამასთანავე თითონ ხმა-რება მიწისა უსათუოდ ვადა დაუდებელი;

4. ხანგრძლივობა ვადისა დამყარებული უნდა იყოს ეკონომიკურს ანგარიშზედ და არა რჯულიერების * მუდ-მიგობაზედ;

და 5. შფარველი იმათის ზეობრივობისა და ქონე-ბრივის ინტერესებისა, რომელიც ხიზნობით ერთმანეთ-ზედ დამოკიდებული არიან და რომელთაც თვითნებობა შეზღუდულია საზღაურითა, თუ ვინიცობაა ერთი მეორის დაუკითხვად და უნებურად მოშლის ხიზნობასა. ხოლო უკანასკნელი მისალწევი საგანი და მიდრეკილება ხიზნო-ბისა იგია, რომ შეიძინოს სიკეთე, ღირსება და უპირა-ტესობა დაწერილის კანონისა.

აი, ჩვენის ფიქრით, ხიზნობის არსება, რომელიც წარ-მოგვიღინა ისტორიულმა მსგავსობამ მის დედა-აზრი-სამ, მიზეზმა მისის მოვლენისამ, ბუნებამ მის ეკონომიკურ ხელშექრულობისამ, ზეობრივმა და ქონებრივმა ინტერეს-მა ამ ხელშექრულობით ერთმანეთთან დამოკიდებულთა, და ბოლონდელმა მისმა მისალწევმა საგანმა, რომლისაკე-ნაც იგი დღეს მიიჩიდება.

IX

ჩვენ, ჩვენის შეძლებისამებრ, გამოვიძიეთ მიზეზი, ბუნება და მიმართულება ხიზნობისა და აღვნიშნეთ იგი

*) Право.

საგანიც, რომლისაკენაც ხიზნობა დღეს შიიჩიდება თვისის
ბუნების ძალატანებითა. ჩვენა ვნახეთ, რომ ეს გვარი მფლო-
ბელობა მიწისა შეჰქმნა თითონ ერის ცხოვრებამ, თითონ
ერმა გამოჰარშა თვისის ცხოვრების მდუღარებაში და
წამლად დაიდგა იმ ტკივილის მოსარჩენად, რაიც სამწუ-
ხარო მოვლენამ მიწისა და ხელის განცალკევებისამ აუ-
ტენა დროთა მიშავლობაში. სულიერმა ძალ ღონემ ერისამ
მთელი საუკუნოები იმოქმედა ამაზედ, მთელი საუკუნოე-
ბი მოახმარა ამას, ტანი ააყრევინა და გამოიყვანა კუთ-
ვნილს გზაზედ შემდეგის წარმატებისათვის. და ეხლა,
როცა ეს ხიზნობის საქმე წინ მოგვდგომია ასე თუ ისე გა-
დასაწყვეტად, ნუთუ მართალი ვიქნებით — ზურგი შევჭ-
კით ერის სურვილს, ესე ცხადად და აშკარად ხიზნო-
ბაში გამოთქმულს? ნუთუ არ შევცდებით — უარვყოთ ეს
ერის ცხოვრების ნადუღარი წესი და მის შინაგანს მოთ-
ხოვნილებს არ ავყვეთ და მხარი არ მივცეთ?

იქნება სიტყვა შემოგვიბრუნონ და გვითხრან: რა
ვუყოთ, რომ თვით ერისაგან არის შექმნილი მაგ-გვარი
წესიო? განა ცოტაა იმისთანა წესი, რომ ერს შეექმნას,
და ან ბუნებითად სულ არ ვარგოდეს, ან დრო მოექამნს
და კარგი ავად გადაჰქცეოდეს თითონ ერსავე? რასაკვირ-
ველია, ყოველივე ეს შესაძლოა და არა ქროთ და ორი მა-
გალითია მაგ აზრის საბუთად. ხოლო ეგ აზრი მოსატანი
არ არის ხიზნობის საქმეში. ამ-გვარის წესის ავ-კარგია-
ნობა რაში უნდა გამოთქმულიყო?

ჯერ ზნეობრივს სფერაში, იმიტომ რომ ხიზნობა-
ში ერთის მხრით უმამულო კაცია და მეორეს მხრით უხე-
ლო, ერთმანეთზედ დამოკიდებულნი. ამის გამო, ყველა-
ზედ უწინ კაცს ეს საკითხავი მოადგება ენაზედ: ხომ არა
ჰეთუავს ერთი მეორეს პირადად? ჩვენა ვნახეთ, რომ ხიზ-
ნობა უსათუოდ ნებაყოფლობაზედ არის აშენებული და

ეს ნებაყოფლობა ბოლომდის ზედ შერჩენია, რადგანაც
ერთსაც და მეორესაც ნება აქვთ ერთმანეთს განშორდ-
ნენ, რა დროსაც-კი. მოისურვებენ თვითოვეულად ცალკე. სა-
ცა ჩაბმაც და ამოშვებაც თითონ აღამიანის ნებაზეა
მივარდნილი სხვის დაუკითხავად, იქ შეხუთვას აღამიანის
პირადის უფლებისას ადგილი არა აქვს. იქ ან ორნივ თა-
ვისუფალნი არიან, ან ორნივ მორჩილნი ერთისა და იმა-
ვე ხელშეკრულობისა. ამ-სახით, თითონ ხიზნობის ბუნე-
ბაში აღამიანის პირადობის შემხუთავი არ არის რა. პი-
რიკით, ხიზნობა ყოველ-გვარს შეხუთვას ეურჩება და დი-
დის გულმოდგინებით ჰპატრონობს აღამიანის პირადს
უფლებასა. და თუ — როგორც ჩვენ ვითხოვთ — კანონი ჩა-
ერევა და ადამიანის სიხარბეს ჭდეს დაუდებს, მაშინ ხომ
ყოველივე ნიშან-წყალი სხვა ყოველ-გვარის შეხუთვისაც
კი სრულებით გაპქრება.

ახლა ენახოთ, — ხომ არ აშავებს რასმე ხიზნობა
ეკონომიურს სფერაში, ამიტომ რომ იგი მიმართულია
ერთს-გვარს მრეწველობაზედ, რომელსაც მიწათ-მომქმე-
დი მრეწველობა ჰქვიან? ამ საკითხის შესახებ ჩვენ გვინ-
და ვიმოწმოთ სხვადასხვა მეცნიერნი, რომელთაც ხიზ-
ნობის მავგარი მფლობელობა მიწისა ამ მხრით გამოუ-
ძიებიათ, ხოლო ვშიშობთ, რომ ეს წერილი არ გაგვი-
გრძელდეს და ამით იძულებულ არა გვყოს უადგილო-
ადგილას გაწყვეტით. ამიტომაც ამ საგანზედ საუბარს
შემდეგს ნომერში განვაგრძობთ.

X

ჩვენ წინა-წერილში ხიზნობის თაობაზედ დავპირ-
დით მკითხველებს, რომ მოვიყვანთ მეცნიერთა მოწმო-

ბას იმის შესახებ თუ,—რას მოასწავებს ხიზნობის მაგა-
რი წესი მიწათ-მულობელობისა ეკონომიურს სფერაში,
სახელდობრი: უშლის იგი ამ შერით საქვის წარმატებას,
თუ ხელს უწყობს. ამ საგანზედ ბევრს გამოჩენილს მეცნი-
ერს წარმოუთქვას თავისი აზრი და იმათ შორის იმის-
თანა განთქმული მეცნიერნიც არიან, როგორც ემილ
დე-ლაველე, ჯონ სტუარტ მილი, სისმონდი, იპოლიტ
პასი და სხვანი, რომელნიც ცნობილნი არიან ვითარება
ზედმიწევნით მცოდნენი ამ-გვარის საქმეებისა. ამას გა-
რდა, ეს მეცნიერნი ისეთის ლირსებისანიც არიან, რომ
მათთვის თავის-დღეში არავის არ შეუწმებია—ან სი-
ტყვა, ან აზრი გულდაფებულ რწმენით არ წარმოეთქვათ.
ამათი აზრი მით უფრო საყურადღებოა, რომ ხილულს
საბუთზეა დამყარებული. იტალიის ლიველლო, რომელ-
საც სტუარტ მილი „მონახევრობას“ ეძახის, რადგანაც
აქ უფრო ბევრგან ხიზნები ნახევარს მოსავალს ღალად
აძლევენ მამულის პატრონებს,—პორტუგალიის აფორა-
მენტო, პოლლანდიის ბეკლემრეხტი,—უოველივე ეს ჩვე-
ნებურის ხიზნობის მაგარი მფლობელობა მიწისა ადგი-
ლობრივე განხილულია და გაჩხრეკილი მეცნიერთაგან,
და ამის გამო მათი აზრი თვალით ნახულს საბუთიდამ
არის წარმომდინარი.

ჩვენ, მინამ ამ მოწმობის ჩამოთვლას შევუდგებით,
არ უნდა დავივიწყოთ ორი თვისება, რომელზედაც აგე-
ბულია ეკონომიური ბუნება ხიზნობისა, ერთი ისა, რომ
ხიზნობა მიმართულია, რათა ხმარება სხვისა მიწისა სა-
შვილიშვილოდ იყოს, და მეორე—ღალა, თუ გადასახადი,
უცალებელად და წაუმატებელად დარჩეს. ახლა ვნახოთ,
ეს ორი თვისება ხიზნობისა როგორ მოქმედობს საეკო-
ნომიო სფერაში.

ჯონ სტუარტ შილდს, მოჰყავს რა ცნობანი შესახებ
იტალიის გლეხებისა, რომელთაც ლიველლოს წესით უჭი-
რავთ სხვისი მამულები სანახევროდ, ამბობს.

„ვიდრე მონახევრე * თავის განსაზღვრულს გადა-
სახადს იხდის, იგი, თუ კანონის ძალით არა, ჩეეუ-
ლების ძალით მაინც პრჩება მამულში როგორც სა-
შვილიშვილოდ მხმარებელი თავის მიწისა. ამის გა-
მო გულით დაბმულია იმ ადგილზედ, უყვარს იგი
ადგილი და ეგ პირადი სიყვარული მიწისა თით-
ქმის იმოდენადვე ძლიერ აქვს მონახევრეს, რამო-
დენადაც მოსაკუთრეს“.

ამის შემდეგ, მოჰყავს რა მაგალითები იმისა თუ, რა
კარგადა აქვთ ნამუშევარი და ნაკეთები ლიველლოს წე-
სით აღებული მიწები და თითონაც გლეხნი რა კარგს
ყოფა-ცროვრებაში არიან, სტუარტ მილლი განაგრძობს,
რომ სოფლის მეურნეობის ესეთი კარგი მდგომარეობა
იტალიაში, საცა ლიველლოა, —

„გვაჩვენებს, სადამდე შეუძლიან მიაღწიოს საშვი-
ლიშვილოდ ხმარებამ მიწისამ და წვრილმა მეურ-
ნეობამ მაშინაც-კი, როცა სანახევროდ არის მიწა
აღებული, ესე იგი როცა ესეთი მძიმე და ხელთ არ-
მიმცემი ღალაა“.

რა იქნებოდა მაშინაო, ამბობს მერე სტუარტ მილ-
ლი, რომ მიწათ-მომქმედს ეგრევე საშვილიშვილოდ ეჭი-
როს მიწა და აძლევდეს ფულად გადაწყვეტილს ღალას,
უცვალებელს, ან ცვალებადს ისე-კი, რომ მთელი გამო-

*) მილლი, როგორც ვთქვით, ამ სახელით იხსენიებს ხისწე-
ბის მაგარად მიწის მხმარებელთა იტალიაში. რომ ეს ასეა, თვით
ამ ციტატიდანამ სჩანს.

რჩომა წარმატებულის შრომისა განუყოფელად რჩებოდეს მოლალესათ. მილლი აქ ეთანხმება აღამ სმიტს იმაში, რომ წილზედ ჭერა მამულისა ერთობ ხელს უშელის მიწის მხმა-რებელსა. იმიტომ რომ წილი მატულობს შრომისა და ხარჯის მატულობისა-დაგვარად. რადგანაც შრომა და ხარ-ჯი ამ შემთხვევაში მიწათ-მხმარებელისაა და არა მი-წათ-პატრონისა, და წარმატებულის შრომისა და ხარჯის ნაყოფი კი მიწის პატრონთან გასაყოფია, აშეარაა, მი-წის პატრონს წილი გაეზრდება, გაუდიდება უხარჯოდ და გაურჯელად. ეს შრომისა და ხარჯის ხალისს უფუ-ჭებს მიწის მხმარებელსა და ამით განკარგება მამულისა ბრკოლდება. აი ამაზედ ამბობს მილლი, რომ ლალა ოუნ-და ცვალებადიც იყოსო, ოლონდ ისე კი, რომ რასაც მი-წის-მომქმედი თავისის გულმოლგინეობით, შრომით და ხარჯით მოსავალს მოიმატებს, ის წარმატებული ნაწილი მოსავლისა მთლად და განუყოფელად მასვე პრჩებოდესო.

XI

სისმონდი, რომელზედაც სტუარტ მილლი სწერს, რომ ჟელმიწევნით იცისო ხიზნების მაგვარად მიწის-მხმა-რებელთა ყოფა-ცხოვრება იტალიაში და დიდად სანდო და სარწმუნო კაციათ, ვრცლად მოგვითხრობს, რა კარგს ყოფა-ცხოვრებაში და კარგს მღვმარეობაში არიან ისი-ნი, ვისაც სტუარტ მილლი „მონახევრებს“ ეძახის იტა-ლიაში და რა კარგად აქვთ შემუშავებული და ნაკეთე-ბი მიწები. მოჰყავს რა მოწმობა სისმონდისა ამ საგან-ზედ და მის მიერ დაწერილებითი აღწერილობა იტალი-ის ხიზნების სარჩო-საბადებელისა, შეძლებულობისა და

კმაყოფილებისა, სტუარტ მილლი იკითხება: „განა ეს სი-ლარიბეა, განა რაშიმე ჰვაგს ეს სილარიბესა!“

სიმონიდის შორის მილობიდამა სჩანსო, განავრძობს მერე სტუარტ მილლი, რომ ტოსკანის ხიზები-მონახევ-რენი შეძლებულნი არიან არა-ნაკლებ ფულიან ფერმერებ-ზე, თუნდ რა ქვეყნის ფერმერებიც გინდა იგულისხმოთ; უფრო დიდ ყოფა-ცხოვრებიანნი არიანო, უფრო გაცი-ლებით მეტი სარჩო-საბადებელი აქვთო, ვიდრე სხვა რო-მელისამე ქვეყნის მუშებსა, გარდა ამერიკის შეერთებუ-ლის შტატებისასა და ახალის კოლონიებისასაო.

ბევრი ციტატები მოჰყავს სტუარტ მილლს სისმონ-დის თხულებიდამ და სხვათა შორის ეს ადგილიცა:

„ხიზანი-მონახევრე ბინა-მოკიდებულია და დგას თავის ადგილზედ, როგორც საშვილიშვილო მიწა-ზედ, მეტის-მეტად უყვარს იგი მიწა, დაუცხრომე-ლად მუშაობს, რომ იგი კარგად გააკეთოს, გაანა-ყოფიეროს, რადგანაც გაძოელდება, რომ ეს მიწა მერმეც იმისია, იმის შვილისა და შვილიშვილზედ გადავა გამოსარჩომად.—მართლადაც, თითქმის ყვე-ლა ამისთანა გლეხნი მამა-პაპით დგანან თავ-თავის მიწაზედ, იციან ყოველივე ავი და კარგი თვითონე-ულ ტანის მიწისა იმ ზედმიწევნითა, რომელზედაც მიჰმართავს ხოლმე ადამიანს შარტო ერთი გრძნო-ბა საკუთრებისა“.

მერლინი ამბობს ხიზნობის მაგვარ მიწის ხმარების თაობაზედ:

„ესეთი ხმარება მიწისა უფრო სახეიროა მიწათ-მომქმედისათვის, ვიდრე გრძელვალიანი და ხანგრ-ძლივი იჯარა, იმიტომ რომ პირველ შემთხვევაში წარმატება ნაკეთობისა არ იკარგება, როგორც მე-ორეში“.

ამ-გვარ მიწათ-ხმარებაზედვე იპოლიტ ჰასსი ამბობს:

„ყველაზედ მეტად ხელშემწყობი მეურნეობის გა-
საძლიერებლად იმისთანა ქირავნობაა მიწისა, საცა
მთლად განსაზღვრული მოვალეობა და დამოკიდე-
ბულება მუდამ ახალისებს მიწათ-მომქმედსა—არას-
ფერი არა ჰქონოს მაწის განაყოფიერებისათვის,
როგორც სადღეოსოდ, ისეც სამერმისოდ“.

„ბექლემ-რეხტიო (ესე იგი, ჩვენებურის ხიზნობის
მაგვარი ხმარება მიწისა) სრულად ეთანხმება და ეშასა-
ბამება ამ პროგრამასათ“, — ამბობს ამ ჰასსის სიტყვების
გამო ემილ დე-ლაველე.

პორტუგალიის ეკონომისტი ვალენსიო ლესლანდესი
ამბობს:

ჩვენებური აფორამენტო საოცრადა ჰგავს ბექ-
ლემ-რეხტსა გრენინგენისასა. ეს საშვილიშვილო იჯა-
რაა, რომლის ძალითაც უფლება მიწის ხმარებისა
ვადა-დაუდებლად არის მინიჭებული, იმ პირობით-
კი, რომ მიწის პატრონს ყოველ-წლივ ეძლიოს კუ-
თვნილი ღალა, რომელიც ერთხელ და ერთხელ გან-
საზღვრულია და რომელსაც თავის-დღეში-ვერ მოუ-
მატებს მიწის პატრონი. ხალხს უწინ და ეხლაც-კი
განსაკუთრებით მოსწონს ამ-გვარი ხმარება მიწი-
სა. როგორც მიწის მხმარებელნი, ისეც მიწის პა-
ტრონები ერთნაირად აფასებენ დილთა სიკეთეთა
ამ-გვარის მიწის-მფლობელობისას. ეს სიკეთენი თვა-
ლად სჩანან უფრო მინიოს პროვინციაში, რომელიც
ასე გათქმულია თავისის მიწათ-მოქმედებითა, გლე-
ხთა კეთილდღეობითა და მშვენივრად ნაკეთებ მა-
მულებითა. იქ ყველა მიწები აფორამენტოს წესით
არიან გაცემულნი და აღებულნი და სწორედ ამ-

გვარს წესს აწერენ მთელს კეთილდღეობას ამ პრო-
ვინციისას... საუბედუროდ, დღევანდელმა კანონმდე-
ბლობამ, საფრანგეთის იდეებით გატაცებულმა,
ომი გამოუტადა ამ მშვენიერს წესს მიწათ-ხმარე-
ბისას იმ აზრით, რომ ეგრეთ-წოდებული „განთავი-
სუფლება მიწებისა“ მოახდინოს, ესე იგი ალადგი-
ნოს ხელშეუხებელი საკუთრება და ერთი ზოგადი
სახე მისცეს მიწის იჯარით აღებასა. ეს შეცდომაა.
ყოველივე წესი მიწის ხმარებისა კარგია, თუკი თავ-
დებია მისი, რომ ხმარება მიწისა შის ხელთ იქნე-
ბა, ვინც მიწას ამოქმედებს“.

ფორსტერი, მოგვითხრობს რა ეკონომიურს კეთილ-
დღეობას მინიოს პროვინციისას, საცა, როგორც ზემო-
მოყვანილ სიტყვებიდამ სჩანს, ხიზნობის მაგვარი მიწის
ხმარებაა, ამბობს: „მინიოს სამართლიანად ეძახიან, რომ
პორტუგალიის წალკოტიაო“.

ჩვენ მოვიყენეთ მოწმობა იმისთანა მეცნიერთა,
რომელნიც ჩვენდა საყურადღებო საგანს, ესე იგი ხიზნ-
ბის მაგვარ ხმარებას მიწისას, შეეხნენ ისე, როგორც
იტყვიან — გზად, იმიტომ რომ თხზულებანი, საიდამაც
ყოველივე ზემოთ მოყვანილი ციტატები ამოვწერეთ, სა-
კუთრად ამ-გვარ მიწათ-მფლობელობისათვის არ არიან
დაწერილნი და ამის გამო ეგ გვარი მიწათ-მფლობელობა
იმა თხზულებათა წვლილს შეადგენს და არა მთავარს სა-
განს, თუმცა ამით მათს აზრს არც ძალა და არც მნიშ-
ვნელობა არ ეკარგება.

ჩვენ დაგვრჩა ერთი იმისთანა მეცნიერი, რომელსაც
საგნად თვისის თხზულებისა აულია თითქმის განსაკუთრე-
ბით ხიზნობის მაგვარი მიწათ-მფლობელობა და რომელიც
ამ საგანზედ უფრო ვრცლად ლაპარაკობს, ვიდრე სხვანი.

ეს მეცნიერი ემილ დე-ლაველეა, სახელგანთქმული და მთელის ევროპის მიერ მოწოდებული, როგორც მიწათ-მფლობელობის და მიწათ-საკუთრების უკეთესი გამომძიებელი. რაღანაც ამ მეცნიერის მოწმობა მეტად გრძელია, ამიტომაც ამის აზრს იმ-გვარ მიწათ-მფლობელობაზედ, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, შემდეგს ნომერში მოვიყეანთ, რაც შეიძლება დაწვრილებით და ვაკლად.

XII

ემილ დე-ლაველე, თავის გამოჩენილის ობზულების ერთს კარს*, რომელსაც სათაურადა აქვს „მემკვიდრეობითი ჭერა მიწისა“, ასე იწყებს:

„არის ერთ-გვარი ძევლი სახე საკუთრებისა, რომლის გამოკვლევასა და გამოძიებასა არ უნდა მოერიდნენ კანონმდებელნი და ეკონომისტები, იმიტომ რომ მაგ-გვარს სახეს საკუთრებისას შეუქლიან შეიტანოს ელემენტი მორიგებისა იმ ბრძოლაში, რომელიც ყველგან გამართულია იმის შუა, ვინც აკეთებს მიწას და ფასსა სდებს, და იმისა —ვინც ლალას აძლევს. ეგ სახე მემკვიდრეობითი ჭერაა მიწისა, რომელსაც ჰოლლანდიაში ბეკლემ-რეხტი ჰქვიან, იტალიაში ლიველლო, პორტუგალიაში აფორამენტო“, და ჩვენში კიდევ ხიზნობა — დავუმატებთ ჩვენ.

ემილ დე-ლაველე ჯერ გვამცნობს, რა ბუნებისა არის თვითონეულის სახელის მიწათ-მფლობელობა და

*) პირველყოფილი საკუთრება, კარი XVII, „მემკვიდრეობითი ჭერა მიწისა“.

გვეუბნება, რომ ყოველი იგი მფლობელობა მიწისა ერთის და იმავე ძირისანი არიან და ერთისა და იმავე მიღრე-კალებისა და თვისებისანი. შემდეგ ამისა თვითონეულს მათგანზე ასე ლაპარაკობს:

„აფორამენტო ცოტად თუ ბევრად გავრცელე-ბულია მთელს პორტუგალიაში“... „ხოლო ტაგოს მდინარის ჩრდილოთ — უფრო ხშირია მაგ-გვარი წესი მიწათ-მფლობელობისა და ამ წესს აწერენ იმ წარ-ჩინებულს კულტურას და მიწათ-მომქმედთა კმაყო-ფილებას, რომლითაც გათქმულია მინიოს პროვინ-ცია“... „საშვილიშვილო (მემკვიდრეობით) ჭერა მიწისა ბეკლემ-რეხტის და აფორამენტოს წესით მართლა რომ სახეიროა და ხელმოსაცემი. ამისი და-სამტკიცებელი საბუთი ის მთლად განსაკუთრებული კეთილდღეობაა, რომელიც ამ რიგს მიწათ-მფლო-ბელობას მიუწიჭებია ორის სულ სხვადასხვა პროვინ-ციისათვის: მინიოსათვის პორტუგალიაში და გრე-ნინგენისათვის ნიდერლანდში“.

გერმანიის გამოჩენილი ეკონომისტი როშერი უფრო შორს მიღის და ამტკიცებს, რომ ლალით თუ იჯარით მიწის-მჭერელი უფრო დიდს ხარჯს გასწევს მიწის გასა-კეთებლად, ვიდრე მოსაკუთრეო, იმიტომ რომ მოსაკუთრეს მიწის სყიდვაში უნდება დიდადალი ფულით, მაშინ როდე-საც მოლალეს, თუ იჯარადარს, შეუძლიან მარტო მიწის განკარგებას მოახმაროს, რაც რამა აქვსო. თუმცა ბევრით მართალს არა ჰგავსო ეს აზრი როშერისა, ამბობს ემილ დე-ლაველე, მაგრამ მაინც-და-მაინც ბეკლემ-რეხტი მაგ ნაკლს მოშორებულიათ და ამ სახით:

„ბეკლემ-რეხტს აქვს ის სიკეთე იჯარით მიწის კერისა, რაზედაც როშერი ლაპარაკობს, და ამასთა-

ნავე ის სრული იმედიც საშერმისოდ, საშვილიშვილოდ მიწის ჰერისა, რომელსაც იძლევა მარტო საკუთრება... ამის გამო შესაძლოა დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ბეკლემ-რეხტი საკუთრებაზედ უფრო მეტად ხელს უწყობს კარგს კულტურას მიწისას, რადგანაც აქ მიწა სასყიდელი არ არის და სასყიდელი ლონე შესაძლოა მიწის განკარგებას მოხმარდეს, და რადგანაც იგი, ამას გარდა, ახალისებს მას, ვინც მიწას ამოქმედებს — ერთი-ორად იმხნევოს, რომ რაც შესაძლოა მეტი მოსავალი მოიყვანოს“.

ემილ დე-ლაველე, თავის თხზულებაში, რომელსაც ჰქვიან „მიწათ-მფლობელობის წესი ირლანდიაში“, პირდაპირ ირწმუნება, რომ საცა-კი ჩვენებურის ხიზნობის მაგვარი მფლობელობა არის თურმე, ყველგან მიწის მუშავი, მიწის-მომქმედი წარმატების უკეთესს ხარისხზედ სდგასო.

„ერთობ ულსტერშიონ* — ამბობს ამის საბუთად ლაველე: — საცა ფერმერი ჰპოულობს საკმაო გარანტიას მიწის ხმარების უფლებისათვის, მიწა კარგად არის შემუშავებული და ნაკეთები. კორკის საგრაფოში, ბანდონის მდინარის პირას დაუკენილია მშენერი ვაკე. საგანგებო სახლები ფერმერებისა მოსიანან კარგად ნაკეთებ მინდვრებ შორის. საქონელი მშენივრად ნაპატივებია, თითონ მიწის-მჭერელნი რიგიანად არიან ჩაცმულნი და ეტყობათ კმაყოფილება“.

რა არის ამის მიზეზი? ის არისო, ვგარწმუნებს ლაველე, რომ ეს მამული ეკუთვნის ჰერცოგს დევონშირსა,

*) აქ, როგორც უკვე ვიცით წინა-წერილებიდამ, ხიზნობის მაგვარი წესია მიწათ-მფლობელობისაზ, და აქ ამ წესს „ულსტერის ჩვეულებას“ ეძახინ.

რომელსაც ულსტერის ჩვეულების წესით გაცემული აქვს მიწებით. ამავე მიზნის გამო, ამისთანავე მდგომარეობაში არიან თურმე ლორდ დერბისა, პორტსმუტის და ლანდს-დაუნის მამულებიცა. ამ მამულების გვერდით სხვა მამულებიც არის, მაგრამ ასეთს აობრებულს და ვერანა ადგილებს წარმოადგენენ თურმე, ხალხი ისეთს სილარიბეშია, რომ კაცს აკვირვებს და აოცებს. ეს იმისაგან არისო, ამბობს ლაველე, რომ ამ მამულების პატრონები უთაურნი არიან, მეტად ხარბინი.

„საცა კმაყოფილებას და შეძლებულობას ჰქედავთო, ეთქვა იქაურს მხლებელს ოკანერ მორი-სისათვის: იქ ულსტერის ჩვეულებით უჭირავთ მიწებიო, და საცა სილატაკეა და სილარიბე, იქ მაგის ნებას არ იძლევა მამულის პატრონიო“.

ყველგან, საცა კი მაგ წესით არის სახმარად აღებული მიწები, ყველგან ამ სიკეთეს ვხედავთო, ამბობს თავისით ლაველე.

„ეს შენიშნულია არამც თუ მარტო ულსტერში, საცა შესაძლოა კაცმა ეს სიკეთე სხვა მიზნებსაც მიაწეროს, არამედ სხვა პროცენტიებშიაცაო. მეტად სარწმუნო მაგალითს წარმოგვიდგენს ლორდ პორტ-სმუტის გამულიო, საცა ულსტერის ჩვეულება შეიტანა მამულის პატრონმა და ამას კარგი შედეგიც მოჰყევა. ასე რომ ეხლანდელი ლორდი, რომელიც სამაგალითო შემამულედ ითვლება, არამც-თუ ეურჩა ამ ჩვეულებას, არამედ ხელიც შეუწყო. ბოლოს დაბოლოს მიწაც ძალიან გაკეთდა, მოლალენიც კმაყოფილი არიან და შემოსავალიც ერთი-ორად მოემატა მიწის პატრონსა. ძნელია კაცმა წუნი დასდოს წესს, რომელიც ყველასათვის ესე სახეიროა“.

ესეთი წესი წეტად ჰშველის მიწათ-მოქმედების განკარგებასაო, ამბობს შემდეგ ლაველე, იძიტომ რომ მოლალესათვის საიშედოლ ჰქონის მიწის ხმარებასაო, რადგანაც იგი დათხოვნილ ვერ იქნება მიწიდამ უიმისოდ, რომ მიწის პატრონმა არა უზღოს რაო.

ამით ვათავებთ მეცნერთა მოწმობას შესახებ იმისა თუ, — ეკონომიურს სუვრაში რის მომასწავებელია იგი წესი მიწათ-მფლობელობისა, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ვეძახით.

ამის შემდეგ ვეცდებით განვიხილოთ ეს ხიზნობა იმ მხრით თუ, — რა ძარღვი უცემს ხიზნობას საზოგადოებურ მნიშვნელობისათვის, და მეცნიერთა აზრით დასარჩენია. იგი შემდეგისათვის, თუ ამოსაკვეთია?

XIII

ჩვენ წინათვე ესთქეით, რომ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თავი ხიზნობაში შეაფარაო. ჩვენ ამაში ეხედავთ ხიზნობის საზოგადოებურს მნიშვნელობას. მიღრეკილება ხიზნობისა, რომ ხმარება მიწისა საშვილიშვილო იყოს, და ღალა თუ გადასახადი ერთსა და იმავე ჭდეზედ იდგეს უცვალებელიალ — ეს ისეთი იერიშია საკუთრების პირადს და კერძო ელემენტზედ მიტანილი, ეს ისეთი ნაღმია, რომ საკუთრების ხელშეუხებლობის მოძლვრებას ძირეულად არყევს, მთელს რჯულიერებას საკუთრებისას ფერს უცვლის და ზოგადს ელემენტს მისას გზას უხსნის საშერმისოდ ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად.

კანონმდებლობანი, საკუთრების ხელშეუხებლობის შო-
ძლვრებაზედ აგებული, დღეს-აქომამდე მარტო ერთ-გვარს
შეზღუდვას პირადის საკუთრებისას იცნობენ. ამ შეზღუ-
დვას უწოდებენ „ექსპროპრიაციას“, რომელიც იმაში
მდგომარეობს, რომ კერძო მოსაკუთრეს სახელმწიფო სა-
ჭიროებისათვის ძალაუნებურად ჩამოერთმევა ხოლმე მი-
წა და მის სამაგიეროდ სასყიდელი ეძლევა. ამ-სახით,
კერძო საკუთრება თვის ხელუხლებლობას სომობს ზოგად
საჭიროებისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ზოგადს ელემე-
ნტს საკუთრებისას თვის ზღუდვეს არღვევინებს.

თუმცა მიწის პატრონს ამ შემთხვევაში სასყიდელი
ეძლევა, მაგრამ მაინც ეს ამბავი კერძო უფლების ზღუ-
დეთა კოტაოდენ შერლვევად უნდა ჩაითვალოს, რადგა-
ნაც აქ საკუთრების დათმობა იძულებულია, ძალაუნებუ-
რი და არა ნებაყოფლობითი მოსაკუთრის მხრით. იმის-
თანა მიწის ხმარებას, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ეძახი-
ან, ამას გარდა სხვა ახალი გვარი შეზღუდვაც შეაქვს
პირადის საკუთრების მოძღვრებაში და ეს შეზღუდვა მით
უფრო ძირეული და ძლიერია, რომ უსასყიდლოა: იხუთე-
ბა პირადი ელემენტი საკუთრებისა სასარგებლოდ ზოგა-
დის ელემენტისა და შეხუთვის საზღაურად არა-რა სას-
ყიდელი არ ეძლევა. მამულის პატრონი ხიზნობის წესით
ნება-მოკლებულია: 1. აჰყაროს ხიზანი უიმისოდ, რომ არ
უზღოს ყველაფერი, რასაც ხიზანი მის მამულში სტოკებს
და 2. მოუმატოს ლალა-გადასახადი. ამ-სახით, მამულის
პატრონი ლონე-მიხდილია მოხმაროს თვისი საკუთრება
თვისის სურვილისამებრ, და ეს რა არის, თუ არ შერლ-
ვევა იმ მაგარის კედელისა, რომელსაც პირადს საკუთრე-
ბას ეძახიან!..

როცა 1872 წელს გლადისტონშა თავისი სახელოვანი ბილლი გაიყვანა პარლამენტში და მით ჩვენებურ ხიზნობის მაგვარს „ულსტერის ჩვეულებას“ კანონის მფარველობა მიანიჭა, ანუ, უკეთ ესთქვათ, იგი ჩვეულება კანონად გადააქცია, ემილ დე-ლაველევ ამაზედ აი რა სთქვა:

„მე არ ვიცი არც ერთი მაგალითი ისტორიაში, რომ საღმე ერი ესე შორს წასულიყო თვისთა დედა-აზრთა წინააღმდეგ საშველად უბედურის და ონეგიმიშურულ მკვიდრთა. არც ერთს კანონმდებლობას ეხლანდელ ევროპისას არ დაუდგინა, არ შეუწყნარებია კანონად წესი, ესოდენ მრავალ-მნიშვნელობიანი თავის შედეგითა... არსად და არას-დროს არ მიუნიჭებით ამისთანა საგანგებო უფლება და ხეირი სოფლის მცხოვრებთათვის“...

რამოდენადაც საქმეთა ვითარებამ ხელი შეგვიწყო, იმოდენად ალვნიშნეთ ჩვენ საზოგადოებრივი მნიშვნელობა ხიზნობისა. ვინც ჩვენ ნათქვამს უფრო მეტს ყურს ათხოვებს, ვიდრე ისე გაკვრით წაკითხულს, თქმულს საგნის შესაფერად ასწონს და არა-თქმულს თითონ იგულისმებს, იმან, არა გვგონია, ჩვენთან ერთად არ ალიაროს იგი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ხიზნობისა, რომელიც მის ბუნებაში ჩასახა თითონ ერმა და რომელსაც დღეს-აშამომდე ჰაზრდიდა.

ვინც ამ მნიშვნელობას ხიზნობისას თვალ-ნათლად წარმოიდგენს, იმისათვის მეტად გაადვილებული იქნება პასუხის-გება ამ საკითხავზედ: დასაჩინენია ხიზნობა, თუ ამოსაკვეთი:

მეცნიერნი, რომელნიც ხიზნობის მაგვარს მფლობელობას მიწისას ამ მხრით, თუ სხვა მხრით, დაპკვირვებიან, ყველანი გვირჩევენ მის დარჩენასა სამერმისოდაც.

ჯონ სტუარტ მილლი ამბობს, რომ ეგ-გვარი მიწათ-მფლობელობა „არც იმისთანა არისო, რომ ჩვენ ვისურვოთ იგი შევიტანოთ იქ, საცა თავის-თავად არ არის გაჩენილი საზოგადოებრივ გარემოებათა გამო, ხოლო არც-კი იმისთანაა, რომ მისი ამოკვეთა ვისურვოთ იმისდა მიუხედავად, თუ საქმეში თავი როგორ იჩინა“.

ამის შემდეგ მილლი ამბობს, რომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში არ დაუუჯეროთ იმისთანა ზედმიწევნით მცოდნე ავტორიტეტს, როგორც სისმონდიაო, და თუ მართალია იგი კეთილდღეობა, რომელიც სისმონდის სიტყვით, ამ-გვარს მიწათ-მფლობელობას მოუჟენა ტოსკანაში, მაშინ სანაზური უნდა იყოს ამოკვეთა ამისთანა წესისა, რომელიც იქაურს ხალხს ისე კარგად ამყოფებს, როგორც არსად ევროპაშიო.

ემილ დე-ლაველე, მოგვითხრობს. რა ამბავს ხიზნობის მაგვარ წესისას, რომელსაც იტალიაში ლიველლოს ეძახიან, ამბობს:

„იმის მაგიერ, რომ ამისთანა წესს ამოკვეთას უქადიან, უფრო კარგი იქნებოდა, რომ იგი დაარჩინონ და საყოველთაოდ გაავრცელონ, ოლონდ ფორმა საჭიროებას შეუწონონ და განაკარგონ... * იქ, სადაც ამ-გვარი ხმარება მიწისა დამკვიდრდა თავის-თავად და ხალხს დაუმტკიცდა, როგორც ჩრდილო პორტუგალიასა და გრენინგენში, საქმე გვიჩვენებს, რომ მიწათ-მომქმედის კეთილდღეობასაც პშველებია და მიწათ-მოქმედების წარმატებასაც“ **.

*) ბროშიურა: „მიწათ-მფლობელობის წესი ბელგიასა და პოლონენდიაში“.

**) ბროშიურა მისივე: „მიწათ-მფლობელობის წესი ირლანდიაში“:

გლადსტონი, ჯონ გრეიი, ტორალდ როჯერსი და სხვანი მეცნიერნი და სახელმწიფო კაცნი ცოტაოდენის სხვადასხვაობით ამასვე აშბობენ ხიზნობის მაგვარის მფლობელობის შესახებ და არამც-თუ ჰუიქრობენ ამის ამოკვეთას იქ, საცა არის, არამედ იქაც კი ჰრჩეობენ შეიტანონ, საცა არ არის.

ჩვენი ნათქვამი ხიზნობის თაობაზედ სრული არ იქნება, თუ ზედ არ დავუმატეთ აქაურის მთავრობის კაცთა და დაწესებულებათა აზრიცა. „ამიერ-კავკასიის საცენტრალო კომიტეტსა“, რომელსაც მინდობილი პქონდა ბატონ-ყმობის საქმე 1863—1864 წწ., მიეცა შემთხვევა და ჩამოუვარდა ლაპარაკი ჩვენებურს ხიზნობაზედ და ი ამის გამო რა წარმოსთქვა:

„Хизанское положение есть действительно одна из счастливых особенностей свободных поземельных отношений владельцев земли и живущих на ней поселян, в здешнем крае*“.

ჩვენ უკვე ვიცით წინა-წერილებიდამ, რომ ხიზნობა მარტო ჩვენის ქვეყნის შვილი. არ არის; იგი თითქმის ყველგან მოიპოვება და საცა კი არის, ყველგან იმ აზრისანი არიან ხიზნობაზედ, რომელიც ხსენებულმა კომიტეტმა წარმოსთქვა ჩვენში. ეს აზრი მით უცრო საგულისმოა, რომ საკუთრივ ჩვენებურს ხიზნობაზეა წარმოთქმული.

XIV

ჩვენი წერილები ხიზნობის თაობაზედ სავსე არ იქნება, რომ არ მოვიყვანოთ ცნობანი მასზედ თუ,—სულ რა-

*) „Хизанское положение“ (გვერდი 4).

მდენი კომლი ხიზანია საქართველოში, რამდენი მიწა უჭირავთ და რამდენი გადასახადი მოსდით დღიურ მიწაზე და სხვა ამ-გვარი. ეს ცნობები მოგროვილია მთავრობისაგან* და შედგენილია სიები. ამ სიებიდამა სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში მემამულეთა მიწებზე დგანან: გორის მაზრაში—3250 კომლი, ბორჩალოსაში—1123 კომლი, დუშეთისაში—940 კომლი, ტფილისისაში—449 კომლი, თელავისაში—64 კომლი და სიღნაღმისაში—9 კომლი. ამას გარდა, სახასო მამულებზე დგანან თელავისა და სიღნაღმის მაზრაში—354 კომლი. ამ-სახით, გარდა უშამულო ხიზებისა, სულ—5977 კომლი ხიზანია ტფილისის გუბერნიაში, განთავისუფლებული ყმები-კი სულ 16,425 კომლი იყო, ასე რომ ამ რიცხვის შედარებით ხიზები 36% წარმოადგენნ; უმამულონიც რომ მივათვალოთ, სულ 6153 კომლი ხიზანი იქნება. ამ 6153 კომლიდამ, მანამ ბატონ-ყმობა გაუქმდებოდა, სულ—4685 კომლი ხიზანი იყო და ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ 1468 კომლი ახლო ხიზანი მოემატა. ამ ხიზებ შორის 3195 კომლი ნაყშევთავგანნი არიან და დანარჩენნი 2958 კომლი თავისუფალნი გლეხნი.

ამ რიცხვიდამ 1577 კომლი ხიზანი გადასახადს ფულად იხდიან. ამათგან არიან: 1. გორის მაზრაში სულ—717 კომლია და უჭირავთ 156 დღიური. სასახლე ადგილი და ვენხები და 8,110 დღიური სახნავი და სათიბი მიწა. აქ, მთავრობის-გამოკვლევით, თითო დღიურზე დ ხიზანს შლის გადასახადი მოსდის შვიდ აბაზ-უზალთუნი, გარდა სახლის ადგილისა და ტყისა და საძოვრისა. სასახლის ადგილზე დღიურზე დამი მანეთია, და ტყისა და

*) „Записка о хизанском положении“ (გვერდი 33—36).

საძოვრისათვის კომლზედ ხუთი მანეთი ორთა-შუა რიც-ხეით. 2. დუშეთისაში—261 კომლია, უჭირავთ 80 დღიური სასახლის ადგილი და 1860 დღიური სახნავ-სათიბი. აქ დღიურს სასახლის ადგილზედ მოსდით სამი მანეთი, ტყისა და საძოვრისათვის კომლზედ ოთხი მანეთი, და დღიურ სახნავ-სათიბზედ ერთი მანეთი, ათი შაური და ცხრა კაპეიკი. 3. თიანეთისაში—178 კომლია, უჭირავთ სასახლის ადგილი 34 დღიური და 1284 დღიური სახნავ-სათიბი; სასახლის ადგილზედ მოსდით სამი მანეთი დღიურზედ, ტყისა და საძოვრისათვის ოთხი მანეთი კომლზედ, და დღიურ სახნავ-სათიბზედ მანეთი და ორ შაურ-ნახევარი. 4. ტფილისისაში—113 კომლია, უჭირავთ 50 დღიური სასახლის ადგილი და 950 დღიური სახნავ-სათიბი; სასახლის ადგილზედ მოსდით დღიურზედ სამი მანეთი, ტყისა და საძოვრისათვის კომლზედ ხუთი მანეთი, და დღიურ სახნავ-სათიბზედ ერთი მანეთი, სამ აბაზ-უზალთუნი და ორ-კაპეიკ-ნახევარი. 5. ბორჩალოსაში—308 კომლია, უჭირავთ 140 დღიური სასახლის ადგილი და 5212 დღიური სახნავ-სათიბი. სასახლის ადგილზედ მოსდით დღიურზედ სამი მანეთი, ტყისა და საძოვრისათვის კომლზედ ხუთი მანეთი, დღიურ სახნავ-სათიბზედ ერთი მანეთი, და სამი შაური.

ამ-სახით, გამოდის, რომ 1577 კომლს, რომელიც მამულის გადასახადს ფულად იხდის, უჭირავს 460 დღიური სახლ-კარის და ვენახების ადგილი, და სახნავ-სათიბი მიწები 17,816 დღიური. გადასახადი მოსდით სახლ-კარის დღიურ ადგილზედ სამი მანეთი, ტყისა და საძოვრისათვის 4-5 მანეთამდე კომლზედ, და დესეტინა სახნავ-სათიბზედ ორ მანეთ და ხუთ შაურიდამ სამ მანეთ ცხრა შაურამდე. აქ კომლზედ სახნავ-სათიბი მიწა თითქმის

11¹/₂ დღიური მოდის, და თითქმის ერთი შესამედი დღიურისა — სახლ-კარისა და ვენახების ადგილი.

დაგვტჩა კიდევ მოსაყვენი ცნობანი იმ-გვარის ხიზნების თაობაზედ, რომელნიც შერევნილ გადასახადს იხდიან: ტყისა, საძოვრისა და სახლ-კარის ადგილისათვის ფულად, თუ ბეგარითა, სახნავ-სათიბისა და ვენახებისათვის — ლალასა და კულუხსა. ტყილისის გუბერნიას რომ გავათავებთ, შემდეგ მოგვიხდება მოვიყვანოთ ამ-გვარივე ცნობანი ქუთაისის გუბერნიის შესახებ. ვეცდებით შემდეგს ნომერში ყოველი ეს შევასრულოთ.

XV

უფრო მომეტებული ნაწილი ხიზნებისა ტყილისის გუბერნიაში შერევნილს გადასახადს იხდიან. ამისთანა ხიზნები 4400 კომლია, რომელნიც ტყისა და საძოვრისათვის იხდიან 4-5 მანეთამდე კომლზედ, და სახნავ-სათიბ მიწებზედ და ვენახებზედ ლალასა და კულუხსა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ზომით. ამ-გვარი ხიზნები არიან:

1. გორის მაზრაში 2455 კომლი. ამათ უჭირავთ სახლ-კარის ადგილი 498 დესეტინა, სახნავი 9527 დესეტინა, სათიბი 168 დესეტინა და ვენახები 8 დესეტინა. ამათში 94 კომლი იხდის. წინადებურ ლალასა და კულუხსა ერთს მეექვსედს ნაწილს მოსავლისა; 194 კომლი იხდის ერთს მეხუთედს, და დანარჩენები ან მეოთხედს იძლევიან, ან დღიურზედ ორ კოდ ნახევრიდამ სამ კოდამდე *; აქ

*) სამ-სამ უუთიანი კოდი რომ ვიანგარიშოთ.

თითო კომლზედ მოდის თითქმის ერთი მეხუთედი დღიურისა სახლ-კარის ადგილი და ოთხ-ოთხ დღიურზედ ცოტა მეტი სახნავს სათიბი. ღალა და კულუხი მოსდით არა ნაკლებ ერთის მეცვესედისა და არა უმეტეს ერთის მეოთხედისა მოსავლიდამ.

2. დუშეთისაში — 651 კომლია. ამათ უჭირავთ 82 დესეტინა სახლ-კარის ადგილი, ვენახები 54 დესეტინა, სახნავ-სათიბი 2340 დესეტინა. ორთა-შუა რიცხვით კომლზედ ექვს-ექვსი დღიური და ცოტა მეტი მიწა მოჰის. აქ მარტო 21 კომლი იხდის ღალად მოსავლის ნახევარსა და დანარჩენები არა უმეტეს ერთის მეოთხედისას იხდიან, ბეგარის გარდა.

3. თიანეთისაში 142 კომლია. აქ, ჩვენდა სამწუხაროდ, მთავრობის მიერ შედგენილ სიაში არ არის მოყვანილი, შერევნილ გადასახადის მხდელთ ხიზნებს რაოდენი მიწა უჭირავთ და გადასახადის თაობაზედ-კი დანიშნულია, რომ ღალა ერთს მეოთხედს მოსავლისა; არ აღმატებათ და საძოვრისათვის კი გადასახადად ერბოა დაწესებულიო *

4. ტფილისისაში — 336 კომლია. ამათ უჭირავთ 35 დესეტინამდე სახლ-კარის ადგილი, 12 დესეტინამდე ვენახები და 751 დესეტინა სახნავ - სათიბი მიწა. აქ თითო კომლზედ მოდის თითქმის თითო მეხუთედი სახლ-კარის მიწა და თითქმის ხუთ-ხუთი დღიური სახნავ-საჭთიბი. ღალად ერთი მეოთხედია მოსავლისა.

5. ბორჩალოსაში 815 კომლია. ამათ უჭირავთ 104 $\frac{1}{2}$ დესეტინა სახლ-კარის ადგილი და 3603 დესეტინა სახნავ-სათიბი. აქ კომლზედ მოჰის თითქმის ერთი მეოთხედი

*) წინა-წერილში მოხსენებული არ იყო, რომ თიანეთის მაზრაში სულ 320 კომლი ხიზანია.

დღიურებისა სახლ-კარის ადგილი და თითქმის ოფა-ოფა დღიური სახნავ-სათიბი. ლალას ერთ მეათედს მოსავლისას იხდის 79 კომლი, ერთს მეექვედს ორი კომლი, ერთს მე-ხუთედს 17 კომლი და დანარჩენები კი ერთს მეოთხედსა.

ამ-სახით, მთავრობის მიერ შეკრებილ ცნობ ებილამ სჩანს, რომ ტუილისის გუბერნიაში, საცა ლალას ფულად იხდიან, იქ დესეტინაზედ მოდის ორ მანეთ და ხუთ შა-ურილამ სამ მანეთ და ცხრა შაურამდე; საცა ხიზნები მოსავლის წილზედ არიან, ეგ წილი ერთი მეათედილამ ერთ მეოთხედამდე აღის. უფრო ხშირი და გავრცელებული ერთი მეოთხედია და მთელს გუბერნიაში მარტო 21 კომლია ნახევრის მძლეველი, 79 კომლი ერთის მეათედისა, 2 კომლი მეექვედისა, 17 კომლი მეხუთედისა და დანა-რჩენა— მეოთხედისა. სულ, რაც მამულების მჭერელნი ხიზნები არიან, ფულად მხდელნი თუ შერევნილის გადა-სახალისა, ტუილისის გუბერნიაში შეადგენენ 5977 კომლსა, ამათ უჭირავთ 1023 დესეტინა სახლ-კარისა და ვენახე-ბის ადგილი და სახნავ-სათიბი. 25 097 დესეტინა. ორთა შეა რიცხვით კომლსა ჰქვდება 408 ოთხუთხედი საუენი სახლ-კარის მიწა (ვენახებსაც შიგ ვანგარიშობთ) და რვა-ოფა დღიური და ერთი მეექვედი სახნავ-სათიბი.

XVI

ქუთაისის⁷ გუბერნიაში სულ 2532 კომლი ხიზანი ითვლება. ამათგან ჭარიან: ქუთაისის მაზრაში 97 კომლი, შორაპნისაში—261, ოზურგეთისაში—117, რაჭაში—19, სენაკისაში—139, ზუგდიდისაში—1718, ლეჩხუმისაში—

181 კომლი. თუ სახეში მივიღებთ, რომ ქუთაისის გუბერნიაში 44.000 კომლი ნაყმევი ითვლებოდა, გამოვა, რომ ხიზნები აქ 6% ნაყმევთა რიცხვისას შეადგენენ. ამ 2532 კომლს ხიზანში ნაყმევი არიან 2184 კომლი და 338 კომლი თავისუფალი გლეხი. ბატონ-ყმობის გაუქმებამდე 1169 კომლი ხიზანი ყოფილა, მას მერმეთ დახიზნებულან კიდევ 1025 კომლი.

ქუთაისის გუბერნიის ხიზნებ შორის 919 კომლი იმისთანანი არიან, რომელთაც თავიანთ ნაბატონართაგან საკომლო (надел) მიღებული აქვთ დებულების ოქმითა და გარდა ამისა ხიზნობის წესზედ სხვისი მამულებიც უჭირავთ, და 74 კომლი იმისთანა, რომელთაც ნასყიდი მამულები. აქვთ და სხვისი მიწებიც უჭირავთ, და დანარჩენნა 1263 კომლი კი წმინდა ხიზანია. ამ უკანასკნელთაგანი ქუთაისის მაზრაში 63 კომლია, შორაპნისაში—125, ოზურგეთისაში—20, რაჭაში—10, სენაკისაში—110, ზუგდიდისაში—892 და ლეჩხუმისაში—52 კომლი.

რაც შეეხება მას, თუ რაოდენა მიწები უჭირავთ ხიზნებს, ამაზედ მთავრობის წერილი ამბობს, რომ რაღანაც ქუთაისის გუბერნიაში დიდი ვიწროობდა და მამული ძვირად ჰქასობს, ხიზნების საკომლონი დიდები არ არიანო. ორთა-შუა რიცხვით თითო კომლს ხიზანს მოსდის სახლ-კარის ადგილი. არა უმეტეს ერთის ქცევისა* და სახნავ-სათიბი არა უმეტეს ხუთის ქცევისა. ფულად გადასახადს ძალიან ცოტანი იხდიან, ისიც მარტო ზუგდიდის მაზრაში და კომლზედ მოდის 20-30 მანეთამდე წელიწადში. უფრო მომეტებული ნაშილი ხიზნებისა მიწის მოსავალს იხდიან, ერთ მერთხედიდამ ერთ ნახევრამდე მოსავალიდამაო, გარდა ამისა სახლ-კარისათვის ქცევაზედ

*): ჩვენებულის ზომის დღიურის სამი ჩარევენა.

სამს მანეთს, და ოთხს მანეთს ტყისათვისაო. სამეგრელო-ში უფრო ხშირია ერთი მესამედი მოსავლისა ლალად და იმერეთში ერთი მეოთხედით. გარდა ამისა ბეგარას იხდი-ანო რამდენსამე დღეს წელიწადში.

აი ცნობები, რომელიც თითონ მთავრომამ შეჰქრი-ბა და, სამწუხაროდ ჩვენდა, არ ვიცით, რა გზით არიან შეკრებილნი ეს ცნობანი; რა აზრი და საბუთი წაუმდლვა-რებიათ ხიზნების გასარჩევად სხვა მეკომურთაგან; ყველა სხვისა მიწის მხმარებელი მიულიათ ხიზნად; თუ მარტო იგინი, ვინც ხიზნობის მართალ წესზედ დაბინავებულან სხვის მიწაზედ. ამიტომაც ძნელია თქმა, რამოდენად მარ-თალია იგი რიცხვი ხიზნებისა, რომელიც აღნიშნულია მთავრობის სიაში. ამ რიცხვის სიმართლეზედ ბევრი არა-არის დამოკიდებული, ამას თქმა არ უნდა. მაინც-და-მაინც ეს კი გულდაჯერებით შეგვიძლიან წარმოესთქვათ, რომ ხიზნები იმა რიცხვზე შესაძლოა ნაკლები იყოს და არას-გზით მეტი კი არ იგულისხმება. ეს აშეარად საფიქრებელია, რადგანაც ხიზანთა შორის იმისთანანიც არიან მოხსენე-ბულნი, მაგალითებრ, ქუთაისის გუბერნიაში, რომელნიც ხიზნად ძნელი ჩასათვლელნი არიან, იმიტომ რომ იქ ხიზ-ნებში მოჰყოლიან ისინიც, ვისაც საკომლო მამული აქვთ ნაბატონაროაგან და თავის საკუთარიცა, და ამას-თან სხვის მიწასაც ჰმარობენ სახნავად. რაკი ცნობების შემკრებელთ ერთი და იგივე აზრი არ წაუმდლვარებიათ იმის თაობაზედ თუ,—ვინ არის ხიზნი და ვინ არა, სარ-წმუნოდ საგულისხმოა, რომ ხიზანთა რიცხვში ზოგმა იმისთანანიც მოაქცია, რომელიც სხვის მიწას ხმარობენ არა ხიზნობის წესითა, არამედ სალალეთა, იჯარითა და შებრვე სხვა წესითა.

[1886 წ.]

ପିଲାମ ରୁ ସାତହାର ମର୍ଦ୍ଦ-ଅତ୍ୟନ୍ତଶବ୍ଦରଙ୍ଗ

(1886)

კერძო და სათვამო მიწათ-მფლობელობა

ვინც ჩვენებურს სოფლებს და მათს ექონომიურს გან-
წყობალებას და ვითარებას დაჲკეირვებია, ერთს დადს
ნაკლს შეჰქიშნავდა. ეს დიდი ნაკლი უფრო ძლიერ თავს
იჩენს იმისთანა სოფლებში, საცა მომეტებული ნაწილი
მკვიდრთა სახელმწიფო გლეხეაცობაა, ანუ, როგორც უწინ
იტყოდნენ, სახასო. ამისთანა სოფლებში მიწათ მფლობე-
ლობას ორ-გვარი თვისება შეჰქიჩენია დროთა განმავლო-
ბაში, და რამოდენადაც დიდი ხანი გასულა, იმოდენად ეს
ორ-გვარი თვისება მიწების მფლობელობისა უფრო გან-
თვითეულებულა და განმტკიცებულა გლეხეაცობის თვალში.
ეხლანდელი სოფელი რომ გაშინჯოთ მიწათ-მფლობელო-
ბის თვალით, ჰანახავთ, რომ თითქმის ყოველი ს.ხასო სო-
ფელი მიწათ მფლობელობის კვალობაზედ ორს დიდს ნა-
წილს წარმოადგენს. ერთი ნაწილი მიწებისა, უფრო უკე-
თესნი, უფრო შემუშავებულნი და უფრო მომცემნი, მკვი-
დროთა გლეხთაგან სათვითოოდ დაჩემებულნი არიან, კერ-
ძოდ განსაკუთრებულნი და საშვილიშვილოდ დაჭერილნი.
ამ-გვარს მიწებს ზოგან ნაფუძრებს ეძახიან და უფრო ხში-
რად კა საბლის მამულებს. ამ-გვარი მიწები ჩვენთა გლეხ-
კაცთა თვალში არაფრით და არა-ნიშნებით არ გა-
ნიჩევიან ქერძო საკუთრებისაგან, თუმცა კი, გლეხს
რომ ჰქითხოთ, იგი მიწები სახასონი და სახელმწიფოინი

არიან. ამისთანა მიწები მემკვიდრეობით გადადის ერთი-დამ მეორეზედ; გლეხი, პატრონი მიწებისა, აგირავებს, ჰყიდის ერთმანეთში თავისუფლად და დაუბრკოლებრივ. ჩვენს გლეხაცობას არამც თუ არ მოუთავსებია გულში, არამედ ფიქრადაც თავის-დღეში არ მოსდის, რომ ამ გვარ მიწის ალებ-მიცმობაში, გადასვლა-გადმოსვლაში ვინმე წინ დაუდგება და ხელს შეუშლის. ასე მძიკიცედა აქვს გულს და გონებაში გამჯდარი ამა მიწების საშვილიშვი-ლოდ კუთვნილება, რომ ვერას-გზით წინააღმდეგს ვერ დააჯერება. საიდამ წარმოსდგა სასოფლო მამულებში ეს ამ-გვარი მიწათ-მფლობელობა სრულის კერძო საკუთრების ნიშნებითა, როგორ გამოცალკევდა იმ საერთო მფლობე-ლობიდამ, რომელიც უჭიველად ცნობილია მეცნიერები-საგან როგორც პირველყოფილი კაცთა საზოგადოების ეკონომიური ქვაკუთხედი,—ესე ყოველი შორი და როუ-ლი ამბავია და ამ-ჟამად ამას ჩვენ ვერ გამოვუდგებით.

ხოლო ამას კი გულდაჯერებით ვიტყვით, რომ ეს საერთო მფლობელობა ჩვენთვისაც უცხო არა ყოფილა, როგორც არ ყოფილა უცხო მთელს ქვეყნის კავობრიო-ბისათვის. ამისი ნიშნები დღესაც თვალსაჩინოდ შერჩე-ნია ჩვენს სოფელს, და შეორე-გვარი სოფლის მიწებისა აშერად გვეუბნებიან. ეს მეორე-გვარი მიწები, ზოგან „სასოფლოდ“ წადებულინი, ზოგან „საზოგადოდ“, ზოგან „სათემოდ“ და ზოგან „სახასოდაც“, იმისთანა მიწებია, რომელიც ნაყოფიერებით პირველებზედ ნაკლებია, სო-ფელს მოშორებული და არავისაგან არ-დაჩემებული. აქ ვინც პირველად და ყველაზედ უწინ გუთანს მოჰკიდებს და მოხნავს, მოხნული მიწა იმ წელიწადს იმისია, მეორე წელიწადს სხვა ჰენაეს და ჰემარობს. ყოველს მკვიდრს სოფლისას ნება აქვს, საცა კი სხვას დაასწრობს, იქ მო-

ხნას და რამდენიც უნდა, იმოდენა მოხნას. ხშირად, როცა ამ-გვარი სათემო მიწები მოუხნავდ პრჩება და წელი-წადი ხელს აძლევს, ამ მიწებს სასოფლოდ დააყორულებენ ხოლმე სათიბად, მთელი სოფელი ინახავს ყორულს, და როცა სათიბად მოესწრობა, მაშინ ან სასოფლოდ სთიბვენ და მერე თივას იყოფენ, ან, მინამ გასათიბია, გასათიბს ადგილს წილ-წილად დაიყოფენ ერთმანეთში. თუ მიწები სათიბად არ ვარგანან, ზამთრის საძოვრად სა-სოფლოდ გასცემენ, ბევრჯერ უცხო კაცხედაც, და აღ-ბულს საბალახეს ან სასოფლო საჭიროებას ახმარებენ, ან იყოფენ ერთმანეთში.

რაკი ამ სათემო მიწებში ყველა მკვიდრს სოფლი-სას ნება აქვს, საცა უნდა და რამდენიც უნდა ჰქნას, რა თქმა უნდა— მლიდარი და შეძლებელი გლეხი შეუძლე-ბელსა სჩაგრავს, იმიტომ რომ შეძლებული ყოველოვის შეუძლებელსა დაასწრობს ხოლმე გუთანსაც და ფარცხ-საც. გარდა ამისა, ვიწროობამ აიძულა ბევრი მკვიდრი, რომ მამული სხვებსავით გაისაკუთროს, დაიჩინოს. აქაც, რასაკვირველია, ყოველი გარემოება შეძლებულს გლეხს აძლევს უპირატესობას შეუძლებელის წინაშე. იშვიათი ამბავი არ არის, რომ შეძლებულს გლეხს სათემო მამულ-ში უკეთესი და კარგა ბლობა აღილები დაეჭიროს და დაეჩეროს საშვილიშვილოდ. ამ-სახით, სხვანი ხელცარი-ელი დარჩენილან და იმა შეძლებულისაგან თავისავე სათემო მამულს ლალით იღებენ, რომ როგორმე თავი ირჩინონ.

აი ის დიდი ნაკლი ჩვენის სოფლის ეკონომიურ გან-წყობილებისა, რომელიც დღეს ჩვენის სოფლის ტკივილს შეადგენს და რომელიც მიწათ-მფლობელობის საქმეს ერ-თის მხრით ძლევამოსილად კერძო საკუთრებისაკენ მიე-

ზიდება, ლა მეორეს მხრით შესანიშნავის მარცხით — სა-
თემოსაკენ. ამას, რასაკვირველია, შველა უნდა. ამისთა-
ნაებში ყოველთვის გამჭრიახმა და მგრძნობიერმა გლეხ-
კაცობამ იგრძნო ეს ტკივილი და წამალიც უპოვნა. ბევრ-
გან განაჩენებია დღეს შემდგარი, რომელშიაც გლეხეაცო-
ბამ აშერად აღიარა, რომ სახასო სოფელი — სოფლისა
საერთოდ და არა თვითეულის მქვიდრისა საკუთრივ. და-
უდო რა თავის განაჩენს ეს დედა-აზრი საფუძვლად, და-
ადგინა, რომ ყველა მქვიდრი იმოდენად მონაწილეა
მთელს სოფლის მამულში, რამოდენის მსურველიც არის,
თუ სასოფლო მამული ყველას სურვილს გასწვდა. და რა-
კი დღეს მეტ-ნაკლებობაა ერთმანეთში და დიდი უსწორ-
მასწორობა, განაჩინა — ხელახლად დაიდგას საბელი და გა-
ყოფილ იქმნას სასოფლო მამულები. ამისთანა განაჩენე-
ბი უკვე შემდგარია ქართლსა, კახეთსა, სომხითსა და
ტფილისის მაზრის სოფლების მიერ. ჯერ მარტო ტფი-
ლისის მაზრაში 45 სოფელს შეუდგენია ამისთანა განა-
ჩინი, აქედამ 12-ს უკვე დაუყვითა კიდეც მამულები, 11-ი
შესდგომია დაყოფვასა. ქართლში 16-ს სოფელს შეუდგე-
ნია განაჩინი. მათში 10-ს კიდეც დაუყვითა მამულები, 2-ს
განაჩინი. არ შეუდგენია და ხელი კი მიუყვიდა, და 4-ი
უკვე შესდგომია და მებრევე სხვანი.

ამაზედ არა ერთხელ მოგვიხდება კიდევ ლაპარაკი
ჩვენს გაზრდაში და დღეს მარტო აღნიშნეთ რა ეს სა-
სიამოენო და ფრიად სასარგებლო ფაქტი, ჩვენის მხრით
ვიტყვით, რომ ბატონ-ყმობის მოსპობის მერმეთ ამის-
თანა დიდ-მნიშვნელობიანი და ერთობ დიდი საქმე, ჩვე-
ნის შინაურის ცხოვრების შესახები, არა ყოფილა, და
არ მომხდარა.

სახასო სოფლის მიწების დაყოფვა ახალი ამბავი არ უნდა იყოს ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისათვის. ქართლსა, კახეთსა, სომხითსა, ფშავსა, ხევსურეთსა და თუშეთში, მთავრობის დახმარებით, ხელი მიუყვიათ კიდეც ამ საქმისათვის და სწორედ აქედამა სჩანს უტყუარად, რომ ჩვენს გლეხეაცობას ანდერძად დარჩენია ძველთა ღროთაგან: თორებ ეს რომ ახალი ამბავი იყოს, იუცხებდნენ ჩვენში, ახლა კი მშეიდობიანად და უჩუმრად შეიწყნარეს. გარდა ამისა, ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ გლეხეაცობამ ამ საქმეს ხელი მოსჭიდა თავისის საკუთარის თაოსნობით. ესეც უტყუარი ნიშანია, რომ ჩვენში ეგ მამულების დროგამოშვებით დაყოფვა ჩვეულებად ყოფილა ძველთაგანავე და ჩვენს გლეხეაცობას გუნდაში შეკრჩენია, ანდერძად დარჩომია.

რომ ამ დიდის საქმის წარმართვისათვის გზა გავიხსნათ, რომ შევიგნოთ, ხელი როგორ უნდა შეეწყოს, რათა ამ ძველმა ჩვეულებამ არ მიიძინოს, — საჭიროა ცხადად წარმოვიდგინოთ, რასთანა გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ხშირად გვესმის სამდურავი და ჩივილი გლეხეაცობისაგან, ვითომოც მამულების დაყოფვის საქმე, ყველასაგან თითქმის ერთხმივ საჭიროდ აღიარებული, ალსრულებაში ცუდად მოდისო.

ამისათვის ჩვენ საჭიროდ დავინახეთ, ამ დიდს და რთულს საქმის ზოგიერთ შხარესათვის, ჩვენის შეძლებისამებრ, ცოტაოდენი შუქი მიგვეყნებინა და ჩვენი საეჭვი * სხვისთვისაც გაგვეზიარებინა.

*) საეჭვი — предположение. ამ აზრით არის ხმარებული ეს სიტყვა ვისრამიანში. იხილეთ გვერდი 32, 35 და 131.

მივიღებთ რა მხედველობაში, რომ მიწების დაყოფ-
ვა უსათუოდ სოფლის განაჩენით უნდა მოხდეს, — აშკა-
რაა, პირველი კითხვა ის არის: ჩვენში ვის უნდა ჰქონ-
დეს ხმა განაჩენის დადგენაში? თვითონეულს მუშაკაცს
კომლისას, თუ კომლის თავკაცსა? მეორე: ვადა ხელახ-
ლად დაყოფვისა მერმისისათვის წინათვე უნდა იყოს მო-
ხსენებული განაჩენში, თუ არა? მესამე: მამულები კომლზედ
უნდა დაყოფილ იქმნან, თუ მუშაკაცობაზედ კომლში?
საჭიროა თუ არა, რომ განაჩენში წინათვე, მამულების
რაოდენობის კვალად, განსაზღვრულ იყოს უდიდესი და
უმცირესი წილი თვითონეულის კომლისა? კარ-მიდამო, ვე-
ნახები, ნაფუძრები გასაყოფს მამულში უნდა ჩავარდეს,
თუ არა? შესაწყნარებელია თუ არა გლეხის საჩივარი,
ოდეს იგი მამულის დამყოფავთაგან რასმე უსამართლო-
ბას ჰქონობს თავის-თავის შესახებ? თუ შესაწყნარებელია,
როგორ და რა გზით უნდა აღდგენილ იქმნას დარღვეუ-
ლი სიმართლე გლეხისა?

ვიღრე ამ ცალ-ცალკე საგანს ცალ-ცალკე პასუხს
მივცემდეთ, საჭიროა ყოველს ამას ერთი უტყუარი სათა-
ვე მოვაკოვოთ და იქიდამ წარმოვადინოთ ყოველივე
მსჯელობა. ამისთანა სათავე თითონ სოფელია. პირველი,
რასაც ამ შემთხვევაში ზედ უნდა წააწყდეს ძალაუნებუ-
რად კაცი, შემდეგია: თითონ ჩვენი სოფელი, როგორც
უკონომიური ცალი *, თვითმყოფი ცალკე სხეული, რა სა-
ფუძველზეა დამყარებული და აგებული?

არავინ არ შეგვეცილება ვსთჭვათ, რომ ჩვენი სო-
ფელი დამყარებულია და აგებული კომლეულობაზედ და
არა თვითონეულს პასაკში მოსულ მუშაკაცზედ, როგორც

*) Единица.

რუსული „მირ.“ია. ყოველისფერი ჩვენს სოფელში კომ-ლზედ არის და ყოფილა უწინაც გაანგარიშებული. თვლა-ში კომლია, სახელმწიფო და სასოფლო ხარჯში კომლია, ბეგარაში, მამულში, სულ ყველგან იგივე კომლია ან-გარიშში. რუსეთში-კი ყოველი ეს თვითონეულს ცალ-კე სულზეა. ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც გლეხებაცობის ცხოვრებაში საზოგადოდ, ისეც მამულის დაყოფვაში კერძოდ.

რუსულ მირ-ში იმის მიხეჭით, რომ ყველაფერი სულზეა გაანგარიშებული, თვითონეული კაცი ცალკე ძალაუნებურად სოფლის ჯუქამშია ჩაბმული; წასვლა-მოს-ვლა მისი დაბრკოლებულია, ყველაფერში — გარეთ სამუ-შაოზედ წასასვლელადაც-კი — სოფელს უნდა დაეკითხოს, მისი ნებართვა აიღოს; სოფელს შეუძლიან ეგ ნებართვა არ მისცეს და შინ დააბას, იმიტომ რომ იქ ყველაფერის გამძლოლი სახელმწიფო, თუ სასოფლო ხარჯის მხდელი სულია და არა კომლი. რაკი სული ბინას მოიშლის, ყვე-ლაფერი უნდა მოიშალოს. ამ-სახით, იქ თვითონეულის სულის ნება შეკრულია და თითქმის მთლად ღობე-შე-მორტყმული, არც იქით და არც აქეთ გაძვრა არ შეუ-ძლიან სოფლის დაუკითხავად და ნებადაურთველად.

ჩვენში, იმის მიხეჭით, რომ ყველაფერი კომლზეა აგებული, თვითონეულ კომლის კაცს ცალკე არაფერი მნიშვნელობა არა აქვს სოფლისათვის, ამიტომაც სრუ-ლიად თავისუფალია, თვისი ძალი და ღონე, როგორც უნ-და და სადაც უნდა, იქ ამოქმედოს; ამაში სოფელს არა-ვითარი ნება არა აქვს დააბრკოლოს, ოღონდ კომლი იყოს, იმიტომ რომ აქ ჩვენში ყველაფერის გამძლოლი, სახელმწიფო, თუ სასოფლო ხარჯისა და ბეგარისა, კომ-ლია. რაკი კომლი მოუშლელია, ეკონომიური და საზო-

გადოებური დედა-ბოძიც სრულისა მოუშლელია, თუნდაც სულ, რაც ქუდისნები არიან კომლში, დაიქაქსონ თავის ნებისამებრ. აქ, ჩვენში, სოფელი არა ჰქოთავს ცალკე კაცს, თავისუფალს გზას აძლევს, რადგანაც აქ, ჩვენში, სოფლის ჯუქმში მარტო კომლია და არა ცალკე კაცი.

აქედამ ცხადია, რა პასუხი უნდა მიეცეს ჩვენგან დაყენებულს პირველს საკითხაეს: ვის უნდა ჰქონდეს მა-მულების დაყოფვის განაჩენში ხმა? აქ მარტო ერთი პა-სუხია შესაძლებელი: კომლის მოთავეს, კომლის უფროსს კაცს. თუ ძველ დროთაგან დღემდე ამ-გვარს წყობას ჩვე-ნის სოფლისას ძირი არ შეერყა და არ შეეცვალა, თუ დღევანდლამდე ამას წუნი არსაით უჩანს, არავინ უჩივის, არავისაგან შებლალული არ არის, აშკარა საბუთია, რომ კომლებული წყობილება უფრო საკეთილოდ და სახეიროდ მიუჩნევია, როგორც თვით სახელმწიფოს, ისეც თითონ გლეხეაცობასაც, რომელიც დღესაც მაგრად ეჭიდება ამ წყობილებას და ხელიდამ არ უშვებს. საჭიროა, ჩვენის ფიქრით, ეს გარემოება ხელზედ მაგრად დაიხვიოს კაცმა მამულების დაყოფვის საქმეში და. გაյანონდეს, რომ ამ საქმეში მარტო კომლის თავ-კაცსა ჰქონდეს ხმა.

დანარჩენს საკითხავებზედ თავ-თავის დროს მოვი-ლაპარაკებთ.

III

დღესაც დარჩენილი და ძველ გუჯრებში ყოველ-თვის ხმარებული სიტყვა „საკომლო“ იმისი საბუთია, რომ მამულის ჭერის საქმეშიაც ნიშანში ამოლებული კომლი

ყოფილა და სხვა არა რა. „საკომლო“ ნიშნავდა ცალკე
 კომლის მიერ დაჭრილს და მის სამყოფს მამულსა და
 მამულის უდიდეს ზომისაც. სხვადასხვა აღვილას ეს „სა-
 კომლო“ სხვადასხვა ზომისა იყო; ზოგან ათი დღიური,
 ზოგან ოცი, ზოგან ორმოცი და სამოციცა *. აშკარადა
 სჩანს, რომ ეგ „საკომლოს“ სიტიდე იმაზედ იყო დამკი-
 დებული,—საჯ რამდენი მამულია საკმარისი ცალკე კო-
 მლის სარჩევად და სახელმწიფო და სასოფლო სამსახუ-
 რის გადასახდელად. იქ, საცა პავისა და მიწის თვისება
 ისეთი იყო, რომ უფრო პირუტყვთ მოშენება ხეირობდა,
 „საკომლო“ დიდი ყოფილა, რადგანაც პირუტყვთ მოშე-
 ნებას დიდი აღვილი უნდა. საცა პური და სხვა ამ-გვარი
 კარგად მოდიოდა და უმთავრეს წყაროს გლეხის ცხოვ-
 რებისას შეადგენდა, იქ პირველზედ ნაკლები იყო. სადაც
 ყურძენი და ხილეულობა კარგად ხეირობდა და მით ერი
 თავს ირჩენდა, იქ უფრო ნაკლები ყოფილა. ამ-სახით,
 „საკომლო“ მთაში ერთის ზომისა იყო, ქართლში მეორი-
 სა, კახეთში მესამისა და ესევე სხვადასხვა აღვილას. გუჯ-
 რებში ხშირად ნახსენებია, —გიშყალობენ აქა და აქ
 ამდენი და ამდენი საკომლო. მაგ აზრითვე ხმარებულია
 „საკომლო“ ნასყიდობისა, გაყრისა და განსამართლების
 ოქმებში. ცხადია, რომ „საკომლო“—ჩვენის ქვეყნის თვი-
 თოვეულ მხარისათვის ცალკე—ერთი განსაზღვრული ზომა
 ყოფილა, ყველასაგან ერთნაირად ცნობილი და ერთნაი-
 რად ალიარებული. უწინ სოფელში რომ გეოქვათ: ეს ერ-
 თი „საკომლოა“, ყველამ იცოდა, რაზედ და რამდენზეა
 ლაპარაკი. ამ-სახითაც კომლი ჩვენს სოფელში წარმოად-

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ არსად არ შეგვედრია,
 სადმე „საკომლო“ ათს დღიურზედ ნაკლები ყოფილყოს და სამოც-
 ზედ მეტი. ზოგი ამბობენ, ოთხმოცი დღიურიც ყოფილა თურმე.

გენდა არამც-თუ საზოგადოებრივს სხეულს, არამედ ექონომიურსაცა. დღესაც ეგრეა, თუმცა სიტყვამ „надел“-მა მოედანი დააცლევინა „საკომლოსა“.

ამ კომლზედ აგებულმა ჩვენებურმა სოფელმა სხვა გზითაც იჩინა თავისი თავისებურობა. ჩვენი ქვეყანა, უფრო ბევრ-წილად, და მომეტებულად — რასაკირველია — ჰავითა და დედამიწის მომცემლობითა, სულ სხვაა, და ამ მხრით თითქმის არაფერში ჰავის რუსეთსა. ამ ჰავისა და მიწის გამო ჩვენებური მიწათ-მფლობელობა სოფლისა სხვა-რიგად წარიმართა. ჩვენში ყურძენი და მრავალ-გვარი ხეხილი ჰარობს, ვენახი და ხილნარი საკმაოდ სარჩოს მომცემია, ასრუ რომ ბევრგან ჩვენის გლეხეაცის ცხოვრების იმედი ამაზეა დამყარებული. ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს და დიდს გარჯას, დიდს ხარჯს, დიდს დროს თხოულობს. ვენახისა და ხილნარის შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც, ჩვენებურ გლეხეაცის ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, საღაც მის მამა-ჰაპას თვისი ოფლი მიუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენებურ გლეხეაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბალს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს, მართალია—ბუნდი, წარსულის ლრუბლისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ლრმად კი ჩაჭდეული გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბალი, სალართა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა.

ამიტომაც ძნელია ჩვენის გლეხეაცის ბისათვის ადგილიდამ დაძვრა. ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთ-გვარი დანაშაულობა, რომელსაც „бродяжничество“ ჰქვიან. ამიტომაც

ჩეენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვიან და არა „დგმური“, როგორც ზოგიერთს ენაშია. ჩეენში რომ გლეხკაცმა თავი დააწებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოილოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოვეული ვაზია, თვითოვეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მოტწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოლება ძნელია.

ამ გარემოებას სოფლის მამულის მფლობელობაზედ თავისი ზედ-მოქმედება უნდა ექნია. ეგ ზედ-მოქმედება იმაში სჩანს, რომ თუმცა ჩვენს სახასო გლეხობას სასოფლო მამული სოფლისად მიჩნია საერთოდ, და ამ აზრს არა შემთხვევაში არ ეურჩება, მაგრამ ამასთანავე თავისი საკომლო ადგილ-მამული საშვილიშვილოდ ეგულება. აქ ერთის მხრით—საშვილიშვილოდ გულვება მამულისა და— მეორეს მხრით—მამულების დაყოფვა, მაშასადამე, თითქმის თავისად არ-გამოლოდინება, ერთმანეთს ეპირისპირებიან, ვითარცა წყალი და ცეცხლი. პირველ შეხედვით საოცარია, როგორ მოუთავსებია ჩვენს გლეხეაცობას ორი ამისთანა ერთმანეთის დამშრეტი საგანი? მაგრამ აბა ნახეთ, რა ჭევიანურად, რა წინდახედულობით ერთი მეორესთან მოურიგებია და შეუთვისებია!

ჩვენს გლეხეაცობას, რომელსაც უწამებია, რომ სოფელი სოფლისაა და ამასთანავე საშვილიშვილოდ გამოლოდინება მამულისა გულში ჩარჩენია, ვადა არ დაუდვია მიწების დაყოფვისათვის. მამული, მისის ფიქრით, კუთვნილია თვითოვეულის კომლისა, ვიდრე სოფელს არ გაუჭირდება და თითონ სოფელი არ აღიარებს მამულების დაყოფვის საჭიროებას. ეს საჭიროება დამოკიდებულია მეკომურთა გამრავლებაზედ სოფელში და სხვა იმისთანა იშვი-

ათ გარემოებაზედ, რომელიც ბუნებითად ძალიან გვიან-
გვიან იჩენს თავსა და შორს მეტმისს ეკუთვნის. ორმოცი
და სამოცი წელიშალი გლეხეაცისათვის მოელი საუკუნოე-
ბია. თითონ სიტყვაც „საშვილიშვილო“, გლეხეაცისაგან
ასე შეყვარებული და ასე ხშირად ხმარებული, სხვა არა
არის რა, გარდა ორის თაობის დროთა სიგრძის აღნი-
შვნისა: შვილისა და შვილის-შვილისა, თითქო ამას იქით
გლეხეაცის თვალი აღარ სწვდებაო.

ესე არ არის რუსეთში. იქ ყოველს მიჩემებული
აქვს მამული ვალით, და ეს ვადა წინათვე განსაზღვრულია,
წინათვე დადებულია. უფრო ხშირად 10, 12, 15 წელი-
წადზედ მეტი არ არის. აქ გამოლოდინება მამულისა სა-
შვილიშვილოდ ვერ ისადგურებს და ფეხს ვერ მოიკიდებს.
იმიტომ რომ ამნაირს მფლობელობას მამულისას წინა-
თვე ცნობილი ვადა აქვს და ისიც მოკლე. ამ მოკლე-ვა-
დიანგას მფლობელობისას ერთხმივად უჩივიან რუსეთში,
როგორც თერ-ის მომხრენი, ისეც მოწინააღმდევენი. მა-
რთალნიც არიან. აღამიანს შამულის საფუძვლიანად ვაპა-
ტივებასა და კეთებაზედ გული არ მისდის, როცა არამც-
თუ თავისად არ გამოლოდინება, არამედ დიდის ხნობი-
თაც მისი ხელში შერჩენა არ ეგულება. კერძო საკუთრე-
ბის დიდი ლირსება, მის მომხრეთა და მოწინააღმდევე-
თაგან ერთხმივად აღიარებული, მამულის ჭერის ხანგრძლი-
ვობაა ერთსა და იმავე ხელში, წინათვე ბოლო-დაუნახვე-
ლი და, მაშასადამე, ჭამქეზებელიც ადამიანისა, რომ მის
გაპატივებასა და კეთებაზედ არასფერი დაპიროვოს.

ჩვენმა გლეხეაციმბამ, რაც კარგი რამ არის კერძო
საკუთრებასა და სათემო მფლობელობაში, ერთსაც ჩამო-
ათალა და მეორესაც და ერთად შეადულა. იმით, რომ
ჩვენმა გლეხეაციმბამ მამულების დაყოფვას ვადა არ და-

უდვა და დროთა მსვლელობას კი არა, იმისთანა გარემო-
 ებაზედ მიაგდო საქმე, რომელიც კაცმა წინათვე არ იცის,
 როდის გამოიჩენს თავს და გვიან-გვიანაც იჩენს,—მიწათ-
 მფლობელობას ხანგრძლივობაც კერძო საკუთრებისა სა-
 კმაოდ შეარჩინა და სათემო მფლობელობის სამართლია-
 ნი სასწორიც არამც-თუ ულელში არ გადასტეხა, არამედ
 გაუმრუდებლად შეიმაგრა ხელში. თუ ზემოთქმულს მხე-
 ლელობაში ვიქონიებთ, პასუხიც აშეარაა და მზა იმ
 ორის საგნის გამო, რომელიც სხვათა შორის გუშინდელს
 წერილში მოვიხსენიეთ, სახელდობრი: ვადა წინათვე უნდა
 დანიშნულიყოს სოფლის განაჩენში სამერმისოდ მამულე-
 ბის დაყოფვის შესახებ, თუ არა და კომლეულობაზედ
 უნდა დაყოფვილ იქმნას სასოფლო მამული, თუ არა? ამა-
 ებზედ ჰოს მეტი არა ითქმის რა ჩვენში. ჩვენ საჭირო-
 დაც ვხედავთ, კანონად დაიდვას, რომ არამც და არამც
 სოფელმა განაჩენში არაეითარი ვადა არ მოიხსენიოს და
 თითონ მამულების დაყოფვაში მარტო კომლი იყოს სა-
 ხეში მიღებული და სხვა არა-არა.

IV

რუსეთის მიр-ში ადგილ-მამული ყოველს თვითონე-
 ულს სულს კომლისას მიეზომება ხოლმე და, მაშასადამე,
 თვითონეული ცალკე კაცი ოჯახისა ცალკე მონაწილეა
 სასოფლო მამულში. მაგრამ არ შეგვიძლიან ამ შემთხვე-
 ვაში ყურადღება არ მივაქციოთ ერთს განსაკუთრებულს
 თვისებას რუსეთის მირ-ისას. იქ თვითონეულის კაცის
 ცალკე მონაწილეობა სოფლის მამულში არამც-თუ მარ-
 ტო უფლებაა, არამედ მოვალეობაცა: ვერავინ ვერ იტ-

ყვის უარს წილად ხდომილ მამულის აღებაზედ; ჰსურს, თუ არა ჰსურს, უნდა უსათუოდ აიღოს მამული, რაც და საკა შეხვდება დაყოფვის დროს. ამას თავისი მიზეზა პქონდა რუსეთის ერის ერთ-გვარ თვისებაში, რომელმანც ყველასაგან ცნობილი „იურის დლე“ („Юриев день“) შე-ჰქმნა და ამ თვისებამ არამც თუ სოფლის მამულში მონაწილეობა მოვალეობაზ გახადა, არამედ თითქმის თითონ ბატონ-ყმობაც კი ნაყოფად გამოიბა. ეს ადვილად აყრა ერთის ადგილიდამ და გადასვლა მეორე ადგილზედ, რომელიც წელიწადში ერთხელ რუსეთის ერს ჩვეულებად პქონდა, დიდი მავნებელი ჩვეულება იყო, როგორც სახელმწიფოსათვის, ისეც თითონ საზოგადოებისა და სოფლისათვის,— და ის, ჩვენის ფიქრით, საღუნდა მოინახოს მიზეზი, რომ მამულის აღება სოფელში მოვალეობადაც იქცა რუსეთში, გინდა თუ არა, მამულში უნდა იჯდე და აკეთო.

ჩვენში თავის-დლეში ეგ არა ყოფილა. ჩვენში არამც თუ ცალკე კაცი, თვით კომლიც ამ მოვალეობისაგან დასნილი იყო: სურდა — აიღებდა მამულს, სურდა — არ აიღებდა. შესანიშნავია, რომ ერთხელ მამულზედ ხელაღებულს კომლსა ნება არ ერთმეოდა მოსულიყო და თავის სოფლისათვის მამული ეთხოვნა. დღესაც თითქმის ესეა, თუმცა ამ სამართლიანს ჩვეულებას მამულის სივიწროვემ და კომლთა გამრავლებამ ზოგან. სახე შეუცვალა და ძალონე მოაკლო.

ჩვენ მაგალითები ვიცით, რომ მამულები დაეყოთ და სხვაგან წასულებისათვის სოფელს ცალკე მამული შეენახოს, ვინიცობაა მოვიდნენ, უმამულოდ არ დარჩნენ. ამ-სახით, სოფლის მამულში მონაწილეობა ჩვენში, ცხადია, მარტო უფლება იყო და არას-დროს მოვალეობად

არ ყოფილა. რაკი ესრეა, განსაზღვრას უდიდესის და უმ-
ცირესის წილისას თვითონეულ კომიტისათვის არც სიმარ-
თლე და არც საბუთი აქვს ჩვენში. ამიტომაც, საცა-კი
მამული საკმარისია, ყველან. მიღებულია, კომლმა რამდე-
ნიც ჰსურს იმდენი მამული დაიჭიროს, ჰსურს ლიტრია-
ნებში მოიქციოს თავი, ჰსურს—ნახევარ-ლიტრინებში,
ჰსურს—ჩარექიანებში, და ამაში დამშლელი და მოდავე
არა ჰყავს. რასაკვირველია, ეს არ ითქმის იმ სოფლებ-
ზე, საცა მამული ცოტაა, ვიწროობაა და ყველას უნდა
თანასწორი წილი ირგუნოს. აქ ჩვეულება კი არ მოქმედობს,
არამედ გაჭირვება, და ამიტომაც ამ-გვარი შემთხვევა ჩვე-
ნის დედა-აზრის შესარყევად არ ივარგებს.

მაშასაღამე, წინათვე სოფლის განაჩენში მოხსენება
მისი, რამოდენაზედ მეტი და რამოდენაზედ ნაკლები მა-
მული არ უნდა ეჭიროს თვითონეულს კომლს, არ უნდა
შეწყნარებულ იქმნას. ხოლო ეს კი საჭიროა, სოფლის
ყრილობამ თავის განაჩენს ცალკე სიაც ზედ დაართოს,
რომელი კომლი რამდენს მამულს ნდომულობს, თუ ვინი-
ცობაა მამული საქმარისია, თუ არა და, რაც ხვდება წი-
ლად,—და სად უნდა მიეზომოს. ეს რომ აუცილებელ და
უსათუო წესად-დაიდგას, მაშინ სოფლის მამულების დამ-
ყოვნი ვერავის დასჩაგვრენ, თავის ნებაზედ არ მიუთი-
თებენ, აი შენ აქ გარგუნეთ მიწაო, და ამით სათავეშივე
მოწყვეტილ იქნება წყარო იმ სამდურავისა და ჩივილისა,
რომელიც დღეს ბევრგან ისმის გლეხკაცთა მიერ. მაშინ
მამულების დამყოფნი, სოფლის მიერ ამორჩეულნი, მარ-
ტო აღმასრულებელნი იქნებოდნენ იმისა, რაც დადგენი-
ლია სოფლის კრებისაგან, საცა თვითონეულს კომლს თა-
ვისი ხმა აქვს და, მაშასაღამე, შეძლებაც—თავისი ინტე-
რესი ასე თუ ისე დაიცვას.

გუშინდელს ნომერში ჩვენი აზრი გამოვსთქვით იმის-
და შესახებ, რომ არ უნდა იყოს შეწყნარებულ, თუ სო-
ფლის მამულების დაყოფვის განაჩენში მოხსენებულია რა-
მდენზედ მეტი თუ ნაკლები სახნავი მიწა არ უნდა ერ-
გოს თვითონეულს კომლსა. სახნავ მიწების შესახებ — ამ.
აზრს, ჩვენის ფიქრით, სამართლიანი საბუთი მიუძლვის,
და რაც ვიცოდით ამ. საგანზედ, უკვე ვსთქვით კიდევ.
დაგვრჩა ვენახები, კარ-მიდამო და ნაფუძრები. ვენახები,
თქმა არ უნდა, ისე უნდა დარჩეს, როგორც დღეს კომლს
უჭირავს და სოფელს უნდა აეკრძალოს ამისი გაჭრა-გა-
მოჭრა, თუ, ვინიცობაა, თითონ ვენახის პატრონის ცალკე
ნება არ იქნება. ხოლო იქ, საცა მიწების ვიწროობა და
ნაკლებობაა, იქ ვენახების სივრცეებიც საერთო მიწების
სათვალავში უნდა ჩავარდეს, ასეთი საერთო ჯამი მიწების
რაოდენობისა თვითონეულს კომლზედ უნდა დაიყოს და
მერე თვითონეულს კომლს ნარგებ წილიდამ გამოერიცხოს
სივრცე ვენახისა და დანარჩენი სახნავი მიეცეს. თუ ამის
შემდეგ აღმოჩნდება, რომ ვენახის სივრცე კომლისა სჭარ-
ბობს მთელს წილს, რომელიც უნდა შეხვდეს, მაშინ მე-
ტი გზა არ არის, ვენახი უნდა მთლად შერჩეს კომლსა,
თუ თითონ არ მოიწადინებს სახნავის აღებას ვენახის ნა-
წილის სანაცვლოდ. აქ სამართალი ითხოვს, რომ ეგრე
ნებით დათმობილს ვენახში ერთი-ორად სახნავი მიეცეს
საუკეთესო მიწების ფარდში.

ესევე არ ითქმის კარ-მიდამოზედ. ამ შემთხვევაში
მეტის-მეტი ნაკლებობა და უსამართლობა ჩვენებურს
სოფლებში. ზოგი ისეთი კომლია, რომ მთელს დღიურზე
გადაჭიმულია, ზოგი იმისთანა, რომ იქავ გვერდით. სული

ეხუთება ვიწროობისაგან. ამის გამო სოფელს უნდა ჰქონდეს ნება, და მოვალეობაც, წინათვე განაჩენში მოიხსენიოს, რამოდენაზედ მეტი სასახლე არ უნდა ეჭიროს თვითოველს კომლსა და რამოდენაზედ ნაკლები, და ვის რამდენი უნდა ჩაეჭროს, რა მხრით ჩაეჭროს და ვის მიემატოს. ყოველივე ამისი სია სოფლის განაჩენს ზედ უნდა დაერთვას. გლეხთა საჩივარის საგანი, როგორც გვესმის, უფრო სასახლის ადგილების გაჭრა-გამოჭრისაგან არის დღეს წარმომდგარი. რადგანაც ამის შესახებ განაჩენსა და მასზე დართულს სიაში არა არის რა მოხსენებული, ამორჩეულნი დამყოფნი თავის ნებისამებრ ერთს უჭრიან თურმედა მეორეს აძლევენ და გამიეთხავი არავინ არის. რომ ამ თვითნებობას ბოლო მოეღლოს და ამ დიდს საქმეს უსამართლობა, რაც შეიძლება, ადამიანის ბუნებისაგან ნაკლებ შეკვეეს და შეეპაროს, ჩვენის ფიქრით საჭიროა და აუცილებლადაც, სოფელმა წინათვე გადასწყვიტოს, სიით აღნუსხოს, —ვის, სად, რამდენი და რა მხრით ჩაეჭროს ცარიელი სასახლე ადგილი, და ვის, სად, რამდენი და რა მხრით ჩაემატოს. სოფელი, საცა ყოველს მეკომურს და უფროსს კომლისას ნება აქვს თავისი სთქვას, ძნელად შეცდება ამ-გვარებში, და თუ განუზროახველი რაიმე შეცდომა მოუგა, ჩვენი გლეხეცაცი სოფლის სახელით უფრო მეტად შეიწყნარებს შეცდომასა, ვიდრე თვითნებობას ორისა და სამის კაცისას.

ნაფუძრები, ესე იგი გაპატივებული მამული, დიდს საფასურშია ჩვენში, ზოგან ვენახის ფასად ულირს გლეხკაცსა. ეს ამისთანა მიწები უფრო კარზედა აქვს გლეხკაცსა და სასახლის ადგილს ზედ-გამობმულია. ძლიერს კაცს ერთხელ ნარგები კარზედ ახლო მიწა ხელში შეუმაგრებია, ან ძალმომრეობით დაუჭერია, ან წაურთმევია

სხედა ხელმოკულე კაცისათვის, ან ფულით თუ რითმე და-
 უხარბებია გაჭირებული და ისე ჩამოურთმევია. ეგ მარ-
 თალია, მაგრამ, უეჭველია, გაპატივება და განაყოფიერება
 ძეირად დასჯდომია. ჩვენის ფიქრით, ნაფუძარი ან უნდა
 მთლად შერჩეს გლეხეაცს, ან ისიც დასაყოფ მამულად
 ჩაითვალოს—იმისდა მიხედვით—ჭარბობაა სოფელში მა-
 მულისა, თუ ნაკლებობა. ორსავე შემოხვევაში ერთს დღი-
 უსს ნაფუძარზედ ერთ-ნახევარი სახნავი მიწა უნდა შე-
 ეწონოს საუკეთესო მიწების ფარდში. თუ, ვინიცობაა,
 ჭარბობაა მამულისა, ნაფუძრის პატრონმა საუკეთესო
 ფარდში თავის ნაფუძრის ერთს დღიურში დღიურ-ნახე-
 ვარი სხვას უნდა დაუთმოს თავის წილიდამ, თუ ნაფუ-
 ძრის შერჩენა ჰსურს. თუ მამულის ნაკლებობის გამო
 ნაფუძარი ცოტად თუ ბევრად უნდა ჩაეჭრას, მაშინ მან,
 ვისაც ეგ ჩაჭრილი ერგება, თითო ნაჭერში ერთ-ნახე-
 ვარი უნდა დაუთმოს ნაფუძრის პატრონს საუკეთესო
 მიწების ფარდში თავის წილიდამ. ამისიც სია უნდა იყოს
 შემდგარი თითონ სოფლის მიერ და სოფლის განაჩენზედ
 უსათუოდ ზედ-დართული.

VI

ჩვენ წინანდელ წერილებში, ჩვენის შეძლებისამებრ,
 გამოკითხვით ჩვენი აზრი იმაზედ თუ,—მამულების და-
 ყოფვის სოფლის განაჩენში რა და რა საგანი უნდა იყოს
 წინანდევ განსაზღვრული, სოფლის მიერ გადაწყვეტილი,
 და განაჩენში უსათუოდ მოხსენებული. ჩვენი განზრახვა
 ამ შემთხვევაში ის იყო, რომ მარტო იმისანა საგნები
 აღგვენიშნა, რომელთ განუსაზღვრელობაც მიზეზად ჰედე-

ბა გლეხკაცთა სამდურავისა და საჩივრისა. ჩვენ გვგონია, რომ რაკი ეგ საგნები წინათვე განსაზღვრულ და მოხსენებულ იქნებიან სოფლის განაჩენი, ამით, თუ სრულად არა, ბევრი მიზეზი სამდურავისა და საჩივრისა სათავეშივე მოსტყდება და, მაშასადამე, თითონ დაყოლება მამულებისა სახასო გლეხთა შორის ზედ არ შეირჩენს წუნსა და გლეხკაცს გული არ აეყრება ამ დიდს და სახეირო საქმეზედ. მაშინ თუ რამ აიძულებს გლეხკაცს სამდურავისა და საჩივრის გამოსათქმელად,—ეგ მარტო მამულის დამყოფავთა მოქმედება იქნება და მარტო სოფლის განაჩენის აღსრულების შესახები. აქ ყოველივე ურიგო მოქმედება დამყოფავთა, მათი განუზრახველი, თუ განზრახული შეცდომა, ადვილად გასასწორებელი შეიქნება. ამ სფერაში, ესე იგი. სოფლის განაჩენის აღსრულებაში, გლეხკაცს ნება უნდა ჰქონდეს საჩივრისა, ოცეს იგი მამულის დამყოფავთაგან რასმე უსამართლობას ჰქონობს თავის-თავის შესახებ. ეს უეჭველია და ამაში არასოდეს უარი. არ უნდა ეთქვას მოჩივარსა საქმის გაურჩეველად.

ხოლო საქმე იმაშია,—ეის უნდა მიპმართოს გლეხშა ამ შემთხვევაში, ენან უნდა გაუზრჩიოს საჩივარი და შესაფერი. გადაწყვეტილება დაუდგინოს? საზოგადოდ მართლიერების მეცნიერებაში მიღებულია, ყველგან მართლმსაჯულების წესად დადებულია, რომ რომლის დაწესებულების განაჩენი მოღის აღსრულებაში, იმავე დაწესებულებამ უნდა განიხილოს და გაარჩიოს ყოველივე საჩივარი, აღსრულებისა გამო გამოწევული, და ამ მხრით დარღვეული უფლება აღადგინოს. ჩვენ არა გვგონია, რომ ამ საზოგადო წესის მიღებამ ამ შემთხვევაში დააშავოს რამე. პირიქით, გვგონია, რომ სწორედ ასრე უნდა იქმნას საქმის კეთილად წარმართებისათვის. ამ შემთხვევაში განა-

ჩენი. სოფლის მიერ არის დაღგენილი, მიწების დამყოფავთა მარტო იგი განაჩენი მოჰყავთ აღსრულებაში და, მაშასადამე, რაკი ეგ აღსრულება რაიმე სამდურას და საჩივარს გამოიწვევს, სოფელმა უნდა განიხილოს იგი საჩივარი და მან აღადგინოს. დარღვეული უფლება ცალქე გლეხეაცისა. ეს მით უფრო სხეიროა, რომ მოჩივარს გლეხს შორს სირბილი არ მოუნდება, წასვლა-მოსვლაში ხარჯი არა მოუვა-რა, სხვადასხვა ფორმალობა არც ღროს და არც ფულს არ დააკარგვინებს, სიმართლის აღმაღგენელი იქავ ეყოლებიან და თითონ აღმაღგენელთაც საგანი საჩივრისა და ყოველი საბუთი სიმართლისა თვალწინ უტყუარად ექნებათ, როგორც თავის ხელის გულზე.

გარდა აშისა, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რა დიდი პატივი აქვს ჩვენის გლეხეაცის თვალში ყოველს მას, რასაც-კი სოფლის სახელით ეტყვიან. სოფელი ჩვენებურ გლეხეაცისათვის დიდი ავტორიტეტია; ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე გლეხეაცი: ორმა კაცმა რომ გითხრას ბრმა ხარო, უნდა დასჯერდეო. რაც უნდა ცუდად გაღუწყვიტოს საქმე სოფელმა, ჩვენებური გლეხეაცი სოფლის ცუდ გადაწყვეტილებას უფრო შეიწყნარებს, ვიდრე გარეშე კაცის ცუდს განაჩენსა. ჩეენ ვამბობთ ცუდს მაგალითისათვის, ხოლო დარწმუნებული ვართ, რომ იშვიათი შემთხვევა იქნება—სოფელმა აქ სიმართლეს უმტყუვნოს, თუ კრება სოფლისა, ანუ ყრილობა, როგორც ეხლა ეძახიან, კომლის ნამდვილ მოთავეთაგან იქნება შემდგარი. ჯერ საჯარო კრებაზედ ყოველთვის ძნელია სამართლის გამრუდება და მერე თითონ ნამდვილი მოთავენი კომლისანი სიმართლის საიმედო თამასუქს წარმოადგენენ თავისის ლირსებით და საქმის ვითარების ზედ-მიწევნილ ცოდნითა.

1886 წ.

საგრგებობრივი ცხოვრიშის ნაკლები

და მისი მკონიანური მიზანები

(1897)

საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლენი

და მისი მკონეობის მიზანები

I

წლევანდელი წელიწადი განსაკუთრებით შესანიშნავია მით, რომ შეტად გახშირდა ჩვენში ავაზაკობა ძარცვა-მტაცებლობისათვის, არამე-თუ დიდს შარა-გზებზე, არამედ შიგ სოფლებშიაც, ქურდობას და ქურდ-ბაცაცობას ხომ ნულარ იტყვით. ავაზაკობამ, ზოგჯერ კაცის-კვლამაც, შეერთებულმა ძარცვა-მტაცებლობასთან, ისე გაბედვით გამოიდონ თავი ჩვენში, რომ არც ერთი კუთხე არ დარჩა ამიერ-კავკასიაში, — ავაზაკობა სარბიელად არ გამხდარიყოს. ძნელად გადის ისე დღე, ან იქიდამ, ან აქედამ ამბავი არ მოდიოდეს, რომ ავაზაკები დახვდნენ, გაძარცვეს მგზავრად მოდენილები შარა-გზაზე, ან ამასა და ამას შეუცვივდნენ სოფლად სახლში, წაიღეს რაც შეეძლოთ და ზოგჯერ დახოცეს კიდეც, ვინც-კი გაბედა და დააპირა თავს როგორმე უშველოსო. ესეთს თამამს და კადნიერს ავაზაკობას, ძარცვა-გლეჯას, როგორც ეხლაა, ესე ყველგან მოდებულს და თავაღებულს, ძნელად თუ ვინ-მე მოსჭრებია უწინ.

ამნაირმა შეუწყნარებელმა და აუტანელმა მდგომარეობამ მიიქცია ყურადღება მთავრობისა და შეაძრწუნა თვით საზოგადოება და მკვიდრნი. აქაური ქურნალ-გაზე-

თები ჰუცულობენ უპოვონ თავი და ბოლო ამ მწვავს და შემაძრწუნებელს ვითარებას და წამალი რამ დასტონ, მა-გრამ, რაღაც ხელთ არა აქვთ არავითარი გამონაძიები და გამონარკვევი ამ მხრით, არავითარი ცნობა მისი, თუ სად და როგორ მოწყობილი არიან მკვიდრნი საშინაოდ და საგარეოდ, რა აიძულებთ სავაზაკოდ და რა არა, რა აქეზებს და ხელს უწყობს ავაზაკობის თარეშობასა, რომე-ლი აღგილი და თესლი ერისა იძლევა ავაზაკსა და მძა-რცვა-მტაცებელს, — ყოველივე მეცადინეობა უქმდ იხა-რჯება და როგორც მიზეზი, ისეც წამალი ავაზაკობისა გამოურკვეველი ჰრება, სამწუხაროდ. თვითოვეული, რომე-ლიც მოწადინებულია ამ საქმეს რითიმე უშველოს და შე-ეწიოს, რითიმე ახსნას, თავი და ბოლო გაუგოს, იძულე-ბულია ვინიცობის ბარდებში გაებას და იქ ეძიოს პასუ-ხი ამ მწვავის და აუტანელის ვითარებისა.

რა თქმა უნდა, ამისთანა ძიებასაც, ჰო-არაობით სვლას ამ ბინდ ბუნდში, რომელიც ჩვენებურ ავაზაკობას გარს ახვევია, თავისი ლირსება და ფასი აქვს, მაგრამ უე-ბარ წამლობისათვის ამისთანა გამონაძიები, გამონარკვე-ვი ვერაფერს მასალას ვერ იძლევა. აქ საჭიროა ნამდვი-ლი შინაგანი ავკარგიანობა საქმისა, რომ საზრისს თვი-სი ჭეშმარიტი და უეჭველი საბუთი ჰქონდეს, და რაკი ამ გზით მიზეზი აიხსნება, წამლის პოვნაც შესაძლოდ გა-ხდება.

თითონ საზოგადოებაშიც და მკვიდრთა შორის დი-დი მითქმა-მოთქმა მიმართული იმაზე, რომ გამოიცნონ მი-ზეზი ამისთანა მოვლენისა და ლონე რამ ილონონ მისის აცილებისათვის. არიან იმისთანა ბრძენიც, რომელიც არც აციებენ, არც აცხელებენ და ამ გაძლიერებას ავკა-ცობისას აბრალებენ აქაურ მკვიდრთა ბარბაროსობას, და-

ხო ჩასელენიე, ძირა ცტრანა, და თითქო ამერიკა აღმი-
აჩინესო, კმაყოფილებით და თავმოწონებით ხელებს იფ-
შვნეტენ. ესეთი ქვიშაზე აგება საბუთისა მეტად აღვი-
ლია და იმათ, ვისთვისაც ღმერთს არ ულირსებია უნარი
ჰქუათა მოძრაობისა და საქმის ორმად სინჯვისა, და სა-
ლერლელი კი თავის გამოჩენისა მოსენებას არ აძლევს,
სხვა რა უნდა ჰქმნან, თუ ფონს არ გავიდნენ ამისთანა
გაცემილ ლათაიებითა.

მართალია, აქაური მკვიდრი სხვებზე უკან ჩამო-
რჩენილია ძალიან, ზევრი რამ აკლია, ბევრი რამ აქვს სა-
ნატრელი თვისის ნაკლის შესავებლად, მაგრამ ბარბარო-
სობასა და ველურობაზე ძალიან შორს არიან წინ წასუ-
ლნი. სხვა რომ არა ვთქვათ რა, მარტო ის ამბავი, რომ
აქაურმა ერმა პურისა და ქრის ხვნა-თესვის გარდა ვა-
ზის მოვლა მაინც იცის კარგად თუ ვად, იცის ღვინის
დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა
ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ წასულად გო-
ნებითად და აქედამ ზნეობითადაც. ვაზი, ვენახი, ვით
ხვნა-თესვზე უმაღლესი და ურთულესი კულტურა მიწათ-
მოქმედებისა და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება
უფრო მეტს გონების გარჯას და მოხერხების ძალას ჰთხო-
ულობს, ვიღრე ხვნა-თესვა პურისა და ქრისა. აქ გონე-
ბას, საზრიანობას, ხერხის უნარსა უფრო მეტი სარბიე-
ლი აქვს ვარჯიშობისა და აქედამ გახსნისა და წარმა-
ტებისაც.

გარდა ამისა, ვენახი ხომ ერთის დღისა და წლის
საქმე არ არის. იგია ნაყოფი დიდის ხნის ჯაფისა და
შრომისა, იგია თავნი, ნელ-ნელა მოგროვილი მამა-პაპის
ოფლის ღვრითა და თითქმის უტყვი ისტორიაა მთელის
ოჯახის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვა-

წისა. აქაური გლეხკაცი შეჭხარის ვენახს ჯერ როგორც თავის-თავად ძეირად ღირებულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნაშრომ-ნაღვაშის სახსოვარს და ნაშთსა. ეს ქონებრივი და ზნეობრივი ღირსება ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია კარგად უნდა ზედმოქმედებდეს აქაურ გლეხხაცობის ავკარგიანობაზე, მისის ხორცისა და სულის მოძრაობაზე. ამიტომაც გრძნობა საკუთრების დანდობისა და პატივდებისა აქ უფრო მეტს საზრდოებას უნდა ჰქოულობდეს, ვიდრე იქ, საცა უძრავი ქონება მოკლებულია ამ ორნაირ, ადამიანთა მიერ სამართლიანად პატივსაცემს, ღირსებას.

იმ ერს, რომლის შინაური მოწყობილება ამისთანა ვთარებას წარმოადგენს, ვერ შეეწამება ბარბაროსობა და ველურობა იმოდენად მაინც, რომ აშით გამოიხსნას ნასკვი იმისთანა აუზნეობისა, რომელიც კაცს ავაზეადა ჰქმნის.

მიზეზი სხვაგან უნდა მოიძებნოს. ზოგიერთი აქაური გაზეთები მიზეზად ავაზაკობისას ასახელებენ მამულების ნაკლებობას და უქონლობას. რა თქმა უნდა, თავი და ბოლო ავკაცობისა, რომლის შედეგი ძარცვა-მტაცებლობაა, ეკონომიური ჭირ-ბოროტი და გაჭირვება არის, საზოგადოდ რომ ვთქვათ. ხოლო ნაკლებობა და უქონლობა მამულისა ერთის დღის საქმე ხომ არ არის და არც იმისთანა რამ არის, რომ დღეს წავიდეს თა ხვალ მოვიდეს. თუ მამულის უქონლობას; ან ნაკლებობას, აქ ადგილი აქვს, ის გარემოება როგორლა აიხსნება, რომ ერთს წელს უფრო ხშირდება ავაზაკობა და მეორე წელს ჰქლებულობს? მაგალითებრ, წელს უფრო გაძლიერდა და გახშირდა ავაზაკობა, ნუთუ მარტო წელს უცბად შეუცოტავდათ აქაურებს მამულები და უილაჭობით ხელი მიჰყევს ძა-

პეტრეამ უცემლობას! შეუძლებელია ასეთი უცხობა ვიგულისხმოთ და, მაშასადამე, შეუძლებელია მიზეზი ავაზაკობისა, და ნამეტნავად მისის განშირებისა, მამულის ნაკლებობაში დავინახოთ.

მართალია, საზოგადოდ სხვის ქონების პარვა მტე-
ცებლობა შეიძლება მიეწეროს, სხვათა ეკონომიურთა გა-
რემოებათა შორის, მამულის უქონლობასაც, რომელიც
მყვიდრს უილაჯოდ ჰქმის ლუქმა-პურის შოვნისათვის, მა-
გრამ ჯერ, მინამ ამ გარეშემიებას დავიჯერებთ, საჭიროა
გამოძიებულ იქმნას—რა აღგილებიდამ გამოდიან ავაზანი,
იმ აღგილებში რა-გარად არის მორიგებული მამულები
მყვიდრთა შორის, რა მეტ-ნაკლებობაა მამულებისა და
რა ჯურის მყვიდრნი უფრო ეტანებიან ავკაციას. ვიდ-
რე ყოველივე ეს გამორჩევული არ იქნება, ძნელია კაც-
მა გულდაჯერებით მიიღოს მამულის ნაკლებულობა მი-
ზეზად ავაზაკობისა.

უფრო ჭერას ახლოა პირველ შეხედვით სწავა აქაურ
გაზეთისაგან სხვათა შორის ნანიშნი მიზეზი. იგი გაზე-
თი ამბობს, რომ კატორლიდამ და ციმბირიდამ გამოქცე-
ულნი, აქედამ ავყაცობისათვის სასჯელად გაგზავნილნი,
მოღიან და აქ ავაზაკობენო. ადვილად დასაჯერებელია,
რომ ამ გზით რაზმი აეგაზაკობისა ჰმატულობდეს. ხოლო
ერთი ეს ვიკითხოთ: მინამ იმათ კატორლაში თავს უკრა-
ვდნენ და მერე იქიდამ გამოიპარებოდნენ, მათი ავყაცობა
ხომ აქვე უნდა გაჩერნილიყო და არსებულიყო, უმისოდ კა-
ტორლაში რათ ამოაყოფნებდნენ თავს. მაშასადამე, მიზე-
ზი აეგაზაკობის აქ, ჩეენში, ფეხის ადგმისა, აქვე შინ. უნ-
და მოიძებნოს, აქვე უნდა ჰმატულობდეს ის სენი, რომელიც
აჩენს ჩეენში აეგაზაკობას.

ჩვენ ვეცდებით შემდეგს წერილში ეს მიზეზნი ავ-
ნუსხოთ და ჩამოვთვალოთ, რამოდენადაც იგინი ჩვენს
თვალში იხატებიან მოსაზრებით და არა გამონაძიებით და
გამონარკვევით, რადგანაც ნაძიები და გამონარკვევი სრუ-
ლად არსად მოიპოვება ჩვენში.

II

პირაქეთელი ოსები ჰემინადრობენ გორის მაზრაში
და დუშეთისაში და ეს ორი მაზრაა სარბიელი ოსთა ავა-
ზაკობისა და ქურდობისათვის. ძნელად გაიგონებთ, რომ
ოსი სხვა განვითარეთ საავკაცოდ, ან უკეთ ვთქვათ,
სხვაგან საღმე ფეხი მოიკიდოს ძარცვა-სატაცებლად.

ოსი ფრთხილია, უნდოა და ერიდება ავაზაკთა ამ-
ხანაგობას. კრებულად ავკაცობა, ავაზაკობა დიდ მორჩი-
ლებას, დიდს დისკიპლინას ჰოთხოულობს. იქნება დისკი-
პლინა ისე საჭიროდ არსად იყოს, როგორც კრებულად
ავაზაკობაში, საცა მარტო ხმაამოულებელს მორჩილებას
და ერთის უფროსის კაცის ნებას შეუძლიან თავი დაა-
კრერინოს კრებულად ავაზაკობასა და სული ჩაუდგას. ოსი
ამისთანა ულელს ვერ იშვნევს, იგი ხელალებით ემორჩი-
ლება თავისავე თანასწორს კაცსა. დისკიპლინა ოსისა-
თვის უწევი ამბავია. ამიტომ იგი უფრო ჭარტო ჰოთხო-
ლებს და ძნელად თუ ამხანაგად გაიხდის ვისმე და თუ
გაიხდის—იმისთანას, რომელიც ძალიან გამოცდილი ჰყავს
ერთგულობაში და ამასთან იმისთანა დანაშაული ჩაუდე-
ნია, რომ მთავრობას შემჩნეული ჰყავს და მთავრობისა-
გან დევნულია. გაცემა და ლალატი ამხანაგისა ოსს ძა-

ლიან ეადვილება, თუ მოხერხებული კაცი შეუჩინეს, ჰა-ტიობა აღუკვეს, ან ფულით დაახარჩეს. თუნდ ესეც არ იყოს, აღვილად იცის ამხანაგთან ჩხუბის ატეხა დავლა-ნაძარცვის გაყოფაში, ჩხუბს წყენა მოსდევს და ზოგჯერ წყენას გაცემა და ლალატი. ოსი შურის-მძიებელია და თუ კაცმა აწყენინა რამ, ძნელად ივიწყებს და როცა იქ-ნება ქლანჭეს გამოჰქრავს, თუნდ თითონაც ზედ გადაეგოს.

იქნება ყოველივე ეს იყოს მიზეზი, რომ ოსი-ავა-ზაკი ამხანაგობას ერიდება და მარტოობას ჰრიელობს. ეს იმას არა ჰინიშნავს, რომ ოსს-ავაზაკს ხელშემწყობი და მეშველი არა ჰყვანდეს და თავისიანებში არავინ აძლევ-დეს ბინას და საფარს ნაძარცვის სამალავად, ან არა ჰყვანდეს ვინმე ამბის მიმტან-მომტანად. უაშისოდ ვერც ერთი ავაზაკი, ოსია თუ სხვა ვინმე, გარეთ თარეშობას და ავეკაცობას ვერ გაჰქიდავს. ბინის მიმცემი და საფა-რავისა წშირად მახლობელი ნათესავია, ან საყვარელი ქა-ლი, და რასაც ავაზაკი ჰშოულობს, ზარტო ამათთვის ემეტება და ამათთვის მოაქვს უანგარიშოდ. აქ ან ჩხუბს, ან სამღურავს ერთმანეთში თითქმის აღგილა. არა აქვს და, მაშასაღამე, ამისთანა რამ არ აიძულებს აქ კაცმა კა-ცი გასცეს, თუმცა აქაც-კი თითო-ოროლა მაგალთია ლალატისა, მაგრამ ძალიან იშვიათად.

პირაქეთელ ოსთა შორის საავაზაკოდ გამოლუან თითქმის მარტო მთიელნი ოსნი. ცივი ჰავა მთისა, სი-მწირე მამულ-დედულისა უილაჯოდ ჰქმნის მთიელს ოსს სარჩო-საბადებლის შესაძენად. მიწა და ჰავა არას იძლე-ვა ქერის მეტსა და იქაური ოსი მარტო ქერის ხენა-თე-სვაზეა მინაბრებული. მთიელის ოსის საჭმელი მარტო ქე-რის პურია და სასმელი ლუდი, რომელსაც ქერისაგანა ჰქდის. ამითი უნდა გაუძლვეს იგი ცოცხალსა და მკვდარს,

სახელმწიფოს და სოფლის ხარჯსა და გადასახადსა და
ხშირად მამულის ღალასაც. კაცმა მარტო. ის რომ წარ-
მოიდგინოს, რა უჯდება ოსს მკვდრის სამღვთის გაუ-
თავებელი წეს-რიგი, რომელსაც უძლეველი მამა-პაპური
ჩვეულება მისგან ჰთხოულობს და რომელსაც ოსი ვერ
უღალატებს უმიმისოდ, რომ სამარცხინოდ თითით საჩვენე-
ბელი არ გახდეს სოფელში,—ვამბობთ, მარტო ეს მკვდრის
სულის დაურევებისათვის ხარჯი კაცმა რომ წარმო-
იდგინოს, გაუკვირდება, რით-ლა კოცხლობს ოსი და მი-
სი სახლობა. ახლა ამას ზედ დაურთვევით ხარჯი სახელ-
მწიფო და სასოფლო და სხვა ამისთანა აუცილებელი გა-
დასახადი და გასაგალი, და ის გარემოებაც გაითვალის-
წინეთ, რომ ყოველი ეს უნდა გაისტუმროს თითქმის მა-
რტო ქერის მოსავალმა და მაშინ წარმოიდგენთ იმ გა-
ჭირვებულ ყოფა-ცხოვრებას, რომელიც ბედს მოიელ ასი-
სათვის შეუხვედრებია.

მართალია, მთიელს ოსს მოცადი პირუტყვიცა ჰყავს,
ცხვარი, ძროხა, მხოლოდ იმოდენა არა, რომ სათქმელი
იყოს და დიდს ანგარიშში ჩასაგდები: წველა, საკლავი
საოჯახოდ ძლივა ჰყოფნის და გარეთ გასატანად ბეჭრი
არა პრჩება-რა აქედამაც; გარდა ამისა, ვინ არ იცის,
რომ პირუტყვთ-შენებას დიდი და ფართო საძოვრები
უნდა და ეხლა სადღაა იგი გაშლილობა და სიფართოე,
რაც წინათ იყო. ეხლა, ხალხის გამრავლების გამო, სა-
ცა-კი სახნის-საკეთო მისწვდება, საძოვრები სახნავადა
კეთდება და საბალახოც დღე-და-დღე მატებაშია და პი-
რუტყვთ-შენებაც შეცოტავდა უადგილობისა და სიძვირის
გამო. ეხლა გლეხს სამუშაო საქონლის შენახვაც უჭირ-
დება და სანაშენოდ ვიღა რასმეს გაპბედავს ხელი გა-
სძრას და თავი აიტკიგოს.

ყოველ ამას ზედ დაუმატეთ უგზო-უკვლობა, რომ-
ლის გამოც გამოტანა რისამე მთიელ ოს უფრო ძვირად
უჯდება, ვიდრე გამოტანილი პლირს, და მაშინ სრული
სურათი მთიელ ოსის უილაჯობისა თვალ-წინ წარმოვიდ-
გებათ მთელის-თვისის უძლეველის სახითა.

მინამ ფულის საჭიროება ჩვენში გაძლიერებული არ
იყო, ვიდრე სახელმწიფოს და სხვა ამისთანა ხარჯს აქა-
ური მკვიდრი მიწის მოსავლით უძლევებოდა, ქერით, პუ-
რით იხდიდა, მთიელი ოსები, როგორც იყო, სულ იბ-
რუნებდნენ. ეხლა ყველაფერი ეს ფულსა თხოულობს. გა-
დასახადმა და ერთობ გასავალმა სახე იცვალა, ფულად
იქცა, და შემოსავალი, მოსავალი-კი არამც-თუ უცვლე-
ლად დარჩა, უფრო უარეს დღეში ჩავარდა, ბაზრობა
რომ გავუსინჯოთ. ბაზრობას ვამბობთ, იმიტომ რომ ერ-
თად-ერთი წყარო ფულის შოვნისა ბაზარია.

რკინის გზაშ შეუ გასჭრა ქართლი, ესე იგი გორის
მაზრა, და ზღვიდამ ზღვამდე გაუადვილა სიარული, ნაშ-
რომ-ნაღვაწის ზიდვა-გადატანა, სამხედრო საქართველოს
გზაშ დღშეთის მაზრას თავიდამ ბოლომდე გაუარა, გზა-
ტკეცილმა ბორჯომიდამ აბასთუმნამდე ახალქალაქის და
ახალციხის მაზრა მოუახლოვა ბაზარს; სხვა აქეთ-იქითი
გზები-კი ახეთი არის, რომ მათზე სიარული ერთი ჭირი
და ბოროტია, ნამეტნაგად გასასყიდად დანიშნულის სი-
ზიდავად და გადასატან-გადმოსატანად. რკინის გზებსა
და გზატკეცილებზედ ახლო-მახლო მცხოვრებელთ, რა
თქმა უნდა, ბედი გაეხსნათ: კარგი გზა ბაზარს თითქმის
ხელში აძლევს. ამ გარემოებამ იმოდენად გაუადვილა.
ჭირნახულის გატანა ბაზარში, იმოდენად გაუიეფა ჭირ-
ნახულის საზიდი ხარჯი, იმოდენად შეუმოქალადრო და
გარჯა მისვლა-მოსვლისათვის და გადატან-გადმოტანი-

სათვის, რომ ამ კაი გზებზე მოშორებით მცხოვრებელმა ვეღარ გაუწია ცილობა და ძალაუნებურად პირში ჩალა- გამოვლებული დარჩა და ბაზარს და ბაზრობას გამოეთ- ხოვა; როცა გზების უვარევისობა საყოველთაო იყო, ერ- თსა და იმავე ტაფაში იწვოდნენ ყველანი, ნაშრომ-ნა- ლვაწის გასასყიდად გატანაში თითქმის ერთსა და იმავე გარემოებაში იყვნენ და მარტო მანძილი და სიგრძე გზი- სა თაბაუთსა ჰშვრებოდა ისეთის მეტ-ნაკლებობით, რომ ცილობა ფასის აწევ-დაწევაში მაინც კიდევ შესაძლებე- ლი იყო და გაყიდვა ბაზარში მიტანილისა ცოტად თუ ბევრად სახეირო.

ეხლა სულ სხვაა. კაი გზებზე მახლობელთ მეტის- მეტად გაუადვილდათ და გაუიცდდათ ბაზარში მიტანა სა- ქონლისა, და დაშორებულებს-კი, უგზო-უკვლობისა გამო, მეტის-მეტად დაუმძიმდათ და გაუქვირდათ.. უგზო-უქ- ვლოდ დაშორებულთაგან და კაი გზებზე დაშორებულთა- გან ბაზარში გატანა საქონლისა ასეთს ხარჯსა ჰთხოუ- ლობს, ასეთს დროსა და ტანჯვა-წვალებასა, რომ ფასი გაყიდულისა ძლიერ აყვნებს ხოლმე მარტო ამაების ხარ- ჯსა. პური, ქერი, სიმინდი და სხვა ამისთანა, რომელიც საზიდადაც დიდია, როგორც საპალნე, და მძიმეც, ვეღარ იტანს გზისა და საზიდავის ხარჯსა და ამიტომაც ამაე- ბისაგან ფულის გამორჩენა კარგს გზებზე დაშორებულ მკვიდრთათვის უზარალოდ შეუძლებელია.

გარდა ამისა, 1891 წელს რომ რუსეთში შიმშილი იყო და აქაურებს აუკრძალეს სიმინდისა და პურის სა- ზღვარ-გარეთ გატანა, ამ გარემოებამ ისეთი ამბავი და- აწია ჩვენს მხარეს, რომ მისი შედეგი დღესაც თავში გვცემს. საქმე ის არის, რომ პური და სიმინდი შინ, შე- გუბდა ამ აკრძალვის გამო, შინაურმა ბაზარმა. ვერ დაი-

ტია და ამის გამო ფასი ისე დაფოლდა, რომ მას აქეთ
 სულ კლებაშია და ვეღარ აიშვია. ბევრმა ხელი აილო
 ხვნა-თესვაზე, რადგანაც ხელს არ აძლევდა და ოუ ხნა-
 ვდა და სთესავდა, მარტო იმოდენას, რომ შინა ჰყოფნე-
 ბოდა. გარდა სხვა გარემოებისა, მარტო ეს ფასების და-
ფოლება რომ სახეში მივიღოთ, საკმაოა წარმოვიდგი-
 ნოთ, რა გაჭირვებაში უნდა ჩაცვიგნულიყვნენ ის მკვიდ-
 რნი, რომელთ ავლა-დიდება და ერთად-ერთი სარჩო-სა-
 ბადებელი მარტო ხენა-თესვაა ამა თუ იმა მიზეზით. პურს
 ფასი არა აქვს, ქერსა და სიმინდსა, და რით-ლა უნდა
 გაუძლვეს ჭირსა და ბოროტს წუთის-სოფლისას მარტო
 ხენასა და თესვაზე მიჩემებული მკვიდრი? თუნდ რომ ფა-
 სიც ჰქონდეს, რაკი გზა არა აქვს, რომ გატანა ჭირნახუ-
 ლისა შესაძლებელი იყოს, რაში გამოიყენოს ნამეტანი
 თვისის ჭირნახულისა, რაც მისს შინურს გაჭირვებას და
 ოჯახს გადარჩება? რისოვის იღვაწ-იშრომოს ნამეტანი-
 სათვის? ჯერ რომ მისს ჭირნახულს ფასი არა აქვს და
 მერე თუნდაც ფასი ჰქონდეს, ბაზრამდე ხელი არ მიუწ-
 ვდება უგზო-უკვლობის გამო. ამ ორ გარემოების გამო
 იგი კარგ გზებზე დაშორებულნი ადგილები, საცა მარტო
 ხენა-თესვაა, იგი მკვიდრნი, რომელნიც მარტო ამ ხენა-
 თესვას შეჰქონებენ, უნუგეშოდ და უილაჯოდ დარჩენილ-
 ნი არიან და ფულის შოვნის გზა და კვალი დახშული
 აქვთ, ფული-კი საჭიროა, თუნდ მარტო იმისათვის, რომ
 სხვადასხვა ხარჯი და გადასახადი ყელში თოქს უჭირებს
 და სახლ-კარს უწიოკებს, თუ დროზე არ მოიხერხა. აი,
 ჩვენის ფიქრით, იგი გაჭირვების თორნე, რომელიც აც-
 ხობს ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას, სხვის საკუთრე-
 ბაზე მიმართულს. საზოგადოდ ქურდობის და ავკაციობის

ძირეული და მუდამი ბუდე ეს გაჭირვებაა, რომელიც კაი კაცობას ხელს უცრის და ავკაცობას აბედვინებს.

აი, ჩვენის ფიქრით, იგი უძლეველი გარემოება, რომლის ზეღმოქმედებას ვერ გამკლავებია უვიცი გონება და ვერ უძლებს სიმაგრე ხასიათისა ყოველ მხრით უნუ-გეშიდ დარჩენილ მთიელ ოსისა. იქნება ვცდებოდეთ, და ჩვენ-კე ამ გარემოებაში ვხედავთ თავდაპირველს მიზეზს, რომ მთიელი ოსი ქურდობასა და ავკაცობას ხელსა ჰკი-დებს. რასაკვირველია, გაზეთის წერილებით ვერ გამოირ-კვევა საკმაო სავსებით ეს რთული საქმე, დღეს სავინიცო-ბოდ გამხდარი, რადგანაც გამოძიებული საბუთი რამ ხელთ არა გვაქვს. ხოლო კი ვიტყვით, რომ ამ ძირეულს და ზოგადს მიზეზს მიგვანებინა იმ გარემოებამ, რომ ჩვენში მარტო ხენა-თესვის ადგილებიდან გამოდის უფ-როს-ერთი ავაზაკი და საცა სხვა ხელობაა გავრცელებუ-ლი, მაგალითებრ, მეენახეობა და ამისთანა რამ, იქიდამ ავაზაკად კაცის გავარდნა ან სულ არ არის, ან ძალიან იშვიათია. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ მეტ-ნაკლებობას გამორ-ჩენისას ხენა-თესვისაგან და ამ ხელობის ავ-კარგად მოწ-ყობილებას საშინაოდ და საბაზროდ, თუ პირველი არა, დიდი ადგილი უნდა ეჭიროს ჩვენში ავაზაკობის მრავალ-გვარ მიზეზთა შორის. ამისი მაგალითი თვით ქუთაისის გუბერნიაც არის, საცა ავაზაკობამ თავი იჩინა უფრო მას მერმეთ, რაკი ვაზის სნეულებამ, ბამბისა და აბრეშუმის ჭირმა და ვაგლახმა ხელი აალებინა იქაურ მკვიდრთ ამაე-ბის მუშაობაზე და მიჩემა მარტო იმას, რაც ხენასა და თესვას მოაქვს და რაც ფულის გამორჩენისათვის და ერ-თობ ხეირისა და სარფისათვის პირველებზე მეტად შორს არის, ან სრულიად უილაჯოა. ამასვე გვანიშნებს ჩვენე-ბურ თათრობის ექონომიური მდგომარეობა. შემდეგ წე-

რილში ამ მხრითაც გავსინჯავთ ამ საქმის ვითარებას თათრების შესახებ და ბოლოს სხვა მიზეზებსაც ჩამოვთვლით.

III

ჩვენებური თათარი უფრო ეული კაცია, ვიდრე ფეხ-მოკიდებული მკვიდრი ბინადარი. ყოველივე მისი ჩვეულება, მიღრეკილება, აფი და კარგი საზნეო, თუ საეკონომიო, სულ ამ ეულობაზეა აგებული და დამყარებული, სულ აქედამ არის წარმომდინარი. თათარს ტანტალი, ხშირად აქეთ-იქით უსაქმოდ სიარული, ადგილიზამ ადგილზე გადასვლა, ერთის ბინიდამ აყრა, მეორეზე ხელ-ახლად დაბინავება არამც-თუ ეადვილება, თითქმის ჩვეულებადა აქვს გამხდარი. ეს გაადვილებული აყრა-დაყრა ხშირად იქამდე მიდის, რომ მთელი სოფელი დღეს რომ აქ არის, ხვალ იმ ადგილს სოფლის ნატამალიც არა სჩანს, აყრილა და სხვაგან გადასულა დედა-ბუდიანად. არა ერთხელ და ორჯერ შეუნიშნავს ეს ამბავი ადგილის პოლიციას და პონა აყრილ სოფლებისა გასჭირებია, როცა მთავრობას მოუკითხნია.

ეს ეულობა, ბინა-მოუკიდებლობა, ეს თითქმის ბოგანად სიარული, რა თქმა უნდა, ვერ გამოუნასკვავს ადამიანს იმისთანა ხასიათს, რომ დამჯდარი, დაღგრომილი და მუდმივი მუშაკაცი გამოვიდეს. ამიტომაც თათარი უფრო მწყემსია, გარეთ მოარული, ვიდრე შინ მჯდომი, მუშაკაცი. თათარი მწყემსად გადის მთელის თავისის სახლობით, წვრილ-შვილით, დედა-წულით. საცა სამწყსოს

საძოვარია, იქ იმისი ბინაა. ოჯახის-შვილობა, ეკონო-
მიური წელმაგრობა, ბინის მყვიდრად ერთს ადგილას მო-
კიდება, რომელიც ქართველ გლეხეაცისათვის იდეალია
ცხოვრებისა, თათარს გუნებაშიაც არ გაუვლის. იგი მძი-
მე საქმის მუშაკაცი არ არის. ხანგრძლივსა და გაუწყვე-
ტელს გარჯას, შრომას გაურბის, არც უყვარს. მიწაში
ოფლის ღვრას, მიწის ხანგრძლივს მუშაობას ბინისა და
მიწის სიყვარული აქეზებს. თათარს არც ერთი მიაჩნია
სამუდამოდ, არც მეორე და რამ უნდა შეაყვაროს დღეს
ის, რასაც ხვალ ესე ადვილად თავს ანებებს უტკიცარად,
დაუნანებლად?

ბინისა და ადგილის უსიყვარულობა თათარს შინ
ჯდომისათვის გულს უკრუებს. გული გარეო ეწევა. ამი-
ტომაც თათრის თავმოსაწონებელი ცხენია და თოფ-ია-
რალი. რაკი თათარს ცხენი ჰყავს, თოფ-იარალი აქვს,
იგი კაცად იხსენება სოფელში, თუნდ შინ, ოჯახში ნატი-
სუსალიც ასდიოდეს. ეულ-კაცობა, აქეთ-იქით გარეო
სიარული თათარს უფრო მეომარ კაცადა ჰქდის, ვიდრე
მშეიდობიან მუშად. იგი კარგი ცხენოსანია, პატარაობი-
თვე იწვროთნება ცხენოსანობასა და თოფ-იარალის ხმარება-
ში. გარეო სიარული მთელის ოჯახობით ამას ხელს უწ-
ყობს. თათარი ვაკეკაციც არის, გულადია. ამასთან ტკბი-
ლი მოუბარია და საბუთიანი, წრნათ-აწონილი სიტყვა-
პასუხი იცის, ადვილად წაიტყუებს და იყოლიებს კაცს,
თუნდ სააგზაკოდ. იგი ხერხიანიც არის. სისხლის სა-
მართლის ნაკლი საკმაოდ კარგადა აქვს შემჩნეული. იცის
გზები, როგორ და რით დაიძერინოს თავი, თუ ვინიცო-
ბაა დანაშაულობასა და ავკაცობაში როგორმე მოამწყე-
დია კანონშია. ფორმალური ფიცი სასამართლოს წინაშე
თათარს არაფრად მიაჩნია. ამიტომაც უფროს-ერთი საქ-

მე, რომელიც მოწმეებზეა დამოკიდებული, გაშოურკვევი რჩება და დამნაშავეც ხელიდამ უსხლტება მართლმსაჯულებას. ერთის სიტყით, თუ კანონი, ბენტამისა არ იყოს, მართლა გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდი ზედ გადაახტება ხოლმე და პატარა ქვეშ გაუძღრება, თათარი კიდევ იგი პატარაა, რომელიც ზოგჯერ მოახერხებს ხოლმე ქვეშ გაუძღრეს. ამას ისიცა ჰშველის, რომ თათრებმა ერთმანეთის ხელის დაფარება ხშირად იციან. თათრებში ამისთანა ამბები სესხი და ვალია. წინათვე მომზადებული და გაფიცული მოწმეები იშვიათი არ არის თითქმის ყოველ თათრის სასისხლო სამართლის საქმეში.

თათარმა თუ მიინდო ვინმე, ან თვით მიენდო, ძნელად თუ ღალატი და გაცემა მოუხდეთ ერთმანეთისა. თათარი ადვილად ემონება მას, ვინც მისს თვალში უფრო ჰქვიანია, გამოცდილი და ვაჟაცი. თუ მბრძანებლად მიიჩნია ვინმე, თათარი მისი ხმაამოულებელი, ყურმოჭრილი ყმაა. კრებულად მოქმედებისათვის ეგ ხმაამოულებლობა და ყმობა დიდი ციხე-სიმაგრეა. ამიტომაც კრებულად ავაზაკობა თათრისათვის ადვილად შესაძლებელია და ჩვეული ამბავიც არის. ძნელად შექვედებით თათარს, რომ მარტოკა ჰთარეშობდეს. თვით წვრილმანი ქურდობაც-კი სხვებთან ერთად იცის. ძნელად თუ მარტოკა გავა საქურდლად და საპარავად.

თათარი, როგორც ოსი და ერთობ უფროს-ერთი სამხრეთის კაცი, გულფიცხია. ისე კაცთან შესაყრელად დინჯია, თავდაჭერილი და თუ გნებავთ, თავაზიანიც. ხოლო თუ რამ აშენინეთ, მალე აიმღვრევა და ხანჯალსა და თოვს მისწვდება. ჯავრის გულში ჩარჩენა იცის და ჯავრის ამოყრაცა. იგი ცოტად თუ ბევრად თავმომწონეა, მეზობელს, თანასწორს არ დაეძლევინება, თუ ბედმა

ერთმანეთს საღავიდარაბოდ შეახვედრა. როგორ თუ იმან
დამძლიაო, დამიბრიყვაო, ამის ჯავრსა და სირცხვილს
ადვილად ვერ იტანს. წვა და გადაბუგვა ძნებისა, თვეე-
ბისა და ზოგჯერ სახლ-კარისაც ჩვეულებრივი საქმეა
ჯავრის ამოყრისა და ნიშნ-მიგებისათვის. თუ გაჭირდა,
არც კაცის-კვლას მოერიდება გულზე მოსული და გაბრა-
ზებული თათარი. ხშირად ამისთანა დანაშაული, სულ
უბრალო საქმისაგან გამოწვეული, იძულებულ ჰქიდის თა-
თარს ავაზაკად გავარდეს, რადგანაც კანონის დევნისა და
შიშისაგან შინ აღარ ედგომინება და სხვა გზა არა აქვს,
თუ არ იავაზაკოს და კანონს გარეთ არ დასდგეს. ამ მი-
ზეზით ყაჩალად გავარდნა იშვიათი არ არის ჩვენში.

ჩვენა ვთქვით, რომ ჩვენებური თათარი უფრო გა-
რეთ მოარული კაცია, ვიდრე შინ მჯდომი. ამიტომაც
თათარს, რაც გინდ ლარიბი იყოს, კაი ჩაცმა-დასურვა
უყვარს, კარგი იარაღი, კარგი ქამარ-ხანჯალი და ერთობ
კარგი. მორთულობა, რომ შნო და ლაზათი ჰქონდეს სხვის
თვალში. ერთნაირის შეძლების კაცი რომ აიღოთ სხვა
თესლისა, ქართველისა, სომხისა, თუ ოსისა, მორთულო-
ბით, მოკაზმულობით თათარი უკელას აჯობებს. რასაც
თათარი მოანდომებს მოკაზმვას და მორთულობას, იმის
ნახევარსაც ძლივ გამოიმეტებს სხვა თესლის კაცი. ხში-
რად ჰნახავთ თათარს ვერცხლით შემოსილ იარაღში ჩამ-
ჯდარს, ვერცხლის ქამარ-ხანჯლით გაწყობილს. ამ მხრით
თათარს უფრო მეტი საჭიროება აქვს, რომელიც უფრო
მეტს ხარჯსა და გასავალსა ჰთხოულობს, მეტს სარჩო-
საბადებელს. ხოლო საკითხი ეს არის,—საიდამ რას ჰშოუ-
ლობს თათარი, რომ სხვისთან ერთად უღელიც სწიოს
წუთის-სოფლისა და ნამეტანისათვის სხვაზე მეტი ჰნარ-
ჯოს? ამისი პასუხი მერე იყოს.

ჩენებურ თათრებს ზამთრის საცხოვრებელი ცხელ ადგილებში აქვთ. მართალია, ამ ადგილებში, თუ სარწყავად წყალი იშოვება, ყოველ-გეარი მეურნეობა შესაძლებელია. მიწა ცოტად თუ ბევრად მომცემია და პავაკ რისამე მოსაყვანად ხელის შემწყობია. აქ ხვნა-თესვის გარდა, ვენახიც ხელს მისცემს, ბოსტანი და ბალიც. მაგრამ ვენახის შენებას ღვინისათვის თათარს რჯული ნებას არ აძლევს. თუნდ ესეც არ იყოს, ვენახს თითქმის მთელს წელიწადს დღე-მუდამ შიგ ტრიალი უნდა მუშა-ხელისა და თათარი, რომელიც თითქმის მთელი ნახევარი წელიწადი მთაშია, ამას ვერა იქმს. ზაფხულობით მთაში ყოფნა დედა-ბულიანად შეუძლებლად ჰქილის ან ბოსტანს, ან ბაღს ხელი მოპეიდოს თათარმა. დარჩა ხვნა-თესვა და პირუტყვა-შენება.

თათარს ხვნა-თესვა, თუმცა ეულობს ზაფხულობით, მაინც ეხერხება. ანულად შემოდგომაზე, საზაფხულოდ გაზაფხულზე ჭხნავს და სთესავს. ცხელ ადგილში ადრე მოდის ნათესი, თათრის მთაში წასელამდე მოსავალი შემოდის. იგი მკის, ძნებსა სდგამს და მერე მთაში მიდის. მთიდამ რომ ჩამოვა, შემოდგომის პირს, მაშინ ჰლეწავს და შეაქვს სახლში მოსავალი. ჯერ ეს გარემოება, რომ უკეთესს დროს ლეწვისას თათარი მთაში ატარებს და მერე ის, რომ შემოდგომით დაწყება ლეწვისა პირდაპირ გვანიშნებს, რომ თათარი დიდს ხვნასა და თესვას ვერ შეუდგება, რადგანაც დიდს ხვნასა და თესვას დიდი დროც უნდება სალეწად და შემოდგომიდამ მაგლენი დრო აღარ არის,—

ეს გარემოება უტყუარად გვეუბნება, რომ ძნელად თუ თათარს ხორბლეულობა იმ ნამეტანობით მოჰკვანდეს, რომ ოჯახიც ჰქვებოს და ბაზარშიაც გაიტანოს გასასყიდად და ფულის შესაძენად.

თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენ ხომ წინა-წერილებში მოეიხსენიეთ, რას იძლევა ხენა და თესვა ჩვენში საზოგადოდ. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ხორბლეულობის ფასმა, პურისამ, ქერისამ, სიმინდისამ ზედი-ზედ ისე დაიწია, რომ მისავალი თითქმის ხარჯს არ აყენებს. უგზოუკვლობამ ხომ ბაზრის კარი სრულებით დაუხშო. ვლადიკავკასიდამ პურის მოტანა უფრო იაფად ჰჯდებოდა და ჯდება, ვიდრე ბორჩალოს თათრების ზოგიერთ აღგილებიდამ, რომელთაც არამც-თუ ტფილისამდე, კარგს გზებამდე გამოტანის ილაჭიც არა აქვთ უგზოობის გამო. ხორბლეულობის ფასმა ძალიან უნდა აიწიოს, რომ მისმა მოტანამ ტფილისში მომტანს ხარჯი გზისა აუყენოს. ძნელად საფიქრებელია ეხლანდელს დროში, რომ ეს ასე მოხდეს და ფასმა საკმაოდ აიწიოს. ოდესიდამ და შავის ზღვის ნავთსადგურებიდამ, საცა რუსეთის პური გამოღის, პურის მოტანა უფრო იეფად ჰჯდება, ვიდრე ჩვენის გუბერნიის ზოგიერთ აღგილებიდამ და ეს გარემოება ყოველთვის წინ დაუდგება ხორბლის ფასის აწევას ჩვენში; თუ რუსეთსაც მეტის-მეტად არ გაუჭირდა. გაჭირვება რუსეთისა იმაზე დიდი ძნელად-ლა იქნება, რაც 1891 წელს შიმშილობის დროს შეემთხვა, როცა პური ამერიკამც-კი მოაშველა რუსეთს. მაშინაც-კი აქაური მხენელ-მოესველი ვერაფერს ვერ გამორჩა თავისს ნაშრომ-ნაღვაწს. ვამბობთ, ვერ გამორჩაო. ვერ გამორჩა-კი არა, უფრო ცუდ დღეში ჩაგარდა და შედეგი იმ დღისა დღესაც თავში სცემს. აკრძალეს მაშინ საზღვარ-გარეთ გატანა ხორბლეუ-

ლობისა იმის შიშით, რომ ვაი თუ შინ დაგვჭირდესო და
ისე-კი მოხდა, რომ აღარც შინ დასჭირდათ და აღარც
გარეთ გაატანინეს. დარჩა მხენელ-მთესეველი სახტად გაო-
ცებული, — ეს რა დაგვეძართა, ნურც შენ და ნურც მეო.
შეგუბდა, როგორც წინათაკ ვთქვით, მოსავალი და მო-
აწყდა მარტო შინაურ ბაზრებს. სხეა რა მოჰყებოდა
ამისთანა ამბავს, თუ არ დაფოლება და დაწევა ფასებისა.
ვიმეორებთ, ესეც მოხდა და იმ დღიდამ დღემდე ფასი
დაეცა და ვეღარ აიწია იქამდე, რომ კაცი თავისს ოფლს
გამორჩეს რამეს. მართალია, ეს აკრძალვა მარტო დროე-
ბითი იყო და, მაღლობა ღმერთს, მალე მოისპო, მაგრამ
შედეგი მისი დღესაც მუშაობს და მოქმედობს ჩვენში იმ
მხრით, რომ მხენელ-მთესეველი შეუშინდა ხვნა-თესეის, მას
აქეთ წელში ვეღარ გაიმართა და ხვნა-თესეაზედ გული
წაუხდა: ნამეტანობა ხვნა-თესეისა საბაზროდ დღესაც ხელს
არ აძლევს.

ასეა თუ ისე, ჩვენებური თათარიც იმავე დღეშია,
რაშიაც მთიელი ოსი: ხვნა-თესეიდამ არავითარი გამორ-
ჩენა არა აქს თითქმის, თუმცა სხვადასხვა პავასა და
ადგილებში სცხოვრებენ და სხვადასხვა თესლისანი არიან:
მაშ თათარმა სიდამ რა იშოვოს, რომ ფულის ხარჯს გა-
უძლეს და თავისის ცხოვრების მეტ-ნაკლებობას კბილი
მოსჭრას? გვეტყვიან, პირუტყვთ-მოშენება ხომ ხელთა
აქეთ და მწყემსობაც კარგად იციანო. ეს ყოველივე მარ-
თალია, ხოლო ამ მხრით თათარის ავლა-დიდება რომ
გაესინჯოთ, არც აქ არის ბევრი რამ სახარბიელო. ამას
მერე ვნახავთ, შემდეგს წერილში.

არიან თათრებ შორის იმისთანანი, რომელთაც იმო-
დენა მოკადი პირუტყვი ჰყავთ, რომ მისის შემოსავლით
თავს ირჩენენ. ხოლო ამისთანანი ერთი-ორი თუ მოიპო-
ვება მთელ ჩვენებურ თათრობაში. უფროს-ერთი თითო-
ოროლა ძროხისა და ცხვრის პატრონია, ისიც ათში რომ
ხუთსა და ექვსსა ჰყვანდეს, დიდი საქმეა, სხვა დანარჩენ-
ნი თითქმის ხელალებით უარარაონი არიან. თუ უწინ მო-
კადის საქონლის ყოლა დიდი იყო, ეხლა ამასაც საძუე
შემოაწყდა თათრებშიც, საძოვარი დაცოტავდა, დაძვირ-
და. პირუტყვის შენახვა ზამთარ-ზაფხულ გაჭირდა. ამ
გარემოებამ ძალიან შეაცოტავა პირუტყვ-მოშენება.
სადღაა ეხლა ის ცხენის ჯოგები, რომლითაც ასე გათ-
ქმული იყო წინათ ყაზახ-ბორჩალო? დღეს ყაზახ-ბორჩა-
ლოში ცხენის ჯოგის ხსენებაც არ არის. თუ ჰყავს ვისმე,
ისიც დიდს ვისმე მებატონეს, ვისაც თავისი საკუთარი
საძოვრები აქვს და ამისთანანი ერთი და ორია, ისიც
მაღალ წოდების კაცი. დაბალი ხალხი წელებზე ფეხს
იდგამს და თითო-ოროლა ცხვარსა და ძროხას ისე ინა-
ხაგს. მერე როგორ? შემოდგომაზე, ელი ჩამოვა თუ არა
მთიდამ, საქონლის პატრონი თათარი მთელს ტფილისის
გუბერნიაში წინა და უკან დაძრწის, რომ საქონელს ბინა
გაუჩინოს სადმე საზამთროდ. ამისათვის იგი ჰუდილობს
საძოვრის პატრონს ან თავადს, ან აზნაურს ვისმე შეეკედ-
ლოს. ეძებენ უფრო იმისთანა გავლენიანს კაცს, რომლისა-
გან გამოელიან შველას, თუ ვინიცობაა დანაშაულში რა-
შიმე ფათერაკმა გააბა, ან საკუთარმა სიხარბეშ წაიტყუა
სხვის საკუთრებაზე ხელის მოსათბობლად.

ოსსა და თათარს ჩვენში ქურდობის სახელი აქვთ გავარდნილი. ამიტომაც იმათი დაბინავება სადმე, თუნდ დროებითაც, ყველას ეძნელება. მოვიდა ოსი, ან თათარი, და ქურდობაც გაჩნდება. ეს შიში ქურდობისა ძალიან უმძიმებს თათარს ბინის შოვნას, ყველა ერიდება და თუ ბინას ვინმე მისცემს, ისეთის პირობითა, რომ კაცს უკვირს, — რითლა უნდა ირჩინოს თავი თათარმა. თათ-რისათვის-კი სხვა გზა არ არის, ყველა პირობას თითქმის უნდა დასთანხმდეს, ოღონდ უაღგილობით პირუტყვი არ გაუწყდეს.

ამ დღეშია არამც-თუ ერთი და. ორი, არამედ უფ-როს-ერთი თათარი. რაკი შემოდგომით ელი თათრისა მთიდამ დაიძრის და ბარში ჩამოდის, მთელი ტფილისის გუბერნია მოდებულია მათგან. ამ ბარად ჩამოსვლის პირ-ველ ხანებში გზებზე ისე არ გაივლით, რომ ხან აქ, ხან იქ, გზების შორი-ახლო, არა პნახოთ დაბარგებული თათარი მთელის თავისის ოჯახითა, საქონლითა, რომელიც საზამ-თრო ბინას დაეძებს. ხან ერთს საძოვრის პატრონს მიად-გება კარზე, ხან მეორეს ხვეწინითა და მუდარითა, საქო-ნელი დამაყენებინეო. საბინაო პირობა ხშირად ასეთია: თუ საძოვრის პატრონს მოცადი საქონელი ჰყავს, თათა-რი რამდენიც თითონა ჰყავს, იმდენს საძოვრის პატრო-ნისას ჩაიბარებს სანაშენოდ და რაც საქონლის პატრონს მეტი საქონელი ჰყავს, იმასაც უნდა მოუაროს და უმწყე-მსოს მუქთად და უჯამაგიროდ დედა-წულიანად. პირობა ხშირად სამის წლის ვადითა აქვთ. სამის წლის შემდეგ მოგება სანაშენოსი შუაზე უნდა გაიქონ, საძოვრის პატ-რონის ნამეტან საქონლის მონაგები-კი მთლად უნდა ჩა-აბაროს პატრონსა. არც იმისთანა პირობაა იშვიათი, რომ თათარი პირდაპირ მწყემსად დაუღგეს მთელის თავისის

ოჯახით და დედა-შულით მუქთადვე და უჯამაგიროდ, ოღონდ საქონელი გამოაკვებინოს საძოვრის პატრონშა თავისს ადგილებში.

რა თქმა უნდა, ამ ორისავ სახის მორიგებას ზედ დაერთვის ხოლმე ზოგიერთი სხვა პირობებიც, რომლებიც ცოტად თუ ბევრად შელაგათიანები არიან, იმისდა მიხედვით, ორთა-შუა ვის რა უფრო უჭირს. ხოლო არსებითი ძარღვი-კი ყოველ-გვარ მორიგებისა ზემოხსენებული ორი გვარი პირობაა, რომელიც უტყუარად გვანიშნებს, რამდენად გაჭირვებულია თათარი, თავისი ორიოდე ძროხა თუ ცხვარი შეინახოს და ჰკვებოს. ხუმრობაა, მთელის ოჯახის ჯაფა და შრომა, ოჯახისა, რომელიც ხშირად ხუთისა და ექვსის სულისაგან არის შემდგარი, მარტო ორიოდე პირუტყვის საკვებას მოახმაროს და ანაცვალოს! ამ გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცი განა შესძლებს პირუტყვი იმოდენა გაიჩინოს, იმოდენა იყოლიოს, რომ საბაზროდ გამოიტანოს რამ სახარბიელო? ან თითონ პირუტყვთ - მოშენეობას რა ხეირს დააყრის ამ-გვარი მდგომარეობა და ვითარება საქმისა? ამ-გვარს ყოფაში განა შესაძლებელია კაცმა ითიქროს, რომ პირუტყვთ-მოშენეობა ჩეკნებურ თათრის ხელში წინ წაიწევს იმოდენად, რომ საალებ-მიცემოდ გამოელოდეს რასმე? ნეტავი ჭამა-სმად ეყოს, რასაც ამნაირი პირუტყვთ-მოშენეობა იძლევა, და იმისიც მაღლობელი იქნება თათარი, ისიც ათში ხუთი და ექვსი, როგორც ვთქვით, დანარჩენი-კი ამასაც მოკლებულნი არიან.

ეს დანარჩენი რით-ლა ირჩენენ თავსა, თუ საქონელიც არა ჰყავთო? — იკითხავთ. არ, ჭაპან-წყვეტა იმ საქმისა, რაზედაც ჩვენ დავიწყეთ საუბარი, იქნება აქაციუს. უფროს - ერთი ამ ჯურის თათარნი საქონლის პატ-

რონს აედევნებიან ხოლმე, ზოგჯერ ცოლ-შვილიანად,— ოლონდ გვასვით და გვაჭამეთ, მუქთად გემსახურებითო. თუ საქონლის პატრონს კაცი აკლია და მისი ოჯახი მწყემსობას ვერ ასდის, რა თქმა უნდა, სიხარულით ხელსა ჰყიდებს ამისთანა მუქთად მოსამსახურეს. მუქთი ხელი, მუქთი მოსამსახურე მწყემსობაშიაც ისე სახარბიელოა, როგორც სხვა საქმეში საქმის პატრონისათვის. ხოლო საკითხავი ეს არის: განა ჭამა-სმის მეტი აღარა უნდა-რა კაცს? ჩაცმა-დახურეა, სოფლისა და სახელმწიფო ხარჯი ხომ უსაქონლო კაცისათვისაც ისეთი ჭირი და ბოროტია, როგორც სხვისთვის?

ყოველ ამისი პასუხი ის არის, რომ საქონლის პატ-რონი ხშირად მიიკედლებს ხოლმე ამისთანა ქონებით ულონო კაცს, ასმევს, აჭმევს და სხვა კი შენ თითონ იციო, როგორც გინდა იშოვეო. ისიც ჰშოობს, რაკი სხვა გზა არ არის. თუ ამისთანა კაცს თითონ მიმკედლებელი ამხანაგად არ გაუხდება, ხელის დამფარებელად კი—უეჭველია. უამისოდ მუქთა მსახურს ვერ იშვიის. აქედამა აქვთ თათრებს ქურდობის სახელი გვარდნილი ჩვენში. რაკი თათარი დადგა საღმე და ბინა გაიკეთა, ძნელად იქნება, რომ იქ ქურდობა. არ გაჩნდეს. ყველა, რაკი იმ არე-მარეში დაიკარგება, თათარს დაპირალდება ხოლმე. იქნება ბრალი თათრისაც არ იყოს, მაგრამ მაინც გუმანს იმაზე მიიტანენ. ხშირად მარტო ეს გუმანის მიტანა შეიქნება ხოლმე მიზეზად, რომ ზოგიერთი უამისოდაც გარეთ ტან-ტალს ჩვეული თამამი თათარი ფეხს დაპერავს და ყაჩა-ლად გავარდება, ცალკე იმის შიშით, რომ არ გამაბან და აქეთ-იქით სასამართლოებში გაუთავებლად არ მათრიონო, და ცალკე იმით, რომ გაჭირვებულ ცხოვრების სიმ-წვავე მუდამ გულში აქვს და ნაპერწყალიც საქმაოა გული

აუფეთქოს თავის დასახწევად და გარეთ გასავარდნად
საშოვრისა და გაუჭირვებელ ცხოვრებისათვის, რომელ-
საც სამაცლურო თავისუფლება ავაზაკისა წარმოადგენს.

ჩვენ ამით ვათავებთ იმ მიზეზთა დასურათებას, რო-
მელთ შორისაც, ჩვენის ფიქრით, უნდა მოინახოს სათავე
აქაურ ავაზაკობისა საზოგადოდ და საკუთრივ მთიელ
ოსისა და ელის თათრის შესახებ. მართალია, ზოგადი
შიხეზი იშისთანა ავკაციობისა, რომელსაც სხვის ქონებაზე
გული მიუდის, ყველგან და ყოველგან ეკონომიური უღო-
ნობა ყოფილა და იქნება კვლავაც, მაგრამ მაგ ეკონომიურ
უღონობას ჩვენში აქაური, განსაკუთრებული გარემოება
მკვიდრისა ჰქმნის და ამით არის შესანიშნავი. შემდეგს
წერილში ყოველს იმას, რაც ზემოთ ვთქვით, ერთად თავს
მოვუკრებთ და გრძლად თქმულს მოკლედ გამოვნასკვავთ,
რომ შესაძლებელ იყოს ნასკვი საქმისა უფრო ცხადად
გავითვალისწინოთ.

VI

ჩვენ წინა-წერილებში შევნიშნეთ იმ საბუთების ძა-
ლით, რაც გაგონილი გვაქვს, რომ თუ ჩვენში ქურდობა
და ავაზაკობაა, უფრო ოსისა და თათრისაგან არის. სხვა
თესლის კაცს ძალიან იშვიათად შეხვდებით ამისთანა
ავკაციობის სარბიელზე. ამას რომ ვამბობთ, სახეში გვიავს
მარტო ქალაქებ-გარეთ მოთარეშენი.

ჩვენ ისიც ვაჩვენეთ,—რა შინაგანი მიზეზი მოქმე-
დებს, ჩვენის აზრით რომ ოსი და თათარი გამოდის
საქურდლად და საავაზაკოდ. ეს ის მიზეზია, რომ ოსს და

თათარს შინ სამუშავო და გასამრჯელო იმისთანა არა
აქვს-რა, რომ თავი ირჩინოს და დღევანდელ ცხოვრების
ჭირ-ბოროტს გაუძლევეს. მთიელი ოსი და ჩვენებური თა-
თარი სხვადასხვა გარემოებათა გამო, მარტო ხვნა-თესვა-
ზეა მიმდგარი და აქეთგან წარმოსდგება მისი ეკონომიური
ულონობა, რომელიც გულს შინ არ უყენებს და თვალს
გარეთ აყურებინებს.

ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, ვითომც ხვნა-თეს-
ვა იმისთანა მოქმედება იყოს, რომელიც აქმზებდეს კაცს
საქურდლად და საავაზაკოდ. პირიქით, მხვნელ-მთესველი
ერი უფრო მშვიდობიანი, საკუთრების პატივის-მცემელი,
უფრო მორიცებულია და თავდეჭრილი. ხოლო ეგ იქ
არის ესე, საცა ხვნა-თესვის ნაამაგევს ან შინა აქვს ბა-
ზარი, ან გარეთ და გზაც იეფი და კარგი აქვს საპალნის
საზიდავად. ჩვენში სულ სხვაა. ჩვენში მხვნელ-მთესველს
არც შინა აქვს ბაზარი, არც გარეთ, არც გზა აქვს და
არც კვალი, რომ ნაამაგევმა გზის ხარჯს გაუძლოს. ჩვენ-
ში დღეს მარტო ხვნა-თესვა კაცს ვერ აცხოვრებს. გაუ-
ჭირვებლად. ხვნა-თესვის ნაამაგევს ფასი არა აქვს იმო-
დენა, რომ შრომის ხარჯი ამოალებინოთ, და თუნდა.
ჰქონდეს, უგზო-უკვლობით ბაზარში ვერ გაიტან უი-
მისოდ, რომ ზედ თავისი არ წააგლისოთ. ცხოვრება-ეი
ჰთხოულობს ფულსა სახარჯოდ წუთის-სოფლის ჭირ-ბო-
როტის გასაძლოლად. შორის რომ არ წავიდეთ, საქმია
თვალ-წინ ის დავიყენოთ, რომ დღეს რუსეთი პურს თით-
ქმის უფრო იეფად იძლევა ჩვენში, ვიდრე ჩვენ შინ გვიჯ-
დება, თითონ გზაც უფრო უკეთესი და იეფი აქვს შო-
რიდამ მოტანისათვის, ვიდრე ჩვენ ახლოდამ ბაზარში
გასატანად და საიდამ სად მისწვდება ჩვენებური მხვნელ-
მთესველი, რომ ფასების მეტ-ნაკლებობაში ცილობა რამ

გაუწიოს. ჩვენში ხვნა-თესვის მოსავალს საოჯახო მნიშვნელობა თუ შერჩება, თორებ საღლებ-მიცემო საგნად ძნელად-ლა გახდება, იმოდენად მაინც, რომ ჩიტი ბლოვნად ლირდეს და დევნა მეტი არ იყოს.

არ ვიცით, იქნება ხვნა-თესვის მნიშვნელობას ჩვენში მეტს ბრალსა ვდებდეთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზებზედ ვლაპარაკობთ, მაგრამ საკირველი ერთი ეს უეჭველი ამბავია: რატომ იმ არემარედამ არ გამოდის ასე ხშირად ქურდი და ავაზაკი, საცა მკეილრნი, ხვნა-თესვის გარდა, სხვა მიწის მოქმედებასაც ეტანებიან, მაგალითებრ, მევენახობას, მებალობას, აბრეშუმის მოყვანა იციან და სხვა ამისთანა. იქნება აქ სხვა რამ. მიზეზც იყოს, მაგრამ თვალში საცემად დღეს მარტო ის გარემოებაა, რომ სარჩო-საბადებელის საშოვარი ერთგან მარტო ხვნა-თესვაა, რომელიც გამრჯველს ხელს არ აძლევს, და მეორეთგან — ხვნა-თესვასთან ერთად სხვა-გვარი მიწის-მოქმედებაც, რომელის ნაამაგვეს ბაზარიცა აქვს, ფასიცა და რომელიც პურზედ და სხვა ამისთანაზე უფრო სუბუქი და ადვილი საზიდია, ინ ბაზარში ფასი იმოდენა აქვს, რომ ჩვენებურ გზების ვაი-ვაგლახის ხარჯს და წვალებას იტანს.

თუ ეს ეკონომიური ულონობა, რომელიც თანა-სდევს ჩვენში მხვნელ-მთესველს, დავიჯერეთ იმის თავ-და-თავ მიზეზად, რომ მთიელი ოსი და თათარი საქურდ-ლად და სავაზაკოდ გამოდის, თითონ ეს მიზეზი პირ-დაპირ გვანიშნებს, რა გზით და ლონისძიებით შესაძლოა ცოტად თუ ბევრად ამოიკვეთოს ჩვენში ხსენებული ბოროტმოქმედება და ავკაცობა. გამოუცვალეთ მთიელ ოსს და ელის თათარს იგი გარემოებანი, რომელიც დღეს ერთსაც და მეორესაც პზუთავს, მიეცით და ასწავლეთ

ერთსაცა და მეორესაც იშისთანა გასამრჯველო, რომელიც კაცს დღეს ხელს აძლევს სარჩო - საბადებელის საშოვარად, ასწავლეთ და თვალი აუზილეთ ქვეყნიერობაზე ცოტად თუ ბევრად, გაუკეთეთ გზები, ხიდები, ხელი შეუწყეფ ყოველს ახალს ცდასა, ახლის რასმის შემოლებას და მოყვანას, და სხვა ამისთანას,—და ქურდობა და ავაზაკობა, სულ თუ არ ამოიკვეთება, დიდს კლებაში კი შევა. ხოლო ყოველ ამას დიდი სამშადისი უნდა, დიდი დრო და მოხერხება, დიდი თანდათანობა, რადგანაც აშ არსებულს ვითარებას ყოველივე ეს შიგ გულ-ლვიძლში სწვდება და ძნელია კაცმა ერთის შეტევით და წინდაუხედავად შიგნეული გადმოუბრუნოს უკვე დამყარებულ ცხოვრების ავკარგიანობას. გარდა ამისა, ზოგიერთი ეს ლონისძიება ძალიან გვიან გამოილებს თავისს ნაყოფს და მარტო შორეული მერმისი ჰნახავს მისს კეთილ შედეგსა. ეს იმას არა ჰნიშნავს, ვითომც ეხლავ არ შეუდგეს კაცი დასაწყისს იმის შიშით, რომ ჩვენ არ მოვესწრობაო. გონიერი და წინდახედული დასაწყისი წამლობისა საჭიროა ყოველ-თვის და ყოველს უამს, რაკი სატკივარი შენიშნულია და ცნობილი.

მეტის-მეტი იქნება ყოველივე ხსენებულ ეკონომიურ ულონობას დავაბრალოთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის შიზეზს ვიქვლევთ. თუ ეკონომიური ულონობაა მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა ჩვენში, არიან იმისთანა გარემოებანიც, რომელნიც აქვთებენ და ასაზრდოებენ ამნაირ ავკაცობასა და რომელთა წყალობითაც გაჭირვებული კაცი გაეტაცებინება ხოლმე მაცდურებას — რაც არ უთესნა, ის მომკონ. ერთი ამ გარემოებათაგანი არის იმედი — არავინ გამომეკიდებაო. ქურდს და ავაზაკს ჩვენში შიში არა აქვს, რომ მდევარი, ან მკვლევარი მეყო-

ლებაო. თუ საღმე ქურდობა, ან ავაზაკობა მოხდება ხოლ-მე, მარტო გაქურდული და ჭირისუფალი შეუდგება თავ-ში ცემას, სხვა არავინ არ იტკივებს თავს, თითქო ამის-თანა ბოროტმოქმედება, როგორც ქურდობა და ავაზაკო-ბაა, საკუთარი ჭირი იყოს ცალკე კაცისა და არა მთელის საზოგადოებისა, მთელის ერისა. ადგილის მოხელენი ან იმოდენა საქმეებით არიან დატვირთულნი, რომ ამაები-სათვის ვეღარ იცლიან, ან ისე გულგრილნი, რომ ამის-თანაებს ყურს არ ათხოებენ.

ასეთი გულგრილობა იქიდამ წარმოსდგება, რომ არავინ მოჰკითხაეს ხოლმე მოხელეს, — აბა რა ღონისძიე-ბა იხმარე, როგორ გაისარჯე ამა-და-ამ ქურდობის, თუ ავაზაკობის აღმოსაჩენად. მოხელე, რომელიც უფრო ფრთხილი და გაოსტატებულია, კანცელიარულად „პროტო კოლს“ შეადგენს, ამა-და-ამ დღეს ესა-და-ეს კაცი მოვიდა და გამრმიცხადა, ხარი მომპარესო, და ქურდისა და ნაქურ-დალის აღმოსაჩენად კანონიერი ღონისძიებაა მიღებუ-ლიო. ასე დაწყებული საქმე ამით თავდება. არც ღონის-ძიება, არც ხელის განძრევა, არც აღილიდამ დაძრუა! საკმაოდ მიაჩნია „პროტოკოლის“ შედგენა, რომ თუ ვინიცობაა მოჰკითხონ, გასამართლებელი საბუთი ხელთა ჰქონდეს, საქმე მიწარმოებიაო. ქურდს რა უნდა და ბნე-ლი ღამეო, და ამაზე მეტი სიბნელე განა იქნება-ლა?*

*) ამის დამწერმა ზოგიერთი მაგალითებიც იცის იმისი, რომ სოფულის პოლიციის ბოქაულს ამისთან პასუხი ეთქვას. გაქურდუ-ლისათვის: „მე ხომ შენი მექროხე არა ვარ, შენს ხარ-კამეჩს ვუყა-რაულოვო, წადი, დამეკარგეო“. არ არის სულ ორი კვირა, რაც ერთს სოფელში ერთი უღლი კამეჩი მოჰპარეს გლეხვაცებს. მინ-დორში ვიღასაც დატოვებინა ცარიელი ურემი, შეაბეს თურმე მოპა-რული კამეჩები ქურდებმა ამ ურემში და გაუდგნენ გზას. კამეჩების

საზოგადო სენი -ჩვენებურ მოხელეობისა ის არის, რომ ქურდობა და ავაზაკობა მოხელეს დიდ დავალებულ საქმედ არ მიაჩნია. ბევრს უფრო მეტი შიში და რიდი აქვს უფროსისა, თუ თავის დროზე უწყებები არ ჩააბარა, ვიდრე იმისი, რომ ქურდობისა და ავაზაკობის კვალს არ გამოსუდგა და ქურდი ხელიდამ წაუვიდა. ეს იმისათვის არის ესე, რომ უწყების არ-ჩაბარებას მოიკითხვენ ხოლმე: და ქურდისა და ავაზაკის კვალის კვლევას და არ-დევნას არავინა ჰქითხულობს, თუ ერთი განსაკუთრებული, წრეს გადასული ამბავი რამ არ მოხდა, როგორც, მაგალითებრ, თავ. თომა ციციშვილის სახლზედ დაცემა, ან რომელიმე დიდის კაცის გზაში გაძარცვა, ფოსტის გატეხა და სხვა ამისთანა. იმაზე-კი, რომ გლეხებაც უკანასკნელი ძროხა მოჰქმდეს, წაართვეს, ან დახანჯლეს, ან გოჭკლეს — თავს არავინ იტკიებს. ამისთანავებში საქმაოდ მიჩნეულია, მოხელემ მოახსენოს ვისაც ჯერ არს, რომ ყოველი ლონისძიება ხმარებული იყო და ქურდი და ავაზაკი ვერ აღმოჩნდა. მართლა იხმარა რამ ლონისძიება, ან რა-გვარი ლონისძიება იხმარა, სად რა ჩაიდინა, სად რა მოხდინა, სად რა გზები შეჰქრა, სად რა კვალს დაადგა, ამაებს-კი არავინ ჰქითხულობს.

ჩვენის ფიქრით-კი თხაც რომ დაიკარგოს, პოლიციის ბოჭაულმა თავი უნდა გამოიდოს, მთელი ის არე-მარე

პატრონები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და, რა თქმა უნდა, ვერას გახდნენ. — რატომ პოლიციის ბოჭაულს არ გამოუცხადეთ? — უფრთხოების ჩვენ. — გან, არაო, — გვიპასუხეს: — ორჯელ დავაპირეთ, მივედით კიდეც სახლში და ვეღარ შევბედეთ შიშთ: ერთი აზირებული კაცია, ლანძლვა-თრევრთ გამოგვყრდა. მოდით და ამას იქით იყოთხეთ: ქურდობა და ავაზაკობა რათ, არის-თქო ჩვენში? მაშ, რა იქნება, საცა პოლიციის ბოჭაულადე კაცს შიშით ვერ მიუღწევთა.

ფეხზე დააყენოს, დიდი და პატარა მისძრას - მოსძრას, წავიდ - წამოვიდეს საძებნელად, გეში და კვალი მოხაზოს და არ მოისვენოს, ვიღრე ყოველს საქმიანს და არა კან-ცელიარულს ღონისძიებას და ხერხს ზედ არ შეალევს, რომ ქურდი და ნაქურდალი ხელთ იგდოს, ან საბუთიანად დარწმუნდეს, რომ საქმეს აღარა ეშველება. რა. ამის-თანაებში მარტო ერთი მდევრობა, ხმაურობა და განგა-შიც დიდი რამ არის, რომ ქურდობას და ავაზაკობას მაღად და ხალისი დაეკარგოს ცოტად თუ ბევრად და ცო-ტად თუ ბევრადვე კბილი მოეჭრას. ესეც ღვთის წყალო-ბა იქნება, თუნდ მაგ ხმაურობისა და განგაშისაგან სხვა არა გამოვიდეს-რა. ისე არაფერი არ ამხნევებს ქურდსა და ავაზაკსა, როგორც ყურის მოყრუება მოხელესი და დაუდევრობა. აქ, რასაკვირველია, ტყუილ-უბრალო ფაცა-ფუცს და ციებ-ცხელებას ადგილი არა აქვს, რადგანაც სიცილის მეტს სხვას არ-რას გამოიწვევს. აქ საჭიროა მართალი, საქმიანი გამრჯელობა და მოხერხება და არა ტყუილ-უბრალო ალიაქოთი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყველა ხერხი და ძლიერება ადგილის მოხელეობისა ზედ შეელევა ქურდისა და ავაზაკის გზას, თუ რამ ბოროტი და ავკაცობა მოხდა სადმე და მაშინ მშეიღობით გადარ-ჩენის იმედი. ისე ადვილად ვერ აიყოლებს ბოროტმომქ-მედს და არ წაიტყუებს, როგორც დღეს არის, ჩვენდა სამწუხაროდ.

ყველამ უნდა გული დააჯეროს საქმით და მაგალი-თებით, რომ ქურდობა და ავაზაკობა დიდ ბოროტად მიაჩინა მოხელეობას, რომ ქურდი და ავაზაკი უდევნელად, უძებნელად ვერ გადურჩება, რომ ამ დევნასა და ძებნაში უნდა გამოიჩინოს მოხელემ თავისი ლირსება და სიკეთე და თვით უფროსი მოხელეობა ქურდის დევნასა. და აღმო-

ჩენაში უნდა ჰქოულობდეს ლირსებას. თავისის ხელქვეითის გულმოდგინებისას და ხერხიან გარჯისას.

რომ ამისთანა გულმოდგინებამ ჩენში ფეხი აიღას ავკაცობის ასალაგმავად, პოლიციის მოხელე ყოველთვის უნდა იყოს „ჩა ცეკუ“, რუსები რომ იტყვიან, როგორც საზოგადოების, ისეც უფროსების წინაშე. აი, ჩვენის ფიქრით, ამისათვის რა არის საჭირო: წესად დაიდოს, რომ მაზრის უფროსმა, თუ მის არემარეში ავაზაკობა ან ქურდობა. რამ მოხდა, სულ ერთია თხა მოიპარეს, თუ დიდი რამ საუნჯე — მაშინვე დაუყოვნებლივ აუწყოს გუბერნატორს, სად და როდის რა მოხდა, რა ღონისძიება იქმნა მიღებულ ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად, რა-გვარ მოიქცნენ მაზრის უფროსნი და მისნა ხელქვეითნი ავკაცობის გამომჟღავნების პირველ ხანებში, სად რა გეშია და კვალი მიტანილი, ვისზედ არის. გუმანი აღებული და სხვა ამ-გვარი, რაც ცხადად ჰყოფს საქმიანს მოქმედებას მოხელისას. ვიდრე საქმე ან ისე, ან ასე გათავდებოდეს, ყოველი ახალი ვითარება მისი უნდა ეუწყოს გუბერნატორს. აშ გზით უმაღლესს მოხელეობას თვალი ეჭირება, ზედამხედაობა ექმნება, ვინ და სად როგორ ირჯება, როგორ ასრულებს თავისს მოვალეობას, როგორ გულმოდგინებას და მოხერხებას იჩენს და ყოველ ამის შესაფერად მოექცევა მოხელეს. ყოველივე უქმობა, ყოველივე დაგვიანება, ყოველივე მოუხერხებლობა. ამისთანა შემთხვევაში უნდა სასტიკად მოეკითხოს ხელქვეითსა და ეს შესაძლოა მარტო მაშინ, თუ ამნაირ მიწერმოწერას საქმიანად შიგ ჩამხედავი ეყოლება და არა კანცელიარული გამკითხავი.

ეს თვალყურის ჭერა თვით ხელქვეითსაც აღარ დააძინებს, ყურებს ააცემეტინებს და ბოროტმოქმედების აღ-

მოჩენას დიდ-მნიშვნელობიან საქმედ გახდის, როგორც
მის საკუთარ თვალში, ისეც მეყიდრთა თვალშიაც. ჩვენ
დარწმუნებული ვართ, რომ დაუზიარებელი, სწრაფი,
წინდახედული და ფიცხელი დევნა ქურდისა და ავაზაჟისა
მოხელეთაგან თვით ხალხსაც გამხნევებს ბოროტმომქმედ-
თა სადევნელად, რაკი ჰანავენ, რომ თვით მოხელეობა
ცეცხლმოკიდებული ირჯება და გამხნევებულ ხალხში დიდის
შველას და შემწეობას იპოვის მოხელეობა. იძახიან, ხალ-
ხი არა ჰქონდება მოხელეობასა, ხელს არა სძრავს, ამას
სხვადასხვა მიზეზი აქვს და სხვათა შორის ის, რომ ხელს
არა სძრავს თვით მოხელეობა და ხალხს სხვა არა დარ-
ჩენია-რა, გულ-ხელი გაიკრიბოს და არ მიეცეს ქურდს
და ავაზაჟს. ან დასახანჯლავად, ან სასიკედილოდ, ან
ცეცხლ-წასაკიდებლად, იმიტომ რომ უქმობა მოხელეთა
ყოველ ამისაგან არა უშიშარჲყოფს.

იტყვიან, — ეს მიწერა-მოწერაც რომ ზურგზედ ავ-
კიდოთ სოფლის პოლიციასა, სხვა საქმისათვის როგორლა
მოიცალოსო. ჩვენის ფიქრით, სხვა ძიწერ-მოწერისაგან
რომ შეღავათი მიეცეს პოლიციას და ამ საქმეზე მთაცა-
ლონ, ქვეყანას თუ არ მოემატება, არა დააკლდება რა.
მკედრთა უშიშარყოფა სიცოცხლისა და ქონების მხრივ
ერთი უდიდესი, თუ არ უპირველესი, მოვალეობაა სახელ-
მწიფოსი. უმისოდ არც წინსელა ერისა, არც წარმატება
რაშიმე შესაძლებელი არ არის. ამიტომაც ბევრმა რამ
სხვამ ამ უშიშარყოფის თავისი უპირატესობა და ადგილი
უნდა დაუთმოს, თუ სხვა ლონე არ არის. თუ მაინც-და-
მაინც პოლიციას სხვა უფრო დიდი და მძიმე საქმე აქვს,
მაშინ მკვიდრთა უშიშარყოფას სხვა პატრონი, სხვა მოხე-
ლეობა უნდა გაუუჩინოთ და არ უნდა დავტოვოთ ეს საქ-

მე იმათ ხელში, ვისაც იმისათვის დრო და მოცალეობა
არა აქვს. ეს აშკარაა.

სხვა ამ-გვარს მიზეზებს შემდეგ წერილში ჩამოვ-
თვლით,

VII

იმ მიზეზთა შორის, რომელიც აქვეზებს, ათამამებს
და ამხნევებს ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას, უნდა
ჩაირიცხოს დახანება საქმის გარჩევისა სამსაჯულოს მიერ.
ქურდობისა და ავაზაკობის მოხდენის დღიდამ გარჩევის
დღემდე იმოდენა ხანი გადის, რომ დაზიანებულსაც ლო-
დინით გულს უტეხს, მოწმესაც ავიწყდება ზოგიერთი
წერილმანი, მაგრამ არსებითი გარემოება ნახულისა, ხში-
რად გეში და კვალი დანაშაულისა იშლება და იკარგება
და ამით სიცხადე და საბუთიანობა აკლდება საქმეს.
ქურდობისა და ავაზაკობის საქმეში თვალად წვრილმანი
რამ გეში და კვალი ხშირად უფრო აცხადებს საქმის
ვითარებას, უფრო მართლად და უტყუარად ჰქსნის საქმის
ნასკარა, ვიდრე სხვა რამ. ამისთანა საქმეში მინამ თორნე
ცხელია —პური უნდა გამოცხვეს.

მართალია, ავაზაკობის და დიდ ქურდობის საქმემ,
ვიდრე გასარჩევად წარსდგება, ჯერ უნდა გამომძიებელის
ხელში გამოიაროს, აქ უნდა შეიკრიბოს ყოველივე ჰო.
და არა საქმისა და ყოველ ამას დრო და ხანი უნდა ძალა-
უნებურად. მაგრამ აქაც ტყუილ-უბრალოდ ბევრი დრო
იკარგება ან იმის გამო, რომ გამომძიებელს მოცლა არა
აქვს, ან იმის გამო, რომ გულს არ უდებს, რადგანაც

შომკითხავი არავინა ჰყავს. რაკი გამომძიებელმა შესაძლოდ დაინახა ბრალდებული ან თავდებობით, ან საზღაურით თავისუფლად დასტოვოს და ტუსალად არ დაინარჩუნოს, იმას ბევრი ალარაფერი ატანს ძალას, რომ საქმეს სასურველად აუჩქარდეს. იგი მარტო ტუსალის საქმეს აფიცხებს, რადგანაც, რაკი ტუსალია, საქმეს უფრო ცხარედ ეკიდებიან, თვალყურს უფრო ფიცხად ადევნებენ და უფრო მაღალე მოიკითხვენ ხოლმე. სულ სხვა სიფიცხით მიდის საქმე, როცა ტუსალი ზურგთ არა პკიდია გამომძიებელს, ან სამსაჯულოს. ხალხის თვალში-კი ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი, ორივე ქურდია.

თუ მაინც-და-მაინც ავაზაკობისა და დიდ ქურდობის საქმეში დაგვიანება ეპატივება ვისმე ამა თუ იმ მიზეზითა, წვრილმან პარვა-ქურდობაში-კი ყოვლად შეუწყნარებელია. ჩვენში და სხვაგანაც, თუ სოფლად მოპარვაა რისამე, უფრო პირუტყვისაა, ვიდრე სხვისა რისამე. ეს იმის-თანა ბოროტონქედებაა, რომელიც ხშირად თვით აღვილ-ზედვე სტოვებს გეშსა და კვალსა, მაგალითებრ, ნავალს ქურდისას და პირუტყვისას და სხვა ამისთანას. თუ მოსამართლემ დროზე არ მიასწრო და არ ინახულა ყოველივე ეს, შესაძლოა საბუდამოდ ხელიდამ წაუვიდეს ქურდიცა და ნაქურდალიც. აქ გამოძიება და სამართალი ერთსა და იმავე მოსწრებულ დროს უნდა მოხდეს. ეს აზრია კანონ-მდებლისა, რომელსაც საჭიროდ დაუნახავს მომრიგებელი მოსამართლე ერთსა და იმავე დროს გამომძიებელიც იყოს და მსჯავრის დამდებიცა, რომ გამოძიებამ მსჯავრის დადება არ დაახანოს და მსჯავრის დადებას არ დაუსუსტდეს ცხადმყოფელი საბუთი:

ჩვენში კანცელიარულმა მსვლელობამ საქმისამშობლად დაიმორჩილა მომრიგებელი მოსამართლეობა, რომლის

პირველი და უკანასკნელი ღირსება საცხოველმყოფელი
მოქმედებაა, სწრაფი საქმიანობა, დაუხანებელი სარჩლი
მართლისა და დაზიანებულისა. ჩვენში გაქურდული გლეხ-
კაცი, თუ სხვა-ვინმე, მიდის მომრიგებელ მოსამართლესთან
და შესჩივის თავის გულის სატკივარს; მომრიგებელი მოსა-
მართლე იმის მაგირ, რომ მაშინვე საჩივარს გამოუდგეს
და ხელი ჩაჰეჭიდოს, თუნდ ამისათვის სხვა მორიგ საქმე-
ების გადადება მოუნდეს, წინ იცის როდის პნიშნაეს სა-
ქმეს გასარჩევად. კიდევ შესაჭყნარებელი იქნებოდა ამ
შემთხვევაში დაგვიანება, რომ დრო, საქმის გასარჩევად
დასანიშნავი, შეეტოლოს მარტო იმ ხანს, რაც ბრალდე-
ბულის და მოწმების მოწვევას მოუნდება. ხშირად მომრი-
გებელი მოსამართლე შეურჩევს ხოლმე დროს, როცა თი-
თონ უკვე დანიშნულ მორიგ საქმეთაგან მოცლილია.

ბევრი მაგალითია იმისი, რომ მკვიდრი, ამ დაგვია-
ნების მნახველი და ნაგემევი, სულაც აღარა სჩივის და
გულჩათუთქვილი ემორჩილება თავისს უბედურებას. ამის
გამო ბევრი ქურდობა სამართლამდენაც არ მიაღწევს
ხოლმე და ქურდი უდევნელად და დაუსჯელად ჰრჩება,
და ნუთუ ქურდობას ეს ამისთანა ამბავი გულს არ უკე-
თებს და უქმებს. თუნდ ეგეც არ იყოს და სამართალს
მიჰმართოს დაზიანებულმა, რა მდგომარეობაში სტოვებს
ან მას, ან მოწმეს და მთხრობელსა დაგვიანება საქმისა.
რაკი საქმე გვიანდება, დროც ბევრია ხიფათისა და გან-
საცდელის შესამთხვევად. დაზიანებული და ბრალდებული
უიმისოდაც ერთმანეთზე გულშევარდნილი, უფრო გადაე-
კიდებიან ხოლმე, რაც მეტი დრო და ხანი გადის. კიდევ
კარგია, თუ აღმრული მტრობა ამათ შუა დარჩა, თორემ
ზოგჯერ ისეც მოხდება ხოლმე, რომ მთელი სახლობა და
ნათესაობა ერთისა მეორეს გადაეკიდება და თუ შეხვდნენ

სადმე ერთმანეთს, იქნება სისხლის ღვრაც მოუხდეთ. როგორც დაზიანებული, ისეც მისი მოწმე, ან მთხოვნებელი, მუდამ შიშა და ფიქრშია, რომ დაგვიანებამ საქმისამ დრო და ხანი არ მისცეს ბრალეულს და მის მომხრეთ ჯავრი ამოიყარონ, არ დასწვან, არ გადაპბუგონ და უფრო უარესი არა აუტეხონ-რა. ამნაირს შიშა და ფიქრში მყოფს კაცს რომ რაიმე უბედურება შეემთხვებს ან თავი-სით, ან სხვისით, საკვირველი არა იქნება-რა. დრო და ხანი ამისთანა ამბებისათვის ბევრს შემთხვევას იძლევა. ამ გზით შესაძლოა ერთმა დანაშაულმა მეორე უფრო მძიმე და დიდი უბედურება გამოიწვიოს და მშვიდობიანი კაცი ავაზაკად გაჰქიმოს.

თითონ ბრალეულსაც, ტუსაღად არის თუ თავი-სულად, საქმის დახანების გამო მსჯავრის ლოდინში გული თანდათან უფრო უწილდება, ემლვრევა. მერმისის უცნაურობაში შეშინებულის ფიქრის ტრიალი, ჰოსა და არას შუა ყოველდღე ტოკა, შიშა და იმედ შუა დღე-მუდამ ყოფნა ლოდინით დაუძლურებულ გულს ბრალდე-ბულისას ვინ იცის საით არ გასწევს და გამოსწევს. განა საკვირველია, რომ ამისთანა ყოფაში ჩავარდნილ კაცს შიში იმოდენად გაუზვიადდეს, რომ გულმა უთხრის — თავს უშველეო და კაცმა ფეხი დაჭკრას და ყაჩალად გაეხარდეს. განა ერთი და ორი მაგალითია, ამისთანა სულთა მო-ძრაობას კაცი ძალაუნებურად ავაზაკად გაეხადნოს, რაკი სხვა გზა ვერ დაუნახავს გულისა და ფიქრის დაამებისა და დაწყნარებისათვის.

შესაძლოა ყოველივე ეს საქმის დაუხანებლობაშიაც მოხდეს, მაგრამ დაგვიანება და დახანება ამისთანა შემთხვევას ახშირებს, რადგანაც დრო და ხანი შესწევს განსა-ცდელის მოელენას და გულთა-თქმათა გაძლიერებას.

სწრაფი და დაუხანებელი განაჩენი-კი, — გამართლებისაა, თუ გამტყუნებისა, — რაკი ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს მიზეზიანს ლოდინსა, ბევრს დროსა და ხანს აღარ მისცემს გულთა თქმათა გაძლიერებას, უცნაურობით საშიშს მერმისს დამნაშავისას ცხადჰყოფს და ამით მისს პოსა და არას შუა ყოფნას დასასრული ეძლევა. ამ გზით გულის ჩოჩქოლი ჰნელდება, ფიქრს უცნაური შიში აღარ იტაცებს, უკვე გადაწყვეტილის ბედის დამორჩილება იღვიძებს და გულის-თქმანი წყნარდებიან თვით საქმეში ასე თუ ისე ჩარეულ მხარეთა შორის, ერთის სიტყვით, დიდი ნაწილი განსაცდელის მოვლენის მიზეზთა ულონოდ ჰქდება, უქმდება. დამნაშავე, ან მისი მომხრე-მოკეთე, ისეთივე ადამიანია, როგორც სხვა, და ერთსა და იმავე კანონს სულთა-მოძრაობისას ექვემდებარება და ყოველ ადამიანის თვის ხოშ დანახული, განცხადებული განსაცდელი უფრო ადვილად გასაძლოლია და ასატანი სულიერად, თუ ხორციელად, ვიდრე უცნაური მოსალოდნელი, რომელიც ადამიანს მით უფრო ძლიერ აბოროტებს, აშთოთებს, გულსა და ფიქრს უმღვრევს, რამოდენადაც შეტს ხანს მოქმედობს თავისს მსხვერპლზე.

აქაც ვიტყვით: იქნება ჩვენ ვცდებოდეთ, რომ საქმეთა გარჩევის დაგვინებას ამოდენა მნიშვნელობას ვაძლევთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის გახშირების მიზეზებზეა საყბარი. ან იქნება ამ დაგვინებას იმ მხრით არ მოვაქცით, საიდამაც უფრო უეჭველად დასახანაგვია მისი ასეთი თუ ისეთი ზედმოქმედება. ეს ყველათერი შესაძლებელია და ჩვენის მხრით მეტის-მეტი ახირება იქნება ამაში გაუუჭირგეულდეთ ვისმე. ხოლო არც უიმისობაა, რომ კაცმა სრულიად თვალი მოარიდოს ამ გარემოებას და ანგარიში რამ არ გაუწიოს ცოტად თუ ბევრად. თუ ესეა,

საჭიროა კაცი ჩაუფიქრდეს ამ გარემოებას და წამალი რამ იღონოს. შემდეგს წერილში ვეცდებით, ჩვენის შეძლებისამებრ, ამ მხრით გამოვარკვიოთ რამ,

VIII

ჩვენ წინა-წერილებში მოვიხსენიეთ იგი მიზეზნი, რომელნიც აქტებენ და ათამამებენ ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას. ამ მიზეზთა შორის უკანასკნელ დავასახელეთ დაგვიანება საქმეთა გარჩევისა სამსაჯულოს მიერ. იქნება ჩვენ საკმაოდ და სასურველის სავსებით ვერ დავასაბუთეთ ეს ჩვენ მიერ დასახელებული მიზეზი, მაგრამ ამაზე-კი უარს არავინ არ იტყვის, რომ საქმის გარჩევის დახანება და დაგვიანება არ მოქმედებდეს ცოტად თუ ბევრად ქურდობისა და ავაზაკობის წახალისებასა და წათამამებაზე. მაშასალამე, თუ გვინდა ამ მხრით ცოტა რამ ხელი შეეშალოს ქურდობას და ავაზაკობას, საჭიროა წამალი რამ მოვიხეზოთ, რომ საქმეთა გარჩევას სასურველი და შესაძლებელი სისწრაფე მიეცეს.

იმ გარემოებაში, რომელშიაც დღეს ჩვენი მართლ-მსაჯულებაა და წესნი მისთა საქმეთა წარმოებისა, იქნება საჭირო იყოს ძირებული რამ ცვლილება. ამ მხრით საქმის გამოკეთება და მართლმსაჯულების წეს-რიგის გაჩარხვა არ შეადგენს საგანს დღევანდელ ჩვენ წერილებისას. ჯერ იმიტომ, რომ ჩვენ ულონნო ვართ ამისთანა მძიმე საქმე ვიტვირთოთ და მეორე იმიტომ, რომ გაზეთის მოკლე წერილებით ძნელია კაცი ამ ტვირთს გაუძლვეს. ჩვენ მარტო გავკადნიერდებით და იმ გზას ვუჩვენებთ, რომე-

ლიც ძირეულს ცვლილებას არ შეხება და დღესვე შესაძლოა ადვილად აღსრულებაში მოვიდეს.

ცველზე უწინარეს ჩვენი ყურადღება უნდა მიექცეს მომრიგებელ მოსამართლეობას. რა ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ აქ საქმეთა გარჩევა არ იგვიანებდეს? ჩვენის ფიქრით, ერთად-ერთი ღონისძიებაა: უმაღლესმა მთავრობაშ, რომელსაც ექვემდებარება მომრიგებელი მოსამართლეობა, ცველაზე მძიმე საქმედ უნდა მიიჩნიოს ქურდობა და მიაჩნევინოს თვით მომრიგებელ მოსამართლეობას. რომ ეს მიჩნევა უქმდა არ დარჩეს და სასურველი ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა ზედამხედაობა მომრიგებელ მოსამართლეზე გაძლიერდეს, გასაქმიანდეს. მომრიგებელ მოსამართლეს უნდა ებრძანოს, დაუყოვნებლივ, რაკი ქურდობაზე საქმე ასტყდა, საქმეს ხელი ჩაჰურდოს, თუნდ ამისათვის სხვა მორიგ საქმეების გადადება მოუნდეს. თვისა და თვის თავს, საცა ჯერ არს, ანგარიში წარუდგინოს, თვის განმავლობაში რამდენი საქმე გაუჩნდა ქურდობისა, რამდენი რა ხანში და როგორ გაათავა, რამდენი დარჩა და რა პატივსადები მიზეზია საქმის დარჩენისა სამერმისოდ. ამ ანგარიშიდამ, თუ მარტო ფორმალურად არ იქნება განკითხული, აშეარად გამოჩენდება, ვინ როგორ ირჯება და მომრიგებელ მოსამართლეობის უფროსობას ხელთ ექნება ყოველთვის საბუთი ზედამხედაობისა და თვალყურის ჭრისათვის; ამ გზით ზედამხედაობა და თვალყურის ჭრა თვით მომრიგებელ მოსამართლესაც არ დააძინებს, რადგანაც შესაძლო იქნება ყოველივე დაგვიანება საქმისა მოეკითხოს და, თუ პატივსადები მიზეზი არ აქვს, უსაყვედუროდ არ გადარჩეს: ეს შიში საყვედურისა და ერთობ სამსახურში სახელის წახუნისა საქმაო ღონეა,

რომ მომრიგებელმა შინაგანი მთელი თავისი ბეჭი-
თობა იხმაროს საქმის დაუხანებლობისათვის.

რაც შეეხება იმ საქმეებს, რომელიც დიდი ქურდო-
ბას და აფაზაკობას შეადგენს და ექვემდებარება ოლქის
სასამართლოს, ჯერ საქმე უნდა აჩქარდეს გამომძიებლის
ხელში და მეტე ოლქის სასამართლოში. რომ ან ერთგან,
ან მეორეთგან საქმე არა ბრკოლდებოდეს, ჩვენის ფიქ-
რით, საჭიროა ყოველივე ავტაცია, რომელიც მიმართუ-
ლია სხვის ქმნების პარგა-მტაცებლობაზე, მიენდოს გან-
საკუთრებულს გამომძიებელს და განსაკუთრებულს ნაწილს
ოლქის სასამართლოსას. ეს განსაკუთრებული გამომძიე-
ბელი და განსაკუთრებული ნაწილი ოლქის სასამართლო-
სი მარტო ქურდობისა და ავაზაკობის საქმეებზედ. უნდა
იყოს მიჩემებული და სხვა სისხლის სამართლის საქმეთა-
გან თავისუფალი და ყოვლად მოცლილი.

ჩვენ წინა-წერილში, ჩვენის შეძლებისაშებრ, ვაჩვე-
ნეთ, როგორ უნდა მოეკითხოს სასოფლო პოლიციას ქურ-
დობისა და ავაზაკობის საქმენი. აქაც ჩვენ ჩვენი ვთქვით,
რა გზით შესაძლოა სასამართლოებში უკრად თუ ბევრად
აჩქარდეს საქმეთა წარმოება შესახებ ხსენებულ ავტაცი-
ბისა, მაგრამ შორსა ვართ იმაზე, რომ ვიფიქროთ, ვითომ
ამით სრულად ბოლო მოეღოს ქურდობასა და ავაზაკო-
ბასა ჩვენში. ეს კია, რომ თვალაცქვეტით ყოფნა პოლი-
ციისა, საწრაფო და ფიცხელი ძიება და დევნა ავტაცი-
სა, სწრაფი და დაუყოვნებელი მართლმსაჯულება დიდის
ზედმოქმედებას იქონიებს ხალხზე, ბევრს გაამხნევებს,
ბევრს ხელს გამოალებინებს და მთავრობა თვით მკვიდროა.
შორის მოგაბებს შევლას და შემწეობას. ესეთი მღვიდა-
რება ცალკე მთავრობისა, ცალკე მცვიდრისა, ბევრს წა-
ართმევს ხალისს, ბევრს მოუკლავს მაღას სხვის ქმნების

ქურდობით და ავაზაკობით შეძენისას. იმედს დაუსჯელად გადარჩენისას, ან მთავრობის ხელიდამ თავის დასხლეტი-სას, ბევრად შეასუსტებს, ბევრად შეამცირებს ასეთი შე-ერთებული ფიცხელი ზედმისევა პოლიციისა, მკვიდრისა და სასამარიალოსი.

ერთი დიდ წნიშვნელობიანი მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა მკვიდრთა უიარალობაა. ქურდი, ავაზაკი თა-ვიდამ ფეხამდე გამოწყობილია თოფუ-იარალით მაშინ, რო-დესაც ძნელად-ლა ჰნახავთ ჩვენში სოფელს, რომ თოფი მოიპოვებოდეს. ხალხი იარაღ-აყრილია და, მაშიანდამე, ყოვლად ულონოშ, რომ თავი გამოიდოს ავაზაკის მოსა-გერებლად და დასახვედრად, და რის შიში-ლა აქვს ავა-ზაკს და ქურდსა? ამიტომაც ასე სასაცილოდ აგდებული ჰყავთ ავაზაკებს სოფელიც და მისი მკვიდრნიც. სასაცი-ლოდ აგდება არ არის, მაშ რა არის, რომ შუადღისას სოფელში მთელი გუნდი ავაზაკებისა შედის, რაც ჰქურს, ყოვლად დაუსჯელად იმას სჩადის, იტაცებს, სძარცვას, ზოგჯერ სოფელს ხარჯს ახდევინებს და მშვიდობით გა-მოდის, თითქმითავისს სახლში შევიდა და გამოვიდაო. განა ერთი და ორი მაგალითია იმისი? ვისი რიცი და შიში უნდა ჰქონდეს ავაზაკსა, როცა არავის ხელში არა-ვითარი იარაღი არ ეგულება მთელ სოფელში. ან რა ჰქმნას თვით სოფლელმა კაცმა, თუნდაც დიდმა გულად-მა და თავგამომეტებულმა? ცარიელ მუშტით ხომ წინ არ დაუდგება კარგ თოფუ-იარალში გამოწევებილ ავაზაკს? ან თუნდ დაუდგეს, რა გამოგა აქედამ, გარდა ავაზაკის გა-მარჯვებისა და მშვიდობის-მოყვარე კაცის დამარცხებისა, წახდენისა, და იქნება სიკვდილისაც.

ამბობენ, იარაღის აყრა ამიტომ არის საჭირო, რომ აქაური ხალხი გულფიცხი ხალხია, ლხინსა თუ ჭირში,

ხან უბრალო ჩხუბში, შაშინვე იარაღსა სწვდება, ერთშან
ნეთს აფუჭებენ, ჰხანჯვლენ და ზოგჯერ ჰხოცვენ კიდე-
ცაო. კარგი და პატიოსანი. თუ ამისთანა ზომებით ეს-
გვარი დანაშაულობა მოისპობა, იარაღის აყრა ძალიან
მოსაწონებელია და სასურველი. ხოლო ესე კია? მას აქეთ,
რაც იარაღი აიკრძალა, ამ-გვარმა დანაშაულობამ განა-
იყლო? დიდად საეჭვოა. თუნდ ექლო კიდეც, განა ამ-გვარ
დანაშაულობის კლება და ავაზაკობის გათამამება. ერთი
მეორეს ჰქონდას?

დანაშაულობა, რომელიც წარმოსდგება ჩხუბისა და
ერთმანეთის წაკიდებისაგან, ჯერ კიდევ იმას არა პნიშ-
ნავს, რომ დამნაშავე ავაზაკია, გულით წამხდარი კაცია.
ეს-გვარი დანაშაულობა შეიძლება ფათერაკად შეემთხვეს
ყოვლად პატიოსან კაცსა და ამიტომ ამისთანა დამნაშა-
ვე საშიში არ არის საზოგადოებისათვის. სულ სხვაა ავა-
ზაკი, იგი დაუძინებელი მტერია, დაუძინებელი ბოროტია
ყველასი. ბევერუბა მისი მუდამი ხელობაა. თუ უიარა-
ლობა პირველ-გვარ დანაშაულობას უშლის ხელს, ავაზა-
კობას ხომ ხელს უწყობს, რადგანაც უშიშარპყოფს და
მით ათამამებს. ეს სწორედ იმასა ჰქონს, ვაის გავეყარე
და ვუის შევეყარე.

ეთქვათ, უიარალობამ გადავგარჩინა პირველ-გვარ
დანაშაულობას. ხოლო ამ ზომამ რომ მთელი ქვეყანა ავა-
ზაკის სარბიელად, ავაზაკის ლუქმად გაპირდა, განა კაც-
მა ამას ანგარიში არ უნდა გაუწიოს? განა ამას ფიქრი
და წამალი არ უნდა? რათ გაძლიერდა, ან რათ არის
ავაზაკობიო? სხვათა შორის იმიტომ, რომ ავაზაკს შიში
არა აქვს უიარალო კაცისა, უიარალო სოფლისა. იცის,
რომ წინ არავინ დაუდგება, არავინ გაუძალიანდება, არა-
ვინ გამოეკიდება, არავინ გამოუტგება და რამ უნდა შეუ-

შალოს ხელი? ისიც მიდის და არხეინად ჰთარეშობს. ესე-
თი მდგომარეობა, ჩვენის აზრით, წაქეზებაა ქურდისა და
ავაზაკისა, მიზეზია მისის გაკაღნიერებისა და ხელის გაშ-
ლისა. გარდა ამისა, უიარალო მკვიდრი აღარც თავისის
თავისათვის არის, აღარც მეზობლისათვის, აღარც მთავ-
რობისათვის, როცა საჭიროა ავაზაკის დევნა და წინ და-
ხვედრა. ამით მთავრობას აკლდება იგი ძლიერი ღონეს,
რომელსაც წარმოადგენს ამისთანა შემთხვევაში მხნეობა
და თავის-გამოდება მკვიდრისა და საზოგადოებისა. აქ
ხელშექრულია მარტო მშვიდობის მსურველი და მფარვე-
ლი მკვიდრი და ხელგახსნილია მარტო ქურდი და ავაზა-
კი. ჩვენა გვგონია, რომ ეს შეუფერებელი მდგომარეობაა,
ადამიანის ყოფა-ცხოვრების თვალით რომ დაგაკვირდეთ,
და საჭიროა ასეთის უხერხულ მდგომარეობისაგან გამო-
ყვანა აქაურ მკვიდრისა.

თუ ყველას, ესე იგი თვითოეულს მსურველს ცალ-
კი ვერ ენდობა თოფ-იარალი იქონათს, ეს მაინც უნდა,
რომ თვითოეულ ცალკე სოფლის საზოგადოებას დაუ-
რიგდეს იარალი, იგი ებაროს ერთს ვისმე სოფლის მო-
ხელეს, რომ საჭიროების დროს მოიხმარონ. თუ მთავ-
რობისაგან დარიგება იარალისა ამა თუ იმ მიზეზით
არ არის შესაძლებელი, თვით სოფლის საზოგადოებას
შაინც ნება მისცენ და საცა საჭიროა დაავალონ იარალი
იქონიონ სამდევროდ და საგერებლად. როგორ და რა
გზით მიენდოს სოფლის მოხელეობას თოფ-იარალი, ამისი
წეს-რიგი აღვილად შესაღენია და ჩვენ ამას არ გამო-
ვუდგებით. საქმე თოფ-იარალის ნებართვაა და ჩვენ მარ-
ტო ეს აღვნიშნეთ, სხვას ყველაფერს აღვილად მოევ-
ლება.

ამით ვათავებთ ჩვენს წერილებს ქურდობისა და ავა-

ზაკობის თაობაზე ჩვენში. დასასრულ, იმას დავძენთ, რომ
სახეში არა გვქონია უქმი იმედი, ვითომც სრულად ამო-
საკეთად სევნებულ ავკაცობისა რაიმე გზა და ლონე გვე-
ჩვენებინა. ეს რომ შესაძლებელი იყოს, ჩვენზე უკეთესი
ჩვენზე აღრე აღმოაჩენდნენ მაგისთანა გზასა და ლონესა
და ქვეყანაზე ქურდობა და ავაზაკობა აღარ იქნებოდა.
არ არის იმისთანა ქვეყანა, თუნდაც ძლიერ დაწინაურე-
ბული სიმდიდრით და განათლებითა, საკა ამ-გვარი ავაზა-
კობა არა ჰპუდობდეს და არ იჩნდეს თავს. ამის ძირე-
ულს მიზეზებს ფესვი მაგრა და ლრმად გადგმული აქვს,
როგორც ჩვენში, ისეც სხვაგან, იმ ავკარგიანობაში, რო-
მელსაც წარმოადგენს მეტ-ნაკლებობა საეკონომიო და სა-
ზნეო ვითარებისა. ამაშია მისი სათავე და ამ გზით ამო-
წურვა საქმისა საჭირო საქსებითა ბევრს ძიებას, ცოდნას და
შიგ-ჩახელულობას თხოულობს. გარდა ამისა, საეკონომიო
და საზნეო ვითარების განკარგება, გასწორება იმოდენად,
რომ ამ მხრით საზრდოება მოაკლდეს ქურდობასა და
ავაზაკობას, ბევრს დროსა, ბევრს რთულს გარჯას და
მეცადინების ნდომულობს. მინამ აქედამ საქმეს ეშველე-
ბა რამ, ბევრი წყალი ჩაიგლის, თუმცა საჭიროა-კი, ნა-
მეტნავად ჩვენში, მალე მიჰყონ ხელი ამ განკარგებას და
ეხლავ დაიწყონ მეცადინება.

ამ მიზეზით ჩვენ ეს საეკონომიო და საზნეო სა-
ჭიროებანი მარტო გაკვრით მოგიხსენიეთ და უფრო
ვრცლად თვალ-წინ დაიყენეთ იგი გარემოებანი; რომელ-
ნიც გარედამ ხელს უწყობენ ჩვენში ქურდობის და ავა-
ზაკობის გახშირებას და ნავარდობას. ეს-გვარნი გარემო-
ებანი თვალ-და-თვალ დასანახვი არიან და აღვილად გა-
მოსაკეთებელნი. იქნება ჩვენ მიერ ნაჩვენები ზომიერებანი
იმდენად არ ჰშველოდნენ საქმეს, რამოდენადაც სასურვე-

ლია. უკეთესთა ზომიერებათა მონახვა და აღმოჩენა შეუძლიანთ ჩვენზე უკეთესად საქმეში შიგ ჩახედულთა, ხოლო ჩვენ-ებ მაინც ამას ვიტყვით, რომ გაურჯელობა მოხელეობისა, დაგვიანება სამართლისა, და ყოველ ამითი გულის გატეხა მცვიდრისა, იგი უთოფე-იარალობა, რომელიც ავაზაქს ხელში უშიშრად აძლევს ხალხის მშეიჭობით ყოფას; ხალხის ქონებას,— ისეთნი მიზეზნი არიან, რომ ამაებს ანგარიშის გაწევა უნდა. კიდევ ვიტყვით, აღმოკვეთა ამა მიზეზთა მთლად არ აღმოჰკვეთს ქურდობასა და ავაზაკობას, მაგრამ უმჭველად ალაგმავს, შეაცოტავებს, შეასუსტებს, და სხვა არა იყოს-რა, ხელს მაინც არ შეუწყობს, და ესეც მოვება იქნება. იმედი უშიშრად გადარჩნისა, ან ასე თუ ისე თავის დაძრენისა, ბევრსა ჰქონდობისა და ავაზაკობის გაჩენას და გახშირებას. ავის ზნის კაცს ეს იმედი აჭინებს და ათამამებს და საჭიროა ამ იმედს გზა შეეკრას, ეს იმედი ჩამოართვან ქურდსა და ავაზაქსა.

[1897 წ.]

ରୂପକାଳୀ ଲେଖଣି

(1888)

ტფილისი, 12 დეკემბერი 1888 წ.

დედათა საქმე, რომელიც ჩვენში მანათლულია ქა-
ლების საქმედ, დღითი-დღე წინ. მიდის განათლებულს
ქვეყნებში, დღითი-დღე მომხრეებსა ჰპოულობს, ძლიერ-
დება და კუთხნილს ადგილს იქტერს ადამიანის ცხრვრება-
ში. დედათა მხნეობა, სამართლიანის უფლების მოპოვე-
ბაზედ მიმართული, აღარა პრჩება „ხმად მღალადებელად
უდაბნოსა შინა“ და დღე თითქმის ისე არ გადის, რომ
საღმე—რასაკეირველია, განათლებულს ქვეყნებში—კი—ცო-
ტიდ თუ პევრად დედათა საქმე ფეხს არ იმაგრებდეს და
ცხრვრების სარბიელზედ ცოტ—ცოტაობით მაინც აღვილა
არ იპყრობდეს შემდეგის წარმატებისათვის. დედათა სქე-
სმა კატობრიობის უკეთესთა წარმომადგენელთა თაოსნო-
ბით, ღვაწლით და გარჯით უკვე დაიმტკაცა უფლება
უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და ეხლა
მარტო ბრძანი და თვალახვეულნი ღა ეურჩებიან ამ უფ-
ლებას. დედათა სქესმა დაიკურა ამასთანავე ზოგიერთს
სფერაში უფლება სახელმწიფო, თუ საზოგადო სამსახუ-
რისა და თუმცა აქ ბევრი რამ კიდევ დარჩენია დასა-
პყრობად, მაგრამ ეს პირველ-დაწყებითი ბიჯიც უმნიშვ-
ნელო არ არის შემდეგისათვის. იგი უსამართლობა, რო-
მელიც დღეს-აქამომდე დედათა სქესს; ამ ნახევარს მთე-

ლის კაცობრიობისას, საძირაოდამ და სამზარეულოდამ გარეთ არ უშევებდა და ამათ გარე არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე რომ ლუქმა-პურის საშოვარის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ვეღარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულს მოძრაობას.

რომ უფრო დიდი ავალა მისცენ ამ მოძრაობას და დედათა სქესს მისი სამართლიანი ადგილი მიეზომოს კაცთა ცხოვრებაში, დედათა საქმე ამ ბოლოს ხანებში იმაზედ მიიმართა, რომ ქვეყნის საქშეთა გამგეობაში და კანონმდებლობაში ხმა მიანიჭოს დედათაცა, როგორც მამაკაცთა აქვთ მინიჭებული. ამ მხრით ამერიკამ ჯერ-ხანად ჟველა ქვეყნებს წინ გაუსწრო და იქ დღეს არამცთუ ვისმე ეხამუშება, რომ მოხელეთა და ქვეყნის საქმეთა გამგებელთა საარჩევანოდ მამაკაცებთან ერთად დედათაც კენჭი იქონიონ, არამედ თითონ დედანიც-კი რომ ამორჩეულ იქმნან თუნდ რესპუბლიკის პრეზიდენტადაც, არავინ გაიკვირებს და იოცებს.

აშ ხანებში ამერიკის ქალაქში, რომელსაც ბოსტონი ჰქვიან, ქალაქის გამგეობას არჩევანები იყო. თუმცა როგორც აქ, ისე სხვაგანაც ამერიკაში, დედათა აქვსთ უფლება არჩევანში მონაწილეობისა, მაგრამ დღეს-აქამომდე დედანი ამ უფლებას ბევრს არაფერს დასდევდნენ და არ ერევოდნენ არჩევანებში. ეხლა-კი, ამ ბოლოს არჩევანებში, თითქმის ყველანი მოსულიან და დედათა კენჭის წყალობით დემოკრატები, რომელთაც აქამომდე ხელთ ეპურათ გამგეობა ქალაქისა, დამარცხებულან და რესპუბლიკელებს გაუმარჯვნიათ. 22.000 დედაქაცი ჩაწერილი, საარჩევანოდ მოსული. ამათ თავისი საკუთარი კომიტეტი ჰქონიათ, „ასთა დედათა“. ამ „ასთა დედათა“ კომიტეტს ისე ხერხიანად წაუყვანია არჩევანის საქმე, რომ სწავლა-

განათლების საბჭოში და ქალაქის გამგეობაში სულ თავისი მომხრე რესპუბლიკუნელები გამოურჩევიათ.

თუმცა ევროპაში ესე საქმეში გამოყენებული უფლება დედათა სქესისა თითქმის არსად მაგალითს არ წარმოგზდებენ, მაგრამ დედათა სანუგეშოდ უნდა ესთქვათ, რომ აქაც-კი არჩევანის საქმეში აზრი მათკენ არის გადახრილი და ლამის დღესა თუ ხვალ საქმითაც განხორციელდეს. კონსერვატორთა მეთაური სალუსბერი, რომელიც დღეს მთავარ-მინისტრია ინგლისში, მომხრეა იმისი, რომ დედათა მიენიჭოთ საარჩევანო უფლება. ამას წინათლორდი სალუსბერი ყოფილა შოტლანდიაში, ეს მომხრეობა გამოუცხადებია და ყველანი გაუოცებია, რადგანაც კონსერვატორთა მეთაურისაგან არავინ არ მოელოდა დედათა უფლებისათვის გამოსარჩევებას. ედინბურგში უთქვამს, რომ მე ჩემ-თავად არ ვეურჩები ამ მხრით დედათა ემანიპაციასაო და „შორს არ არის ის დრო, როცა დედათაც ექნებათ ხმა ამორჩევისა, როცა ისინიც მიიღებენ მონაწილეობას როგორც ჩვენის ქვეყნის საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობასა და მიმართულებაში, ისეც საპოლიტიკო კაცთა ამორჩევაშიო“. ამისათვის არავითარს დაბრკოლებას არა ჰქოდავს მთავარ-მინისტრი ინგლისისა.

თუ კონსერვატორთა მეთაური ასე ძლეულა დედათა საქმის სამართლანობითა და ასეთის აზრით გამსჭვალულა ამ საქმის სასარგებლოდ და გასამარჯვებლად, სხვას ვისლა არა, აქეს საბუთი სთქვას, რომ შორს არ არის ის დრო, როცა დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა შოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილის ადგილის დასაჭერად. რაკი დედანი კანონმდებლობაში ხმას მოიპო-

ვებენ მისთა მომხრე კაცთა წარმომადგენელობით და ქვე-
ყნის საქმისა გამგებლობის ამორჩევაშიაც მონაწილენი
იქნებიან, ამ გზით დიდს ზედმოქმედებას იქონიებენ თვით
კანონებზედ, რომელნიც დღეს სჩაგვრენ და პხუთვენ დე-
დათა სამართლიანს უფლებას. ამ ზედმოქმედების სიმძი-
მის ქვეშ შეიცვლებიან ის კანონები და დედათა საქმე
წარმომატებს იმოდენად, რამოდენაც შესაძლოა თვით ამ
საქმის ბუნებისაგან, იმიტომ რომ განვებ მოგონილი ბორ-
კილი ალარ შეუშლის ფეხს, ამ ბორკილისაგან დახსნილი
იქნება და მარტო თავის ბუნებაზედ-ლა. დამოკიდებული.

ტფილისი, 6 მარტი. 1889 წ.

რაც გინდ დიდ გაჭირვებაში ჩავარდეს კაცი, ერთად-ერთი გზა ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა და გამრჯელობაა. მართალია, შესაძლოა სხვა გარემოებამაც ხელი შეუწყოს კაცს გაჭირვებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავი-და-თავი მომქმედი ძალი მთა-კლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვითმოქმედებაა. უძინისოდ სხვისით საქმის წარმართვა, სხვისით ხსნა, სხვისაგან მოლოდინი შველისა და ხსნისა უფრო მიძინებაა მხნეობისა, თვითმოქმედებისა და თავის-თავის შველისა, ვიდრე საქმის გაჩარხვა, კეთება და წარმატება.

კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს,—აცაროდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მთხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი. ამისთანა კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისევ იმავ დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამაღლოდ გამოხსნამდე იყო, იმიტომ რომ თითონ უქმია და მოედანი ცხოვრებისა-კი იმისია, ვინც თითონ მხნეობს და ირჯება თავის-თავის საშველად. საზოგადოებას აიღებთ, თუ ცალკე კაცს, ყველგან ერთს და იმავე უცვალებელს ბედისშერასა ჰედავთ, რომ მარტო საკუთარს თვითმოქმედებას, მხნეობას, გამრჯელობას წარუმართნია საქმე როგორც საზოგადოებისა, ისეც ცალკე კაცისა. რომელი საზოგადოებაც,

თუ ცალკე კაცი, სხვაზედ დანდობილა და თითონ გულ-
ხელი დაუკრებია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ
გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცო-
ცხლეა—იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, საფლავამდე
წასაღებად.

ჩვენ ეს საუბარი ჩამოგვაგდებინა ერთხა წერილმა,
რომელიც 4-ს მარტს ჩვენს გაზრდიში იყო დაბეჭდილი ამ
სათაურით: „საზოგადოების საყურადღებოდ“. ჩვენდა
სასიხარულოდ, ამ წერილში ის ვიბოვეთ, რასაც არა-
ერთხელ ვნატრულობდით ეგრეთ-წოდებულ „დედაკაცთა
საქმის“ ჭეშმარიტს გზაზედ დასაყენებლად და, მაშასადა-
მე, წარსამატებლად. ამ წერილში არ არის ის უქმილო
საყვედური და უქმი ჩივილი, რომ აი, თქვე გულ-ქვაო
კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწი-
ლებთო? რატომ იმისთანა თავისუფლებას ჩვენც არ გვა-
ძლევთ, რომელიც თქვენ ასე ტკბილად გატარებინებთ
თქვენს სიცოცხლესაო და სხვა ამისთანა? არც ის უთავ-
ბოლო ფრაზებია იმაზედ თუ,—დედაკაცს ქვეყანაზედ
მარტო სამი „უწმინდაესი, უსამლეთოესი დანიშნულება“
აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქო ყველაზედ
უწინარეს იგი იმავე აღამიანად არ იყოს გაჩენილი, რო-
გორც მამაკაცი და, მაშასადამე, მინამ დედობას, ცოლო-
ბას, დობას იჯისრებდეს, ყველაზედ უწინარეს იგივე ადა-
მიანობა არ მოქმედობდეს, როგორც მამაკაცს. დედო-
ბა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი
ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკა-
ცობაა, კაი აღამიანობაა, ანუ, უკეთ გსოვნათ, კაი კაცო-
ბაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და
სხვა. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა
კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და

ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძლეს, მამაკაცია, თუ დედაკაცი. ამას მარტო კარ-კაცობა შესძლებს. ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმი-ტომ რომ მამობა და დედობა აღამიანური, მარტო შვილე-ბის გამრავლება და ძუძუს წოდება არ არის.

ჩვენ ეს, ამ-ხანად მოკლედ გამოთქმული, აზრი იქნე-ბა ოდესმე შფრო ვრცლად გავარკვიოთ, ეხლა-კი ისევ ზემოხსენებულ წერილს დაგუბრუნდეთ. პატივცემული ავ-ტორი ქალი გვაუწყებს, რომ ჩვენს ქალებს უთავნიათ, ლონე მოიპოვონ და სკოლა გაქმართონ ქალების გასაზრ-დელად და თვით გაზრდა შეუფერონ ჩვენის დღევანდე-ლის დღის საჭიროებასა.

„უთუოდ მეტყვით, მყითხველო,— ამბობს ავ-ტორი,— რომ ამ-გვარ სკოლას დიდი-ძალი ფული მოუნდება.— მაგრამ, ბატონებო, თქვენის დახმარებით და ჩვენის მეცადინეობით იქნება ეს აზრი საქმედ ვაქციოთ. უქვევლია, საქართველოს ყველა კუთხით-გან გამოგვეხმაურებიან, ხელს მოგვაწვდენენ, აღმო-გვიჩენენ შემწეობას და ამითი გაგვამხნევებენ და შეგვისუბლებენ იმ ტვირთს, რომელიც ჩვენ ვიდეთ კისრად“.

ჩვენ ამ წერილისა ის მოვწონს და ის გვიხარიან, რომ ჩვენს ქალებს თავის-თავის შეველა მოუწადინებიათ და სათავედ დაუდვიათ საკუთარი მხნეობა, საკუთარი მე-ცადინეობა. უკეთესს სახსარს, უკეთესს ღონეს სხვას ვე-რას იპოვიან, თუ მართლა პსურთ საქმის გაკეთება და არა ტყუილ-უბრალო წივილ-კივილი. ჩვენ ეს ანბავი სიხარუ-ლით შეგვაქვს ჩვენს მატიანეში და მივულოცავთ. ჩვენს ქალებს, რომ კეშმარიჩს გზას დასდგომიან თავიანთ სვე-

ბელის გასასწორებლად. მალე შეუსრულდებათ ეს კეთილი განზრახვა, თუ გვიან,—დღეს საქმე იმაში არ არის. საქმე იმაშია, რომ თავიანთი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა დაუდვიათ სათავედ თავიანთ მოქმედებისათვის და შესდგომიან, რომ თავის საკუთარის ხელითა და გარჯით გაიტანონ ცხოვრების მოედნიდამ თავიანთ სკე-ბედის ბურთი. რაც გინდ ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდეს პირველ ხანებში ამ ქალებისაგან განზრახულს საქმეს, ბოლო მაინც გამარჯვებაა და გამარჯვება, რადგანაც იშვიათი ამბავია, რომ დაულალავს მხნეობასა და საქმის ბოლომდე მედგრად მიყოლას თავი არ გაეტანის. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენს ქალებს წესად მიულიათ, რომ —

„თუ თვით არ ვიღვწით, ვერ ვპოვებთ
კეთილსა შესაკრებელსა“.

ტფილისი, 15 მარტი 1889 წ.

თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დი-
ლი ხელმძღვანელობა. გაგვიწია წარმატების გზაზედ და
დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს
სულიერს ძალლონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს
აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას
ზედ დააჩნია მან თვისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს
ჩვენში არც ერთი მოლვაწე და მომქმედი კაცი მწერლო-
ბაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუ-
ფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან.
საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ
გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატუ-
რამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება
ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითონეული ჩვენგანი,
გინდა თუ არა, უნდა დასწავებოდა ამ ორს წყაროს თავის
სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამი-
ტომაც საბუთი გვაქვს ესთქვათ, რომ თვითონეული ჩვენგა-
ნი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითონეულს
ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თა-
ვისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგა-
დო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოუჩ-
ჩევია.

რასაკვირველია, ამ ზედმოქმედებამ რუსულის ლი-
ტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც
ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუ-

თარ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა,
ბრმად არ მიიჩემა და ამ-რიგად არ დაიხვია ხელზედ
ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. ყოველი აზრი მარ-
ტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის
ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია.
ამნაირი კაცი კაჭკვითა და არა კეშმარიტი წარმომადგე-
ნელი მის მიერ ქადებულის აზრისა, რომელიც თუ სხვისა-
გან დაუქემებია, კრიტიკის ძალით უნდა უსათუოდ თა-
ვისად გარდავქცია. უამისოდ ზედმოქმედება უძლიერესი-
სა ულონოზედ, უკეთესისა, უარესზედ მარტო ცარიელი
მაიმუნობაა, სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლაა, ტყვეო-
ბაა და არა თავისიუფლება და თვითმოქმედება გონებისა,
რომელიც ერთად-ერთი ნიშანია კეშმარიტის განათლე-
ბულობისა და აღმატებულობისა. ამ სახით ყოველივე
ზედმოქმედება—ავია თუ კარგი—არაფრის კეთილის მო-
მასწავებელი არ არის: პირიერით იგი აძინებს, ჰკლავს
მსჯელობის უნარსა, ყოველს მჭრელობასა და გამჭრიახო-
ბას გონებისას-საჩაგრავს და აბათილებს.

ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში,
რუსულ ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გა-
წურთვნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტე-
რატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გა-
მოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუ-
თვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო
ამას არ დასჯერებიან: იმავ კრიტიკით და გამოძიებით
მხარ-და-მხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა,
წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანა-
ზედ. ლიტერატურა, რომელსაც მადლი ცხოველმყოფე-
ლობისა სძრავს და ამოქმედებს, ერთი გაუწყვეტელი გრე-
ხილია აზრთა ზედმიყოლებით განვითარებისა და წარმა-

ტებისა. ამისთანაა რუსული ლიტერატურაც. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რაც გუშინ სწამდა ლიტერატურას, რა მოძღვრებაც გუშინ ჰპატონობდა ლიტერატურაში, დღეს ყოველივე ის უარყოფილია და დევნული. იმავ ლიტერატურისაგან. ხშირად ერთს რომელსამე ხანაში აღძრული აზრი, თუ საგანი, მეორე ხანაში ისევ იმ საგნადა და აზრად ჩება, მხოლოდ სულ სხვა სახით, სხვა შექით, სხვა სიგრძე სიგანით გამოიდის. ამას ყოველსფერს თვალის დევნა უნდა და თუ არ კრიტიკითა და გამოძიებით გამორკვევა, შენიშვნა მაინც და ანგარიშის გაწევა. თორებ აქაო და ამ ოცისა და ოცდა-ათ წლის წინათ ამა-და-ამ საგანზე ესა-და-ეს ითქვათ და დაიუინონ, —ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჯიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა.

სწორედ ამისთანა საქმე მოსდის დღეს ჩვენში, სხვათა შორის, ერთს მოძღვრებასაც, რომელიც ეგრეთ-წოდებულ „დედათა უფლების საქმეს“* შეეხება. ეს საქმე ჩვენში დღესაც იმ საბუთებზე ჰტრიალებს, რა საბუთებითაც ამ ოცისა თუ ოკ-და-ათის წლის წინათ თავი იჩინა და მოედანზედ გამოვიდა. თითქო კაცობრიობას საზოგადოდ და რუსულ ლიტერატურას ცალკე მას აქეთ ეს საქმე წინ არ წაეტიოს, უფრო ფართოდ არ გადეშა-ლოს, არ დაეყნებინოს და უფრო საბუთიანს საფუძველზედ არ ამოეყვანოს.

თუმცა ეს საქმე დიდად შესანიშნავი რამ არის და ჩვენთვისაც ისე საჭიროა, როგორც სხვისთვის, მაგრამ

*) Женский вопрос.

ჩვენდა სამარცხვინოდ, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ჩვენის
 თაოსნობით არ არის დღეს ჩვენში ფეხზედ დამდგარი.
 ამ საქმეს და მის საკიროებას კვლავ იმავ რუსულმა ლი-
 ტერატურამ მიგვაწვედრა და დღეს-აქამომდე იმ საბუთე-
 ბითა და იმ აზრებით იკვებება, რომელნიც—როგორც
 ვთქვით—ხელზედ დახვეული ჰქონდათ ამ საქმის მომხრე-
 თა იმ ოცისა და ოც-და-ათის წლის შინათ. აბა გადა-
 სინჯეთ ყოველი, რაც ამ საგანზედ ჩვენში წერებულა და
 იწერება დღეს, თუ უწინდელებრ მარტი სახელითა „დე-
 დობისათა, ცოლობისათა და დობისათა“ არ ითხოვდნენ
 ამ საქმის ასე თუ ისე წარმართვას. ასე იყო დასაბუთე-
 ბული ლალადი დედათა უბელობის თაობაზედ ამ ოცი-
 სა თუ ოც-და-ათის წლის შინათ რუსულ ლიტერატურა-
 ში, თითქო დაავიწყდათო, რომ დედაც კაცია, ადამიანია
 და მარტი კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფ-
 ლების საქმე უნდა ჰლალადებდეს და თხოულობდეს თვის
 წარმართვასა. ამ ფართო გზაზედ ჰდგას ეს საქმე ევ-
 როპაში დღეს და გვგონია ვერაფერს სამსახურს უწევენ
 ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უწომა-
 ვენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობილამ ჩამოჰყავთ,
 რომ მარტი დედობისა, ცოლობისა და დობის ულელი
 გააწევინონ, ესე იგი ბევრისაგან კოტა უწყალობონ.

ჩვენს მეთაურს, რომელმაც გამოიწვია „ქართველის
 ქალის“ წერილი, დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი, სხვა
 არა უთქვამ-ზა აშის მეტი. დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს სა-
 ბუთი ვსთქვათ, რომ რუსულმა ლიტერატურამაც ამ-რიგად
 დაუწყო ყურება ამ საქმეს. 7-ს მარტს პეტერბურგში და-
 ბეჭდილ და 13-ს მარტს ქალაქში მოსულ გაზეთებილამ
 ამოვიკითხეთ, რომ სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ჩვენი
 მეთაური დაიბეჭდა, პეტერბურგში გამოსულა ურნალი

„Женское Образование“. Аმ շუրնալშიօ թյրուղի հովետ-
մի Աբովուլ Ֆեդացոցօս ո. գ. Ցուրցզոհիօս, հոմելուց և Վո-
րյու օմակա ամեռած, հաւ հյօնու „Վարժապելու վալու“
մոյք Ծափնյալ մետապրֆո հյօն շտելվուտ. ցանցու մոշ-
չաց-ը-րա ամ շուրցզոհիօս Տուպացօն, տացու մերուտ ամստան
Վիճակուպաօնած պահցոն:

„Шаблонные моралисты, говоря о женском
образовании, любят часто повторять по адресу
школы классическое требование: „дайте нам хо-
роших жен, матерей и хозяек... да պերյ: Гуре-
вич доказывает всю риторическую пустоту этого
притязательного требования“.

Տո տոտռն շուրցզոհիօս Տուպացօնը:

„Ամ Կայլութիւն գրանամ,— ամեռած Տուպացօնու տա-
ցուն-տացնել, — մեց ըրտելը ամոցոլուա. Եռլու մերմել-յո
Սեցա մեռույ Տացանմա մոմինութ դա զյութե հյմին տացսա:
Հարում մամացուն Շյեսաեց-յո արացուն Վամուսուցոնու Տուր-
ցոլու, հոմ մոցցութեացու յարցու յմրեցօ, յարցու մամեցօն?
Ես լորսեանու եռու ուսց Տակուրոնու արուան մամայացուսատցուսաց
ոչածնի, հոցորու քեցայացուսատցուն յարցու Կոլոնծա դա
յարցու քեցոնծա. Հարում արացուն Վայոյիրոնծ, հոմ ես լորսե-
ծանու Ծափնյարցոն դա ցանցաւուարոն մամայացոնսա? մոմու-
մասու, — ամեռած աելու տացուսու ցուրցզոհիօ, — հոմ մամայացուա
Տիշալու ցանատլութ տաօնանել հյօն պահու պահու դա
մահուալու անրու ցայցիս, ցուրու քեցայացուն Տիշալու-ցանատ-
լութ տաօնանելաւ. Հուրաւ մամայացու ցայցիս Տաեմու, հյօն
ցեցացու, հոմ Կայլութել Վիճակու պահու ցանցանատլութ
ագամունու դա հայու ագամունու ցանատլութուն, մալու ցան-
ցիս տացուս մոցալունած, հոմելուց ման պնդա ոյսէրուն
ոմ ցարյմունու մոեցուուտ, համուաց Կեցուրցօն, հասպեցնեծ,

და მალე შეიძენს იმ განსაკუთრებულ ცოდნასაც, რაც
დასჭირდება ცხოვრების ამა თუ იმ გზაზედ.

ამის შემდეგ, რასაკეირველია, სასაცილოა ის სურ-
ვილი, რომ მამაკაცი ვამზადოთ მარტო საკარგ-ქმროდ
და საკარგ-მამოდ. განა ამავე აზრით არ უნდა შივმართოთ
ქალების სწავლა-განათლების საქმეს? განა ქალიც არ უნ-
და გამოვზარდოთ იმის შესაფერად, რასაც სიტყვა აღა-
მიანი ჰნიშნავს მამაკაცის შესახებ? განა საჭირო არ არის
ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაჭრიოთ იმაზედ, რომ
ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის,
ალუფრთოვანოთ გულის-ტკივილი კაცობრიულის; და მო-
ქალაქობრივის ინტერესებისათვის, გავაგებინოთ იგი ვა-
ლი, იგი თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან
მოსდევს? ესეთის აზრებით, რწმენით და თვალთა-მხედ-
ველობით დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა და
მისებრივ ადვილად გაიგებს, ადვილად მიხედება მოვა-
ლეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას, და უკვე განა-
თლებული ჭკუთა და გულით იდვილად შეიძენს იმ განსა-
კუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში ასე თუ ისე
მისთვის საჭირო იქნება“.

”ი დღეს დედათა საქმე რა გზაზედ და რა ფართოდ
არის დაყენებული. რუსულ ლიტერატურაში და ჩვენი პა-
ტივცემული ქალი-ავტორი ამაოდა. ჰუდილობს გამოვლილ
გზაზედ უკანვე დაბრუნებას. ამ ახალს მოძლვრებას დედა-
თა საქმის შესახებ ვერავინ გაემკლავება, რადგანაც, დღე-
ვანდელი ბურთი და მოედანი უფრო მეტის ცნობიერე-
ბით, უფრო მეტის სიმართლით და საბუთით ამ მოძლვრე-
ბას დაუჭირია არამც-თუ მარტო რუსეთში, სხვაგანაც.
დღეის ამას იქით იგრე სამართლიანად განდიდებულს და
გაფართოებულს საქმეს ველარავინ გამოჰკვებავს წინანდე-

ლის ნამცეცებითა. ჩვენ ამასაც ვიტყვით, რომ მარტო ამ
მოძღვრებას შეუძლიან თავი გაატანინოს დედათა საქმეს
ყოველთა სასხარულოდ და სასიქადულოდ, და ვისაც
დედათა საქმის სიდიალე გულწრფელად და გაგებულად
გულში სდებია, არა გვგონია, ამ გზაზედ საქმის დაყენე-
ბა მიიჩნიოს გზის გამრუდებად და არა გასწორებად.

უკანონობრივ-პოზიტიվ უფლებები

(1898)

უკანონოდ-უობილთა უფლება

I

შიდა-რუსეთის გაზეთები ერთს იმისთანა ამბავს იწერებიან, რომელსაც არც ერთი კაცომოყვარე და მარ-თლა განათლებული ადამიანი გვერდს ვერ აუქცევს და შეუმჩნევლად არ დააგდებს. იგინი გვაუწყებენ, რომ ახა-ლი კანონპროექტი მზადდება, რომელსაც საგნადა აქვს ცოტად თუ ბევრად ადამიანური უფლება მიანიჭოს იმათ, ადამიანად იცნას იგინიც, ვისაც კანონი ღლევანდლამდე უფრო სდევნიდა, ვიდრე სწყალობდა. ამისთანანი არიან ეგრეთ-წოდებულნი უკანონოდ შობილნი, ესე იგი იგინი, ვინც თვისდა საუბედუროდ იბადებიან ქორწინებით შეუ-ლლებას გარეთ. ყველას მოეხსენება, რომ ამ გვარად შო-ბილისათვის არც სახელია, არც გვარია, არც დედა, არც მამა, არც მამული, არც დედეული ქონება, არც მამა-შვილური და დედა-შვილური განწყობილება. ერთის სი-ტყვით, რაც ქვეყანაზე ერთ სისხლ-ხორცობა, მამა-დედა-შვილობა, ნითესავობა წილს უდებს ადამიანს, ამას ყოველ-ფერს მოკლებულია, ვინც იბადება დაუქორწინებელ დედ-მამისაგან.

ასე უწყალოდ ყოფნა უბედურად დარჩენილისა სწო-რედ ულმობელობაა, გულქვაობაა, ცოცხალ-მკვდრად და-მარხება უდანაშაულო და უცოდველის ადამიანისა. იმის ნულარ ვიტყვით, რომ ეს ერთი იმისთანა უსამართლო-ბაა, რომლის გამო კაცი ჰართის, თუ კარგად ჩაკვირ-

დება. თუ დედ-მამის მოქმედება აშ შემთხვევაში, კანონის და საზოგადოების თვალით, საზღაური დანაშაულობა და ცოდება, შვილი მათი ოთ უნდა დაისაჯოს მათის ცოდების და დანაშაულობის გამო? მისი რა ბრალია, რომ დედ-მამამ უკანონოდ გააჩინა და ეს ამბავი დედ-მამისა საზღაურად რათ უნდა გაუხდეს შვილსა? მერე რა სასჯელი, რა საზღაური! ყოველივე პატივი და ლირსება, ყოველივე კაცებური ურთიერთობა, რითაც-კი ამ წუთის-სოფელში ჰამამობს და თავს იწონებს სხვა ყოველი ადამიანი, უკანონოდ შობილს თვალის ახილებისავე წარ-თმეული და ჩამორთმეული აქვს. იგი უდედ-მამოა, თუ დედ-მამა გასწირავს, იგი უნათესავოა, უსახელოა, უგვა-როა, უხარისხოა, არც მამეულის ქონებაზე მიუწვდება ხე-ლი, არც დედეულისაზე და ყოველფერში უმწეო და უნუგეშოა. რა დააშავა? ვის რა წართვა? ვის რა შეს-ცოდა? განა აქ ადამიანს გულის-ტკივილი დაუამდება, რომ პასუხად უთხრან: მისი დანაშაული ის არის, რომ მისი დედ-მამა შესცდა და უკანონოდ გააჩინეს შვილიო?

დევნა და შეჩვენება უკანონოდ შობილისა დიდის ხნის ამბავია ქვეყანაზე. ამ დევნამ და შეჩვენებამ იქამ-დე მიაღწია, რომ დედ-მამას მამა-შვილური და დედა-შვი-ლური უწმინდაესი გრძნობაც-კი აგმობინა და მაშინ, როდესაც კანონიერად შვილის ყოლა მთელის ოჯახისა-თვის დიდს სიხარულს და დღესასწაულს შეადგენს, უკა-ნონოდ შვილის გაჩენა საწყევლად და საკრულველად მია-ჩინია დედ-მამას, და საცოდავს, უმწეოსა და უცოდველს ახლად-შობილს პაწაწას ხშირად ან აღრე და მალე გა-მოასალმებენ ხოლმე ამ შეუბრალებელს წუთის-სოფელს დედ-მამანივე, ან სხვას გადაუგდებენ თავიანთს სისხლ-ხლაცს, თავიანთს ტირილითა და კვნესით ნაშობს.

რა თქმა უნდა, ამ ორისაც სახის საქუიელს დედ-
მაშისას კანონი დიდ დანაშაულობად სთვლის და დიდს
სასჯელსაცა სდებს, თუ შეუტყო, და, მაშასადამე, კანონი
აქ არაფერს შუაშია. კანონს აქ ვერავინ დასწამებს, ვი-
თომც ამ-გვარ დანაშაულობას დღეს-აქამომდე ხელს
უწყობდეს, ან უჩუმდებოდეს. კანონი ყოველთვის სამარ-
თლის ხმლით ხელში წინ ედგა ამისთანა დანაშაულობას.
ხოლო შიში კანონისა ამ შემთხვევაში ხშირად ადგილს
უთმობს ხოლმე შიშს სირცხვილისას, განკიცხვისას, ძრა-
ხვისას და ყბალ-ალებისას საზოგადოების მხრით, და აი
ყოველივე ეს არის მიზეზი იმ ყოველ-გვარ ბოროტისა, რაც
დედ-მამის უკანონოდ დაახლოებას-მოსლევს სისხლის სამა-
რთლის თვალით. მართალია, კანონის სათავე ცხოვრებაა,
მაგრამ არც უიმისობაა, რომ კანონი არ მოქმედებდეს თვით
ცხოვრების ავგარგიანობაზე. აქ ერთმანეთის ზედგავლენა
უმჭველია და აუცილებელი: თუ ცხოვრება სწურონის
კანონს, კანონიც სწურონის თვით ცხოვრებასა და, მაშა-
საღმე, საზოგადოებასაცა, ერსაცა.

დღეს-აქამომდე უკანონო შეილს და დედ-მამის უკა-
ნონო დაახლოებას, რაც გინდ წმინდა გრძნობა და დი-
დი სიყვარული წინ უძლოდეს, თითონ კანონიც იმავე
წყრომით და განკიცხვით უყურებდა, როგორც საზოგა-
დოება. კანონის მიერ ასეთის თვალით ყურება, რა თქმა
უნდა, ცოტად თუ ბევრად კვერსა სცემდა საზოგადოება-
ში ამ საგანზე ძველათვანვე ფეხმოკიდებულ აზრსა და
ძირს უმაგრებდა. ეხლა-კი სულ სხვას უკეთესს და სა-
მართლიანს გზას დასდგომია კანონმდებლობა, როგორც
გაზეთები გვაუწყებენ, და ამისი აუცილებელი სიკეთე ის
იქნება, რომ თვით საზოგადოებასაც მოულებება გული და
ისეთის შეჩერებით აღარ მოექცევა ასე თუ ისე შეცდო-

მილ მშობლებს უკანონო შეიღისას, რომელიც შესაბრალებელნი უფრო არიან, რაკი ესეა, ვიდრე შესაჩვენებელნი და ჩასაქოლავნი. ზოგიერთისათვის შერცხვენა, სირცევილი ჯვარუმაზე უარესია და ეს არის მიზეზი, რომ ზოგი დედა თავს იწამლავს, ზოგი თავს იფუჭებს, ზოგი თვისს ნაშობს ასე თუ ისე იშეტებს, რომ სირცხვილს დაემალოს, მიეფაროს და ჩვენს განკიცხვას და ძრახვას გადაურჩეს.

გნა ადამიანთა საზოგადოებისათვის, კრებულისათვის ამისთანა ყოფა-ცხოვრება, ამისთანა ურთიერთობა შესაწყნარებელია და საკადრისი? ცოლვა დედ-მამისა ამ შემთხვევაში მოსაწონებელი, რასაკვირველია, არ არის, ცოდვას ცოდვის. სახელი უნდა ერქვას, მაგრამ მაღლია ადამიანი ადამიანს ისე მოექცეს, რომ უბედურება დაუნელოს, სიმწარე დაუტექბოს, უნუგეშოს ნუგეში მია. წოდოს და მაინც-და-მაინც ცოდვილი იქამდე არ მიიყვანოს, რომ იძულებულ ჰქმნას ან თავი მოიკლას, ან თვისი ნაშობი წყალს მისცეს. ადამიანურმა გულმტკივნეულობაში რომ ერთი ამისთანა ცოდვილიც შეიწყნაროს და ბოროტს გადაარჩინოს, ისიც დიდი მაღლი იქნება. მაღლია მამისთვის, მაღლია დედისთვის, მაღლია სრულად უკოდველ ბავშისათვის, რომელსაც ხშირად შობის უმაღვესი კუპიდილი, ან ქუჩაში გადაგდება მოელის მარტო იმის-თვის, რომ დედ-მამანი შესცდნენ, უკანონოდ ჰშობეს და ჩვენს სირცხვილს შეუშინდნენ.

თუნდ ესეც არ იყოს, აბა იფიქრეთ: რა ტანჯვა-წამებაში უნდა იყვნენ, რა ცეცხლში უნდა იწვოლნენ ან დედა, ან მამა, თუ ადამიანობა არ დახშვიათ, როცა სირცხვილისა და შერცხვენის შიშის. გამო ან თავისს თავს იშეტებენ სასიკვდილოდ, ან თავისს სისხლ, ხორცს შვილ-

სა მაშინ, როდესაც ბუნება ეუწება: არ შვილი და გაი-ხარეთ! აქ სასჯელი განა ერთი ათასად არ აღმატება ცოდვას!.. განა სიმართალია, აღმიანში ადამიანი ამ გა-ხურებულ თონეში ჩაყენოს! განა ცოტა მაგალითია, რომ ეს ასე მომხდარა! სისხლის სამართლის მატიანე საცხეა ამისთანა მაგალითებით და რამდენს სხვას კიდევ ამისთა-ნა ამბავს ჩაუვლია ისე, რომ სამართლის კარამდე ზრც-კი მიულწევია.

ესეთი კაცთა-შორისი უსამართლო, უმაღლო და ულმობელი ურთიერთობა, რასაკვირველია, ოდესმე თავს დროსა და უძს მოიჭამს და მარტო ისტორიაში-და თუ დარჩება კაცობრიობის არა-სასახელო სახსოვრად, ვი-თარცა საწყაო ჩვენის ეხლანდელის გულის სიკეთისა და საზომი ჩვენის ჭკუა-გონების თვალთა მოკლედ ხედვისა. ზემოხსენებული კანონპროექტი, როგორც შემდეგს წე-რილში დავინახავთ, ამ მხრით საქმის გასწორებას ჰლა-მის და საგნადა აქვს ცოტად თუ ბევრად მრავბილოს ეხლანდელი გულქვაობა საზოგადოებისა და უფრო სამარ-თლიანის თვალით მიახედოს უკანონო მამა-შვილობასა და დედა-შვილობაზე, ვიდრე ეს აქამომდე იყო. ასეთი წინ ფეხის გადადგმა კანონისა თუკი ასრულდა და განხორ-ციელდა, მოასწავებს განზე გადგმას ადამიანობის მიჯნე-ბისას ამ წუთის სოფელში და ერთი უმთავრესი საგანიც ეს არის ეგრეთ-წოდებულ პროგრესისა, სხვათა შორის.

II

ჩვენს გუშინდელს მეზაურში მოვიხსენიეთ, რომ მზად-დება კანონპროექტი უკანასნოდ შობილთა შესახებ შიდა-რუსეთის გაზეთების სიტყვითა. ესევე გაზეთები გვაუწყე-

ბენ, რა გზით განუზრახავთ გისწორება ამ შემთხვევაში საქმისა და რა წეს-რიგობა დაუპირებით დაადგინონ ამ საქმის უფრო სამართლიანად წარმართვისათვის. იგი წეს-რიგი ჩამოთვლილია იმ გაზეთში, საიდამაც ეს ამბავი შევიტყეთ, და რომ ჩავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ უკანონო შეილი ისე უნუგეშოდ და უწმეოდ ალარ ახელს თვალს ამ წუთის-სოფელში შემოსასვლელად, როგორც აქამდმდე იყო. კანონპროექტი გარევევით და ცხადად ამბობს, რა უფლება და მოვალეობა უნდა მიეკუთვნოს ცალკე დედას, ცალკე მამას და ცალკე უკანონო შეილს.

აქ ყველაზე უწინარეს სახსენებელი ის არის, რომ მშობლობის უფლება (родительская власть) ეძლევა დედას მთლად და განუყოფელად და არა მამას. ამასთან დედას მოვალეა უპატრონოს შეილს, გაზარდოს და მისის ინტერესების წარმომადგენელი იყოს ყველგან, საცა-კი საკიროება მიითხოვს. ხარჯს უკანონო შეილის გაზრდისას და სწავლებისას კანონპროექტი ვალადა სდებს, შეძლებისამებრ, დედას, ვიდრე შეილი სრულწლოვანი შეიქმნება. უკანონო შეილს გვარი დედისა უნდა მიეთვისოს, და თუ დედა არ იციან ვინ არის, სახელი ნათლიასი, მამეულად გადაკეთებული უნდა მიეცეს გვარიად. ოც-და-თერთმეტის წლის განმავლობაში დაბადებითგან უკანონო შეილს ნება აქვს სამართლით დაიმტკიცოს თავისი შთამომავლობა ამა თუ იმ დედაკაცისაგან. დედეულის მამულსა და ქონებაში უკანონო შეილს ისეთივე მონაწილეობა ეძლევა, როგორც კანონიერ შეილს.

მამის შესახებ კანონპროექტს სულ ახალი წესი შემოაქვს, აქამდე არსებულ კანონებში არ-სენებული: მაგალითებრ, მამა უკანონო შეილისა მოვალეა, თავისი შეძლებისამებრ, იტვირთოს ხარჯი, რაც-კი მოუნდება გა-

ზრდას, მოვლას და სწავლებას უკანონო შეიღლისას, ვიდრე სრულწლოვანი შეიქმნება, თუ დედის შეძლება არ გასწვდა და ყოველ ამას არ ჰყოფნის. უკანონო მამა აგრეთვე მოვალეა აძლიოს ხარჯი თვით უკანონო შეიღლის დედასაც თავის შესანახად, თუ დედას ამისათვის შეძლება არა აქვს, ან უღონოა თავისის საკუთარის შრომთ და გარჯით იშოვნოს საცხოვრებელი სარჩო. ორსავ შემთხვევაში სამართალმა იმოდენა ხარჯი უნდა დაავალოს უკანონო მამასა დედისა და შეიღლის სარჩენად, რაც დედის შეძლებას აკლია. ეს მოვალეობა უკანონო მამისა, რომ სახსარი ცხოვრებისა მისცეს დედასა და შეიღლს, თვით მამის სიკვდილ შემდეგაც უნდა შესრულებულ იქმნას და მისმა ქონებამ უნდა იხადოს იმ მემკვიდრეობის წილის კვალობაზე, რომელიც შეხვდებოდა უკანონოდ შობილს, მამისაგან შეიღლად მიჩნეულს.

ეს შეიღლად მიჩნევა უკანონო შეიღლისა ახალი ამბავია აწ არსებულ კანონებისათვის. უკანონო მამას ნება ეძლევა თავისი უკანონოდ შობილი შეიღლი შეიღლად ალიაროს და თავისის კეთილის ნებით მიანიჭოს უფრო მეტი უფლებანი, ვიღრე კანონითა აქვთ უკანონოდ შობილთა. უკანონო მამას შეუძლიან ნოტარიულურ წესით, ან დერმით, ან ადგილობრივ მოსამართლესთან განცხადებით თავისი უკანონო შეიღლი იშვილს და ამით უკანონო შეიღლს მიენიჭება მამეულობის სახელწოდება და მამეული გვარი. გარდა ამისა, მიენიჭება უფლებაც მემკვიდრეობისა მამის ქონებასა და დედულ-მამულში, ხოლო კანონიერ შეიღებთან თანასწორად კი არა, თუ კანონზე მივარდება საქმე გაყოფისა და განაწილებისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაშეიღევს წილი უნდა მიეცეს მარტო იმის ნახევრიდამ, რაც კანონიერ შეიღების საწი-

ლობელია. სხვა არა-რა საზოგადო უფლებანი კანონიერ შვილებისა ნაშვილევს არ მიეთვისება, მამის ტიტული, წოდებრივი უფლებანი არ გადადიან უკანონო შვილზე, ამიტომაც ეს უკანასკნელნი უნდა ჩარიცხულ იქმნან ხარჯთ-მძლეველთა მკვიდრთა შორის.

მამას, რომელმაც თავისი უკანონო შვილი იშვილა, ნება აქვს ზედამხედაობა იქმნიოს შვილის მოვლასა, გა-ზრდასა და სწავლებაზე, თუნდ შვილი დედის ხელთ იყოს. მამას ნება აქვს, იყოს მის აპეკუნადაც და თუ, ვინიცო-ბაა, უკანონო შვილს დედა მოუკვდა, ან არ იციან დედა ვინ არის, მაშინ მშობლობის უფლება მამას უნდა ეკუთ-გნოდეს. მამას, როცა შვილად ალიარებს თავისს უკანო-ნო შვილსა, ნება არა აქვს დაასახელოს დედა მისი, თუ მეტრიკის წიგნში დაასახელებული არ არის. თუ უკანო-ნო შვილის მამას კანონიერი ცოლი ჰყავს და მასთან კა-ნონიერი შვილებიც, იგი ვერ იშვილებს უკანონოდ შო-ბილ შვილს, ცოლის ნებადაურთველად და თვით ყმაშვი-ლის დაუკითხავად, თუ 14 წლის ასაკშია ყმაშვილი.

თუ მამას, რომელმაც თავისი უკანონო შვილი იშვი-ლა, კანონიერი შვილებიცა ჰყავს, მაშინ მამისაგან სამ-კვიდროდ დარჩენილ ქონებიდამ ნაშვილევს უნდა ერგოს წილად ნახევარი იმისი, რაც ერგებოდა, კანონიერი შვილი რომ ყოფილიყო. თუ კანონიერი შვილები არა ჰყავს და მემკვიდრეობა რჩებათ ძმებსა და დებს ნაშვილევის მამი-სას, მაშინ სამკვიდროს უნდა გამოაკლდეს საქმიანობა კა-ნონიერ ცოლისათვის და დანარჩენიდამ მთელი ნახევარი უნდა ერგოს ნაშვილევსა, და თუ გარდაცვალებულ მამას ნაშვილევისას ცოლის მეტი არავინ დარჩა, არც ძმები, არც დები, მაშინ, საქმიანობა გარდა, რაც სამკვიდრო ქონებაა სულ ნაშვილევს უნდა მიეკუთვნოს. უკანონო

შვილნიც, ისე როგორც კანონიერნი, მოვალენი არიან უპატრონონ და შეინახონ დედ-მამა, თუ გაჭირვებაში ჩასცვიან.

ეს არის იგი, რაც კანონპროექტით შეეხება უკანონო შვილების სკე-ბედას. ხოლო კანონპროექტი იხსენიებს იმისთანა შვილებსაც, რომელნიც დაქორწილებულ დედ-მამისაგან შობილან და მას მერმეთ ქორწინება კანონიერად არ უცვნიათ და გაუუქმებიათ. ამისთანა შვილებს კანონპროექტი აკუთხებს უკლებლად ყოველს იმ უფლებას, რაც კანონიერ შვილებსა აქვთ. ხოლო განქორწინებას ცოლ-ქმრობის გაყრა მოსცდევს და აქ საქმე ის არის, — ვინ უნდა გაიყოლიოს შვილები, ვინ უნდა თავისთან იყოლიოს? მართალია, შვილის თავისთან ყოლა მოვალეობაა, მაგრამ დიდი ბეღნიერება და სიხარულიც არის, როგორც დედისათვის, ისეც მამისათვის და რაკი კანონი ცოლქმარს ერთმანეთს აშორებს, ამ ორკეც ტკიფილსაც წამალი უნდა დასდოს: ზოგს არ ენდომება შვილისათვის მზრუნველობის ტვირთი ჰეზილს, ზოგი ყოველ-გვარ წვალებას და წამებას იკისრებს, ოლონდ შვილთან იყოს და შვილი მასთან. ამ შემოხვევაში კანონპროექტი საქმეს ჯერ დედ-მამის ნებაყოფლობაზე აგდებს და თუ ვერ მორიგლენო, ვაჟიშვილები მამას შეჩერენ და ქალი-შვილები დედასაო, და ამასთან მამას მოვალედა ხდის, დედასთან დარჩენილ შვილების საზრდოდაც ხარჯი გასწიოსო და საპატრონებელი და შესანახი ლონისძიება აძლიოსო.

აი ჯერ-ხანად ის ცნობები, რაც ერთმა სატახტო ქალაქის გაზეთმა მოგვიტანა, ვითარც მის მიერ გაგონილი ამბავი. ჯერ არვინ იცის, როგორ გაივლის ეს კანონპროექტი თავისს ჯეროვანს გზას, რა დაემატება, რა

გამოაკლდება, რა სახეს მიიღებს, ვიდრე ცხოვრებაში სა-
მოქმედო კანონად შემოვა. იგი გაზეთი, საიდამაც ეს ამ-
ბავი ჩვენ ამოვჭერეთ, ქებით და კმაყოფილებით იხსე-
ნიებს-რა ამ კანონპროექტს, ერთს წუნს სამართლიანადა
სდებს, როგორც ჩვენა გვგონია, და ძალიან ჭიუას ახლოც
არის. კანონპროექტი, როგორც ზემოთა ვთქვით, სავალ-
დებულოდ ჰქდის, რომ ცოლიანი კაცი, ოუ ნებართვა არ
აიღო ცოლისაგან, ვერ იშვილებს სხვასთან უკანონოდ ნა-
ყოლს. თავისს შეიღსამ. თუმ, ამბობს იგი გაზეთი, ქმარ-
მა გარეთ აიჩინა საყვარელი, აშეარაა ცოლმა ეს ამბავი
საწყენად უნდა მიღწიოს, ან არა და უკმაყოფილო ცოლ-
ქმრობა უნდა ჰქონდეთო, რომ ამისთანა წყენას არ მოე-
რიდოს ქმარით. და რა საფიქრებელია, რომ ან ერთს შე-
მთხვევაში, ან მეორეში, წყენით გაწიშმატებულმა და გა-
ბოროტებულმა ბევრმა წილმა ცოლმა ამისთანა ქმარს
თავზე ხელი გადაუსვას, ბარაქალა უთხრას და გარეთ შო-
ბილი აშვილებინოს, რაკი მის ნებაზე იქნება ეს დამოკი-
დებული.

აშეარაა, აქ ცოლის ნებაყოფლობის აღება მეტის-
მეტი ბარგი და მერე იმისთანა ბარგი, რომლის სიმბი-
მის ქვეშ გაისრისება ყოველივე პატიოსანი გულთა-თქმა
ადამიანისა, თუნდ პატიოსანი და გულწრფელი სურვი-
ლი დღე-და-ღამ ძალას ატანდეს. შემცოდველს მაბის საი-
მისოდ, რომ თავისი შვილი იშვილოს და მით ბუნებური
და ზნებობური კანონი, მის მიერვე პირქვე დაცემული
და გმობილი, აღადგინოს, თითონაც მოისვენოს სულითა
და გულით სინიდისის ქენჯნისაგან და უცოდველს ბავშს
თავისი ცოდვა საზღაურად არ გაუხადოს, ან დაბადების-
ვი უმალ, ან როცა ცხოვრების მოედანზე ფეხს გასდგაშს.

[1898 წ.]

ՅԱԿԱՅՈՂԻՆ ՏԱՐԱԾԵՑՈ

(1888)

ებრაულთა საკითხები

არც ერთს ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაულთა ერს თავს გადაჰქონდია. ამ ოდესშე დიდებულს და სახელგანთქმულს ერს ბედმა ხელიდამ გამოსხლიტა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაბნია იგი მთელის დედამიწის ზურგზე, ჩაათესლა უცხო ქვეყნებში, საღაც ებრაულებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯვა და წვალება. აზიასა და ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში, ყველგან ერთი და იგივე ბედი სდევნიდა უბედურს ერსა, რომელიც იბრძოდა და იბრძეის ყოველნაირის საშუალებით, რათა თავი დაიცვას და არ გახდეს მსხვერპლი ძულებისა და წამებისა. ამდენი ხანია ეს ერი მოგზაურობს მთელს დედამიწის ზურგზე და ამ ხნის განმავლობაში არა ყოფილა ისეთი სატანჯველი, რომელიც ებრაულებს არ გამოეცადოს. აბა რომელი საბუთი არ უხმარიათ და ხელზე არ დაუხვევიათ ებრაულთა სადევნებლად და საწევლებლად? არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლოება, რომელსაც ებრაულები არ დაეჩაგროს. სდევნიდნენ ებრაულებს—ვითარცა ერს, სდევნიდნენ—ვითარცა თავისებუროსა და განსაკუთრებულის რჯულის მაღიარებელთ, სდევნიდნენ—ვითარცა უსამართლო ეკონომიურის წესწყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიურ მჩაგვრელებს. მდევნელები ხან ერთს საბუთს აძლევდნენ უპირატესობას, ხან მეორეს და

არასოდეს არ დაშტრალა სიძულილი ებრაელთაღმი.

ეხლაც-კი, როდესაც ეგოდენს ჰლალადებენ კაცთმო-
ყვარეობაზე, იმავე საბუთების ძალით სდევნიან იმათ იქაც-
კი, სადაც თითქოს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიძულილსა
და დაუნდობლობას. ეს რამდენი ხანია ევროპაში არსე-
ბობს ეგრეთ-წოდებული ანტისემიტიური, ესე იგი ებრა-
ელთა მოწინააღმდეგე მოძრაობა, რომელიც სცდილობს
რაც შეიძლება მეტად შეავიწროვოს და დაჩაგროს ებრა-
ელნი. ნამეტნავად ავსტრიასა და გერმანიაშია ძლიერი
იგი მოძრაობა, ისეთ წრეშიაც კი, რომლისაგანაც ნაკლე-
ბად მოსალოდნელი და საფიქრებელი იყო. ჩვენ ვამბობთ
ავსტრიისა და გერმანიის მწერლობისა და გნათლებულის
საზოგადოების ერთს ნაწილზე. ზოგი გაზეთი მუდმივ ებრა-
ელთა წინააღმდეგ იბრძვის; სტუდენტებიც-კი, რომლე-
ბისაგანაც საფიქრებელიც არ უნდა იყოს რომლისამე-
ერისადმი სიძულილი, საქვეყნოდ ლალადებენ და მოქმე-
დებენ ებრაელთა წინააღმდეგ. ამას-წინათ ვენაში აკურ-
თხეს ძეგლი გლაზერისა, იუსტიციის მინისტრად ნამყო-
ფისა. გლაზერი გვარ-ტომობით ებრაელი ყოფილა და ამი-
ტომაც, როცა უნივერსიტეტის რექტორმა, ფოკელმა, და-
იწყო ლაპარაკი განსვენებულის ცხოვრებასა და მოლგა-
წეობაზე, სტუდენტებმა შეკვენც ისეთი ხმაურობა, რომ
უნივერსიტეტის მთავრობა იძულებული გახდა შეეჩერები-
ნა დღესასწაული. სტუდენტები გამოვიდნენ უნივერსიტე-
ტის დარბაზიდამ და, როგორც აღმოჩნდა, უფროს-ერთი
ანტისემიტიურის მიმართულებისა ყოფილა, — ასე გასინჯეთ,
ანტისემიტიური გრძნობა არ დაცხრა არც მეცნიერების
ტაძარში განსვენებულის სახელის წინაშე. გარდა ამისა,
ამას-წინათ, როცა ასამართლებდნენ შენერერს, ამ უკანა-
სკნელის მომხრეებმა საქვეყნოდ აღიარეს, შენერერს რომ

ებრძანებინა ჩვენთვის, ებრაელებს თავს დაეცით და ამოს-
წყვიტეთო, ჩვენ ხმაამოუღებლივ შევასრულებდით იმის
ბრძანებასაო.

ანტისემიტიურს მოძრაობას ძალიან დაუფიქრებია
გერმანიის მთართველობაცა. ამასა პომენტობენ ზოგიერთი
გაზეთები, რომელნიც ლაპარაკობენ ებრაელთა ყოფა-
მდგომარეობაზე. ეს გაზეთები ამბობენ, რომ სხვა ქვეყ-
ნებშიაც თანდათან ძლიერდება ანტისემიტიური მოძრაო-
ბაო. ამის შინები ეროვნული სიძულილი და რელიგიური
ფანატიზმი-კი არ არის, არამედ ეკონომიური ძლიერება
ებრაელთა კაპიტალისტებისა, რომლების ხელში გროვდე-
ბა აუარებელი სიმდიდრე საფრანგეთისა, გერმანიისა და
სხვა სახელმწიფოებისაო. ამ გარემოებას არა მარტო ეკო-
ნა-მიური მნიშვნელობა აქვს, არამედ პოლიტიკურიცაო,
და თუ ებრაელთა ეკონომიურს გაძლიერებას თავის დრო-
ზე არ შევებრძოლებით, კაპიტალი შეიქმნება ყველა სა-
ხელმწიფოებზე უფრო ძლიერი და საშიშიო. კაპიტალის
ხელში მოიქცევა ბედი და უბედობა ერთა და მეფეთაო.
ყველანი იმასა სჩივან, რომ ანტისემიტიური მიზართუ-
ლება თანდათან უფრო და-უფრო ძლიერდება, ნამეტნავად
განათლებულს საზოგადოებაშიო.

რასაკვირველია, ეს გარემოება მეტად საფიქრებე-
ლია, რადგანაც განათლებულს საზოგადოებას დიდი გა-
ვლენა აქვს ევროპის ყოფა-ცხოვრებაზე. ამ ნაწილს სა-
ზოგადოებისას შეუძლიან თავისი კვალი დააჩნიოს ებრა-
ელთა ბედსა და უბედობას.

[1888 წ.]

პირამონთის საფუძველი

(1888)

პედაგოგიკ საფუძვლები

I

გაზეთებმა მოგვიტანეს ამას-წინათ ამბავი და ჩვენს „იუერიაშიაც“ თავის დროზედ მოვიხსენიეთ, რომ პრუსია-ში დედათა სასწავლებლებში შეუნიშნავთ დაქანცვა გონებისა მოსწავლეთა ქალთათვის მეტის-მეტი სწავლებისა გამო. ამის გამო ზოგიერთი ახალი წესები დაუდგენიათ, რომ მოსწავლეთა ქალთა გარჯა და შრომა შემსუბუქებულ ექმნათ. თუ არ მეტი, ესეთივე ქანც-გაზეცვეტა სულითა და ხორცითა დიდიხანისა შექნიშნეს ევროპაში მოსწავლე ეაჟებსაცა და ამის გამო თითქმის მთელი ლიტერატურა შესდგა, ნამეტნავად გერმანიასა და საფრანგეთში, საცა ამ ამბავმა უფრო ძლიერ თავი იჩინა,— და დანალელა, როგორც იქაურნი გამგებელნი სწავლა განათლების საქმისანი, აგრეთვე დედ-მამანიცა.

ჩვენა გვგონია მეტი არ იყოს, გამოგარკვიოთ, ჩვენის შეძლებისამებრ, მიზეზნ ამისთანა სამწუხარო ამბისა იმ თხზულებათაგან, რომელთა ავტორნიც მოეკიდნენ ამ საქმეს შესაფერის გულმტკივნეულობითა. ავ უკანასკნელ ხანებში საპედაგოგიო ლიტერატურაში გახშირდა ხმა-მაღლად ლალაღება, რომ ეხლანდელის სკოლის ყოფა მდგომარეობა ევროპაში თავს არ მოდის და ახალს მოზარდს თაობას სჩაგრავს, რადგანაც ცალ-მხრივია და ცალ-კერძოო. ყველანი ამაზედ თანახმანი არიან, რომ

ეხლანდელი სკოლა უფრო იმაზეა მიმართული, რომ რაც შე-
საძლოა, ბევრი ცოდნა აძლიოს მოსწავლესა და ზნე-ხასია-
თის წვრთნა, სწორება და გამართვა-კი მთლად უყურად-
ღებოდ არის დატოვებულიო. ამ ცალ-კერძოდ სკოლის
მომართვის შედეგზე აი რას აძბობს ერთი ავტორი:

„სამწუხარო სურათი წარმოუდგება თვალ-წინ ყვე-
ლას, ვისაც არ ეშინიან პირდაპირ შეხედოს მართალს და
რვალი თვალში გაუყაროს. თითო-ოროლა მაგალითს გარ-
და, ეხლანდელი ყმაწვილი-კაცი ჯანით მეტად უძლურია,
საშინლად ძარღვ-მოშლილი და მოდუნებული, თითქო
სნეულიაო. საქმაოა მცირე რამ დაბრკოლება დახვდეს და
მაშინვე ულონბობისაგან ხელებს ჩამოჰყრის; გულს უხეთქავს,
ხალისს უკლავს ყოველი საქმე, რომელიც-კი ცოტად თუ
ბევრად მხნედ, მედგრად ხელის მოკიდებას პოხოულობს,
ხანგრძლივს, დაუინებულს, გულგაუტეხელს ბეჯითობას და
გარჯას. არ არის იგი ჩევული თავით თვისით ისაზროს,
იფიქროს და ამის გამო ადვილად ეძლევა უარყოფას ძენ-
ლისას. და სრულიადაც არა პნალვლობს უარყოფილის სა-
ნაცვლოდ ახალი რამ-ჩაყნოს. ყოველ ამის გამო ეხლან-
დელი ყმაწვილ-კაცობა დიდად უბედურია და ძალიან
იშვიათად შემძლებელია, რომ გონიერად, ჭკვა-დასმით
და სასარგებლოდ თავით თვისით გააკეთოს რამ და იღ-
ვაწოს. იგი ულონოა თვითმოქმედებისა და მოღვაწეობი-
სათვის.

„ზოგი ამათგანი, — ამბობს შემდეგ იგივე ავტო-
რი, — და ეს ზოგნი საქმაოდ ბლობად არიან, ნამეტნავად
ცოტაოდნად შემძლებელ ოჯახისანი — მთელს თავის სი-
სულცხლეს იმას ანდომებენ, რომ პროტექციით ლუკმა პუ-
რი იშოვნონ და სცხოვრებენ პირუტყვსავით დღე-დღე-
ურად, თითონაც არ იციან, რისთვის არიან და სად მი-

დიან: სჭამენ, სმენ, თამაშობენ ქალალდს, ჰტანციობენ, არშიყობენ, ჰმსახურობენ იმდენად, რომ ჯამაგირები იღონ. ეს ჯურა ხალხი მთლად ჲელ-ასალებელი ხალხია, ყოვლად უვარგისი, უხეირო, არარაის მაქნისი. ამათ მკვდარი იქვთ ყოველივე ფანტაზია, ყოველივე აზრი, ყოველივე გრძნობა, ნაძირალ გრძნობის გარდა. ცოდნა, სკოლაში მიღებული, ზოგჯერ საკმაოდ ბევრიცა, ამათვის მეტი ბარგია და მალე დაებლერტებათ, გაეფანტებათ ხოლმე კებოგრების გზაზედ.

„სხვანი, უფრო ნიჭიერნი—ხელგამომავალნი არიან და ჯერ სკოლაშივე გამოარკევენ ხოლმე,—რა საქონელსა აქვს გასასვალი საზოგადოების ბაზარში ამა-და-ამ დროს. ამათი ფანტაზია, ალფროთოვანებული ადვილად გამდიდრების ცოცხალ მაგალითებითა, წინ გადუფენს ხოლმე სარჩიოანს გზას ვექილისას, მურნალისას, ინერერისას, არქიტექტორისას, მზიოვიან ცოლის, თუ შემძლებელ ქმრის შერთვისას—ერთის სიტყვით, უხატავს იმ გამორჩეულს იდეალს ხერხიან კაცისას, რომელსაც საგნადა აქვს ადვილად გამდიდრება და მერე მაძლარი განცხრომა გაურჯელად და უშრომელად. ამ ჯურის ხალხი ყველაზედ უარესნი, ყველაზედ მავნებელნი მუქთამჭამელნი არიან და მეტის-მეტად საშიშარნი თავის ქვეყნისათვის, რადგანაც ყოველ წუთს მზად არიან მიჰყიდონ იმისი სვე-ბე-დი იმას, ვინც მეტს მისცემს“.

რა თქმა უნდა, რომ ავტორი აქ ჰლაპარაკობს უფროს-ერთზე, უმრავლესობაზედ. ვინ იტყვის, რომ თითოოროლა სასიხარულო მაგალითიც არ იყოს ეხლანდელს ყმაწვილ-კაცობაში. უამისობა ხომ ქვეყნის უკუქცევა იქნებოდა: ავტორი მარტო უმრავლესობის, უფროს-ერთის

უფერულობას, ულონობას გვანიშნებს და ამაში არა გვვრნია იგი გაამტყუნოს ვინმერ. იგი ამბობს, რომ:

„ბევრმა ყმაწვილ-კაცმა არ იცის, რა გზას დაადგეს და საით წავიდეს; ამის გამო ყმაწვილი-კაცი სასოწარ-კვეთილებას ეძლევა, გული უტყდება, აღარაფრისათვის ერჩის. ეს სასოწარკვეთილება და გულის გატეხა ჰქვას უშრობს, გრძნობას უბშობს, უკლავს ყოველს ხალისს მოქმედებისას, რომელსაც მისგან მოელის იმისი სამშობლო და რომლისათვისაც ამ სამშობლოს გაუწევია ლვაწლი იმ იმედით, რომ ჩემის შვილის მოქმედება ოდესმე გამომადგება და ერთი-ორად მაინც მიზლავს ჩემის ლვაწლის სამაგიეროსაო“.

ეს მართლა-და სამწუხარო სურათი ყმაწვილ-კაცობისა ბევრს უდგა თვალ-წინ, მაგრამ — ერთის მწერალისა არ იყოს — ეს ბევრნი ან არა ჰქედვენ ამას, ან ჰქედვენ და მარტო ჰქიცხვენ და ჰქილვენ თითონ ყმაწვილ-კაცობას, აბეზლებნ საზოგადოების წინაშე, სდევნიან და აბრუს უტეხენ, იმის მაგიერ, რომ გულდასმით ჩაუკვირდნენ თითონ მიზეზს, თითონ სათავეს ამ მართლა-და სამწუხარო და მერმისისათვის საშიშარ მოვლენისას. წეცნიერნი, რომელთაც მართალის გულმტკივნეულობით მიუჟცევიათ ყურადღება ამ უნუგეშო სურათისათვის, მიზეზს ჰქედვენ ყოველთ უწინარეს იმ საზოგადო წრის უფერულობასა და უვარებისაში, საცა ნორჩი სული ბავშისა პირველ იღვიძებს და მერე ზრდაში შედის. რასაკვირველია, რომ იმ წრეს, საცა ბავში პირველ ხანიდამვე ჰქირიალებს, დიდი გავლენა აქვთ მთელს აღამიანის მერჩისზედ. ბავშის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, საცა ბავში და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას

აუცილებლად ზედ დასვამს ხოლმე. ამ-სახით, არავითა-
რი ეჭვია, რომ თითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზედ-
მოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ. ხოლო არის
მეორე საგანიც, რომელსაც, თუ არ მეტი, ნაკლები ზედ-
მოქმედება არა აქვს ადამიანის აფ-ჯარებიანად გამოსვლა-
ზედ. ეგ მეორე საგანი სკოლა. ევროპაში ამ მხრით გა-
მოიძიეს ეს ეხლანდელის სკოლის ყოფა-მდგომარეობა და.
ერთს დიდს ბრალს იმ სამწუხარო ამბისას, რომელიც
ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, თითონ სკოლის ეხლანდელს
ყოფა-წყობილებასა სდებენ.

რა-გვარია ეს ბრალი და რამოდენად საბუთიანია —
ამას შემდეგს ნომერზი ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

II

ჩვენ წინა-წერილში იმაზედ შევწყვიტეთ სიტყვა,
თუ, — მეცნიერნი რა-გვარს ბრალსა სდებენ ეხლანდელს
სკოლას და რამდენად საბუთიანად უკისინებენ, რომ თა-
ვის დანიშნულებას არ ასრულებსო. ვიღრე ამ ბრალის და
საბუთების ჩამოთვლას შევუდეგმოდეთ, ჯერ პირველად სა-
ჭიროა ვიცოდეთ, — რა უნდა მოეთხოვებოდეს სკოლას. ამის
პასუხად ბევრს გამოუქვემს აზრი და ყველა ეს აზრი,
სხვადასხვაფერად გამოთქმული, ერთს საფუძველზე აგე-
ბული, ერთის სათავიდამ წარმომდინარებს. ეს საფუძველი,
ეს სათავე ის არის, რომ სკოლა ერთსა და იმავე დროს
უნდა სწურთვიდეს კიდეც ბავშვა და ასწავლიდეს კი-
დეც. წურთვნა და სწავლა ხელი-ხელს გადაბმული უნდა
ვიდოდეს სკოლაში.

წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი სა-
განი აქვს და მეორეს — სხვა. წურთვნა მიმართულია ზე-

ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა-კი — გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე. საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებელობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებელობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა აღამიანს: აგი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია. ეს ყველაზე იცის და, გვგონია, ბევრსაც თავის თვალით უნახავს და გამოუცდია. რათ უნდა იყოს კაცი ავი, როცა მხოლოდ სწავლულია და არა ზნე-ხასიათ გაწურთვნილიცა?

საქსება ერთობ აღამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცომუყვარებითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გალუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უწერობითა და უხასიათობით არის ავი ზნეუწროვნელი სწავლული კაცი.

კეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონება-განუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონება-განვითარებული და ზნე-ხასიათ გაუწროვნელი. ხოლო ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამო-

ქიდებულია სწავლასა და ცოდნაზედა, და ამიტომაც ჩვენა გვგონია, რომ თუ სკოლას უნდა თავის დანიშნულება შეა-სრულოს, ევ სწავლა-ცოდნა ზე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასაცა ჰშველის და ზე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და ჰრგებს.

რასაკირველია, ზე-ხასიათის წარსამატებლად წურთვნას სკოლაში თავისი საკუთარი გზაცა აქვს, თა-ვისი საკუთარი სახსარიცა. ამ შემთხვევაში დიდად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს გამგეობას სკოლისას საერთოდ და ოსტატს და მოხელეს ცალკე. ამ შემთხვევაში დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულობა, ყოფაქცევა, მაგა-ლითი, სიფრთხილე, წინდახედულობა. ერთს მშვენიერს ამბავს გვიამბობს ერთი მწერალი მასზედ თუ,—წინდახე-დულად და გონიერად მოქცევა ოსტატისა რის შემძლე-ბელია ზე-ხასიათის წურთვნისათვის. თუმცა გრძელია ეს ამბავი, მაგრამ ისე კარგი რამ არის, რომ გვსურს სულ ამოვწეროთ და მით გასიამოვნოთ ჩვენს მეითხველებსა. აი ის ამბავი:

„იმის დასამტკიცებლად თუ,—რა-რიგად ლბილია ბუნება ბავშისა და რა ადვილად შესაძლოა ბავშს შთაა-გონის კეთილი, თუ გონება-გახსნილი კაცი ხელსა ჰკი-დებს საქმეს და სიყვარულით ეძლევა თავის დანიშნულე-ბას, შემდეგი მომხდარი ამბავია. ამ რამდენისამე წლის წინათ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გაათავა უნივერსიტეტი თუ არა, ოსტატის თანამდებობა მიიღო ერთ სასწავლე-ბელში. პირველი გასაკვეთი ერგო საშუალო კლასში, სა-ცა უფრო მოზრდილნი შეგირდები არიან, ესე იგი ბავშო-ბიდამ ყრმობაში გადამდგარნი. ამ ხანში ყმაწვილები

უფრო ცელქები და მოუსენარნი არიან. დირექტორმა
 აუწყა ბავშებს ახალის ოსტატის ვინაობა, თითონ ისტა-
 ტმაც ორიოდე ტკბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და
 დაუყოვნებლივ შეუდგა სწავლების საქმეს. გასაკვეთის
 ახსნის ღროს დასჭირდა კლასის დაფაზედ წერა. როცა
 წერა დაიწყო, რა თქმა უნდა, ზურგშექცეული იქნებოდა
 და შეგირდებს ვერა ჰედავდა. ამ ღროს დაფას მოხვდა
 და ზედ დააჯდა დალექილი ქალალდი, რასაკვირველია,
 ერთ-ერთის შეგირდისაგან ნასროლი. ოსტატმა უკან არც-
 კი მოხვდა და განაგრძო წერა, მითამ-და საყურადლებო
 არა მოხვდა-რაო. როცა გაათავა წერა, მოუბრუნდა შე-
 გირდებს და უთხრა: „ყმაწვილებო, დღეს ჩემი პირველი
 გასაკვეთია, პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზედ.
 სამართალსა ვთხოვ თქვენს პატიოსნებას, თქვენს სინი-
 ლისას. აბა იფიქრეთ,— მას შემდეგ, რა უპატიურებაც მო-
 მაყენა ერთმა თქვენგანმა,— რა გამწარებული გრძნობა
 უნდა გამყვეს მე თან თქვენის კლასიდამ, საცა ჩემს სი-
 ცოცხლეში პირველად დავიწყე სწავლება შეგირდებისა.
 მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის
 დამნაშავე ამ ჩემს გაუპატიურებაში. რა საჭიროა!.. დევ
 განიკითხოს ის იმისმავე სინილისმა. მე მით უფრო ვერ
 გამიგია ჩემის გამაუპატიურებელის საქციელი, რომ მან
 ჯერ არ იცის, როგორი ისტატი ვარ და როგორი კაცი.

იქნება, თქვენის სიყვარულის ლირსი გამოვდგე. ჯერ
 გამიცანით, გამომცადეთ და მერე გამიკითხეთ. დიალ, ბა-
 ტონებო, სამწუხაროა, რომ ჩემი პირველი გამოსვლა სა-
 პედაგოგიო სარბიელზედ ამისთანა ამბით დაიწყო. ხელ-
 მეორედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო ვინ
 არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავის სა-
 ხელი რომ შევიტყო,— ვინ იცის, მეც კაცი ვარ — იქნება

გულში იმისი ჯავრი ჩაგიყოლიო და ჯავრმა ცოტად თუ
ბევრად იმაზე გული ამაყრევინოს“.

„როცა ოსტატმა გაათავა ლაპარაკი, შეგირდებში
ჩუმი ჩოჩქოლი ასტყდა. დაიწყეს აქეთ იქით ჩურჩული,
ერთი მეორეს რაღაცას ეუბნებოდა, მეორე მესამეს და
ეგრე მთელს კლასს აცნობეს ერთმანეთის გულის-პასუხი.
ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი მათგანი და უთხრა ოს-
ტატს: „ნება მომეცით მე, მოვითხოვო თქვენთან ბოლიში
ყველას მავირ: ყველა ჩემი ამხანაგები გთხოვენ გვაპა-
ტიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთის ჩვენგანისა“.
ოსტატმა სიხარულით მიიღო ბოლიში და გამოუკხადა,
რომ სამუდამოდ დავიწყებას მივეცი ეს ამბავი და გული-
დამ ამოვიღეო. ამ დღის შემდეგ ამ ახალგაზრდა ოსტა-
ტის საქმე ისე კარგად გაიმართა, რომ უკეთესი არ უნ-
დოდა: ძალიან მალე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა
თავის შეგირდებისაგან მთელს ხუთსავე კლასში, რომელ-
შიაც იგი ასწავლიდა“.

ერთი ასეთი ჰყევიანური, გულთბილი საქციელი ოს-
ტატისა უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშის გაადამიანება-
ზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება გრამატი-
კისა, თუ სხვა რისამე ამისთანისა.

ჩვენ ამ ამბავმა მეტად გავეგიგრძელა წერილი და რაც
სათქმელი გვექონდა, იმასაც გადაგვზევევინა. ჩვენა გვგო-
ნია, რომ ამით ბევრი არა დაშავდა-რა და თუ დაშავდა,
ვეცდებით, შემდეგში დანაშაული ვიპატივოთ.

III

ჩვენ წინა-წერილში ლაპარაკი გვქონდა ზნე-ხასიათის
წრთვნაზედ. ხოლო რა არის ეს ზნე-ხასიათის წრთვნა, ეს

კი ვერ ავხსენით. ამის ახსნას დიდი გამოძიება უწდა და ჩვენთვის კი ამ-ჟამად საკმარისი იქნება ესთქვათ, რომ ზნე-ხასიათის წრთვნა ზრდაა შინაგანის კაცის, თუ ეგრე ითქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წრთვნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ესთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა. ამიტომაც ზნე-ხასიათის წრთვნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადა-მიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველ-გვარის წრთვნისა, ზრდისა და განათლებისა.

სხვანი. ამაზე უფრო შორს მიდიან და,—სწორედ მო-გახსენოთ,—არც უსაბუთოდ. ეს სხვანი ამბობენ, რომ ზნე-ხასიათის წრთვნა არამც-თუ უდიდესი, არამედ ერთად-ერთი საგანია სკოლისა, მისი პირველი და უკანასკნელი დანიშნულებაა. სკოლას ამის მეტი სხვა არავითარი სა-განი არ უნდა პქონდეს და ყოველი ლონე ამას უნდა მიჰ-მართოს და მოახმაროს. კაცს თუ ლონე აქვს გამოირ-კვიოს პატიოსანი საგანი ცხოვრებისა და, ვითარცა გა-მორკვეულის საგნის კაცი, ქვეყანაში იყოს ერთი არა კე-თილი თავით თვისით, მისი სულიერი ვინაობა სასურვე-ლად დაღვენილია და გამართულია. აი სწორედ ეს ლონე და ხერხი გამორკვევისა, პატიოსანი წყურვილი და ხერხი ქვეყანაში ერთ რამედ ყოფნისა უნდა კაცს შენძინოს სკო-ლამ. ამისათვის უნდა იწრთვნებოდეს კაცი სკოლაში. უა-მისოდ იგი არაფრის მაქნისია, რაც უნდა ბევრი სწავლა და ცოდნა პქონდეს, იმიტომ რომ უამისოდ იმისი სწავ-ლა-ცოდნა უქმი საუნჯეა და თითონ კაცი დაკეტილი ზან-დუკია უქმად მდებარე საუნჯისა.

ამიტომაც თითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც

სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შეჩ-ჩეული, რომ ზნე-ხასიათის წრთვნას, ამ ერთად-ერთს საგანს თვისას, გაუძლევს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლე-ვა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოსო, ამამ და ბოლო-მოუბმელი წადილია სკოლისა.

დღეს ყველასაგან ცხადად დანახულია, რომ ვერც ერთი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, იმოდენა სავსებით ცოდნას ვერ იძლევა, რომ კაცი მართლა მეცნიერი და სწავლული იყოს, ამ სწავლა-ცოდნაზე შეყინებული და გა-ჩერებული. ეს ამბავი მით უფრო საბუთად სახმარია, რომ ეხლანდელი სკოლა, თუნდა უნივერსიტეტი, მარტო სწავ-ლა-ცოდნის შექენაზეა მიმართული და აგებული და სხვა არაფრისათვის არ აცლის არც მასწავლებელს, არც მოს-წავლესა.

თუმცა ასეა, მაგრამ ჩვენ არც ერთი კაცი არ გვახ-სოება, რომ უნივერსიტეტიდამ, თუ სხვა სკოლიდამ გამო-სვლის უმაღლ თავი ეჩინოს მეცნიერებასა და სწავლა-ცოდ-ნაში. ვისაც თავი უჩენია, იმას სკოლის, უნივერსიტეტის შემდეგ უშრომია და ეს შრომა იმით ჰქონია გაადგილე-ბული, რომ სკოლას, უნივერსიტეტს,—ჰქონია ფიქრად, თუ არ ჰქონია,—მაინც ასე თუ ისე უცოდინებია, უსწავ-ლებია, სად და როგორ გაიგნოს სწავლა-ცოდნის; მეცნი-ერების გზა. ამ სახით, თუმცა ეხლანდელს სკოლას განსა-კუთრებულ საგნად სწავლა-ცოდნის შექენა აქვს, მაგრამ ამ საგანს ამაოდ ებლაუჭება და ვერა-გზით ვერა სწავლება. ვიმეორებთ, თუ დღეს მეცნიერნი და სწავლულნი არიან, მარტო იმით, რომ სკოლისა და უნივერსიტეტის შემდეგ თითონ თავით თვისით შეუქენიათ სწავლა და ცოდნა.

მაშასადამე, სკოლამ ისე უნდა ამზადოს და სწურთ-გნოს, რომ კაცს ლონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს ერთ

რადმე ყოფნისა ქვეყნის სასარგებლოდ; ლონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, პატიოსანი რამ საგანი ცხოვრებისა იქონიოს; ლონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, ყოველ ამისათვის მოიპოვოს შესაფერი სწავლა-ცოდნა. ეგრე მო-წყურებული, გალონიერებული და ხერხიანი კაცი არავი-თარს სიძნელეს საქმისას არ შეუშინდება, არ შეუძრე-ბა და ზნე-ხსიათობაც ეს არის.

ეხლანდელი სკოლა-კი სულ სხვა საგანს მისდევს და ეს ზნე-ხსიათის წრთვნა თავმინებებულია. ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვას და არა კაცის გააზამიანებისათვის. ამიტომაც არც კაცად და ვარ-გობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის. რამ. ამიტომაც სკოლაში შიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც-კი ენანე-ბათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღე-და-დღე ეყარ-გებათ, როგორც მეტი რამ.

„ესეთი ყოფა და მიმართულება ეხლანდელის სკო-ლისა, — ამბობს ერთი მეცნიერი: — ერთი უსაშინელესი და უდიდესი ცდომაა ადამიანის ყოველ სხვათა ცდომათა შო-რის. ყმაწვილის ნორჩის გონებას ვტვირთავთ, საბარგულე-და ვხდით რიცხვით აუარებელ და მრავალფერ ცოდნისა-თვის, იმისდა გამოუზრკვევლად თუ, — რა აზრით ვშევრებით ამასა. იმის მაგიერ, რომ ბუნებისამებრ ვზარდოთ, ვწურთ-ნოთ სული, ჩვენ მარტო იმასა ვსცდილობთ, რომ ბავშს გავუგეშოთ მხოლოდ ნიჭი გონებისა და ხსოვნა ციფირე-ბისა, სახელებისა, წელიწადებისა, სამათემატიკო ფიგუ-რებისა, საგრამატიკო ფორმებისა. ამას ჩვენ ისეთის ახი-რებითა ვსცდილობთ, იმოდენად რიცხვით ბევრს და დი-

დღის საწყაოთი ვუწყავთ, რომ ბავში მთლად იქანცება ხორცით, ალარა აქვს დრო არც თავის ბუნებურ თვისების თავის-თავად გახსნისა და წარმატებისათვის, არც იმისა-თვის, რომ ამ აუარებელ სასწავლებელ საგნებ შორის გა-მოარყიოს, გაიგნოს რამ. შესვენებისათვისაც-კი ალარა რჩება დრო თავისუფლად მიეცეს ფაქტსა უიმისოდ, რომ ზედ არ დასკეროდეს დაუძინებელი, გულის ასარევამდე მოძულებული ოსტატი, ანუ ზედამხედველი“.

„ასწავლიან გრამატიკას, არითმეტიკას, გოგრაფიას ისტორიას, — მმბობს სხვა მშერალი: — და უმთავრესს აზრს, უმთავრესს საგანს სკოლისას კი ივიწყებენ, სახელდობრ, იპას, რომ სკოლამ უნდა უშველოს, ლონე მისცეს შეგირდის ზენ-ხასიათს თავის-თავობა იჩინოს და გაიწუროვნოს წარსამატებლად და განსავითარებლად“.

„თუ ამ გზით არა ჰშველის სკოლა შეგირდსაო, — ამ-ბ იბს იგივე: — მაშინ აღარც იდეალია, აღარც ლონეა თავ-დამჭერი ავში და წამახალისებელი კარგში და საკუთრივ ამაებისაგან კი დაიწვნის ხლომე უკეოესნი თვისებანი აღა-მიანის ზენ-ხასიათისანი, სახელდობრ: კაცომოყვანეობა და სამართლიანობაონ“.

მართალიც არის. კაცობის კაცობის თავი-და-თავი ლირსება ეს ორი გრძნობაა. თუ სამართლიანი ხარ და კაცომოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმი-ტომ რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რაღა-ნაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოულში, საცა ოფლის წურვით უნდა ჰყილულობდეს თვითოვეული თავის კერძუ ცხოვრებისას, და კეთილის-მოქმედიც იქნები, რაღანაც ავკაციის ნე-ბას არ მოგცემს გრძნობა კაცომოყვარეობისა. შეძლებისა-მებრ იღვაწე და იმოქმედე კეთილი, — სხვას ამის მეტს

არასა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა, და სკოლამ სწორედ ამისთანა შვილი უნდა გაუზარდოს ქვეყანას, ამისათვის გაუტნის გონება, ამისათვის გაუღოს გული.

ეს ამისთანა აზრი სკოლის მოვალეობაზედ ახალი ამბავი არ არის. ამის სათავეს საშუალო საუკუნოებში ვპოულიბთ და მაშინდელ დიდ ბუნებოვან კაცებს არა-ერთხელ წარმოუთქვამთ. თუ რა ახირებულია კაცობრიობა ყოველი იმაში, რაც ერთხელ დაუჩემებია, ამას გვიმტკიცებს ამ აზრის ისტორია: აბა, ამ ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოებში გალვიძებულს აზრს ამ მეცხრამეტე საუკუნეშიაც თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაუჭერია.

შემდეგს ნომერში ამ ისტორიას ვუამბობთ ჩვენს მკითხველებსა..

IV

მოკლედ რომ მოგსჭრათ, რაც გრძლადა ვსთქვით ეხლანდელს სკოლაზედ, გამოვა, რომ დღევანდელს სკოლას სახეში აქვს მარტო ჰეკა-გონების წარმატება და გაძლიერება, თუმცა ბევრს შემთხვევაში საქმე ისე მიჰყავს, რომ ვერც ერთსა სწოდება და ვერც მეორეს. ეხლანდელი სწავლა-ცოდნა სკოლისა თუმცა ჰშველის კაცს გონების თვალით დაანახოს და გონებისავე ყურით გააგებინოს, რაც კაცის გარეშემო არსებობს და თავს იჩენს, მაგრამ ადამიანის საქციელზედ-კი თითქმის სრულებით არა ჰმოქმედობს. ამიტომაც დღევანდელს დღეს აჯვილად შესაძლოა შეჰვდეთ,—კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით-კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრი, სკოლაში აწავლა-ცოდნით გამორკვეულნი,

მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნებურის შინაარსითა.

ამას ნათლად გვიხატავს მეცნიერი ვესსიო, რომელიც ამბობს:

„ბერძნებსა და რომელებს ფილოსოფოსი ასწავლი-და,—ასე რომ ვსთქვათ — ქუჩაში, ყველგან ეჩვენებოდა მთელის თავის შეგირდების კრებულითა, ცხოვრებას ცხოვ-რებაშივე აკვირდებოდა, უხსნიდა და განუმარტებდა მის-თა მოვლენათა, ესაუბრებოდა და ეკამათებოდა ხალხსა, ერთის სიტყვით, საზოგადო, საყოველთავუ მოღვაწე იყო. ებლა ფილოსოფოსი განსაკუთრებულად მწიგნობარი კა-ცია, უფრო ხშირად მეთეორიდა. ჩვენ იშვიათად შეგგხდე-ბა ხოლმე მოსმენა მისის ცოცხალის სიტყვისა, უფრო იშ-ვიათი შემთხვევაა მისი საუბარი ჩვენთან. უფროს-ერთი მარტო იმათს თხზულებას ჰყითხულობს, ისიც მაშინ, თუ ფილოსოფოსმა გვაღირსა და საქეყენოდ გამოამულავნა თა-ვისი სისტემა. ძველთა ფილოსოფოსთა მიმდევარი შესაძ-ლო იყო გეცნათ მისის ცხოვრებისაგან, იმიტომ რომ სტოი-კად, თუ სოუისტად ყოფნა პნიშნავდა, რომ ცხოვრებითაც სტოიკია, ანუ სოფისტი. ეხლანდელს დროში-კი არამც-თუ მე, ან თქვენ გამოვიცნობთ, რომ ჩვენი ნაცნობი პო-ზიტივისტია, არამედ შესაძლოა თითონ ორმა პოზიტი-ვისტმა, რაც უნდა ხშირად ინახულონ ერთმანეთი, ერთ-მანეთსვე ვერ გაუგონ, რომ ერთისა და იმავე ფილოსო-ფიურ სისტემის მიმდევარნი არიან. ეხლანდელს ფილო-სოფიას აქვთ საქმე მარტო ჰქვა-გონებასთან და ცხოვრე-ბის მოვლენათა გაგებასთან ადამიანის მიერ, არც ადამია-ნის საქციელზედ-ლა მოქმედობს, არც არკვევს და წინ უძლვის ადამიანის თვითმოღვაწეობას“.

ამ-სახით, ჯერ ძელ დროშივე სცოდნიათ, რომ სწავ-

ლა-ცოდნა სკოლაში ზნე-ხასიათის საწურთველ ღონედ უნდა იხმარებოდეს და არა იქმნას მარტო თავის-თავად სა-ნუგბარი რამ, თავის-თავად სანატრელი. ამ აზრმა ძველის დროისამ უფრო მეტის გარკვევით, უფრო მეტის სიცხა-დით თავი გამოიჩინა საშუალო საუკუნოებში, საკუთრივ მაშინ, როცა ეგრეთ-წოდებულს სქოლასტიკას საძირკვე-ლი შეერყა და მოძლვება „ჰუმანობისა“ წამოდგა ფეხ-ზედ. ეს ხანა ისტორიისა გამოჩენილია მით, რომ ადამია-ნის ჭყავ-გონება დიდად გაძლიერდა, მრავალი რამ შეიგ-ნო და ისწავლა ბერძნებისა და რომაელების მწერალთა ნაწერებისაგან და მრავალი რამ აღმოაჩინა. ყველაზედ უდიდესი აღმოაჩინი ამ დროისა,— მიშლესი არ იყოს,— ადამიანია, ესე იგი, ამ საუკუნემ ახალის თვალით მიახე-და კაცობრიობა—ადამიანის ლირსებაზედ და იმის არსებო-ბის საგანზედა.

„ჰუმანობის მოძლვებება იმაში მდგომარეობსო, — ამ-ბობს ერთი მწერალი: — რომ ადამიანი შეპხაროდეს ცხოვ-რებას, ელინებრ სიხარულის თვალით უყურებდეს; იმაში მდგომარეობს. რომ კაცის ადამიონური ლირსება ლრმად პა-ტივცემულ იყოს და არა-ნაკლებ ლრმადვე ჩანერგული რწმენა გვქონდეს, რომ ყოველი ღონე და ნიჭი ადამიანის ბუნებისა აუცილებლად საჭიროა განვითარებულ და წარ-მატებულ იქმნას ერთიანად და გამოუკლებლივ“.

ეს პატივისცემა ადამიანის ლირსებისა დაიწერა თა-ვის დროშაზედ ჰუმანობის მოძლვებამ და ეს მოძლვებება გარკვევით გამოსთქვა მაშინ ერთმა იტალიელმა ჰუმანი-სტმა პიკო-დელა-მირანდოლამ, 1486 წელსა. ამ პიკოს სიტყვით, — აი რას უბრძანებს ლმერთი პირველს კაცს ადამიანა:

„მე შენთვის, აღამო, არავითარი სამუდამო ბინა და

სადგური არ მომიცია, არავითარჩ სამუდამო და უცვალებელი საქმე არ ამიჩენია. ეს იმისთვის, რომ საკა შენ გია-მოს, იქ იცხოვრო, რაც გინდოდეს, ის საქმე აიჩინო. მე შენ არც სასიკვდილოდ გამიჩენიხარ, არც უკვდავად დამინიშ-ვნიხარ. ეს იმისთვის, რომ შენ თითონ იყო შენის თავის მკეთებელი და ისეთი სახე მიიღო, როგორიც შენ თითონა გსუს: შენ შეგიძლიან პირუტყვამდინაც ძირს ჩამოხვიდე და ანგელოზამდინაც ზე ახვიდე“.

კაცმა რომ ჩაიხედოს ამ სტრიქონებში და ამასთან უნარიცა ჰქონდეს, გამოსარკვევი გამოარკვიოს და დასანა-ხავი დაინახოს, ჩენთან ერთად იტყვის, რომ ამაზედ მარ-ტივად და ამაზედ ნათლად ძნელია კაცმა გამოსთქვას-ლა, როგორც ადამიანის არსებობის საგანი, ისეც ადამიანის ლირუება.

ჯერ ეს პიკოს სიტყვა არ იყო თქმული, როცა იტა-ლიაში დაიძრა აზრი, რომ სკოლა აგებულ იქმნას ჰუმანო-ბის მოძლვრების მიხედვითა. ამისი პირველი მესვეური იყო პალეული ჰუმანისტი ვიტორინო დე-ფელტრე, რომელიც ახალის პედაგოგის მამად ითვლება დღესაც.

ამისი ამბავი და სხვაც დანარჩენი შემდეგისათვის გა-დიდვას.

V

ვიტორინო დე-ფელტრე *, რომელიც,—როგორც წინათა ვსთქვიო,—პედაგოგის მამად ითვლება, ერთის

*) ეს ცნობები თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოგსწერეთ, ცოტა-კი შემოკლებით, თხშულებიდამ: „პედაგოგიური თეორიები განაპლე-ბის ეპოქისა“.

ლარიბის ოჯახის შვილა იყო ვენეტიკის სამფლობელოში
და დაიბადა 1378 წელსა. იმის ყრმობის დროს ერთი აქა-
იქ მოარული ოსტატი იყო ორტორიკისა და ლათინურის
ენისა, მეტად სახელგანთქმული. ეს იყო ჯიოვანი დე-
რივენია. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება ვიტო-
რინომ ამისაგან მიიღო, მერე პადუის უნივერსიტეტში
გადავიდა და საოცარი წყურვილი ჰქონდა მათემათიკა
ესწავლა. ხოლო გროში არა ჰქონდა ფული ეძლია მათე-
მათიკის ერთად-ერთ მასწავლებელისათვის პადუაში, ბია-
ჯიო პელაკანისათვის, აიღო და მოსამსახურედ დაუდგა
და მოსამსახურობით გასამრჯელოს უხდიდა თავის ოს-
ტატისა.

მალე შეატყო ვიტორინომ, რომ ბიაჯიო ვერაფე-
რი ოსტატია და ამისაგან ვერას გამორჩება. დიდის ნი-
ჭის პატრიონი და ამასთან ცოტაოდენ სწავლა-განათლე-
ბით გზა-კვალ-გახსნილიც, ვიტორინონ განშორდა ისტატის
და თითონ მარტოკა შეუდგა საყვარელის მეცნიერების
სწავლასა. მალე ისე გაიმართა და ისე ისწავლა, რომ
თვითვე შეეძლო ესწავლებინა მათემათიკა სხვისათვის.
1414 წელს ვიტორინომ ვენეტიკაში ისტატობა-დაიწ-
ყო: აიყვანა რამდენისამე დიდეკაცის შვილი სასწავლებ-
ლად ფულით და ლარიბებს-კი მუქთად ასწავლიდა. 1418 წ.
რიტორიკის პროფესორადაც შეიქმნა. ამ პროფესორობა-
ში ისე გაითქვა სახელი, რომ მანტუის ჰერცოგმა ჯიან-
ფრანჩესკო ჰონზაგომ მიიწვეა თავის შვილების აღმზრ-
დელად. ჰერცოგმა მშენიერდ სადგური მისცა ტბის პი-
რას, ქალაქზედ მოშორებით, და 1425 წ. ვიტორინო
აქ დაბინავდა ჰერცოგის შვილებითა და მათის ტოლ-
ამხანგებითა დიდეკაცია შვილთაგან. თუმცა ეს სკოლა
მარტო ჰერცოგის და მის დარბაისელთა შეიღლთათვის და-

ნიშნული იყო, მაგრამ ვიტორინომ ეს არ შეიწყნარა და იგი მანტუს სკოლა საყოველთაო სკოლად გადააქცია. ამ-სახით, სკოლის კარგი გააღმ ყველა წოდების შვილთათვის, როგორც მდიდართა, ისეც ლარიბთათვის. ხოლო ლარიბ-თათვის სკოლის მახლობლად გაჭმართა ცალკე სადგური, საცა იგი. აჭმევდა, ასმევდა, აცმევდა და აძლევდა ყოვე-ლისფერს, რაც სკოლაში სახმარად საჭირო იყო.

ჩვენ ეს მანტუს სკოლის მოქლე ისტორია იმიტომ მოვიხსენიეთ აქ, რომ იგი ერთი უზველესი საშუალო სას-წავლებელი იყო ევროპაში, რომელმაც ყველაზედ უწინ საფუძვლად და სათავედ დაიდო ახალი მოძღვრება ჰქონდისა, ვიტორინოს მეთაურობითა. ვიტორინოს იდეა-ლად, ანუ მაგალითად, ჰქონდა ათინური „გიმნასიი“, სა-ცა ერთნაირი და თანასწორი ყურადღება იყო ზიქცუ-ლი, როგორც ყმაწვილის კევა-გონების განვითარებასა და გაძლიერებაზედ, ისეც ძვალ-ხორც-ჯანის გამაგრებასა და გალონიერებაზედ. ხოლო მისაღწევი საგანი კი ვიტორი-ნოს სკოლისა ზენ-ხასიათის გაწერონა, დამთავრება და დაფენა იყო. ამიტომაც სკოლაში სწავლება და გარეთ ჰაერზე ვარჯიშობა ერთი-ერთმანეთს რიგ-რიგად მოს-დევდა. ყოველ დღეს, დანიშნულს საათს, რაც გინდ ტა-როსი ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ სრბოლისა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში, ზოგჯერ ნადირობის და ოვეზაობის ნებასც აძლევდა. ზაფხულობით ოსტატების თანახლებით ყმაწვილებს სამ-გზავროდ ისტუმრებდა კარგა შორს, ზოგჯერ ალპის მთებშიაც.

თუმცა სწავლების სახსრად ძეელი ენები იყო, ბერ-ძნული და ლათინური, რომელთაც თითონ ვიტორინო ასწავლიდა უფროსს კლასებში, მაგრამ მარტო იმისთანა

კლასსიკებს აკითხებდა, ოოშელთაც შეეძლოთ ემოქმედნათ ყმაწვილების ზე-ხასიათის გაწრთვნასა და გამართვაზედ. ამ კლასსიკების სწავლებასთან ერთად მხარ-და-მხარ ასწავლიდა მათემათიკას, რომელიც ვიტტორინოს მიაჩნდა განებისათვის უკეთესს სავარჯიშოდ.

ვიტტორინო სულითა და გულით მიეცა თავის სკოლას და ყმაწვილებს ისე ექცეოდა, ოოგორც მამა შვილებსა. სკოლას შესწირა თავისი საკუთარი ბეღნიერება: არ მოეკიდა არც ოჯახს, არც ცოლ-შვილიანობას. როცა მეგობრებმა ურჩიეს, ცოლი შეირთე და შენისთანა შვალები დაუტოვე შენს ქვეყანასაო, იმან ჯებასუხა, რომ უმაგისოდაც საკმაო შვილები მყვანან სკოლაშიო.

მაგრად იდგა რა პლატონ ფილოსოფოსის თქმულ-ზედ, რომ თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრ-დებოდესო უტყვეს-უცემლად, ვიტტორინო უძლვებოდა თავის შეგირდების წრთვნას მაგალითითა და ჩაგონებითა და მარტო ძალიან იშვიათს შემთხვევაში ჰემარობდა ხორცთა სასჯელსა. როცა ამ გზით საქმის სვლამ დაანახვა, რომ საქმე კარგად მიღის, მან სამუდამოდ და უკუ-დაუბრუნებლად განაძევა თავის სკოლიდამ ხორცთა სასჯელი. სკოლის რიგი და წესი მარტო თავის-თავის ზეობურს გავლენაზედ დაამყარა ამ საკვირველმა კაცმა, რომელზე-გაც მისი თანამედროვე ამბობს, რომ იგი იყო ზეგარდ-მო ლვთაებურის მაღლით ცხებულიო. მხიარულად და ხალისიანად მიდიოდა სკოლის საქმე, ასე რომ თითონ სკოლას „მხიარული სახლი“ დაირქვა სახელად.

ჩვენ ვერ ვიძულით, რომ ვიტტორინოს სკოლა უნაკ-ლულო იყო. ბევრი რამ აკლდა და ვრცლად რომ აგვი-წერა, იქნება დაგვენახა ზოგი რამ მეტიც, ხოლო ჩვენ თუ ეს ამბავი მოგვაცეს, მარტო იმისთვის, რომ ვიტტო-

რინოს აზრი, მაშინდელის სკოლის საფუძვლად დადებული, მხოლოდ დასაწყისია, ფეხის აღგმაა ახალის საპედაგოებით თეორიისა, მაშიალაშე, ვიტორინინის მოქმედებას სასკოლო სარბიელზედ ისე უნდა ვუყუროთ, როგორც დვრიტას, რომელიც მერე და მერე გალვივდა, როგორც კვირტს, რომელიც მერე და მერე გაიშალა და გადაიხსნა სხვათა შეცნიერთა შემწეობითა.

VI

„ივერიის №№ 92—96 მეთაურების საგნად * ავილეთ ეხლანდელის სკოლის ვითარება საზოგადოებრივი, რომ ერთი უდიდესი ნაკლულოვანება ის არის, რომ ეხლანდელს სკოლას აზრადა აქვს, რაც შეიძლება ბევრი სწავლა-ცოდნა შესძინოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის წურთვნას-კი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოკებს. ამ სწავლა-ცოდნასაც ისეთის დიდის საწყაოთი იძლევა, რომ მოსწავლე ძლივ-ძლიობით ასდის, სულით და ხორცით იქან-ცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯან-გალეულა კაცი გამოდის სკოლიდამ; ამ-სახით, ეხლანდელი სკოლა მიმართულია მარტო გონების აღმატებაზედ და სხვა მხარეს ადამიანის ბუნებისას არამკ-თუ ჰშევლის, არამედ სჩაგრავს და ჰშეთავს.

*) ბოდიშ ვინტით მცითხველის წინაშე, რომ დღეს ისევ ძველს ამბავს უსდა დაგუბრუნდეთ. მაშინ დავიწყეთ და ვეღარ შევასრულდეთ სხვადასხვა მიზნებისა გამო და რაც დაგაკლდა, ეხლა გესურს შევავსოთ. [ავტორი აქ გულისმობს ამ წერილის პირველ ხუთ თავს, რომლებიც დაიბეჭდა 1886 წლის ივნისის №№ 92—96. რედ.]

ეს შეპირიშვილის შეცნიერთა და კაცომოყვარეობით გა-
მსჭვალულებმა ამ დიდის შეცდომის გასწორება მოისურ-
ვეს. დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულე-
ბისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწუროვნებოდეს სკოლა-
ში ყოველ მხრით: გონიერით, ზნე-ხასიათით, სულით და
ხორცით და არც ერთი იმათგანი არ უნდა შეეწიროს
მეორეს. ეს დედა-აზრი, რომელსაც ეხლანდელნი მეცნიერ-
ნი პლამობენ დაუდვან სკოლას, ახალი ამბავი არ არის.
მაგ დედა-აზრის სათავე ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოებში
მოიპოვება, სახელდობრ, ეგრეთ წოდებულ „განახლების
ეპოქაში“, როცა თავი იჩინა ჰუმანობის მოძლვრებამა.
პირველი კაცი, რომელმაც ჰუმანობის მოძლვრებაზე ააგო
სკოლა, იყო იტალიელი ვიტტორინო დე-ფელტრე. ამ კა-
ცის მოქლე ისტორია და იმისი საპედაგოგიო საფუძველი-
უკვე მოვახსენეთ მკითხველს „ივერიის“ № 96-ში.

ეს მამამთავარი პედაგოგიისა ისე აღსრულდა, რომ
ერთი სტრიქონიც არ დაუშერია ახალ პედაგოგიის შესა-
ხებ. იგი მარტო საქმით მოქმედობდა და ამბობდა, რომ
კარგად მოქმედება სჯობს კარგად წერასათ. ხოლო იმისი
საქმით მოძლვრება უნდაყოფოდ არ დარჩა. იმის დროს
სცხოვრობდა ორი სხვა მეცნიერი, პალუის პროფესო-
რი პაოლო ვერუერიონ და რომის პედაგოგი მატტეო ვი-
ჯიო. ვიტტორინოსაგან საქმით მოძლვრებულნი საფუძველ-
ნი ახალის პედაგოგიისა ამათ სამეცნიერო წესსა და რიგში
ჩააგდეს და თვითონეულმა მათგანმა საქმიოდ გამოჩენილი
თხზულება დასწერა. ამ-სახით, ეს ორი კაცი შეიქმნა მეც-
ნიერულად დამტუზნებელი. ახალის პედაგოგიისა. ამათი
ნაშრომი იმითია გამოჩენილი, რომ თვალსაჩინოდ, თვალ-
ნათლად გამოთქმულია დედა-აზრი ახალის საპედაგოგიო
სისტემისა, წარმომდგარნი ჰუმანობის მოძლვრებისაგან.

ვერუერიო თავის თხზულებაში სკულის საფუძვლად
 სდებდა ამ ოთხს დედა-აზრსა: ა) საგანი აღზრდისა ის
 არის, რომ თავის რიგსა და წესზედ წარმატებულ იქმნას
 ყოველნი ძალი და ნიჭი აღამიანისა, როგორც სულიერნი, ისე ხორ-
 ციელნი. ბ) სწავლებაში უნდა სახეში მიღებულ იქმნას
 არა მარტო ასაკი და წლოვანება მოწაფისა, არამედ მის-
 ნი განსაკუთრებული ზენი და თვისებანი. გ) რადგანაც
 ბავშის ცოცხალსა, მყვირცხლსა და ადგილად აღმტეჭავ
 ბუნებაზედ ცოცხალი მაგალითი უფრო ძლიერ მოქმედობს,
 ვიდრე მკვდარი წესი და დარიგება, ამიტომაც ყველაზედ
 უკეთესი ლონე ის არის, რომ მოწაფეს წინ გადუშალოს
 სტატმა ცხოვრება დიდ-ბუნებრვანთა კაცთა, რომელნიც
 ასე ბევრნი მოიპოვებიან ძველს დროში. დ) სწავლა-ცოდ-
 ნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თა-
 ვისუფალთა მეცნიერებათა შესწავლაზედ. ამ მეცნიერე-
 ბათა სათავეში სდგას ფილოსოფია, რომელიც აღამიანს
 გონებითად თავისუფალ ჰქითის. მას მოსდევს მეცნიერება
 მშევრმეტყველებისა, რომელიც ასწავლის კაცს აზრის ნათ-
 ლადა და ლამაზად გამოთქმას. მერე მოლის ბუნებისმე-
 ტყველება, რომელიც გვაძებინებს ჰარმონიას ყოველ მი-
 სას, რაც არსებობს, და ბოლოს ისტორია, რომელიც მოგ-
 ვითხოვთ. სვლას და განვითარებას მეცნიერებისას და
 მრავალს სასარგებლო მაგალითს თვალ-წინ გვიყენებს.

როცა ვერუერიო ამაებზედ ლაპარაკობს, ბევრს
 ეხლანდელ დროისათვისაც სასურველს აზრსა და ჭრმა-
 რიტებას ამბობს. მაგალითებრ, იგი ამბობს, რომ ჭკუა-
 გონება მოწაფისა უფრო წარმატებაში შედის მაშინ, რო-
 ცა ერთს რომელსამე თხზულებას საფუძლიანად ისწავ-
 ლის, ვიდრე მაშინ, როცა ხელ-და-ხელ და გაკვრით

გადააბულბულებს ზრავალსაო. გადამეტებული ცოდნა
წვრილმანებისა მეტის-მეტად ამძიმებს მოწაფის გონებასა,
ჰქანცას და ჰლალას ყმაწვილსა იქამდე, რომ ბოლოს და-
ბოლოს სამუდამოდ აუდლურებს და ასუსტებს. როგორც უწე-
სურობა, ისე მეტის-მეტი მკაცრი წესიერება (დისციპლი-
ნა) სკოლაში ერთნაირად მავნებელიაო. პირველ შემთხვევა-
ში სული და გული, ერთობ ბუნება და გუნება მოწაფისა
აღვირაშვებულია, გაქსუებულია, მოწაფეს ეკარგება ლონე
თავდაჭერისა და უნარი, ხალისი გარჯისა და შრომისაო;
მეორე შემთხვევაში გატანჯული და დაშინებული მოწაფე
ყოველს მხნეობასა ჰყარგას, ნიჭი თაოსნობისა და თეოთ-
მოქმედობისა უკვდება, იმიტომ რომ ვისაც ყველაფრისა
ეშინიან, ის უღონოა რაიმე საქმეს შეუდგეს თავისიდაო.

უფრო მეტის საბუთიანობით და სისტემით გამოჩე-
ნილია მეორე მეცნიერის ვეჯიოს თხზულებაო, ამბობს
ავტორი, რომლის თხზულებიდამც ამოვრიბეთ ჩვენ რო-
გორც ეს ცნობანი, ისევ წინანდელნი. ეს მისი თხზულე-
ბა ახალი პედაგოგია არისო,—ამბობს იგი ავტორი,—და
ბავშის აღზრდას დაბადების დღიდანვე თანა სდევსო. ვე-
ჯიო მთელის თავის ძალონით ეწინააღმდეგება იმ ჩვეუ-
ლებას, რომ შვილებს ძიძას აზრდევინებენ და ცხარედ
იღვწის, რომ დედამ თითონ აწოვოს შვილსა. წესიერად
და მართალის გზით განვითარება და წარმატება სულისა
და ხორცისა, ჩანერგვა ბავშის გულში კარგის მაგალითე-
ბის შემწეობით კეთილ-მომქმედის ზნისა და ხასიათისა
უნდა იყოს, ვეჯიოს აზრით, ერთად-ერთი საგანი აღზრ-
დისა. ვეჯიოც, როგორც ვერუერიო, იმ აზრზედ სდგას,
რომ აღზრდაში სახეში უნდა იქნიონ არამც-თუ მარტო
ასაკი მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებული ზნენი
და თვისებანი. ხოლო ვეჯიო ამ საგანზედ უფრო ვრცლად

ლაპარაკობს. იგი ამბობს, რომ სხვადასხვაა ბუნება ს ხვა-
დასხვა ბავშისაო. ეს სხვადასხვაობა ბავშთა ბუნებისა
იმოდენად ძლიერია, რომ უფრო აღვილია მზეს შეაცვლე-
ვინონ გზა, ვიდრე დაბალებით თანდაყოლილნი მიღრეკი-
ლებანი ბავშისა შეიცვალოსო. ამ სხვადასხვაობას უნდა შე-
ეფუროს სხვადასხვა ლონისძიებაც აღზრდისაო. მკაირცხლს
და თაშამს ბავშს სხვარიგად უნდა მოექცნენ, ვიდრე
მკლემარეს, მორცხესა და აზიზს ყმაწვილსაო. ესევე უნ-
და იქონიონ სახეში ჭკუა-გონების აღზრდაშიაცაო.

ამიტომაც ვეჯიო დედ-მამებს არ უჩჩევს, შვილები
იმისთანა სკოლაში აძლიონ, საცა ბევრი ყმაწვილები არიან,
იმიტომ რომ თვით უკეთესი ოსტატიც-კი ამ შემთხვევაში
უღონო იქნება თვითოულს ბავშს ცალკე ადევნოს თვა-
ლი და თვითოულის განსაკუთრებულს ბუნებას და გონებას
ცალკე შეურჩიოს გზა გონების გახსნისა და ზნე-ხასიათის
წურთვნისა.

აი ეს სამნი — ვიტორინო, ვერუერიო და ვეჯიო,
არიან პირველნი მესვეურნი ახალის პედაგოგიისა და ამ-
სახით, იგი დედა-აზრნი, რომელიც დღეს გაღვიძებულნი
არიან მეცნიერთაგან, მომღინარეობენ ჯერ კიდევ მეთ-
ხუთმეტე საუკუნიდამ. განსხვავება მარტო იმაშია, რომ
ეხოა ეყ აზრნი უფრო მეტის სავსებით, მეტის გარკვევით,
მეტის მეცნიერებით და გამოცდილებით შემუშავებულნი,
განვითარებულნი არიან და დასაბუთებულნიცა.

VII

ვიტორინომ, ვერუერიომ და ვეჯიომ, ამ — რო-
გორცა ვსთქვით, — სამმა მესვეურმა ახალის პედაგოგიისამ,

გზა გაუხსნა პედაგოგიასა და მათმა თეორიამ ახალის
მოძღვრებისამ დიდი ჰელმოქედება იქონია შემდგო-
მებზედ. სახელოვანი დეზიდერი ერაზმი როტტერდა-
მელი, რომელიც დაიბადა 1467 წელსა და გარდაიცვალა
1536 წელს, ერთი იმათვანი იყო, რომელთაც ბოლოს-
და-ბოლოს სრულად დაჰუშტეს ძევლი სქოლასტიკური
სისტემა სკოლისა და ახალი საფუძველი დაუდვეს, პუმა-
ნობის მოძღვრებაზედ აგებული. საპედაგოგო აზრი
ერაზმისა იმითი არიან განსაკუთრებით შესანიშნავნი,
რომ ერაზმი აღმატებულის სასოებით თაყვანსა სცემს
ბავშვა და ამ სასოებისაგან შეპყრობილი იძლევა სარ-
ჩიელს ბავშის წურთვნისას და აღზრდისას. ბავშიო, ამ-
ბობს იგი, წმინდა ტაძარისა სულის-წმინდისა და სიფრთ-
ხილითა და სიყვარულით უნდა მოექცენო. იგი არ ეთან-
ხმება ვეჯიოს, რომელიც ბავშის ბუნებურს მიღრეკილე-
ბას მეტის-მეტს მნიშვნელობას აძლევდა. ერაზმი, პირ-
იქით, ამტკიცებს, რომ აღზრდას და წურთვნას შეუძლიან
სრულად გარდაპქმნას ბავშიო. საქმე იმაშიაო, რომ ამ
აღზრდამა და წურთვნამ ბავში ჩაგდოს ხელში პირველ
ხანშივე, ნორჩიბაშივე და ყოველს მის ფეხის გადაიგმას
უწინამძღვროსო.

ერაზმის აზრით, ბავშმა შემდევი კიბე უნდა აი-
როს აღზრდისა და წურთვნის დროსაო: ჯერ პირველად
ყმაწვილის ნორჩის და მალე შემთვისებელს გულში უნდა
ჩანერგილ იქმნას ფეხვი სათხოებისა, სიყვარული შემოქ-
მედისა და რწმენა მისი, რომ ლოთისათვის საცნაურია
არამც-თუ საქმენი ადამიანისა, არამედ გულის-ზრახვა-
ნიცა. როცა ამ გზით სული და გული მოწაფისა საკმაოდ
მომზადებული იქნება, მაშინ მეცნიერების სწავლებასაც
უნდა შეუდგნენ და ბოლოს ხომ უნდა განუვითარონ

გრძნობა მოვალეობისა და ასწავლონ, როგორ უნდა მო-
ექცეს და მოეპყრის თავის მნიშვნელობისა და მიმართვის
სწავლება უნდა დაიწყონ, ერაზმის აზრით, შვიდ, ანუ
რვა წლიდამ, იმისდა მიხედვით, თუ სულით და ხორცით
რა ლონისაა ყმაწვილი. რაღაც ამ ხანში ბავშვს გარ-
თობა და თამაშობა უყვარს, ამიტომ საჭიროა სწავლა
და წეროვნა ისე მოეწყოსო, რომ ბავშვმა სწავლება წვა-
ლებად არ მიიჩნიოსო. იმაზედ უარესი არა არის-რა, რომ
ბავშვმა მოიძულოს სწავლა-ცოდნა, ვიდრე შეიგნებდეს ერ-
თისა თუ მეორის სიკეთესაო.

ერაზმი ოსტატისაგან შევრს რასმე ჰთხოულობს.
თუ ოსტატს ჰსურსო, რომ საქმე ემარჯვოს და კეთილად
იმოქმედოს ბავშვება, აუარებელი ცოდნა უნდა ჰქონდე-
სო, ოსტატმა თითქმის ყველაფერი უნდა ზედმიწევნით
იკავდესო. „თქვენ მეტყვითო, ამბობს ერაზმი, რომ მე
დიდს ტვირთსა ვსედებ ისტატსაო. მართალია ეგ, მაგრამ
ერთს რომ დიდს ტვირთსა ვკიდებ, ამით სხვა მრავალს
ვუსუბუქებ ტვირთსაო. მე მსურსო, რომ ოსტატს გავ-
ლილი ჰქონდეს მთელი სივრცე კაცთა მეცნიერებისა, იმი-
ტომ რომ მოწაფეებს ალარ დასჭირდეს თითონ ჰქმნან
ეგევეო“. ხოლო ესეც საკმაო არ არის, ერაზმის აზრით
ოსტატისათვის: იგი უნდა იყოს მაღალის ზნეობის კაცი,
უნდა იცოდეს, როგორ მოექცეს ბავშვსა, უნდა შემძლე-
ბელი იყოს მოიპოვოს სიყვარული და პატივისცემა ყმა-
წვილისაო. „პირველი თავმდები ბავშვის აღზრდის მარჯ-
ვედ მსვლელობისა—სიყვარულია მოწაფისა ოსტატის მი-
მართო“—ამბობს ერაზმი.

ერაზმი ძალიან ეურჩება, ძალიან ჰყიცხავს, თუ გა-
საკვეთი ხანგრძლივისას სასწავლებელში. ხანგრძლივად სელა
გასაკვეთებისა ჰლალავს შეგირდის გულისყურს, ქანცს

ულეցს ყმაწვილსა და სულიერად თუ ხორციელად სჩაგ-
რავსო. ამიტომ ოჩევას იძლევა, რომ რაც შეიძლება მალ-
მალე უნდა იცვლებოდეს ხოლმე საშრომელი ბავშისაო:
სწავლა, შესვენება, სეირნობა და გართობა ერთმანეთში
რიგ-რიგად ჩართული უნდა იქმნასო.

ვეჯიოსებრ, ერაზმი სამჯობინარად ჰქედავს იმის-
თანა სკოლას, საცა მოწაფენი ბევრნი არ არიან. ცოტა-
შეგირდებინა სკოლა სჯობია, როგორც შინ აღზრდასა,
ისე ბევრ-შეგირდებიან სკოლასაო. შინ რომ იჩრდება
ყმაწვილი, თვალ-წინ არავინა ჰყავსო, რომ უპირატესობისა
და ჯობნობისათვის შეეჯიბროს ვისმე, და შეჯიბრება-
კი ამ შემთხვევაში დიდი ლონეა ბავშის წარმატებისა-
თვალისაო. ბევრ-შეგირდებიან სკოლაში ხომ ოსტატი ულო-
ნოა თვითონეულ ბავშის ბუნებას ცალკე აღევნოს თვალ-
ყურიო.

VIII

ამაოდ არ ჩინარა საპედაგოგიო მეცნიერებისათვის
ვიტორინოს, ვერუერიოს, ვეჯიოს და ბოლოს ერაზმის
ლვაწლმა და მეცალინეობამ. ამათმა საბუთიანმა და მარ-
თალმა მოძლევებამ თანდათან ფეხი გაიდგა და მომხრე-
ნი მოიპოვა ჯერ კიდევ „განათლების“ ეპოქაშივე სხვა
ქვეყნებშიაც. მაშინდელს საფრანგეთში გზა გაიკვალა
ახალმა საპედაგოგიო თეორიამ გამოჩენილის და სახელ-
განთქმულის ფრანსუა. რაბლეს მეოხებითა. ფრანსუა რაბ-
ლე იყო ფრანგი. იგი დაიბადა 1483 წელს და გარდაიცვა-
ლა 1558. წელსა. თუმცა პირველ ხანში რაბლე ბერ მო-
ნაზონი იყო, მაგრამ მერე შეიქმნა სახელოვან რომანის-

ტად და უფრო სახელოვან სატირიკოსად. ამან სრულიად
შეითვისა ახალი საპედაგოვიო მოძღვრება ერაზმისა და
მის წინა-მყოფთა, ხოლო ისე-კი, როგორც დიდ-ბუნებო-
ვანს კაცს შეჰქორის. რაც კარგი იყო ახალის პედაგო-
გის მესვეურთა ნამოქმედარსა, თუ ნაწერებში, ყოველი-
ვე იგი მიიღო და ამ მიღებულშედ ფეხმოკიდებულმა უფ-
რო წინ წასწივა საპედაგოვიო მოძღვრება და გაუმატა.
ამის გამო მეტი არ იქნება ვსოქვათ, რომ მან შეკვენა
საკუთარი თეორია აღზრდისა და ამაში დიდი გამჭრიახო-
ბა, დიდი ცოდნა და დიდი ჭკვა-გონება გამოიჩინა.

რაბლეს არ დაუწერია განსაკუთრებული საპედაგო-
გით თხზულება და არც თითონ ჰქონია სკოლა. ერაზმი-
სებრ რაბლესაც თავის-თავზედ ჰქონდა გამოცდილი მთე-
ლი სიმძიმე სქოლასტიურის სწავლებისა, რომელიც უფ-
რო წვალება და წამება იყო ბავშისა, ვიდრე წრთვნა და
ზრდა, და რომელსაც აზრადა ჰქონდა, მარტო წყალსა-
ვით დასწავლება წიგნისა და არა გაგება საგნისა და ქვე-
ყნერობისა. ამიტომაც, როცა დრო მოეცა, მთელის თა-
ვის მწვავის ენით სასაცილოდ აიგდო სქოლასტიური წე-
სი სწავლებისა და დასწერა მწვავი სატირა-რომანი, რო-
მელსაც „გარგანტუა“ ჰქიან. ამ სატირაში ერთის
მხრით სასაცილოდ აგდებულია ძველი სქოლასტიური წე-
სი სწავლებისა და მეორეს მხრით გამოხატულია იდეალი
ახალის ჰუმანიურის სწავლა-წურთვნისა. ერთიც და მე-
ორეც ნაჩვენებია ორის ყმაწვილის გამოსახვითა. ამ ორ
ყმაწვილში ერთი ძველის წესით იზრდება და მეორე ახა-
ლის წესითა.

ახალი წესი, რაბლეს მიერ მოძღვრებული, იმაში
მდგომარეობს, რომ ბავში რაც შეიძლება ნაკლებ იყოს
შომწყვდეული ოთხ კედელს შუა, რაღანაც დახშული და

დაბულებული ჰაერი ოთახისა და უმოძრაობოდ ყოფნა
სჩაგრავს ყმაშვილსა. ყმაშვილი დღეში უფრო ბევრი წი-
ლი გარეთ უნდა იყოს, ჰაერზედ. არც ერთმა საათმა დღი-
სამ უქმად არ უნდა ჩაუაროს ბავშვა: ოსტატმა საცოდ-
ნელი და საწურთვნელი ყოველთვის უნდა მოუპოვოს
ბავშვა და ერთს წუთსაც უსაქმურად არ უნდა ამყოფოს.
წიგნის კითხვისათვის და კლასში სასწავლებლად საქმია
სადილის წინ სამი საათი და სადილის უკანაც სამი. სხვა
დრო-კი შიგა-და-შიგ და რიგ-რიკად უნდა მოხმარუეს
იმას, რომ შეგირდს გაეხსნას ნიჭი დაკვირვებისა, გამორ-
კვევისა და ამიტომაც საჭიროა ბავშვა თავის საკუთარის
დანახვითა, საკუთარის მოაზრებითა და განსჯითა იცო-
დინოს ბუნება და ცხოვრება. სეირნობს ბავშვი, თუ ჰა-
მაშობს, თუ ტანის და აგებულობის წარსამატებლად ვარ-
ჯიშობს, სჭამს თუ სვამს, ოსტატმა ბავშვის თვალი და
გონება უნდა მიახედოს ყველაფერზედ, რაც-კი საცოდნე-
ლად და საწურთვნელად გამოსადეგია.

რაბლეს სისტემაში ტანის და აგებულების ვარჯიშო-
ბას დიდი ადგილი უჭირავს: ბურთაობა, კენჭაობა, ცხენ-
ზედ ჯდომა, ცურვა, ჭიდაობა,—ყოველივე ეს საჭიროდ
დანახულია რაბლესაგან. რაბლეს აზრით, მოზარდმა თა-
ვის თვალით უნდა გაიცნოს ცხოვრება და მისი ავკარ-
გიანობა თავის ყურით გაიგონოს. ამიტომაც ოსტატი
უნდა ატარებდეს ყმაშვილსა ფაბრიკებში, სამსჯავროში,
სახელოსნოებში და ეკლესიებში ქადაგების სასმენლადაო
და, რაც საჭიროა და შესამჩნევი, შეამჩნევინოს და გაა-
გებინოსო.

ასე გაჩნდა და ასე გაივსო ახალი მიმართულება პე-
დაგოგისა „განახლების“ ეპოქაში, რომელიც საშუა-
ლო საუკუნოებს ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ეხლანდელს

სკოლას ბევრში ჩამორჩება სკოლა „განახლების“ დრო-
ებისა. ერთი დიდი უპირატესობა ეხლანდელის სკოლისა
ის არის, რომ იგი მარტო დიდჯაცთათვის აღარ არის და
საყოველთაოა, როგორც დიდისა, ისე პატარისათვის, რო-
გორც მდიდრისა, ისეც ლარიბისათვის. არც იმასა აქვს
ეჭვი, რომ ეხლანდელს სკოლაში თითონ ხერხი სწავლე-
ბისა ბევრად უკეთესია უწინდელზედ, მაგრამ ესეც-კი
უნდა ითქვას, რომ ეხლანდელი სკოლა ბევრში უკან ჩა-
მორჩიმილია უწინდელზედ. დღლებ ყოველიფერი შეწირუ-
ლი აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ
ადამიანს, ჰკვა-გონების გარდა, გულიცა აქვს, რომელ-
საც კაი-კაცობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნ-
და, როგორც ცოდნისათვის ჰკვა-გონებასა; დავიწყებუ-
ლია, რომ კაცს ტანი და აგებულობაცა აქვს, რომელიც
წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გა-
ჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდი-
დესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე
თვისთა რჩეულთა. ამ მხრით ეხლანდელი სკოლა ბევრში
ჩამოუვარდება „განახლების“ დროების სკოლებს, რომელ-
თაც საგნადა ჰქონდათ თანასწორი წარმატება ადამია-
ნის სულისა და ხორცისა. ეხლანდელი სკოლა, მართალია,
ბევრს ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალმხრივ
მოქმედობს, ხასიათის წურთვნას თითქმის თავს ანებებს
და ტან აგებულებას ადამიანისა არამც-თუ ჰშველის, არა-
მედ ჰლალავს.

იკი ავტორი, რომელმაც ყოველივე ზემოხსენებული
გვაუწყა, ამბობს: ყველამ იცის ეხლანდელის სკოლის
ნაკლულევანება და საკულაოდ არა ერთი და ორი ცვლი-
ლება და შევსება მოელის ეხლანდელს სკოლასა. ვინატ-
რით, რომ შემცველთა და შემავსებელთა ხანდისხან

ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მიიხედონ
და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდ-ბუნებოვან ჰუმა-
ნისტებ-პედაგოგთა გან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიო-
ბას ბევრი რამ მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ და სა-
ბედნიეროდ.

[1888 წ.]

საგოგიდოება,
რელიგია და მორალი.

(1886—1888)

ქართველი მრი და ლვაზლი ჭმიდა ნიცისი

14-ი იანვარი, ყოვლად-სადიდებელი დღეა ყოველის ქართველისათვის. ამ დღესა უქმობს, ამ დღესა დღესას-წაულობს საქართველოს ერი და ეს დღეა დღე მიცვალებისა ჩვენის განმანათლებელის მოციქულთა სწორის წმინდა ნინოსი. ამ ჩვენს ღვთისმშობლის წილადხდომილს ქვეყანას ღვთისმშობლისავე ლოცვით და კურთხევით ჭოევლინა ზეგარდამო შთაგონებული წმინდა ქალწული, კადმოლახა თავისის უძლურის ფეხითა მთანი და კლდენი, ჰოვიდა იქ, „სადაცა ლმერთნი ლმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ“, პირქვე დაამხო სალოცავნი კერპთმსახურებისანი და მათს აღილას აღმართა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი პატიოსანი.

საქართველოს ერმა გადისნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარცმულის ლმერთისა და თითონეც ჯვარს ეცვა და არავის-კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ლჩმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ ხუთმეტი საუკუნეა და მთელი ეს ხუთმეტი საუკუნე გულში ჯვარით და ხელში ხმალით იბრძოდა, იღვწოდა, სისხლსა ჰლვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

ჩვენის ასტორის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაართა სასწაულთ-მოქმედი მხნეობა, თავგაწირვა; თავდადება, ვაუკაცობა სულ იმ წათელით არის

განსხივებული, იმ შარავანდელით არის მოსილი, რომელიც „ქელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მაღლით და ლვაჭლით აღმართულმა, მოპფინა მაელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ქელზედ სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველს სხვა მცნებაზედ: გიყეარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

ამ მცნების მოძლვარს ეთაყვანა ჩვენი ქვეყანა; იგი ალიარა ლმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს-აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თითონ ქართველიცა. ამ კაცომყვარე ლმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიშებული, ეკლის გვირგვინი დაიღვა თავზე, ხუთმეტი საუკუნე გულგაულრეკლად ატარა თავპირ დასისხლიანებულმა, ჩვენს დრომდე შეუმშიქვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა ჩვენ, შვილებს, გალმრგვეცა,—ეხლა თქვენ იცითო.

ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალ-მარგალიტით მორთულს გვირგვინს რითი ჩამოჰქება? გვირგვინი წამებისა ჭეშმარიტებისათვის, კაცომყვარებისათვის, გვირგვინი წამებისა მაშერალია და ტვირთმძიმეთა ნუგეშისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხებისათვის, მშიერთა, მწყურვალთა, სწეულთა, საპყართა და პატიმართა შველისა და ხსნისათვის, ობოლთა, ქვრივთა, უპატრონთა შეწყნარებისათვის—ნუთუ ყოველივე ეს იგივ თვალ-მარგალიტები და უფრო უკეთესნიც არ არიან?

დიდი წამება დიდ-ბუნებოვანობის ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილობა. დიდი წამება იგივ დიდი გამარ-

ჯვებაა, რომელიც წილად ჰქვდება ხოლმე დიდ-ბუნებო-
ვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ,
რომ თითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს.
და წამებული-კი თვით იწვის სანთელსაფით და სხვას-კი
უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო
უანგარია, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულმტკივნეუ-
ლოა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და
სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა პლოცულობს კა-
ცობრიობა, მარტო ამ წამებულთა ოლიარებს იგი წმინდა-
ნებად და თაყვანსა სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დღებდე მოტანილი ჩვენ-
თა წინაპართაგან, ამ მშვენიერებითა პშვენის, ამ სახელი-
თა სახელოვნობს, ამ დიდებით პლიდებულობს. თუ ვისმე
სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას-კი
გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და შად-
ლობელნი შეილნი ლმობიერებით პარქეე უნდა დავემხოთ
მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდე-
ბულთა და ქება ქებულთა.

ამ სამართლიან ქება-დიდებისათვის სხვა უკეთესს
დღეს ვერ ამოიჩიეს ქართველი, თუ არ დღეს, ჩვენის
განმანათლებელის სახსოვრად დაწესებულს. მოგვევლინა
წმინდა ნინო, გვაძუნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული
და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განახლა ჩვენი ქვეყანა
ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ
ახალს აღთქმას, შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-
კი რამ ძეირფასია ადამიანისათვის და რაც თავის-დღეში
არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს: შეუერთა
მამული და ეროვნობა. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგა-
ნი ისე ჩაიწენ, ისე ჩაქოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯუ-

ლის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდიქმნა
და მიწა-წყლის დაცვა—რჯულის დაცვად. რჯული ჩვე-
ნის მამულის, ჩვენის ეროვნობის ხმლად იქცა ზედმისევი-
სათვის და ფარად ზედმოსეულიათვის.

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში
პნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, პნიშნავდა
ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართვე-
ლი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვე-
ბი არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვან,—გაქარ-
თველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ
მამული და ეროვნობა, რჯულთან ერთად შეერთებული,
რჯულთან შეხორციებული, უძლეველი სმალია და
შეულეწელი ფარი მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას,
სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ მიაქცივდა ხოლმე,
რომ მამული და ეროვნობა რჯულიადე გააპატიოსნოს,
სარწმუნოებამდე აღმაღლოს, ასწინოს და ყოველიც ამ
სამს წმინდას და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს,
თავდადებით ამსახუროს, თავგაწირვით ამოქმედოს.

აი სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამ-
ღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის
ძლიერებას, პატივისცემას! აი რით გაიმაგრა სამღვდე-
ლოებამ სარწმუნოება ქრისტესი ამ პატარა ქვეყანაში,
რომელსაც გარშემო ვეშაპი-მტრები ეხვინენ და ჰლამო-
დნენ ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი რამ მოაგე-
რებინა ამ პატარა ქვეყანას აურჩებელი მტერი! მამული
და ეროვნობა მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯუ-
ლი—მამულსა და ეროვნობასა და ეგრეთ მოძღვრებულმა.
ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი
ომითა და სისხლის ღვრითა გამოიარა და ქართველს ბი-
ნაც შეუნახა და ქართველობაც..

ამ სამთა უწმინდაესთა საგანთა შეერთებამ ასწია
ჩვენი სამღვდელოება და დააყენა იმ მაღალ ხარისხზედ,
სადაც ყოველი ბიჯი ღვაწლია და სამსახური ქვეყნის წი-
ნაშე. მოღვაწეს და მოსამსახურეს ყოველთვის დიდი პა-
ტივი და სახელი აქვს და ამიტომაც უწინ სასულიერო
წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ
ლირსებად მიაჩნდათ. დიდნი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯა-
ხისანი და ძენიც კი ბედნიერად პრაცედნენ თავიანთ
თავს, თუკი ელიტისბოდნენ სასულიერო წოდების კაცად
გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ყვე-
ლამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამუ-
ლისა და ეროვნობისა, და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძი-
მეში იყო. ეს სიმძიმე პატიოსნებდა ღვაწლსა, ეს ტვირ-
თი ასხივოსნებდა სამსახურსა და ამ ჭატიოსნებასა და
სხივოსნობაში იყო თავმოწონებაც და ჯილდოც მოღვა-
წისა.

ამ-სახით, წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა
და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩენ არამც-
თუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა
მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე-ლმერთმა მოუვლინა ქვე-
ყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა
გაბარატარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნობას, ვითა
ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალონით გა-
მოჰარდა, შემოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძლვარა
ჯვარი პატიოსანი და ძელა ჭეშმარიტებისა. და აი ათას
ხუთასი შელიწადია ამ ძალონით ქრისტიანობამ შეგვი-
ნახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა,
ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ
ცალკედ, თავის-თავადაც დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტი-

ანობამ ქვითკირსავით - შეგვერა და გაგვამაგრა, რომ
ქრისტიანობა გაგვიძლვა მამულისა და ეროვნობის შერჩე-
ნისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდ-
დება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდე-
ბული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა
წმინდა ნინომ. აი რით არის მართლა სადიდებელი, მარ-
თლა სადიდ-დღესასწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი
ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა-სწორს ქალ-
წულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა
დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარი-
ტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც
იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნობა, და ერთსაც და
მეორესაც უპატრონა დღემდე.

კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის! დიდება შენ-
და, დიდება!...

[1888 წ., 13 იანვარი].

შობა მაცხოვისა

დაუმძიმდა კაცთა ნატესავსა ძველი რჯული, ძველი ალთქმა. შეერყა საძირკველი კაცთა ცხოვრებასა, რომელსაც ქვაჯუთხედად ედვა ძველის ალთქმის მოძღვრება: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“. სხვა მადლის მწყურვალმა სულმა კაცისამ იგრძნო, რომ ამ მოძღვრების საფარი ქვეშ ველარ იდგომილება დიდხანს,—და ძველი ქვეყანა ირყევა, ირლევა, მიდის და იფუშება. იგრძნო, რომ იგი ლმერთი მსჯავრისა და შერის-გებისა, ლმერთი წყრომისა და რისხვისა ამასთანავე კაცთმოყვარე, მადლის მომფენი, ყოვლად მოწყალე და ყოველთა შემწყნარებელი ლმერთიც უნდა იყოს.

ამ ქვეყნის რყევისა და რლვევაში ჯერ კარგად ვერ-გამორკვეული სასოება აღამიანისა, პედაგს-რა ძველს დედა-ბოძს სულის საფარისას წიმოსაქცევად გამზადებულს, ჰკვნესს და ჰლალადებს ზეგარდამო შთაგონებულთ კაცთა ბაგითა. რყევისა და რლვევისაგან თავის ბუდიდამ ამომფრთხალი გული ადამიანისა უთვისტომოდ, უბინაოდ ჰრჩება. გული შეშინებული, ელდაცემული ეძიებს ახალს სადგურს, ახალს ბინას, რომ მივიდეს და იქ განისვენოს. ბუნდად და გამორკვევლად ჰგრძნობს, რომ უნდა ამოვიდეს ახალი ვარსკვლავი, ახალი ალიონი, რომელმაც უნდა გზა აჩვენოს და გააგნებინოს ძველის ქვეყნის რყევისაგან ატეხილს მტვერ-ბუნდში, ერთხელ

წაირლვნა ქვეყანა, ეხლა-კი უნდა დახსნილ იქმნას და აი ამ მხსნელს ელის ხსნის მწყურვალე სული.

„შენ, ბეთლემ, ქვეყანა ეჯე იუდასი!—ჰლალადებს ზეგარდაძო
შთაგონებული წინასწარმეტყველი:—არა სადა უმრწემეს ხარ
მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინა-
მძღვარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი, ისრაილი!“

ადამიანი ოალაც ლოდინშია, გარღვეულ უფსკრუ-
ლის წინაშე მდგომარე; სასოს არ იკვეთს, რომ მოვა მა-
ცხოვარი და თავის ყოვლად-მხსნელს ხელსა მომაწვდისო.
სასოებით ალსავსენი, სულით განდიდებულნი და აღფრ-
თოვანებულნი წინასწარმეტყველნი წინათ-პერძნობენ ამა-
მოსვლასა და ვითა მახარობელნი ნუგეშ-სცემენ გულწა-
სულს ადამიანს, მოვით, ოლონდ შენ „განმზაღნე გზანი
გისნიო“.

„აპა ესერა მე წარგავლინო ანგელოსი ჩემი წინაშე პირსა შენ-
სა, რომელმან განმზაღნეს გზანი შენი წინაშე შენსაო,—ჰლალა-
დებს სრულის რწმენის ლალადითა წინასწარ-გრძნობით აღტა-
ცებული ისაია წინასწარმეტყველი:—განმზაღებით გზანი უფლი-
სანი და წრფელ-პყვენით ალაგნი მისნი“,

და აპა აპა „გზათა განმზაღებად და წრფელ-ყო-
ფად ალაგთა მისთა“ მოევლინა ქვეყანას იოანე წინამორ-
ბედი „მლალადებელი უდაბნოსა შინა“. გულშერეყულს და
ნუგეშის მწყურვალს ქვეყანას ჰერონია, რომ აი ეს არის
იგი, გინც ასე ძლიერ სწყურიან ჩენს ობლად შთენილს
სულსა და ვისაც ასეთის სასოებით მოველოდებოდითო,
არაო, ეუბნება წინამორბედი იოანე:

„ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომ-
ლისა ვერ ლირსარ განხსნად ხამლთა მისთასა. მე ნათელ-გცემ
თქვენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცემ თქვენ სულითა წმი-
დითა“.

იშვა ქრისტე, იშვა იგი, რომელმან ნათელ-სკა ქვეყანას სულათა წმიდითა, იშვა იგი დედისაგან, რომელ კურთხეულ არს დედათა შორის. იშვა იგი, რომელიც,— როგორც ითანე მახარობელი ამბობს, — „დაემჯოდრა ჩვენ შორის და ვიზილეთ დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდ-შობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჰეშმარიტებითა... რამეთუ რჯული მოსესაგან მოეცა, ხოლო მადლი და ჰეშმარიტება იქსოს მიერ იქმნა... რამეთუ არა მოავლონა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რათა დაჭავოს სოფელი, არამედ რათა აცხონოს სოფელი შის მიერ“. იშვა იგი, რომლის გამო სთქვა ითანე წინამორბედმავე:

„აპა ტარიგი ღვთისა, რომელმან ალიხვნეს ცოდვანი სოფლისანი! ესე არს, რომლისათვის იგი ვსთქუ: ჸემდგომად ჩემსა მოგალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემდე არს“.

„ნუ გეშინინ,—ახარებს ქვეყანას ანგელოზი:—ნუ გეშინინ, რამეთუ აპა ესერა გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა, რამეთუ იშვა დლეს თქვენდა მაცხოვარი... და ესე იყოს. თქვენდა სასწაულად: ჰპოვოთ ყრმა იგი, შეხვეული და მწოლარე ბაგისა“.

რა დიდებული სახეა, რა დიდებული ხატია!.. ღმერთი, მოვლინებული ცხონებად და ხსნად ქვეყნისა, ღმერთი ახალის ალთქმისა, რომელმან უნდა „ალიხვნეს ცოდვანი სოფლისანი“. ძე ღვთისა და კაცისა, რომელმან უნდა ნუგეშ-სკეს ქვეყანას,— „მოვედინ, მაშვრალნო და ტვირთ-მძიმენ, და მე განგისვენოთ თქვენ“, ღმერთი, რომელმან უნდა ნათელ-სცეს ბნელს ქვეყანას სულითა წმიდითა— იშვა ვითა ღარიბი ღარიბ საფარ-ქვეშ და არის „შეხვე-

ული და მწოლარე ბაგასა!.. მარტო ერთი ვარსკვლავი-
ლაა აღმომხდარი აღმოსავლეთით და იგი დაპირის ზედ
ადგილსა მას შობისასა ნიშნად მისად თუ,—რა სხივოსა-
ნი მადლი მოეფინა. ქვეყანას დედისაგან, რომელიც ამი-
ტომ „კურთხეულ არს დედათა შორის“! ყრმა-ღმერთი
„შეგვეული და მწოლარე ბაგასა!“! არისლა სადმე სხვა ხა-
ტი, რომ დიდებამ ასე ადიდოს სილარიბე და სილარიბემ
ასე ადიდოს დიდება! ყველაზედ უწინარეს ამ ხატითა ით-
ქვა შობისავე უმალ იგი თავდაბლობა კაცომოყვარე ქრი-
სტე-ღმერთისა, რომელმაც მერე გააოცა ცუდმელიდობით
გარყვნილი ძველი ქვეყანა.

იშვა იგი, ვინც გაჭირვებულს და ძირით ოხებამდე
შერყეულს ქვეყანას მოაცალა ულმობელი საძირკველი
„თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ და ამის
მაგიერ შთაუდგა „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარ-
ცა თავი შენი“ და ამაზედ ხელახლად დაადგინა დასარ-
ლვევად გამზადებული ქვეყანა, ვითარცა კლდეზედ, რო-
მელსაც ვერც უამი და ვერც დრო ვერ შექმუსრავს და
ვერ შეარყევს. ამ კლდეს ზედ დაანთხია მან თვისი ღვთა-
ებური სისხლი და ზედ გადაატეხა თვისი უბიწო ხორცი.
კაცომოყვარე ძე-კაცისა, ქვეყნის ხსნად მოვლინებული,
კაცმავე ჯვრის აცვა და ჯვარტყული მაინც ჯვართმცმელ-
თათვის ჰლალადებდა ღვთისა მიმართ: ღმერთო, შეუნდევ,
რამეთუ არა უწყიან რას იქმან! აი რა სულვრძელი, რა
კაცომოყვარე, რა ყოვლად-მოწყალე ღმერთი იშვა დღეს
და ამას სამართლიანად ჰხარობს და დღესასწაულობს მთე-
ლი ქრისტიანობა.

მას აქეთია აღსდგა ქვეყანა ახალის აღთქმისა, ახა-
ლის ცხოვრებისათვის. მას აქეთ შეაფარა კაცმა თაცი
თვისი ღმერთსა სიყვარულისას, მშვიდობისას, მოწყალე-

ბისას და შენდობისას. განახლდა ქაცი და დღეს განახლებულს კაცს ძალუძს სასოებით სთქვას: „შენ ხელახლად შემქმენ მე, ქრისტე-ღმერთო, და დამდევ ჩემზედა ხელი შენი... შენ სკან დაჯდომაი ჩემი და ალდგომაი ჩემი. ალგნი ჩემნი და ნაწილნი ჩემნი შენ გამოიკვლიენ და ყოველნი გზანი ჩემნი წინასწარ იხილენ... საკვირველ იქმნა ცნობა შენი ჩემგან, განძლიერდა და ვერ შეუძლო მას! შენ ხარ ხსნა ჩემი, შენი მოძლვრება—მაცხოვარ ჩემდა, და ველარსად განეკრინო სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ველარსად ვიყვლტოდე: ალ-თუ-ვჰედე ცად, შენ მუნ ხარ! შთა-თუ-ვჰედე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ! ალ-თუ-ვიჰურნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავემკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა,—და რამეთუ მუნცა ხელი შენი მიძლოდეს მე და მარჯვენემან შენმან. შემიწყნაროს მე!“

[1886 წ., 24 დეკემბერი.]

სააღდგომო

ქრისტე აღსდგა!.. აღსდგა ჯვარუმული იგი ღმერთი, რომელმანც ჰსოფება: „ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი, ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული მისატევებელად ცოდვათა“.

აღსდგა იგი ღმერთი, რომელმანც გვიანდერძა ჩვენ ურთიერთის სიყვარული და გვითხრა: „ამას გეტყოდი თქვენ, რათა სიხარული ჩემი ოქვენთანა ეგოს და სიხარული თქვენი სავსებით იყოს. რამეთუ ესე არს მცნება ჩემი, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ“.

აღსდგა იგი დევნული, ტანჯული, ვნებული ღმერთი, რომელმან ხსნად ჩვენდა გვითხრა ჩვენ: „უფროსი ამისა სიყვარული არვის აქცე, რათა სული თვისი დაპსდვას ნეგობართა თვისთათვის“.

აღსდგა იგი მეუფეთა-მეუფე, რომელმანც აღადგინა ღირსება ადამიანისა და ჰრქვა მონებით შეგინებულს ქვეყნიერობას: „არდა გეტყვით თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცის, რასა იქმნ უფალი მისი; ხოლო თქვენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწევ თქვენ“.

აღსდგა იგი ნუგეშმცემელი ღმერთი, რომელმან ჰსცა ნუგეში სასოწარკვეთილს კაცობრიობას ამ სიტყვით: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“.

აღსდგა იგი ყოვლთა შემწყნარებელი ღმერთი, რო-

მელმანც უბრძანა ჩაგრულთა, სოფლისაგან ძლიულთა და დევნულთა: „მოვედინ ჩემთან, მაშერალნო და ტვირთ-მძიმენო, და მე განგისვენოთ თქვენ“.

აღსდგა იგი ღმერთი მადლისა, სიყვარულისა და გაჭირებულთა განკითხვისა, რომელმანც სიმშილი, წყურ-ვილი, სიშიშვლე, სნეულ-ყოფა, პყრობილება ოვითოეუ-ლის ადამიანისა თავის საკუთარ სიმშილად, წყურვილად, სიშიშვლედ, სნეულ-ყოფად, პყრობილებად მიითვალა და პრევა წყალობით გამკითხველს ადამიანს: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმხა-დებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლი-სათ, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასეუთ მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე, სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე, საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა... ამინ გეტ-ყვით თქვენ: რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ!“

აღსდგა იგი სიკვდილით სიკვდილის დამრთვუნველი ღმერთი, რომელმანც, რა მოიწია ჟამი მისის ვნებისა, აღიხილნა თვალნი თვისნი ზეცად და სთქვა: „მამაო, მოი-წია ჟამი ჩემი! ადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გა-დიდოს შენ. მე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღ-ვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო. წმინდა ჰყვენ ესენი ქეშმარიტებითა, რამეთუ სიტყვა შენი ქეშმარიტ არს; რათა ყოველნი ერთ-იყრენ, ვითარც შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი. მე დიდებაი, რომელიც მომეც მე, მივეც მათ, რათა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩვენ ერთ ვართ, მე მათ შორის და შენთანა; რათა იყვნენ სრულ ერთობი-თა და რათა უწყოდეს სოფელმან, რამეთუ შენ მე მომავ-ლინე, და შეიყვარენ იგინი; ვითარცა მე შემიყვარე“.

ალსდგა იგი კაცთა-მხსნელი ღმერთი, რომელიც მის
შიერ ხსნილთა კაცთავე „განპსძარცვეს და ქლამინდი მე-
წამული შეპმოსეს; შესთხზეს გვირგვინი ეკალთაგან და
დაადგეს თავსა მისსა და ლელწამი მისცეს მარჯვენა
ხელსა მისსა და მუხლნი დაიღნეს მის წინაშე, ემღერდეს
მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ურიათაო! და
ჰერწყვიდეს მას და მოილეს ლელწამი და სცემდეს თავსა-
მისსა.“

ალსდგა იგი ჯვარცმული კაცთაგან კაცთმოყვარე
ღმერთი, ღმერთი ყოვლად-მხსნელის სიყვარულისა, შენ-
დობისა და მიტევებისა, რომელიც ნამეტნაობისაგან მოწ-
ყალებისა, სიბრალულისა და შეწყნარებისა იტყოდა მტერ-
თათვის: „მიუტევე, მამაო, რამეთუ არ იციან, რას იქმან!“.

„და აპა ძერა იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფ-
ლისა გარდმოპხდა ზეცით“ და ალსდგა ქრისტე მაცხოვა-
რი ჩვენი!..

ალსდგა იგი ღმერთი მევდრეთით, რომელმანცა სიკ-
ვდილითა სიკვდილი დასთრგუნა და განახლებულს კა-
ცობრიობას ახალი ცხოვრება მიანიჭა.

ქრისტე ალსდგა!..

[1886 წ., 13 აპრილი.]

საზოგადოება და ზეობა

საფრანგეთის მეცნიერი სახელგანთქმული რენანი, ლაპარაკობს-რა ქრისტეს აქეთ პირველის საუკუნის ნახევარზედ და გვიხატავს-რა მთელის ქვეყნიერობის ცხოვრების სურათს ამ ხანში, ამბობს, რომ თუმცა რომის იმპერია მოწამლული იყო მრავალ-გვარის მშიკვლითა და გარეუნილობითა, მაგრამ მაინც ეს ღრმ იმისთანა არ იყო, რომ კაცს ამ მხრით სასოება წარექვეთნა და ქვეყნის ზნეობითად დამხობის მოლოდინს მისცემოდაო. „მართალიც არისო,—განაგრძობს რენანი:—ძველი სული რომისა კიდევ სკოცხლობდა და ჰერიალებდა. პატიოსნება კაცურის წასიათისა ჯერ შორს იყო საუკუნოდ წაწყმედისაგან და არ გამქრალიყო. დიდნი ანდერძნი თავმოწონებულის რიცისა და სათნოებისა შეიკედლა თავის საფარველს ქვეშ ზოგიერთმა ოჯახმა, რომელმაც იმპერატორის ნერვის დროს ხელისუფლებამდე მიაღწიეს და ბრწყინვალე შარავანდედი მოჰყინეს ანტონინების საუკუნესა, მცევრმეტყველებით ტაციტის მიერ აღწერილსა. იგი ღრმ, რომელმაც გამოზარდა, გამოაყენა, ახეირა ისეთი ღრმად პატიოსანის ჭიუის კაცნი, როგორც კვინტილიანი, პლინიუმცროსი, ტაციტი, იმისთანა არ იყო, რომ შესაძლო ყოფილიყო ადამიანი სასოწარევეთილებას მისცემოდა. უმართებულობა ზედაპირისა თავის-დღეში არ დასწვდებია იმ დიდს საძირკველს პატიოსნებისას და ჭევათმყოფობისას, რომელსაც რომის კარგი საზოგადოება შე-

აღგენდა. ზოგიერთი ოჯახები ჯერ კიდევ თავდადებულ-ნი იყვნენ კეთილზეობისათვის, მოვალეობის ერთგულო-ბისათვის, თანხმობისა და სათნოებისათვის. კეთილშო-ბილ სახლეულობაში კაცი შეხვდებოდა ღიდად პატიო-სანს მეულლეს, მშვენიერს და დიდად პატიოსანს დასა. განა ყოფილა ვისიმე ბედი ისე გულშესატკივებელად სა-მაგალითო, როგორც ახალგაზრდა და უბიწოებით საცხე-ოკტავიასი, კლავდიის ასულისა და ნერონის ცოლისა, რომელსაც სიწმინდე თვისი არ შეუბლალვია არც ერთის მოქმედებითა, თუმცა ბიწი, მწიკვლი გარს ეხვა? იგი ოც-და-ორის წლისა მოაკვდინეს, ესე იგი მაშინ, როცა ჯერ არც ერთი სიხარულიც არ ეგემნა ქვეყნიერობაზედ. ცოლები ქმრებს მისდევდნენ ექსორიაში, სხვები ქმრებ-თან ერთად პრჩეობდნენ სახელოვანს სიკვდილსა. ძველი სალა ცხოვრება რომისა არ იყო გამქრალი, შვილებს დი-ლის ზრუნვით და თავდადებით პზრდიდნენ. ქალები დი-დის ოჯახებისა და გვარეულობისა არა ჰითაკილობრნენ მატყლის კეთებასა და რთვასა; მორთვისა და პრანჭიაო-ბის ზრუნვა კარგს იჯახებში თითქმის არც-კი იკოდნენ, რა არის“.

გარდა ამისა, რა საოცარი მაგალითებია მაშინდელ
კაცების ღიღ-ბუნებოვანობისა. ნუთუ მართლა გამოკეთე-
ბის ძალი თვითვე არა აქვს იმ საზოგადოებას, რომე-
ლიც ჰგადავს, ჰზრდის და გამოაყენებს ხოლმე მტკიცე
სასიათების კაცებს, გმირებს? განა ამ შემთხვევაში სა-
მართლიანად ხელზედ დასახვევი და ჰკუად-მისაღები სა-
ბუთი არ არის, მაგალითებრ, ჰელვიდი პრისკუსის გმი-
რობა, რომელსაც თვით ჩენანი მოვითხრობს? ეს ჰელვი-
დი ვესპასიანის ღროსა სცხოვრებდა, და რადგანაც ამხა-
ლებდა იმ ღროების ბოროტსა, სიკედილით დასჯა გალუ-

წყვიტეს. და როცა ვესპასიანმა ეს გამოუცხადა, — ჰელვიდ-
მა მშვიდობანად და თავმოწონებით უთხრა: „შენი საქ-
მეა კვლა და ჩემი საქმე-კი — კაცურად სიკვდილიკ“. ანუ,
მაგალითებრ, დემეტრე ცინიკის ამბავი, როცა განრისხე-
ბულს და გამჭყრალს ნერონს უპასუხა: „თქვენ მე მემუქ-
რებით სიკვდილს და ბუნება თქვენ გემუქრებათ მაგა-
სვეო“.

ამისთანა კაცების აღმზრდელი და სულის ჩამდგმე-
ლი ძალი დიდი ძალია და ამ ძალის მექონს საზოგადოე-
ბას ვერ ეთქმის, რომ ფესვი ცხოვრებისა შექსუსტებია.

ამაებზედ აფუძნებს ორნანი იმ აზრს, რომ საცა მის
მიერ ჩამოთვლილნი სათნოებანი ჯერ კიდევ არსებობენ,
ბინას ჰპოულობენ და თავს ირჩენენ, იქ საზოგადოება
ჯერ შორს არის აღმოფხვრისაგანა და გამძლეობის ძალი
ოვითვე აქვთ. კაცობრიობა კი არა, რომი დაეცა, ვი-
თარცა თვითმშეყრობელი მაშინდელის ქვეყნისა და მის
გასამდლეო ნაშთზედ აშენდა ახალი ქვეყანა, წარმოდგნენ
სხვა, ახალნი თუ ძელნი ერის, რომელთაც დღეს სვე-
ბელი ქვეყნიერობისა ხელთ უჭირავთ და კაცობრიობას
წინ უძლებიან.

ჩვენ ამ აზრის გარჩევაში არ შევალთ. ეს კი უნდა
ვსთქვათ, რომ ძალიან დასაფაქრებელი აზრია, გულში
მეტად მოსახვედრია და დასაქვდევი. მართალია იგი, თუ
არ არის მართალი რომის ისტორიის ახსნისათვის, მაინც
ძნელია კაცმა მაგ აზრს ანგარიში არ გაუწიოს, როცა
რომელისამე ერის ყოფა-ცხოვრებაში ღრმად ჩაიხედავს.
ეს ერთი კი, ჩვენის ფიქრით, უეჭველია: თუ რენანის
მიერ ჩამოთვლილნი სათნოებანი დედაკაცობისა თუ მა-
მაკაცობისა, აქა-იქ საზოგადოებაში დარჩენილნი არ
არიან თავმდებნი ბევრ-წილად მიხრწილის ერის გამო-

კეთებისა, გამობრუნებისა, ამ სათნოებათა არ-ქონა კი უსათუო ნიშანია, რომ ერთ ქვეყნის ზურგიდამ ასაგველია გადადებულია. თუ ამ სათნოებათა კანტიკ-კუნტად ქონა ვერ შესძლებს ერთ წინ წააყენოს გამოკეთების გზაზედ, არ-ქონა კი უსათუოდ უკან დამწევი მიზეზია. ამიტომაც ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა. ამაზედ უნდა მიიქცეს მთელი ლონე ერის გულშემატკივარის კაცისა. იგი დედა, თუ მამა, რომელიც თვისის შეილისათვის მზრუნველობას იმაზედ არ მიაქცევს, რომ კაცური კაცი გამოვიდეს, იგი ჭიათ, რომელიც თავის ერს მერმისის ძირს უთხრის და ულრნის დღე-მუდამ და იქნება არც-კი ჰერძნობდეს, რა ცოდვაში ჰდგება: ღვრ ნელ-ნელა ჰლესაეს დანას, რომელმაც, აღრე იქნება თუ გვიან, ყელი უნდა გამოსჭრას მისსავე შთამომავალსა, მისსავე ერსა.

[1887 წ.]

ପ୍ରମାଦ କୁରୁମୁଖୀ
ଶ୍ରୀକୃତି ଓ ଏକମେଲମା

ილიას ნაწარმოებთა ტექსტი და პროცესობრივი

(ტომი VIII)

* *

1. ცხოვრება და კანონი (გვ. 3—110).—პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“, 1877—1881 წლებში (№№ 1, 2, 3, 4 და 6 1877 წლისა, №№ 1, 2 და 3 1879 წლისა და № 1 1881 წლის).

* *

2. პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო (გვ. 113—126).—დაიბეჭდა მეთაურების სახით გაზ. „ივერიაში“ 1887 წელს, №№ 2, 55 და 56, აგ-ტორის ხელმოუწერელად.

ილიას ავტორობას ადასტურებს ის გარემოება, რომ ეს მეთაურები გადაწერილია ილიას ნაწარმოებთა ხელნაწერ კრებულში. № 5.168 (ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმისა *).

მეორე მაჩვენებელი ილიას ავტორობისა ის არის, რომ განეთ „ივერიის“ კომპლექტში, რომელიც რედაქტურიდან იყო გადმოგზავნილი წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის (—ამ ჟამად დაცულია ტფილისის

*) ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ტ. VII, გვ. 326—327, ტ. IV, გვ. 416.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში № 2242), ამ მეთაურების
ქვეშ მიწერილია ილიას ინიციალი („ი“*).

* *

3. ხიზნების საქმე (გვ. 129—204).—

პირველი ნარკვევი—დაბეჭდილი იყო გაზ.
„დროებაში“ 1880 წელს, №№ 60, 65, 87, 89 (მეთაურები);
მეორე ნარკვევი—გაზეთ „ივერიაში“ 1886 წ.
№№ 105, 168, 169, 170, 173, 174, 175, 176, 178, 179,
181, 188, 189, 190, 191, 196, 197, და 198 (მეთაურები).
ორივე ეს ნარკვევი ილიას ხელმოუწერელად გამო-
ქვეყნდა.

კერძოდ, რომ მეორე ნარკვევი ილიას ეკუთვნის
ამას ადასტურებს ზემოთ-ნაჩენები წყაროები: იგი შეტა-
ნილია ილიას ნაწარმოებთა ხელნაწერ კრებულში № 5168;
ამას გარდა „ივერიის“ კომპლექტში № 2241 (ყოფ. წერა-
კითხვის საზოგადოების მუზეუმისა) აქაც ცალკე მეთაურე-
ბის ქვეშ მიწერილია ილიას ინიციალი („ი“).

რაც შეეხბა პირველ ნარკვევს, იგი არაა
გადაწერილი ხელნაწერში № 5168, რაც იმით აისწნება,
რომ აქ არაა საერთოდ შეტანილი 1880 წლის „დროე-
ბაში“ დაბეჭდილი ილიას ნაწერები. ამას გარდა არც ძეგ-
ლი სარედაქციო ეკზემპლარები შენახული „დროებისა“,
რომ აქ გვეპოვა რაიმე პირდაპირი ცნობა ავტორის შე-
სახებ.—მაგრამ მიუხედავად პირდაპირი ჩვენების უქონ-
ლობისა, ილიას ავტორობა მაინც უდავოა: ეს პირველი
ნარკვევი, როგორც მეითხველი დაინახავდა, უშუალოდ
არის გადაბმული მეორე ნარკვევთან, რომლის შესახებაც
ილიას ავტორობა გამორკვეულია.

*) ანალოგიური შემთხვევები ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა
მე-VII ტომში (იხ. გვ. 347—350, 333).

* *

4. კერძო და სათემო მიწათმფლობელობა (გვ. 207-226).—დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1886 წ. №№ 48, 56, 57, 59, 160 და 62, ხელმოუწერელ მეთაურების სახით.

ილიას ავტორობას ადასტურებს იგივე ხელნაწერი კრებული № 5168, და ილიას ინიციალის აღნიშნვა ცალკე მეთაურების ქვეშ „ივერიის“ კომპლექტში № 2241 (ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმისა).

* *

5. საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზეზები (გვ. 229—273).—დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1897 წელს, №№ 189, 194, 196, 200, 201, 215, 217 და 226 (მეთაურები).

ეს ნაწერიც აგრეთვე ავტორის ხელმოუწერელად დაიბეჭდა. ილიას ავტორობა იმის მიხედვით გამოირკვა, რომ ილიას არქივში აღმოჩნდა თვით ილიას ხელით დაწერილი პატარა ნაწყვეტი, რომელიც წარმოადგენს ამ წერილის შავს (იხ. ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კომპლექტი, № 5297*).

*) მოგვყავს აქვე შედარებისთვის ტექსტი ილიას ამ შავისა (შეადარეთ ეს ნაწყვეტი. ზემოთ-დაბეჭდილს მე-VI წერილის დასაწყისს, გვ. 252):

„მეთაური

ჩევნ წინა-წერილებში *) შევნიშნეთ, რომ ქურდისა და ავაზაკის მძლეველი ჩვენში უფრო ოსა, ან თათარი. სხვა თესლის კაცს ძალიან იშვიათად შეხვდებით ამისთანა ავკაცობის სარჩილზე. ჩევნ ვამბობთ ქალაქებ-გარეთ მოთარეშეებზე. ქალაქებში ძარცვა-გლეჯას, ქურდობას და ერთობ ავაზაკობას სულ სხვა სათავე აქვს, სულ სხვა გარემოება, და აქ არც ურთის თესლის კაცს არაფერი არ დაეფიცება“.

* *

6—9. დედათა საქმე (გვ. 277—291).—სამივე წერილი დაიბეჭდა „ივერიაში“, ხელმოუწერელ მეთაურების სახით: პირველი წერილი—1888 წ., № 262, მეორე—1889 წ., № 49, მესამე 1889 წ., № 57.

სამივე ეს წერილი ოღნიშნულია ილიას ინიციალით ივერიის კომპლექტებში №№ 2243 და 2651/δ (ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმისა). ამას გარდა პირველი წერილი (1888 წლისა) შეტანილია ილიას ნაწარმოებთა ხელნაწერ კრებულში № 5168 *).

* *

10. უკანონოდ-შობილთა უფლება (გვ. 295—304).
დაიბეჭდა გახ. „ივერიაში“ 1898 წ. №№ 248 და 249
(ხელმოუწერელი მეთაურები).

რაიმე პირდაპირი წერილობითი ჩვენება ილიას ავტორობის შესახებ არ მოიპოვება. ამ ტექსტის ილიასადმი კუთვნილება დაადასტურეს ივერიის ძელმა თანამშრომლებმა. არტემ ახნაზარმა და თედო სახოკიამ.

* *

11. ებრაელთა საკითხები (გვ. 307—309).—დაიბეჭდა „ივერიაში“ 1888 წ. № 98.

12. პედაგოგის საფუძვლები (გვ. 313—343).—
დაიბეჭდა „ივერიაში“ 1888 წ., №№ 92—96, 142—144.

13. ქართველი ერი, და ლვაწლი წმინდა ნინოსი
(გვ. 347—352).—დაიბეჭდა „ივერიაში“, 1888 წ. № 9.

*) რაც შევხება მეორე და მესამე წერილებს, ომლებიც 1889 წელს ეკუთვნიან, მათი მოუთავსებლობა აღნიშნულ ხელნაწერ კრებულში № 5168 იმით აისწენება, რომ ეს ხელნაწერი დასრულებულია 1888 წელზე, და აქ საერთოდ პრაც შეტანილი ილიას არც ერთი ნაწარმოები 1888 წლის შემდგომი დროისა.

14. შობა მაცხოვრისა (გვ. 353—357).—დაიბეჭდა „ივერიაში“ 1886 წ., № 280.

15. სააღდგომო (გვ. 358—360).—დაიბეჭდა „ივერიაში“ 1886 წ. № 81.

16. საზოგადოება და ზნეობა (გვ. 361—364).—დაიბეჭდა „ივერიაში“ 1887 წ., № 74.

ეს უკანასკნელი ექვსი ნაწარმოებიც აგრეთვე ავტორის ხელმოუწერელად გამოქვეყნდა.—ილიას ავტორობა ირკვევა იმავე წყაროების შიხედვით, სახელდობ: ექვსივე ეს ნაწარმოები შეტანილია ილიას ნაწარმოებთა ხელნაწერ კრებულშა № 5.168; ამას გარდა ყველა ეს ნაწარმოები აღნიშნულია ილიას ინიციალით „ივერიის“ კომპლექტში წერა კითხვის საზოგადოების მუზეუმისა (№№ 2241, 2242, 2243 და 2651/8).

3. o.



